

ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

**№18**

2020

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

წინამდებარე შრომათა კრებულში ქვეყნდება სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 16-17 ნოემბერს ჩატარებულ მეტერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „კანათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“ ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი ნაშრომები.

**რედაქტორი:** ელდარ მამისტვალიშვილი

**რედაქოლებია:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

როინ ყავრელიშვილი

დავით ყოლბაია

**კორექტურა:** თამარ გოგოლაძე

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** გიორგი ყაზიშვილი

In the current proceedings the History section works presented at the Xth International Scientific Conference “*Education and Science in The XXI Century: Reality, Challenges, Perspectives*”, organized by LEPL Gori State Teaching University on November 16-17, 2018 are published.

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

**Reviewer:** Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები  
CONTENTS Articles

- იოსებ ალიმბარაშვილი* – ჩრდილოკავკასიელთა 1944 წლის დეპორტაცია და გორის რაიონი 6  
*Ioseb Alimbarashvili* – THE 1944 DEPORTATION OF THE NORTH CAUCASIANS AND GORI REGION
- დავით ახლოური* – ქსნის ხეობის მთიანეთის რელიგიური ყოფის ისტორიიდან (სოფელ ახლოურთკარის მაგალითზე) 27  
*Davit Akhlouri* – FROM THE HISTORY OF THE RELIGIOUS LIFE OF THE KSANI GORGE (THE EXAMPLE OF VILLAGE AKHLOURTKARI)
- დეკანოზი ბორისი (ნიჩიპეროვიჩი)* – საეკლესიო მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ 43  
*Archpriest Boris (Nichiperovich)* – ECCLESIASTICAL SITUATION IN WEST GEORGIA AFTER THE ABOLISHMENT OF AUTOCEPHALY
- დეკანოზი თადეოზი (ქებაძე)* – ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანება - საქართველოსგან უძველესი ტერიტორიების გამოყოფის ტენდენციები 64  
*Archpriest Tadeoz (Kebadze)* – CONVERTING TO ISLAM OF NORTH CAUCASUS - SEPARATION TRENDS OF ANCIENT TERRITORIES FROM GEORGIA
- ელდარ თავბერიძე* – ნიკო ბერძენიშვილი ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლის შესახებ XIII საუკუნის საქართველოში 72  
*Eldar Tavberidze* – NIKO BERDZENISHVILI ABOUT THE FIGHT BETWEEN THE FEUDAL FAMILIES IN THE 13TH C. GEORGIA

*ლელა თოგოშვილი* – ირანის სავაჭრო ურთიერთობები ინგლისთან და რუსეთთან XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (საკითხის შესწავლისათვის) 87

*Lela Togoshvili* – TRADE RELATIONS OF IRAN WITH ENGLAND AND RUSSIA IN THE SECOND HALF OF THE 18TH CENTURY (FOR TO STUDY THE ISSUE)

*ელდარ მამისტვალიშვილი* – მკურნალობა – მოხერხებული საშუალება კათოლიკური პროპაგანდისათვის 101

*Eldar Mamistvalishvili* – HEALING AS A CONVENIENT WAY FOR CATHOLIC PROPAGANDA

*ქეთევან მანია* – სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაცია იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით 114

*Ketevan Mania* – REPRESENTATION OF EXEMPLARY LIFE ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVIL'S PUBLICISTIC LETTERS

*ალექსანდრე მღებრიშვილი* – საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური კამპანია ცხინვალის რეგიონში (XX საუკუნის პირველი მეოთხედი) (ინგლისურ ენაზე) 127

*Aleksandre Mghbrishvili* – ANTI-RELIGIOUS CAMPAIGN OF SOVIET GOVERNMENT IN TSKHINVALI REGION (THE FIRST QUARTER OF XX CENTURY) (in English)

*გიორგი სოსიაშვილი* – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ისა და რუსეთის ეგზარქოს ვლადიმერ ბოგოიავლენსკის ურთიერთობის ერთი ეპიზოდის შესახებ 162

*Giorgi Sosiashvili* – ABOUT THE EPISODE OF RELATIONSHIP OF CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA KIRION II AND RUSSIA'S EXARCH VLADIMIR BOGOYAVLENSKY

*კახაბერ ქებულაძე, იგორ კეკელია* – ეროვნული საკითხი გრიგოლ გველესიანის პუბლიცისტურ ნააზრევში 230  
**Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia** – NATIONAL QUESTION IN THE WORK OF GRIGOL GVELESIANI

*ვაჟა ჩოჩია* – სამოქალაქო ომი ესპანეთში და ინგლისის პოლიტიკა 240  
**Vazha Chochia** – CIVIL WAR IN SPAIN AND THE POLITICS OF ENGLAND

*დავით ჩოჩიშვილი* – ებრაელთა სოციალური მდგომარეობა ფლავიუსების დინასტიის დროს 255  
**Davit Chochishvili** – JEWISH SOCIAL SITUATION DURING THE FLAVIAN DYNASTY

*ვლადიმერ წვერავა* – საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II და მისი მოღვაწეობა რუსეთში (ნიჟნი-ნოვგოროდი) 277  
**Vladimer Tsverava** – LAST CATHOLICOS OF GEORGIAN ANTON II AND HIS LIFE IN RUSSIA (NIZNI NOVGOROD)

*ოთარ ჯანელიძე* – რუსეთის კავკასიური ინტერესები 291  
**Otar Janelidze** – RUSSIA'S CAUCASIAN INTERESTS

*ია ჯიჭონაია* – „ლექთა“ და „კავკასიანთა“ ურთიერთობა ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან 311  
**Ia Jichonaia** – THE RELATIONSHIP OF "LEKS" AND "CAUCASIANS" WITH THE GEORGIAN POLITICAL WORLD

**ჩრდილოკავკასიელთა 1944 წლის დეპორტაცია  
და გორის რაიონი**

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მიწურულს ჩრდილო კავკასიის ხალხებს: ყარაჩაელებს, ყაბარდოელებს, ბალყარელებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს საბჭოთა ხელისუფლებამ ბრალი დასდო გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობასა და სამშობლოს ღალატში. ჩეკისტებმა 1943 წელს დააპატიმრეს გერმანელი ემისარი ოსმან გუბე, რომელმაც „ალიარა“ ცნობილ ჩეჩენ აბრაგთან ჰასან ისრაილოვთან კავშირი. ისრაილოვმა ჯერ კიდევ 1942 წლის 28 იანვარს არალეგალურ დამფუძნებელ კრებაზე შექმნა „კავკასიელ ძმათა განსაკუთრებული პარტია“. შემუშავდა პარტიის პროგრამა და წესდება, რომლის დევიზი იყო „კავკასია კავკასიელეებისათვის“, ხოლო მიზანი მთელი კავკასიის გაერთიანება და თავისუფალი ძმური ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა<sup>1</sup>.

1944 წლის 12 ოქტომბერს ხელისუფლებამ გამოსცა დოკუმენტი, რომლის მიხედვით, ყარაჩაის ავტონომიური ოლქი გაუქმდა, ხოლო ყარაჩაელები, ბალყარელებთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს. ყარაჩაის სამხრეთ ნაწილი, კერძოდ, მდ. თებერდასა და ყუბანის ზემო წელში მდებარე ტერიტორიები (დღ. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ნაწილი), მდინარეების – არღუნსა და ასას ზემოწელში არსებული მიწები (დღ. ინ-

---

<sup>1</sup> ხასო ხანგოშვილი, დავით პანკელი, აბრაგები, თბ., 2004, გვ. 53-55.

გუშეთის ნაწილი) და ითუმ-ყალეს რაიონი (დღ. ჩეჩნეთის ნაწილი) გადაეცა საქართველოს სს რესპუბლიკას, ცენტრის ქალაქს – მიქოიან-შახარს სახელი შეუცვალეს და ქლუხორი უწოდეს. ახლად შექმნილ რაიონში 5 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლეს<sup>1</sup>, ძირითადად, სვანეთიდან და რაჭიდან. ახლადგადასახლებულებს რომ ნორმალური პირობები შექმნოდათ, ხელისუფლება მათთვის გეგმავდა 1100 ცხენის, 2577 ძროხის, 29652 ცხვრისა და თხის, 1343 ძირი ფუტკარის უსასყიდლოდ გადაცემას<sup>2</sup>.

ასევე მოხდა ჩეჩენ-ინგუშეთშიც. 1944 წლის 7 მარტის დადგენილებით ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა გაუქმდა, ხოლო ტერიტორია გადაანაწილეს ჩრდილო ოსეთს, დაღესტანსა და საქართველოს შორის. საქართველოს შემადგენლობაში შევიდა ითუმ-ყალეს რაიონი მთლიანად, შაროის რაიონის დასავლეთი ნაწილი, გალანჩოჟის, გალაშკის და პრიგოროდნის რაიონების სამხრეთი ნაწილები. საქართველოს შემადგენლობაში ასევე შევიდა ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელდონის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რის სა-

---

<sup>1</sup> როდესაც მოგვიანებით ყარაჩაელებისა და ბალყარელების რეაბილიტაცია და მშობლიურ ადგილებში დაბრუნება განხორციელდა, ქართველებმა მათ დიდსულოვნად დაუთმეს თავიანთი სახლ-კარი და ცხოვრების მოსაწყობად ხელიც გაუმართეს, ქართველები 15 წლის განმავლობაში პატივს სცემდნენ და უვლიდნენ გადასახლებულთა წინაპრების საფლავებს, რასაც ადგილობრივები დღემდე დიდი მადლიერებით იხსენებენ. მდ. ბაქსანის ხეობაში ბალყარელთა თხოვნით 20-მდე ქართული ოჯახი დარჩა ჩრდ. კავკასიაში საცხოვრებლად.

<sup>2</sup> **სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ზარაძე, ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია, (1917-1957), გამოკვლევა, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2015. გვ. 241.

ფუძველზეც შეიქმნა საქართველოს სემადგენლობაში ახალხევის რაიონი, რომლის ფართობი 2000 კმ<sup>2</sup>-ს შეადგენდა<sup>1</sup>.

მცირე ხნით ადრე, 1944 წლის თებერვალში 100 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი და 20 ათასი ოფიცერი ჩრდილოეთის ფრონტის ხაზიდან მოხსნეს და ჩეჩნეთის, ინგუშეთის სოფლებში ოჯახებში განალაგეს. ოფიციალურ მიზეზად მათთვის მიცემული შეგებულების გატარება დასახელდა. ადგილობრივ კომუნისტებს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა დაავალეს, რამაც პარტიული ჩეჩნების ნაწილი შოკში ჩააგდო, მაგრამ ბერიას დავალებით, ისლამური რელიგიური ლიდერების შეგროვების ბრძანება გასცეს და ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, რათა მოსახლეობა ბრძანებას დამორჩილებოდა და წინააღმდეგობა არ გაეწია.

23 თებერვალს, საბჭოთა არმიის დღეს, ჯარისკაცები მოულოდნელად სახლებში შევიდნენ და ადგილობრივთა მასიური დაპატიმრებები დაიწყეს. ჩეჩნებმა წინააღმდეგობის გაწევა სცადეს, მაგრამ ამაოდ. მათ, ოჯახებთან ერთად, 2 საათიანი ვადა მისცეს, რათა 3 დღის სურსათი აეღოთ და გადასახლებისათვის მომზადებულიყვნენ. ზამთრის სუსხისა და დიდი თოვლის გამო, გადასახლებულთა გადაყვანა ჭირდა, ამიტომ ბევრი მათგანი ადგილზევე გაანადგურეს, მაგ., გალანტიოჟის ტბაში 6000 ადამიანი დააღრჩვეს<sup>2</sup>. ხაიბახის აულის

---

<sup>1</sup> ქმიშტოფ ლუკიანოვიჩი, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელი და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში (გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი). *ნაშრომი შესრულებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*, თბ., 2015, გვ. 56.

<sup>2</sup> მერაბ ჩუხუა. კავკასიის ქედს მიღმა. [www.diaspora.gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=124&info\\_id=1657](http://www.diaspora.gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=124&info_id=1657).



მოსახლეობა საჯინობოში შერეკეს და 700 კაცი ცოცხლად გამოწვეს<sup>1</sup>.

352647 ადამიანი 86 სატვირთო მატარებელში ჩასხეს და შორეულ ყაზახეთისა და ციმბირის ტრამალებსა და დაუსახლებელ ადგილებს გაუყენეს.

გადასახლეს არა მარტო ჩეჩენ-ინგუშეთიდან, არამედ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პანკისის ხეობაში ჩამოსახლებული ქისტები და ვაინახებიც. ისინი სატვირთო მანქანებით თელავში ჩაიყვანეს, ხოლო იქიდან რკინიგზით ყაზახეთის სტეპებისაკენ გაუყენეს გზას<sup>2</sup>.

დეპორტაციის დასაწყისშივე სამი ათასი ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო გზაში შიმშილით, სიცივითა და ავადმყოფობით ათი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ადგილზე ჩასვლის შემდეგ მათ დაემატა ათი ათასობით ადამიანი, რადგან ხელისუფლება საცხოვრებელსა და საკვებს არ აძლევდა.

გადასახლება მიმდინარეობდა ეთნიკური ნიშნით და მთლიანობაში 3 მილიონამდე ადამიანს შეეხო, არა მარტო უბრალო მოსახლეობას, არამედ სასულიერო პირებსა და საბჭოთა მოხელეებსაც.

მიტოვებულ ადგილებში ასახლებდნენ რუსებს, უკრაინელ და ომის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ ლტოლვილებს, სოფლებსა და ქუჩებს უცვლიდნენ სახელებს და სხვ.

ყოფილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმების შედეგად საქართველოს შემოუერთდა ითუმ-ყალეს რაიონი, შაროის რაიონის დასავლეთი და გალანჯიკის, გალაშკისა და პრიგოროდნის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი

---

<sup>1</sup> **Йорг Баберовский.** „Преступление века: Рождение чеченской войны из духа Сталинского террора“, <http://old.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2004/09/m26242.htm>.

<sup>2</sup> **ხასო ხანგოშვილი, დავით პანკელი,** აბრავები, გვ. 80.

ნაწილი. შემოერთებული ტერიტორიების დიდი ნაწილი დააფუძნეს ახალხევის რაიონის სახელით, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს და სამხრეთი ნაწილი დუშეთის რაიონს, ხოლო ჩრდილო ოსეთის გიზელდონის რაიონისა და ჩეჩენ-ინგუშეთის პრიგოროდნის რაიონი ყაზბეგის რაიონს მიუერთეს. ჩრდილოეთი ტერიტორიების საქართველოსათვის შემოერთების იდეა ლავრენტი ბერიას ეკუთვნოდა, რომელიც ფიქრობდა თავდაცვითი ზონა შეექმნა საქართველოსათვის კავკასიის ქედს იქით<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ახალი გადანაწილებით საქართველოს გადაეცა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გიზელდონის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილიც. უფრო ზუსტად, კი არ გადაეცა, არამედ დაუბრუნდა. საქმე იმაშია, რომ ჯერ კიდევ 1925 წელს ჩეჩნეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობის თხოვნის საფუძველზე საქართველოს იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთს გადასცა თიანეთის მაზრაში, მდ. არღუნის ხეობაში, ქისტებით დასახლებული სოფლები: ჯარეგო, თერეთეგო, ცეკარო, სახანო და სხვ. იგივე განმეორდა 1928 წელს, როდესაც საქართველოს ხელისუფლება კვლავ დათმობაზე წავიდა და ჩეჩენი ჯარეგოელების თხოვნა დააკმაყოფილა მათთვის დამატებით სათიბების გადაცემის თაობაზე. შატილელები თავიანთი სათიბ-სადოვრების დაკარგვას არ შეურიგდნენ და საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც მივიდა. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მიღებული გადაწყვეტილების გადასაინჯვის მიზნით ცენტრალური ხელისუფლებისათვის მიემართა,

---

<sup>1</sup> **სიმონ კილაძე.** საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, ქლუხორისა და ახალხევის რაიონები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 04. 12. 2007, გვ. 9.

მაგრამ მალე ომი დაიწყო და ამ საკითხმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.

სულ ყარაჩაი-ჩერქეზებისა და ჩეჩენ-ინგუშების 1944 წელს განხორციელებული დეპორტაციის შედეგად საქართველოს ტერიტორია 74,4 ათასი კვ. კმ-ით, ხოლო მოსახლეობა 26 ათასით გაიზარდა<sup>1</sup>.

გადასახლებულ მოსახლეობას ხელისუფლებამ თითო ოჯახზე თითო ხარ-ურემი და ძროხა დაურიგა, აუშენა ბინები და მოსავლის აღებამდე თითო ფუთი ფქვილი და სხვა პროდუქტები დაურიგა უფასოდ. ამ ფაქტმა განაპირობა, რომ ახლად დაარსებულ ქართულ სოფლებსა და ქალაქებში განუხრელად მატულობდა მოსახლეობა.

საქართველოს შემადგენლობაში მოქცევამ თავისი გავლენა იქონია ადგილობრივ ტოპონიმებზეც. საბჭოთა იდეოლოგია, რომელიც სოციალისტური წყობილების უპირატესობის პროპაგანდას ეწეოდა, ადგილობრივი ტოპონიმები, ფორმით ქართული, მაგრამ შინაარსით სოციალისტური იდეოლოგიის ტერმინებით ჩაანაცვლეს და ასე გაჩნდა შრომა, ახალშენი, ახალსოფელი, განახლება, შუქურა და სხვ. შეიქმნა თეორიები კავკასიური კულტურის ერთიანობის თაობაზე, რომლებიც ჯერ კოლხურ (მეგრულ-ზანური და სვანური), ხოლო შემდეგ ყუბანო-კოლხურ ერთიან კულტურად იქნა მიჩნეული. ამ თეორიას იმთავითვე კრიტიკით შეხვდნენ რუსი მეცნიერები<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. მოგვიანებით, ჩეჩნებისა და ინგუშთა ავტონომიების აღდგენასთან დაკავშირებით, შეიქმნა სახელმწიფო კომისია ცნობილი პოლიტიკური ლიდე-

---

<sup>1</sup> მერაბ ნაჭყებია. ქართული ტოპონიმები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წწ.), ჟურნ. „სპეკალი“, 2011, №5.

<sup>2</sup> სიმონ კილაძე. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, გვ. 8.

რების: მიქოიანის, ვოროშილოვის, მალენკოვისა და სხვათა შუამდგენლობით. კომისიაში ასევე შევიდნენ საქართველოს, დაღესტნის, ჩრდილო ოსეთის, ანუ იმ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენლები, რომლებზეც გადასახლება გადასახლებულთა მიწები. საქართველოსა და დაღესტნელთა წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ჩეჩენ-ინგუშებისათვის კუთვნილი მიწის დაბრუნების შესახებ. სამაგიეროდ, ჩრდილო ოსეთმა განაცხადა უარი ჯერახის ხეობის დასავლეთი ნაწილის დაბრუნებაზე<sup>1</sup>, რამაც 80-იანი წლების ბოლოს სისხლისმღვრელი კონფლიქტი წარმოშვა ოსებსა და ინგუშებს შორის.

რა თქმა უნდა, ტერიტორიების გადმოცემისას ხელისუფლება ქართველ ხალხსა და მის მომავალზე სულაც არ ზრუნავდა. ყველა გრძნობდა, რომ ეს ნაბიჯი დროებითი იყო. მართლაც, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ჩეჩენ-ინგუშებისა და ყარაჩაი-ჩერქეზების რეაბილიტაცია განხორციელდა და ისინი მშობლიურ კერას დაუბრუნდნენ. 1955 წელს ქლუხორის რაიონის ტერიტორია რუსეთის ფედერაციას გადაეცა. 1957 წლის 9 იანვარს აღდგა ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკაც და საქართველო-რუსეთის საზღვარი 1944 წლის 7 მარტამდე არსებულ ვითარებას დაუბრუნდა. შესაბამისად, თანდათანობით გაქრა ქართული ტოპონიმებიც.

გადასახლების საკითხი გააქტიურდა გორის რაიონშიც. 1946-48 წლებში ატენის ხეობის მთიანი ზონის ეთნიკურად ოსებით დასახლებული ზოგიერთი სოფლის მოსახლეობამ (ზ. ახალსოფელი, იკვნევი, ღვედრეთი, ხვწე, წერეთი, ურიული, დიდთავი, ნადარბაზევი) სურვილი გამოთქვა ჩრდილოკავკასიაში, მოსახლეობისაგან დაცლილ ტერიტორიებზე გადასახლებასთან დაკავშირებით. ამისათვის სათანადო განცხადებით

---

<sup>1</sup> სიმონ კილაძე. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, გვ. 20.

უნდა მიემართათ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, ხოლო ადგილობრივი ხელისუფლება სიებს ცენტრში ათანხმებდა.

გადასახლების მსურველთა რიცხვი ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ხელისუფლება ვარაუდობდა. ისინი გადასახლების მიზეზებად ადგილზე ცხოვრების მძიმე პირობებს, უგზობას, უნაყოფო მიწებს, ან უმიწობას ასახელებდნენ.

მაღევე პროცესს თან დაერთო გაუთვალისწინებელი სირთულეებიც და ხელისუფლება გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

რამდენადაც, გადასახლებულთა ძირითად საქმიანობას მეცხოველეობა წარმოადგენდა, ყველაზე მეტად საქართველოში ეს დარგი დაზარალდა. მაგ., 1946 წლის 11 ნოემბერს გორის რაიალმასკომი იხილავს საკითხს, გორის რაიონიდან დიდი წერეთის, ურიულისა და ხვწეს კოლმეურნეობის წევრთა მათი უძრავ-მოძრავი ქონებით ჩრდილოეთ ოსეთში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით, რის გამოც, გორის რაიონის 1946 წლის მეცხოველეობის გეგმიდან იღებენ: 252 სულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვს, 369 სულ ცხვარსა და თხას, 6 ცხენს, 250 ფრთა ფრინველს და ა.შ.<sup>1</sup>”

როგორც ითქვა, გადასახლების სურვილს განსაკუთრებით მთიანი რეგიონის ნაკლებადმოსავლიანი მოსახლეობა გამოთქვამდა. 1948 წლის 13 მარტს გორის რაიალმასკომში შედის სოფ. ზემო ახალსოფლის კოლმეურნეობის წევრთა საერთო განცხადება: „ჩვენ, ზ. ახალსოფლის მოსახლენი 30 კომლის რაოდენობით ვცხოვრობთ მთაგორიან, სრულიად უვარგის და გამოუსადეგარ ადგილას ყველაზე ღარიბად, ამი-

---

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 654, გვ. 24, 1946 წ. შემდეგ, გორის არქივი.

ტომ გთხოვთ ნება დაგვართოთ ჩრდილოეთ ოსეთში ჩვენი საცხოვრებლად გადასვლის გამოო”<sup>1</sup>.

1948 წლის 27 იანვარს ტარდება სოფ. იკვნევის ბერიას სახელობის კოლმეურნეთა საერთო კრება, რომელსაც დასწრებია 46 კაცი, მათ შორის 19 ქალი, დღის წესრიგი: გორის რაიონიდან ჩრდილო კავკასიის გროზნოს ოლქის პერვომაისის რაიონში ჩვენი კოლმეურნეობის გადასვლისა და დასახლების შესახებ (მომხს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ქერდიყოშვილი).

კრება აღნიშნავს: „დღევანდელი საცხოვრებელი ადგილი სოფ. იკვნევეში ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს, სახნავ-სათესი ფართობები ნიაღვრებისაგან გაირეცხა და უმოსავლოა. განვიცდით სათესი და სათიბი ფართობების დიდ სიმცირეს და უგზობას. ამიტომ გადავწყვიტეთ, მუდმივ საცხოვრებლად გადავიდეთ ჩრდ. კავკასიაში”<sup>2</sup>.

ლოკუმენტს მოსდევს იკვნევის მაცხოვრებელთა სია (სულ 27 კომლი, მუზაშვილები, ხინჩაგაშვილები, ქერდიყოშვილები), მათ საკუთრებაში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხენის, ცხვრისა და თხის რაოდენობა (იხ. დანართი 1) და განცხადებები გროზნოს „ობლასთში” ოჯახიანად გადასახლების სურვილის შესახებ. განცხადებები ერთი შინაარსის და ერთი ხელითაა ნაწერი, მათზე თანდართული ხელმოწერებიდან ჩანს, რომ ხელმომწერთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი, ან ნაკლებად მცოდნეა (იხ. დანართი 2)<sup>3</sup>.

იგივეს ითხოვს სოფ. ნადარბაზევის გლეხობა: „მოგახსენებთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მთაგორიან ადგილას, ეკონო-

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 768, გვ. 1, 1948 წ.

<sup>2</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 675, გვ. 8, 1948 წ.

<sup>3</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 675, გვ. 9-32.

მიკურად ძალზე ჩამოვრჩებით რაიონზედ, ე. ი. რკინის გზასთან ვართ ძალზე დაშორებული და არც მანქანის გზა გვაღებება. განათლებაშიც აუცილებლად ჩამოვრჩებით ჩვენი ადგილის მიხედვით, აი სწორედ ამის გამო ამა წლის (ივლისისხმება 1948 წ. - ი. ა.) 3. II-ს ჩვენი სოფლის მოსახლეობა 17 კომლიდან 16 კომლი შემოვიკრიბებით და გადავწყვიტყეთ, რათა გადავსახლდეთ მაცხოვრებლად ჩრდილოეთ ოსეთში, რისთვისაც გთხოვთ დაგვართოთ ნება” (მიმართვას ხელს აწერს 17 კაცი)<sup>1</sup>.

პროცესმა ადგილზე თვითნებური და არაორგანიზებული ხასიათი მიიღო და ხელისუფლება იძულებული გახდა საპასუხო ღონისძიებები გაეტარებინა. 1948 წლის 4 აპრილს სოფ. დიდთავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჩივის გორის რაიალმასკომში: „სოფ. დიდთავის კოლმეურნეობის წევრები მასიურად აიბარგნენ და ორჯონიკიძეში წავიდნენ”<sup>2</sup>. ამავე წლის 8 ივნისს ჩატარებულა სოფ. ღვედრეთის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, რომელსაც განუხილავს შოთა ცხოშვილის, ასლან, კეკე და მაშო ქისიშვილების, მარუშა ჯერანაშვილის და სხვების კოლმეურნეობიდან გარიცხვისა და მათი კუთვნილი საკარმიდამო ნაკვეთების ჩამორთმევის საკითხი, რადგან ისინი თვითნებურად წავიდნენ ოჯახებით ჩრდილოკავკასიაში”<sup>3</sup>.

1948 წლის 25 ივლისს გორის რაიონის სოფ. იკვნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ქერდიცოშვილი მიმართავს გორის რაისაბჭოს აღმასკომს<sup>4</sup>: „ვინაიდან

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 6-7, 1948 წ.

<sup>2</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 768, გვ. 9, 1946 წ.

<sup>3</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 767, გვ. 1, 1948 წ.

<sup>4</sup> სტილი დაცულია – ი. ა.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრებს მთლიანად უნდათ გადასახლება ჩრდილოკავკასიაში, გროზნოს ოლქში, პერვომაისკის რაიონში მუდმივ საცხოვრებლად, ნაწილი ხალხისა არიან წასულნი 15 აპრილს აქეთ და ნაწილი კიდევ აქ იმყოფებიან. ...მათ (ჩრდილოკავკასიაში გადასახლებულებს – ი. ა.) მიზომილი აქვთ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და მიღებული აქვთ საცხოვრებელი ბინები. ახლა, როგორც თქვენს მიერ ნებადაურთველნი, აღარ უშვებენ სამუშაოზე და აღარც საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს აძლევენ მოსავალს მაინც და თანაც გვიწერამენ ჩვენი ხალხი იქიდან, რომ თავებს დავიხოცამთ აქაო, მაინც იქ ჩამომსვლელები აღარა ვართ ჩვენაო. აგრეთვე ადგილზე მყოფ ხალხსაც უნდათ წასვლა მუდმივ საცხოვრებლად, ვინაიდან მამული ძალიან გაგვიღარიბდა და წლიდან-წლამდის უფრო ნაკლებ მოსავალს ვღებულობთ და აღარ გვყოფნის რომ დავკმაყოფილდეს ჩვენი შვილები, და ამისათვის გთხოვთ მასზედ, რომ შეხვიდეთ ჩვენს მდგომარეობაში და ნება დავკრთოთ ჩვენს გადასახლებაზე<sup>1</sup>.

ცოტა ხნით ადრე, 1948 წლის 10 ივნისს საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის მდივნის კანდიდ ჩარკვიანის სახელზე შედის გორის რაიონის სოფ. ზემოახალსოფლის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლის გულხანდისის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვანო ჯებისაშვილის განცხადება: „ადგილობრივი ხელისუფლის ნება-დართვით ჩვენი სოფელი იქმნა წასული და დასახლებული ჩრდ. ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კოსტა ხეთაგურის რაიონში ა. წლის 9 მარტიდან და უკვე იქ კოლმეურნეობაში მუშაობენ, მიღებული აქვთ სახლები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. აქ გორის რაიონში დარჩენილია მხოლოდ საქონელი და მოხუცი ხალხი, მაგრამ გორის რაიონის ხელისუფლება აღარ გვაძლევს უფლებას

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 675, გვ. 4-5, 1948 წ.



წავასხათ საქონელი და გადავსახლდეთ მთლიანად. უკვე სამი კვირაა ჩამოსულები არიან საქონლის წასასხმელად, მივდივართ-მოვდივართ რაიონის ხელმძღვანელებთან და არ გვაძლევენ უფლებას, რომ წავასხათ საქონელი ...საკვირველი საქმეა, ჯერ პირველად რაიონმა დაგვართო ნება გადასახლებისა, მათი ნება-დართვით წავიდნენ მუშა ხალხი, ზოგმა სახლები დაყიდეს და ეხლა კი რაიონი უფლებას არგვაძლევს საქონელის წასხმაზე ...აქ აღარ გვაქვს ნათესები და თუ დავრჩით ამა წელს ამ სოფელში მთლად გაწყდება მთელი საქონელი და მასთან ხალხიცო”<sup>1</sup>.

ერთი კვირის შემდეგ (16 ივნისს), ვანო ჯებისაშვილს მსგავსი განცხადებით გორის რაიკომის მდივნის ი. ყუჯიაშვილსთვისაც მიუმართავს, მაგრამ, ამ შემთხვევაში განცხადების ტონი შედარებით კატეგორიულია: „თუ კიდევ უარი გაგვიცხადეს წასვლაზე - ძალით გავიქცევით”<sup>2</sup>.

განცხადებას ადევს ყუჯიაშვილის რეზოლუცია: „ამხანაგ კეჩხუაშვილს, მომელაპარაკეთ”. ძნელი არ არის იმის გარკვევა, თუ რით დამთავრდა მათი „მოლაპარაკება”, რადგან 17 ივნისს გორის რაიკომის მდივნის სახელზე შედის ვანო ჯებისაშვილის ახალი განცხადება „აღარ შემიძლიან ასეთ დემოიარობაშიდ (sic – ი. ა.) მუშაობა და ამიტომ გთხოვთ, რათა გამანთავისუფლოთ თავმჯდომარეობიდანო”<sup>3</sup>.

ადგილობრივი ხელისუფლების ყოყმანისა და თავშეკავების მიზეზი მალევე ხდება გასაგები. 1948 წლის 29 ივნისს გორის რაიადმასკომს, ჩრდილოკავკასიიდან, გროზნოს პირველი მაისის რაიონის ადმასკომის თავმჯდომარის ი. ლევჩენკოს პასუხი მოსდის: „თქვენი წერილის პასუხად, 1 მაისის

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 18, 1948 წ.

<sup>2</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 26, 1948 წ.

<sup>3</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 25, 1948 წ.

რაიონში კოლმეურნეთა გადასახლების აკრძალვის თაობაზე გაცნობებთ, რომ კოლმეურნეები ბერიასა და მახარადის სახ. კოლმეურნეობებიდან ჩვენს რაიონში ჩამოსახლდნენ ყოველგვარი ქონების გარეშე და ჩვენი აკრძალვის მიუხედავად, სურვილი აქვთ აქ დარჩენისა.

გთხოვთ აცნობოთ ზემოაღნიშნული კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს მათი დაუყოვნებლივ გამოწვევის შესახებო<sup>1</sup>.

ჩრდილოკავკასიაში გადასახლების სურვილი ხსნებული მოსახლეობას მეტად აღარ გამოუთქვამს, მით უფრო, რომ 1956 წელს დეპორტირებულ ჩრდილოკავკასიელთა რეაბილიტაცია განხორციელდა და ისინი საკუთარ კერებს დაუბრუნდნენ.

1957 წლის დასაწყისში რუსეთმა საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე გააუქმა ახალხვევის ადმინისტრაციული რაიონი და კვლავ თავის ტერიტორიას შეუერთა აქამდე ყაზბეგის რაიონის დაქვემდებარებაში მყოფი რამდენიმე სოფელი<sup>2</sup>.

1957 წლის 10 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების ტერიტორიის ნაწილის საქართველოს სსრ შემადგენლობიდან რსფსრ შემადგენლობაში გადაცემისა და მათ შორის 1944 წლის 7 მარტამდე არსებული სახელმწიფო საზღვრის აღდგენის შესახებ<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 21, 1948 წ.

<sup>2</sup> ქმიშტოფ ლუკიანოვიჩი, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელები, გვ. 56-57.

<sup>3</sup> სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ზარაძე, ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია, გვ. 278.

უკან დაბრუნდა გორის რაიონიდან გადასახლებულთა გარკვეული ნაწილიც. 1963 წლის 10 იანვარს გორის რაიონის აღმასკომი იხილავს საკითხს „გორის რაიონულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ დაყოფაში ზოგიერთი ცვლილებების შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „სოფლები ზემო და ქვემო ურიული, რომელიც გადასახლდა 1944 წელს ჩრდილო ოსეთის ავტონომიურ ოლქში გაუქმებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის ბრძანებულებით, მაგრამ ამ სოფლების მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი კვლავ დაბრუნდა და დასახლდა ამ სოფლების ტერიტორიაზე. ამჟამად ურიულში ცხოვრობს 11 კომლი 59 მცხოვრებით ...ამიტომ გორის რაიონის მშრომელთა საბჭოს აღმასკომს მიზანშეწონილად მიაჩნია ზემო და ქვემო ურიული სოფლების აღდგენა ერთი სოფლის ურიულის სახელწოდებით“<sup>1</sup>.

თუმცა, ეთნიკურად ოსი ეროვნების ის ნაწილი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში დარჩა და ინგუშების ბინებში შესახლდა, მოგვიანებით კიდევ ერთი სისხლისმღვრელი კონფლიქტის საბაბი გახდა. დეპორტაციის შემდეგ ოსებმა ინგუშებს თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება არ მისცეს, რამაც მათ შორის დაძაბვა ვითარება. 1989 წელს შეიქმნა ინგუშთა მოძრაობა „ნიისხო“, რომელიც პრიგოროდნის რაიონის ინგუშეთის ფარგლებში დაბრუნებას მოითხოვდა.

ელცინის მმართველობის დროს, რუსეთის პრეზიდენტმა და სპეციალურმა კომისიამ მიიჩნიეს, რომ ინგუშთა მოთხოვნები სამართლიანი და დასაბუთებული იყო. მართლაც, 1989 წლისათვის ბევრმა ინგუშმა ლეგალურად, თუ არალეგალურ-

---

<sup>1</sup> გორის არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 1499, გვ. 15-16, 1963 წ.

რად, პრიგოროდნოეში დაბრუნება მოახერხა და ამ რაიონის გარკვეულ ნაწილებში უმრავლესობა შეადგინა<sup>1</sup>.

1991 წლის მარტში ინგუშების შეიარაღებულმა ძალებმა სცადეს ძალით დაებრუნებინათ სახლები, აპრილში ოსებსა და ინგუშებს შორის მოხდა შეტაკება, რომელიც, გარკვეული აქტივობებით 1992 წლის ნოემბრამდე გაგრძელდა.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის მონაცემებით მხოლოდ 1992 წლის 31 ოქტომბრიდან - 5 ნოემბრამდე კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 583 კაცი, მათ შორის 350 ინგუში და 192 - ოსი. დაიჭრა 939, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 261 კაცი<sup>2</sup>.

1992 წლის 1 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებით პრიგოროდნის რაიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. რუსებმა პრიგოროდნის რაიონიდან ინგუშები კვლავ გაასახლეს, რის გამოც, 1996 წელს კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა და დღემდე მოუგვარებლად ითვლება.

### **დამოწმებანი:**

საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო გორის ადგილობრივი არქივი, ფონდი 4, ანაწერი 1, საქმე 654, გვ. 24, 1946 წ.

ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 675, გვ. 4-5, 6-7, 8, 9-32, 1948 წ.

ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 727, გვ. 18, 21, 25, 26, 1948 წ.

ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 767, გვ. 1, 1948 წ.

ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 768, გვ. 1, 9, 1948 წ.

ფ. 4, ანაწერი 1, საქმე 1499, გვ. 15-16, 1963 წ.

---

<sup>1</sup> მალხაზ მაცაბერიძე. კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი, თბ., 2014, გვ. 34.

<sup>2</sup> Осетино-Ингушский конфликт: хроника событий.

ვარდოსანიძე სერგო, გურული ვახტანგ, ხარაძე კობა, ჯიქია ლევან, კვარაცხელია მაკა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია, (1917-1957), გამოკვლევა, დოკუმენტები და მასალები, თბ., 2015.

ლუკიანოვიჩი ქვიშტოფ, საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის სტრატეგიული გადასასვლელი და მათი როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში (გეოპოლიტიკური და ისტორიული ანალიზი). *ნაშრომი შესრულებული დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*, თბ., 2015.

მაცაერიძე მალხაზ. კავკასიის კონფლიქტების შედარებითი ანალიზი, თბ., 2014.

ხანგოშვილი ხასო, პანკელი დავით, აბრაგები, თბ., 2004.

ჩუხუა მერაბ. კავკასიის ქედს მიღმა.

კილაძე სიმონ. საქართველო ჩრდილოეთ კავკასიაში, ქლუხორისა და ახალხევის რაიონები, ვაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 04. 12. 2007, გვ. 9.

ნაცყებია მერაბ. ქართული ტოპონიმები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე (1944-1957 წწ.), ჟურნ. „სპეკალი“, 2011, №5.

**Баберовский Йорг.** Преступление века: Рождение чеченской войны из духа Сталинского террора.

Осетино-Ингушский конфликт: хроника событий.

ელ-რესურსები:

[www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge).

[index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=124&info\\_id=1657](http://index.php?lang_id=geo&sec_id=124&info_id=1657).

[xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx](http://xpertclub.ge/portal/cnid...ka.../default.aspx).

<https://inosmi.ru/inrussia/20040911/212867.html>

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/45>

<http://old.memo.ru/hr/hotpoints/caucas1/msg/2004/09/m26242.htm>

[www.warandpeace.ru](http://www.warandpeace.ru)

*Ioseb Alimbarashvili*  
*Gori State Teaching University*  
**THE 1944 DEPORTATION OF THE NORTH  
CAUCASIANS AND GORI REGION  
RESUME**

A famous punitive event, conducted by the Soviet government in February of 1944 is studied in the current paper – the details of deportation of the Chechens and Ingush people and the process of settlement of people from Gori Region, which was followed by the deaths of thousands of people, and in the 90s of the XX century there was an ethnic conflict between Ingush people and the Ossetians in the North Caucasus, which has not been settled up to the present day.

Based on the archive documents the process of relocation of the population from Gori Region to the North Caucasus is analyzed (statements, the social and ethnic composition of those who wished to migrate, living conditions, their property status, correspondence with the government, official statements, decisions etc.), its concomitant difficulties and outcomes.

The copies of archive documents are enclosed, which make the political, violent and purposeful character of the event obvious.

Կոդ. ընտանիքի անուն	Կոդ. համայնքի	Կոդ. համայնքի	Կոդ. համայնքի	Կոդ. համայնքի	Կոդ. համայնքի
Կոդ. համայնքի անուն	10	65	2	27	3 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	6	1	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	5	1	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	6	3	-	2	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	3	3	-	4	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	8	2	-	15	2
Կոդ. համայնքի անուն	3	-	-	4	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	9	2	-	-	1,5 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	14	-	-	13	1,5
Կոդ. համայնքի անուն	11	6	2	6	2
Կոդ. համայնքի անուն	4	1	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	6	2	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	7	3	-	-	1,5
Կոդ. համայնքի անուն	6	1	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	4	-	-	3	1,5
Կոդ. համայնքի անուն	8	-	-	2	1,5
Կոդ. համայնքի անուն	5	1	-	4	1,5
Կոդ. համայնքի անուն	7	4	-	15	2
Կոդ. համայնքի անուն	3	1	-	7	2
Կոդ. համայնքի անուն	6	1	-	3	1,5
Կոդ. համայնքի անուն	11	1	1	24	4
Կոդ. համայնքի անուն	10	4	1	35	4
Կոդ. համայնքի անուն	11	5	-	30	2,5
Կոդ. համայնքի անուն	6	4	-	20	3 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	2	1	-	-	1 քառ.
Կոդ. համայնքի անուն	11	3	-	13	1

Յ. ԱՅՅՕՂՅՈՆ ԲԵ. «Կ ԿՈՆՈ» ԵՆԿՆԱԾՆԱԿ ԿՈՆՏՐԱԿՏ  
ԵՄՊՈՒՆԸ.

113

ԵՄՊ. ԱՅՅՕՂՅՈՆԻ ԲՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԳՆԱՆ  
ԵՔՏՐԱՆԻ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԳՆԱ ԵՄՊՈՒՆԸ.

ԵՄՊ. ԱՅՅՕՂՅՈՆԻ ԲՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԵՄՊՈՒՆԸ ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
23/XII-1970.

Յ. ԱՅՅՕՂՅՈՆ ԲԵ. «Կ ԿՈՆՈ» ԵՆԿՆԱԾՆԱԿ ԿՈՆՏՐԱԿՏ  
ԵՄՊՈՒՆԸ.

ԵՄՊ. ԱՅՅՕՂՅՈՆԻ ԲՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ  
ԵՔՏՐԱՆԻ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԳՆԱ ԵՄՊՈՒՆԸ.

ԵՄՊ. ԱՅՅՕՂՅՈՆԻ ԲՆԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԵՄՊՈՒՆԸ ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
ԵՄՊՈՒՆԸ Կ ԿՈՆՏՐԱԿՏՆԱԿ ԵՄՊՈՒՆԸ  
23/XII-1970.





ԵԿԵ

Ենե՞նք: Տեսի՛, որո՞ւմ հարձե՛ք-բարձե՛րից, ճարձի մարդիկն ենք ր  
 և ուրիշները սխալմ ենք: Գիշեր մարտնասցա՞ծ օրեր ք շա՛նտըս ինչ-  
 ըստե՞նք օրս հարկու՞մ յանձնարիս, որո՞ւմ հստուն սխալ զգի-  
 թո՞ղլ պիտիս, որո՞ւմ հիշվեստ նստու՞լ: ք **Վերջ** Գիշեր յանտըս  
 պիտիս լըզգումտո՞ւ նստու՞մ հի՛նքի ք ճարձիս մակե՛ցտո՞ւ  
 նստու՞մ - մտնումի՞ս):

**Կոնք:** Ե՛ր քուս զգիլ Ետևս ք օրս ընտո՞ւ յն Ե՛ր  
 և՛ նաչ ինչ ճարձիս յանարկիս ճարձիս նստու՞լ  
 ք մե՛նքի նստու՞լ ք ստի՛քմ յանտըս ինչ-  
 ք պիտիս ք ինքնու՛րուս-ք նստու՞մ, որո՞ւմ հի-  
 շանտ նստու՞մ:

Գնորդարար: Գրիգոր

10/11-1948թ.

**ქსნის ხეობის მთიანეთის რელიგიური ყოფის ისტორიიდან  
(სოფელ ახლოურთკარის მაგალითზე)**

საქართველოში განსაკუთრებული კრძალვით ეთაყვანებოდნენ წმინდა გიორგის. დავით გორელი „ივერიის“ ფურცლებიდან ხაზგასმით მიგვანიშნებდა, რომ ფშაველებისა და ხევსურების ხევისბერები ლოცვის დროს წმინდა გიორგის ისე იხსენიებენ, როგორც უფალს, ღმერთს. „ღმერთო, იხნიჯოს წმინდა გიორგი“<sup>1</sup>. „წმინდა გიორგის მთიულის რწმენაში უპირველესი ადგილი უკავია... ღმერთად იხსენიებენ და მასზე ძლიერი ღვთაება ვერ წარმოუდგენიათ“.<sup>2</sup>

„ითქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელობაზეა“ - დასძენდა აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი.<sup>3</sup> წელიწადში ორჯერ - 6 მაისს და 23 ნოემბერს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს გიორგობას. მისი სახელობის სალოცავებია ხევსურეთში - ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი, სანების ჯვარი, ფშავში - ლაშარის ჯვარი, მთიულეთში - ლომისის ჯვარი, კახეთში - ალავერდის და აწყურის წმინდა გიორგი და სხვა.

მე-17 საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრებით წმინდა გიორგის

---

<sup>1</sup> დავით გორელი, „ივერია“, 1886 წ., №242

<sup>2</sup> მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 150.

<sup>3</sup> ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 43.

სახელს უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებული სახელი - გეორგია. „არ არიან ბორცუანი და მალალნი გორაკნი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანიო.“<sup>1</sup> ხალხში გავრცელებული ვერსიით კი საქართველოში 365 ტაძარია გიორგის სახელზე აგებული, წლის დღეების შესაბამისად.

ე. გაბიაშვილი მიიჩნევდა, რომ იგი განსაკუთრებით მეცხვარეთა ღმერთი იყო. „შესაძლებელია, ამასთანაა კავშირში, რომ სვანეთში წმ. გიორგის ერთი ეკლესია გარედან მორთულია ცხვრებისა და სხვა ცხოველების ბარელიეფებით. საერთოდ კი მიჩნეულია ადამიანის მფარველად, მეტადრე გაჭირვების დროს, ადამიანის ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურებისაგან მხსნელად“.<sup>2</sup>

ქსნის ხეობის მთიულებიც, მათ შორის ახლოურები, განსაკუთრებულ თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის. მთავარი მამაპაპისეული სალოცავი ლომისის წმინდა გიორგია, რომელიც მდებარეობს მდინარეების ქსნისა და არაგვის წყალგამყოფი ქედის უღელტეხილზე. სავარაუდოდ, ლომისა მთვარის საკულტო ტაძარი უნდა ყოფილიყო, ქრისტიანულ ტაძარსაც წარმართულის ადგილი უნდა დაეკავებინა.

ხალხური ზეპირსიტყვიერება ტოპონიმ „ლომისს“ ცეცხლმოკიდებულ საკირედან ამოფრენილ ლომს უკავშირებს, რომელიც ხარად გადაიქცა და რქებზე დაბრძანებული ლომისის ხატით გამოიარა გზა ხოროსნიდან ლომისის მთამდე.

---

<sup>1</sup> ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973, გვ. 40.

<sup>2</sup> წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ე. გაბიაშვილმა, თბ., 1991, გვ. 8.

მეორე ვერსიით ლომისი დიდი გმირობის ჩამდენი მთიელი ვაჟკაცია, რომლის სახელიც სამარადისოდ უკვდავყო ქსნისა და არაგვის მთიულთა სალოცავმა... „ლომისის წმინდა გიორგი მთიულთა ყოფით კულტურაში იყო სიყვარულის, ბრძოლის, შრომისა და შემოქმედების მუხათა „მამახურა“, გმირთა „მაედანი“, ჩვენი სულიერი სიმდიდრის სამჭედლო ქურა. იგი ათასწლეულების მანძილზე გვიფარავდა ზეციდან გამოწვდილ წმინდა გიორგის ფარიანი ხელით, რამაც ასახვა ჰპოვა ქსნის ერისთავთა საგვარეულო გერბზე.“<sup>1</sup>

აღდგომიდან მეშვიდე კვირას, ოთხშაბათ დღეს, აღინიშნება ლომისობის დღესასწაული. საუკუნეებია უკვე, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან მიდის ხალხი სალოცავად.

მახსოვს, ამ დღეს მთელი წლის განმავლობაში ველოდებოდით და განსაკუთრებული სიყვარულით აღვნიშნავდით. ჩემი სახლიდან კარგად მოსჩანდა ეს დიდებული სალოცავი. მოხუცები იტყოდნენ ხოლმე წინა საღამოს, - ახლა ყოველგვარი ხელსაქმე მორჩა, მლოცველი დაიძრა ლომისისკენო...

ფერღობზე შეეფინებოდა გრძელი რიგი, ზოგი ფეხშიშველი, ზოგი ზურგზე საკლავმოკიდებული. გაიშლებოდა ერთიანი სუფრა. დაილოცებოდა ღეკანოზი, დაამწყალობებდა ხატის ყმას -

„დიდება ღმერთსა და მადლი ღმერთსა, გაუმარჯოს დიდ ლომისას!

გაუმარჯოს ჩვენს ადგილი დედას და ლუდას ყოვლად წმიდას არაგვის თავს დაბრძანებულსა.

ღმერთო, მათო მადლო და ძალო, შენ უშველე მთიულეთის ხალხს“...

---

<sup>1</sup> ქენჭაძე ვ., ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი, თბ., 2008, გვ. 5.

ჯაჭვსაც შემოივლებდნენ მხრებზე და სამჯერ შემოუვლიდნენ ღვთის ტაძარს.

გაეჯიბრებოდნენ მერე ერთმანეთს ქსნელები და არაგველები ღვთის სიყვარულში, ვაჟკაცობაში, მთიელობაში.<sup>1</sup>

ლომისობის დღესასწაულს იმხელა გავლენა ჰქონია ქსნის ხეობის მოსახლეობაზე, რომ შინა ტომობრივი ბრძოლები წყდებოდა, როგორც ძველ საბერძნეთში ოლიმპიადების დროს. „სამკვდროდ გადაკიდებული გვარი - გვარს ურიგდებოდა, კაცი - კაცს დანაშაულს მიუტევენდა, უდანაშაულო „დამნაშავის“ ხატის კარზე დაფიცების შემდეგ სიმართლე ზეიმობდა“.<sup>2</sup>

ახლოურები ასევე განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ ახლოურთის წმინდა გიორგის, რომელიც სოფლის თავში მდებარეობს. აგებულია დიდი ლოდებით, ზოგიერთი მათგანი ნახევარტონიანი მაინც იქნება.

შესასვლელში იდგა მუხა, რომელზეც ზარები და ირმის რქები ეკიდა. ასევე ხატის სიახლოვეს ორი მსხლის ხე ამოსულიყო, ორივეს ნაყოფს სოფელი თანაბრად ინაწილებდა.

ხშირად მივდიოდით მამაპაპისეულ სალოცავში, განსაკუთრებით 23 ნოემბერს, თითქმის ყველა ბრუნდებოდა ამ დღეს სოფელში. წმინდა გიორგის სალოცავში ტარდებოდა როგორც გიორგობის, ისე ამალლების დღესასწაულები.

ჩემს ბავშვობაში დეკანოზი იყო თამაზ ვარდოს ძე ახლოური, უფრო ადრე ჯერ პაპამისი ივანე ნიკოს ძე ახლოური, შემდეგ კი ბიძამისი ლადო ახლოური ყოფილა. დეკანოზი - ხატის მსახური, რომელიც ასრულებდა სახატო რიტუალს

---

<sup>1</sup> ახლოური დ., ჩემი ხავსისფერი სალოცავი, თბ., 2018, გვ. 221-222.

<sup>2</sup> ქენჭაძე ვ., ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი, თბ., 2008, გვ. 84.

- გამოაბრძანებდა ხატებს, დროშებს, სწირავდა მსხვერპლს, განაგებდა ხატის ქონებას. დეკანოზობა მემკვიდრეობითი იყო და მოგვიანებით, თამაზ ახლოურის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ახლოურთის წმინდა გიორგის დეკანოზობა ლადოს უშუალო მემკვიდრეებმა გადაიბარეს.

დეკანოზი უაღრესად პატივსაცემი პიროვნება იყო „წინედ თემში დეკანოზებს გავლენა ჰქონდათ და მათ თემის საკულტო საქმეებთან ეკითხებოდით საოჯახო და საზოგადო საქმეებიც. დეკანოზს ხშირად მოციქულადაც აგზავნიდნენ, რადგან მისი გაცულება ხატის შიშით არავის შეეძლო.“ დღეს „დეკანოზი ხატის ქონების გამგე და მეთვალყურეა... განსაზღვრულ ჯამაგირს არ იღებს, არც ხატის ყმები აძლევენ დამწყალობებისათვის თავიანთ გვარის დეკანოზს რაიმე გასამრჯელოს.“<sup>1</sup> დეკანოზს ეკუთვნოდა შეწირული საკლავის ტყავი, ბეჭი, თავ-ფეხი. ხშირად ხატს ფულსაც სწირავდნენ, რომელიც ისევ სალოცავს უნდა მოხმარებოდა. ხატობაში იკრიბებოდა მთელი სოფლის დიდ-პატარა, იკვლებოდა რამდენიმე საკლავი (ბატკანი, ყოჩი, მოზვერი...), 7-8 საშუალოდ. შეწირული ბატკანი გაუპარსავი უნდა ყოფილიყო. მსხვერპლს თვითონ დეკანოზი სწირავდა, დაამწყალობებდა, სანთელს ანთებდა, სამჯერ შემოატარებდა ტაძარს და მარცხენა ყურსა და ბეჭს სანთლით უტრუსავდა. მანამდე კი გამოაბრძანებდა მაცხოვრისა და წმინდა გიორგის ხატებს, რომლის წინაშეც მუხლს იყრიდა ყველა მლოცველი. ხატში დედალი საქონლის შეწირვა მიღებული არ იყო. მსხვერპლის შემწირველს შეწირული საკლავის ხორცი სახლში არ უნდა წამოეღო, თუ დარჩებოდა, სხვებს გაუნაწილებდნენ. ზოგჯერ ხდებოდა უსისხლო მსხვერპლთშეწირვაც „როცა დანაპირებს ცოცხლად სწირავენ უფალს. კერძოდ, შესაწირს სამი გზის

---

<sup>1</sup> მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 152.

გასაყარზე მიიყვანენ (ან ეკლესიის ეზოში), პირით აღმოსავლეთისაკენ დადგებიან, სამჯერ შემოავლებენ შევედრებულ პირს, თოკს შეხსნიან და გაუშვებენ.“<sup>1</sup>

როგორც თენგიზ გიორგის ძე ახლოური (70 წლის) იხსენებს, დეკანოზი ლადო ახლოური ასე ამწყალობებდა თითოეულ მლოცველს: „დიდებულო უფალო, მაღალო ღმერთო, მოსულა შენს კალთის ქვეშ (იტყოდნენ სახელს და გვარს) თავისი ოჯახით, თავისი ცოლ-შვილით, მოუყვანია საკლავი, მოუტანია სანთელი და სამწყალობო, გახვეწებს თავის თავს, თავის ცოლ-შვილს, შინაურებს, ახლობლებს - მიიღე ჩემგან შესაწირი და სამწყალობნო, შენი ყმა ვარ, შენი ყმის შვილი, შემეწიე, შენი წყალობა გამატანეო, მაღალო ღმერთო!“ დეკანოზის სიტყვებს და ზარების ხმას მოჰყვებოდა საერთო შედახილი - „ამენ!“ (იგივე „ამენ“ - აღსრულდეს). რიტუალის ბოლოს დეკანოზი ხატიდან ქაღებს აგორებდა, რასაც განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ბავშვები და ცდილობდნენ დაჭერას, რათა უფროსების შექება დაემსახურებინათ. ქადის გამოსაცხობად სპეციალურად შენახულ ერბოს იყენებდნენ, რომელსაც ინახავდნენ თიხის ზედაშეებში. არსებობდა საშობაო, სააღდგომო, საყველიერო, საგიორგობო ზედაშეები. ყველა დღესასწაულის დროს და, მათ შორის გიორგობას, აცხობდნენ კეცეულ ქაღებს, რომელსაც ერთი კილო ერბო მაინც ჭირდებოდა.

როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყველა სოფელში ახლოურთშიც ტერიტორია, რომელზეც ხატი იყო დაბრძანებული, იწოდებოდა ხატის მამულად, ხატის ყანად, ხატის მთად... გარდა ამისა, ხატს ხშირად სწირავდნენ მამუ-

---

<sup>1</sup> ლაშხია თ, მსხვერპლშეწირვა - ძველი ქრისტიანული რიტუალი, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 6, თბ., 2004, გვ. 403.



ლებს. „ხატის მიწა იქიდან გვაქვს, რომა ადგებოდა ვინმე უწილო კაცი და შესწირავდა თავის მამულს ხატს სულის სადიდებლად“<sup>1</sup> ზოგჯერ „ხატი რომ მიზეზს მისცემდა ოჯახს, ან საკლავს შესწირავდნენ, ანდა მამულს“. ქსნის ხეობის ზოგიერთ სოფელში ხატის მიწებად წოდებული მამულები საკმაო ფართობს მოიცავდა, მაგალითად, სოფელ ქენქანში წმინდა გიორგის სახელზე არსებულა ხის გუთნით 8 დღის და რკინის გუნით 5 დღის სახნავი მიწა, სადაც ორ ტონამდე მოსავალს იღებდნენ. მის დამუშავებაში მთელი სოფელი მონაწილეობდა და ყველას თანაბრად ხმარდებოდა. აქედან 4 ტომარა ლუდისთვის იყო გათვალისწინებული, 3 ტომარა არაყისთვის. ნაწილით პურს აცხობდნენ, გაყიდული პურის საფასურით ყიდულობდნენ ხატისთვის ჭურჭელს, ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლებს, ასე, რომ საღვთო მოსავალი ისევ საღვთო საქმეს ხმარდებოდა. განაწილებაზე მეთვალყურე დეკანოზი იყო.<sup>2</sup> ეს საუკეთესო მაგალითია იმის განსასახლვრად, თუ როგორ ნაწილდებოდა ქსნის ხეობის მთის სოფლებში ხატის მამულიდან მიღებული მოსავალი. რიგ შემთხვევაში ხატის მიწა შეიძლება რომელიმე პირს დაემუშავებინა და მიღებული მოსავლის ნაწილით გამოეხადა სასმელი (ლუდი, არაყი) და საკლავთან ერთად სალოცავისთვის შეეწირა. ვინც შედარებით უქონელი და გაჭირვებული იყო, მათთვის გარკვეული შეღავათები არსებობდა. „ერთ შემთხვევაში „ხატი მიწებად“ და „ხატი მთებად“ სახელდებული ნაკვეთების უზენაეს მფლობელად წარმოგვიდგება მთელი სოფელი, ხოლო მოსარგებლებად ადგილობრივი საზოგადოების წევრები,

---

<sup>1</sup> ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 69.

<sup>2</sup> ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 114.

რომელნიც ან საერთო ძალებით უწევენ ექსპლოატაციას ხატის მიწებს და სასოფლო საქმეს ახმარებენ მოსავალს, ან ინდივიდუალურად, მორიგეობით ამუშავებენ ხატის მიწებს გარკვეული გადასახადის გადახდის და მოწეული მოსავლის უდიდესი ნაწილის მითვისების მომგებიანი პირობის დაცვით<sup>1</sup>. რაც შეეხება ახლოურთს, ვ. ითონიშვილი აქ ხატის მიწის ერთობლივი დამუშავებისა და მოსავლის საერთო-სასოფლოდ მოხმარების შემთხვევებს აფიქსირებს.<sup>2</sup>

მთის მოსახლეობას ოდითგანვე საკმაო შიში ჰქონდა ხატისგან დამიზეზების. თუ ოჯახს რამე შეემთხვეოდა, ფიქრობდნენ, რომ განაწყენებული ხატის მიზეზით ხდებოდა. ზოგჯერ იმის ახსნაც უჭირდათ, თუ რომელი სალოცავი შეიძლება ყოფილიყო გამწყრალი, რის გასარკვევადაც მკითხავენს მიმართავდნენ, რომლებსაც „შეეძლოთ ფოლადის ჩხირებით შალის ნართზე მანიპულაციით გაეგოთ, რომელი სალოცავი „აძლევდა მიზეზს“ ამა თუ იმ კაცს, ოჯახს ან მთლიან გვარს“<sup>3</sup>. „დამიზეზების შემთხვევები“ ხშირი ყოფილა ახლოურთშიც. გადმოცემით, ხატიმიწები უნდა ყოფილიყო გორა ახლოურისთვის „გამიზეზების“ საფუძველი, ხე მოუჭრია ხატის სიახლოვეს, რასაც სარკმლიდან ბავშვის ჩავარდნა მოჰყვა. ბავშვს უფლის სახელი რქმევა - ხეთისო. შვილმკვდარმა მამამ მოზვერი შეუთქვა ახლოურთის წმინდა გიორგის. არ იწირავდა თურმე, გიორგობის წინა დამეს კვდებოდა პირუტყვი. ეს რამდენჯერმე გამეორებულა... ბოლოს მიუღია უფალს

---

<sup>1</sup> ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 119.

<sup>2</sup> ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 118.

<sup>3</sup> ქენქაძე ვ., ქსნური სიტყვიერების ქარაგოზი, თბ., 2008, გვ. 109, სქოლიო.

შესაწირი. ბებიის - ქეთევან პავლიაშვილის მონათხრობიდან მახსოვს: სოფელ მიდელაანში ქაშუეთის ტყიდან გაკაფული ხმელი ტოტები წამოუღია, ნაწვერალს რომ ეძახდნენ მთაში... სახლში ჩამოსულს, ბავშვი სიცხიანი დახვედრია. ხატის მიზეზიანო - უფიქრია და ამჯერად აღმართში, მაღალ მთაზე 3-4 კილომეტრის მანძილზე აუთრევია ისევ. სწრაფადვე გამობრუნებულა უკან და... ბავშვი მთლად გამოჯანმრთელებულა.

როცა ახლოურებმა სამკვიდრო დატოვეს, სოფელში წმინდა გიორგის სახელზე აგებული სალოცავის მხოლოდ ფრაგმენტები იყო შემორჩენილი, როგორც ზემოთ ვთქვით, პატარა ზარებით და ირმის რქებით (ირემი ხატობას მისულა სალოცავში, მუხლმოყრილი ცხოველი ხატის მსხვერპლად მიუჩნევიათ ახლოურებს, დაუკლავთ და ხორციც და რქებიც მისთვის შეუწირავთ). 2007 წელს თბილისში გადასახლებულმა არსენ ისაკას ძე ახლოურის ოჯახმა საგვარეულო სამლოცველო აღადგინა და ზარები შესწირა ხატებთან ერთად.

დღეს ახლოურთის წმინდა გიორგის სალოცავი რესტავრირებულია. აქ დაბრძანებულია მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის ხატები, რომელიც აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე მოვინახულე და მოვილოცე.

როგორც ახლოურებისთვის, ისე ზოგადად, ქსნის ხეობის მოსახლეობისთვის ცნობილი იყო, რომ ახლოურთის წმინდა გიორგის სიახლოვეს არსებობდა სახიზარი ორმო, სადაც განძი იყო გადამალული, განძი, რომელიც თავის დროზე ლეკებისაგან სიცოცხლის ფასად გადაურჩენიათ ჩვენს წინაპრებს. თუ სად ინახებოდა უშუალოდ, ამის შესახებ არავინ იცოდა. ხალხის რწმენით ეს მხოლოდ დეკანოზს ლალო ახლოურს უნდა ცოდნოდა. ამ საიდუმლოს გამჟღავნების

უფლება მას მხოლოდ მომდევნო დეკანოზისთვის შეეძლო სიცოცხლის ბოლოს. სამწუხაროდ, ლადო მოულოდნელად გარდაცვლილა, ისე, რომ საიდუმლო უთქმელი დარჩა. იმასაც ამბობენ, ლადოს სურვილი ჰქონდა განძის შესახებ თავის ხალხისთვის მოეთხრო, რაც მიიჩნიეს მისი მოულოდნელად გარდაცვალების ანუ იგივე ხატის მიზეზად... ბოლო დროს რამდენიმე ჯგუფი იმყოფებოდა ახლოურთში განძის მოსაძიებლად. მიაკვლიეს თუ არა, არავინ იცის. ის კი ფაქტია, რომ ეს განძი ხატის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

ახლოურები ასევე ლოცულობდნენ ყველდაბაში აგებულ ამაღლების სალოცავში. გადმოცემით, ახლოურთიდან აკვანი დაგორებულა და ყველდაბაში, სადაც გაჩერდა, იქ ხატი ააგეს ბავშვის უვნებლად გადარჩენის აღსანიშნავად. ლოცულობდნენ როგორც ახლოურები, ისე ყველდაბელები. იქვეა სასაფლაოც, სადაც განისვენებენ ახლოურები, ღარიბაშვილები, მაჭარაშვილები...

ყველდაბის ტაძრის წინაშე ცხენიან კაცს გავლის უფლება არ ჰქონდა. უნდა ჩამოქვეითებულიყო, მუხლი მოეყარა, ქუდი მოეხადა და ისე გაეგრძელებინა გზა. ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს ვ. ითონიშვილი: „ზოგიერთებმა დაგვისახელეს ზებუნებრივი ქმედების შედეგი, როდესაც ვილაცას ქვენაყველდაბას მდებარე ამაღლების ხატის მიწაზე ცხენით გაუვლია და გაშემებულა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარნილ კაცს გამოსავალი იმაში დაუნახავს, რომ პირჯვარი გადაუწერია და უთქვამს - ოღონდ გამიშვი და ეს მაძული შენს ბეგარაში იყოს“<sup>1</sup>

ასევე ახლოურებისა და ყველდაბელების საერთო სალოცავი იყო კვირაცხოვლის ნიში, 4 მუხა იდგა მის სიახ-

---

<sup>1</sup> ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003, გვ. 106-107.

ლოვეს. დეკანოზები მაჭარაშვილები იყვნენ, ჯერ ილიკო, შემდეგ გივი. ბოლოს ზურიკო ღარიბაშვილი ასრულებდა დეკანოზის ფუნქციებს.

კრუხი რომ წიწილებს გამოიყვანდა, საუკეთესოს ხატს „აჩემებდნენ“. აღდგომის მეორე კვირას მიჰყავდათ საკვირაცხოველ მამლები. ბიჭები ჯერ მამლების ერთმანეთთან ძიძვილაობით ერთობოდნენ, მერე სწირავდნენ. უსისხლოდ შეწირვაც ხდებოდა, მიიყვანდნენ სალოცავში და გარკვეული რიტუალის შესრულების მერე ცოცხლად უშვებდნენ.

სოფელში ასევე შემორჩენილი იყო დიდი წიფლის ხეებით გარშემორტყმული წმინდა სამების კედლები და იქვე ახლოს - ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველის ელია თეზბიტელის სახელობის ნიში.

ღმერთის ერთგული წინასწარმეტყველი, რომელიც ქრისტეზე ცხრა საუკუნით ადრე ცხოვრობდა, ცოცხალი ღმერთისკენ მოქცევას მოუწოდებდა ყველას. „ხალხის წარმოდგენით, ელია თითქოს ბრმა ხარაზია, რომელიც ეტლს დააქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს; თითქოს ელიას ეშმაკი დაჰყვება და შეცდომაში შეჰყავს. ეშმაკს ელია „შეცდომაში“ რომ არ შეეყვანა, ხალხი ზარებს რეკდა, თოფებს ისროდა, რათა ელიას გაეგო, რომ ის ადგილი დასახლებული იყო და არ დაესეტყვა. ელიაობის ტრადიციული შესაწირავებია: თხა, ციკანი, იცოდნენ მამლების შეფრენაც, ეკლესიასა თუ სალოცავში მიჰქონდათ რიტუალური პურები.“<sup>1</sup> ელიაობის დღესასწაული ძველი დროიდან აღინიშნებოდა საქართველოში, რასაც უცხოელი მოგზაურების ცნობებიც ადასტურებს. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, როდესაც სურდათ წვიმას გადაელო, შესთხოვდნენ წმინდა ელიას და

---

<sup>1</sup> ნოზაძე თ., ელიაობა, ჟურნალი „ამბიონი“, [www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge)

სწირავდნენ თხას.<sup>1</sup> ჟან შარდენის მინიშნებით, წვიმას კარგი მოსავლის მიღებას თხოვენ და ამ დღეს უქმობენ, როგორც წმინდა ილიას დღესასწაულს. როგორც ვხედავთ, ელიაში ერთმანეთს შეერწყა წმინდა წინასწარმეტყველისა და წარმართული ტაროსის ღვთაების კულტი.<sup>2</sup>

ელიაობა ორ აგვისტოს აღინიშნებოდა. ამ დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ დედოფლისწყაროში, სადაც, ელიას მთაზე წმინდანის სახელობის მე-ნ საუკუნის ტაძარი დღემდეა შემორჩენილი. ღამისმთევლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩადიან.

ახლოურებისა და ჭორჭოხელების საერთო სალოცავი ყოფილა ლომთმშვენი. ახლოურთში ნიში იყო მისი სახელობის, ჭორჭოხში კი - საუკუნეების წინანდელი ტაძარი, რომელზეც შემორჩენილია გოდერძი გდუელის მოსახსენიებელი მეთე საუკუნის წარწერა. ლომთა სალოცავში ლოცულობდნენ ამაღლების დღესასწაულზე ჯერ ზემოთ ახლოურთში, შემდეგ ქვემოთ - ჭორჭოხში.

აღრინდელ პერიოდში საქონლის კეთილდღეობას ავედრებდნენ ფურების სალოცავს, რომელიც ყველდაბის მხარეს მდებარეობს. ამ სოფლის ბოლო მცხოვრების ნიკა ღარიბაშვილის ინფორმაციით, უკანასკნელ წლებში არც სანთლებს ანთებდნენ და არც ქადაბს აცხობდნენ. თვითონ ნიში სამფეხა სკამის სტილისაა, სამ მაღალ ქვას გადაფარებული აქვს ერთი მთლიანი სიპის ქვა. ნიში საძოვრის გზაზე მდებარეობს და საქონლისათვის სამარილე ქვად იყენებდნენ. ფურების

---

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა ალ. ჭყონიამ, თბ., 1990, გვ. 141.

<sup>2</sup> კვაშილავა ი., სარიტუალო დღესასწაული სამეგრელოში (ჭიაკოკონაობა), წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 7, თბ., 2005, გვ. 269.

კულტისადმი პატივისცემა წარმართულიდან უნდა მომდინარეობდეს. ზოგადად, ცნობილია, რომ ქართულ მითოლოგიაში მზის განმასახიერებელი ქალღმერთია ბარბაღე, რომელსაც ეთაყვანებოდნენ როგორც ქალის ნაყოფიერების საწყის მფარველ ღვთაებას, ხალხის რწმენით მასზე იყო დამოკიდებული, ფრინველისა და მსხვილი რქოსანი საქონლის განაყოფიერება. ასე, რომ ბარბარობას ქრისტიანობამდეც აღნიშნავდნენ. დღეს ბავშვების მფარველი დიდმოწამე ბარბარეს ხსენების დღე 17 დეკემბერსაა დაწესებული. მას ავედრებენ ყრმათა კურნებას, მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისაგან დაცვას და შვილიერებას. ქრისტიანულ ბარბარობასა და წარმართულ ბარბაღეს კულტს შორის ყურადღებას ამახვილებს თამაზ ჩიქვანია: „მორწმუნე ქართველებს იგი (მითოლოგიური ბარბაღე - დ.ა.) წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ქალების, ფურების და საერთოდ ბუნების ნაყოფიერების მფარველი ქალი ღვთაება... ასტრალური კულტები საქართველოში სხვადასხვა წეს-ჩვეულების სახით გვიანობამდე შემორჩა.“<sup>1</sup>

ერთ საინტერესო ფაქტსაც უნდა გავუსვათ ხაზი. კერძოდ, ფურების სალოცავი ფიქსირდება ფშავშიც, გაბიდაურთა თემიდან ქსანზე გადმოხვეწილ ჩვენს წინაპარს შესაძლოა ძველი რწმენის გათვალისწინებით აეგო ეს ნიში. ცნობილი ეთნოგრაფის ვერა ბარდაველიძის ცნობით, „ფურების ხატში“ ხევისბერებად „ნაწმინდური“ (თვიურის წესს გადასული) დედაკაცები იყვნენ... ზოგიერთ მოხუცს ახსოვს, რომ მათ ახალგაზრდობაში „ფურების ხატს“ ხუთი ხევისბერი მანდილოსანი ჰყავდა. ამჟამად კი არც ერთი ხევისბერი იქ აღარ მოიპოვება. ხევისბერის ფუნქციებს ახლა სოფლის მოხუცი მორწმუნე ქალები ასრულებენ. მთხრობლები აღნიშნავენ, რომ

---

<sup>1</sup> <https://sputnik-georgia.com>

შარშანწინ „ფურების ხატს“ ქაღები ქიზიყელამ (ქალის სახელია) დაუჭრაო“.<sup>1</sup> არაა გამორიცხული, ახლოურთის „ფურების სალოცავის“ დეკანოზი ქალი ყოფილიყო (ფური ზოგადად, მსხვილფეხა დედა პირუტყვია, ძროხა, ფურკამეჩი, ფურირემი. დედაქალზეც იხმარებოდა, დის შვილზე, ბიძაშვილზე და საერთოდ გვარის ქალიშვილის შვილზე იტყოდნენ: ჩვენი ფურის შვილიაო.<sup>2</sup>

დღეს, სამწუხაროდ, ახლოურები, ისე, როგორც დანარჩენი ქსნის ხეობის მთიანეთის მოსახლეობა, საკუთარი მიწაწყლიდან აყრილი და დევნილია სხვადასხვა კუთხეში, რელიგიური თუ ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ელემენტებიც თანდათან დავიწყებას ეძლევა.

#### **დამოწმებანი:**

1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურიდან თარგმნა აღ. ჭყონიამ, თბ., 1990.
2. ახლოური დ., „ჩემი ხავსისფერი სალოცავი“, თბ., 2018.
3. ბაგრატიონი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტომი 4, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1973.
4. ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავლები, დღიური, „კვირიონი“, თბ., 1941.
5. დავით გორელი, „ივერია“, №242, 1886.
6. ზედგენიძე გ., ჯავახური ლექსიკონი, 2014.
7. ითონიშვილი ვ., ნარკვევები ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2003.

---

<sup>1</sup> ბარდაველიძე ვ., ივრის ფშავლები, დღიური, „კვირიონი“, თბ., 1941, გვ. 5.

<sup>2</sup> ზედგენიძე გ., ჯავახური ლექსიკონი, 2014, გვ. 370.



8. კვაშილავა ი., სარიტუალო დღესასწაული სამეგრელოში (ჭიაკოკონაობა), წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 7, თბ., 2005.
9. ლაშხია თ., მსხვერპლშეწირვა - ძველი ქრისტიანული რიტუალი, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 6, თბ., 2004.
10. მაკალათია ს., მთიულეთი, თბ., 1930.
11. ნოზაძე თ., ელიაობა, ჟურნალი „ამბიონი“, [www.ambioni.ge](http://www.ambioni.ge)
12. ქენქაძე ვ., ლომისის მთავარმოწამე წმინდა გიორგი, თბ., 2008.
13. ქენქაძე ვ., „ქსნური სიტყვიერების ქარაგოზი“, თბ., 2008.
14. წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1991.
15. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, I, 1960.

*Davit Akhlouri*

*Gori State Teaching University*

**FROM THE HISTORY OF THE RELIGIOUS LIFE OF THE  
KSANI GORGE  
( THE EXAMPLE OF VILLAGE AKHLOURTKARI)  
RESUME**

Ksani gorge mountains and valleys population are different from each other religious life and ethnographical elements. Each village is different from each other. The work deals with the religion of the mountain population according to the village Akhlourt kari.

The beliefs of the mountain villages are comparable to each other. It is about St. George's cult. It is noted that the mountain population was referred to as God in prayer. In every village there was a temple. In accordance with certain rules the prayers were performed and the appropriate ritual was performed.

Apart from St. George's mountain, the mountain peoples worshiped the churches, which we also pay attention to. It is a regrettable fact that today the population of Ksani Gorge is in different regions of Georgia. Traditional belief-performances and rituals associated with them are gradually forgotten.

**დეკანოზი ბორისი (ნიჩიპეროვიჩი)**  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა  
ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

## **საეკლესიო მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ**

XX საუკუნის ბოლოდან საქართველოში განვითარებულია მოვლენებმა ქართველ ისტორიკოსებს საშუალება მისცა, ახლებურად გაეაზრებინათ ჩვენი ისტორიის არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

70-წლიანი საბჭოური მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევა, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. ქვეყნის ისტორიის კვლევა მისი ეკლესიის ისტორიის შესწავლისაგან გამიჯვნით მიმდინარეობდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის გარეშე ქვეყნის ისტორიის შესწავლამ სავალალო შედეგები მოუტანა როგორც საისტორიო მეცნიერებას, ასევე ქართველთა თვითშეგნებას.

როგორც ცნობილია, ქართულ ეკლესიას გააჩნდა ორი ერთმანეთისაგან ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი, თუმცა სულიერად ერთიანი საეკლესიო ერთეული: ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები. საეკლესიო მოწყობის ასეთი სახე გააჩნდათ ბერძნებს და დღემდე აქვთ სომხებს. პრაქტიკულად ასე იყო საქართველოშიც XVIII ს-ის ბოლომდე. ამ დროისათვის ქართველთა შორის გავრცელდა დაქუცმაცებუ-

ლი საქართველოს გაერთიანების იდეა. ამ იდეის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო დასავლეთი საქართველოს ანუ აფხაზ-იმერტა კათალიკოსის ადგილზე მჯდომი ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი ექვთიმე გენათელთან ერთად. ამ იდეის განხორციელება, ანუ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო იმ დროისათვის, ვერ მოხერხდა. დასავლეთი საქართველოს ეკლესიის იერარქებმა ამის სანაცვლოდ, როგორც ჩანს, უმჯობესად მიიჩნიეს გაერთიანება სრულიად საქართველოს ეკლესიისა. ამიტომაც ქუთათელმა მიტროპოლიტმა დოსითეოზმა უარი განაცხადა საკათალიკოსო ტახტზე (კათალიკოსის ტიტული მას უბოძა იმერეთის მეფე სოლომონ II-მ) და დასავლეთი საქართველოს ეკლესია და იერარქია მეფე ერეკლე II-ის დროს სამართლებრივად და ადმინისტრაციულად თავისი ნებით დაექვემდებარა აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ ქართლის საკათალიკოსოს სასამართლო ხელისუფლებას (დიკასტერიას) და კათალიკოს ანტონ II-ს. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროისათვის (1811 წლისათვის) საქართველოს ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ეს იქიდან ჩანს, რომ ქართლის საკათალიკოსოს დიკასტერია, ჯერ კიდევ რუსთა მმართველობის დაწყებამდე, არჩევდა დასავლეთი საქართველოს სასულიერო პირთა საქმეს.<sup>1</sup>

სწორედ ეს ფაქტი ედო საფუძვლად რუსეთის სინოდს, როცა საქართველოს დიკასტერია 1815 წელს გადაკეთდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორად, მთავრობამ მას დაუმორჩილა ჯერ კიდევ ავტოკეფალური სამთავროების

---

<sup>1</sup> ა. ჯაფარიძე, ქართული ეკლესია XVII-XV საუკუნეებში, ეკლესიის კალენდარი, 1994

– გურია-სამეგრელოს ეკლესიები.<sup>1</sup> მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოს საეგზარქოსოში დასავლეთი საქართველოს ეკლესიურ დაქვემდებარებას მხოლოდ იმერეთის სამეფოს იმპერიასთან შეერთება კი არ ედო საფუძვლად, არამედ დასავლეთი საქართველოს უკვე არსებული ეკლესიური დაქვემდებარება აღმოსავლეთის, ანუ ზოგადქართული საეკლესიო ცენტრის მიმართ.

ეს რომ ნამდვილად ასე იყო და ქართული ეკლესია დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოში გაერთიანებული იყო რუსთა მმართველობის დამყარებამდე, ამის შესახებ წერს სარგის კაკაბაძე: „მიდრეკილება გაერთიანებისაკენ ამერ-იმერში იმდენად დიდი იყო, რომ მან შემდეგში გამოხატულება ჰპოვა რამდენადმე მაინც საეკლესიო ცხოვრებაში. 1795 წელს კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი აფხაზ-იმერეთის (ე.ი. დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი მაქსიმე აბაშიძე, რომელიც, რუსეთში ელჩად იმერეთის მეფე დავით II-ის მიერ გაგზავნილი, უკან არ დაბრუნებულა. მის მაგივრად ფიქრობდნენ კათალიკოსად ქუთათელი მიტროპოლიტის – დოსითეოზის კურთხევას, მაგრამ ეს არ მოხდა. პლატონ იოსელიანის დამოწმებით, საერო ხელმძღვანელობა დასავლეთ საქართველოს ეკლესიისაც დაეკისრა ამის შემდეგ საქართველოს კათალიკოსს ანტონ II-ს. მართალია, ეს ხელმძღვანელობა იყო ნომინალური, მაგრამ ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში უკვე ცალკე კათალიკოსი არ იჯდა, მაინც სიმპტომატური იყო. საყურადღებოა ამასთანავე, რომ, როგორც ჩანს, ეს მოხდა არა თბილისის მითითებით, არამედ თვით იმერლების თაოსნობით“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 891

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921, 1997, გვ.

ამიტომაც ეგზარქოსი ვარლამ მიტროპოლიტი რუსმა ხელისუფლებამ დაავალდებულა, განეხორციელებინა საეკლესიო „რეფორმა“ მისდამი ნომინალურად დაქვემდებარებულ დასავლეთ საქართველოში. ვარლამმა ეს ვერ შეძლო, ამით უკმაყოფილო ხელისუფლებამ იგი გაიწვია საქართველოდან და მის ნაცვლად ეგზარქოსად დანიშნა ეროვნებით რუსი მიტროპოლიტი თეოფილაქტე. მან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის (ე.ი. ქართული ეკლესიის დარჩენილი ნაწილის თავისთავადობის გაუქმების) მიზნით უწმიდეს სინოდს წარუდგინა მოხსენება ლიხთ-იმერეთის ეპარქიების შემცირებისა და ეგზარქოსისადმი დაქვემდებარების შესახებ. დასავლეთ საქართველოში ამ დროს იყო 9 სამღვდელმთავრო კათედრა. რუსების მიერ განზრახული იყო მხოლოდ 3 ეპარქიის დატოვება, აგრეთვე, საეკლესიო მამულების შემოსავლის აღრიცხვა და მათი დაქვემდებარება ეგზარქოსისა და სასინოდო კანტორისადმი. ახლა საეკლესიო გლეხებისაგან ითხოვდნენ ფულად გადასახადს, ხოლო სამღვდელოებას კი ჰპირდებოდნენ ჯამაგირს.<sup>1</sup>

რუსი მოხელეები არწმუნებდნენ პეტერბურგის უმაღლეს ხელისუფლებას, თითქოსდა საეკლესიო რეფორმის გატარება არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ სარგებელსაც მოუტანდა იმპერიას, რადგანაც სახაზინო შემოსავალი იმერეთიდან გაიზრდებოდა 100.000 მანეთამდე (მანამდე 20.000 მანეთს ძლივს აღწევდა). ამის საფუძველი იყო ის, რომ საეკლესიო გლეხები და საეკლესიო მამულები დასავლეთ საქართველოში საერთო მოსახლეობისა და მიწის ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა.

---

<sup>1</sup> იქვე გვ. 87

ახალი ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსანოვი, რომელიც 1817 წლიდან შეუდგა საქართველოში საქმიანობას, ხელისუფლებასა და რუსულ წრეებს განათლებულ პირად მიაჩნდათ, იგი ცდილობდა, რუსული პოლიტიკის მტკიცე გამტარებელი ყოფილიყო ეკლესიაში. ჩამოსვლისთანავე სიონის წმიდა ტაძარში ქართულის ნაცვლად შემოიღო სლავური წირვა-ლოცვა, გახსნა რუსულენოვანი სემინარია თბილისში, სურდა მისი გამოყენება ქართველი სამღვდელოების ახალი თაობის გასარუსებლად და მათი საშუალებით შემდგომში ქართული მრევლის ეროვნული ცნობიერების დასასუსტებლად. თუ მანამდე საქართველოს ხალხი ქართველობასა და მართლმადიდებლობას სინონიმებად მიიჩნევდა, ახლა, ახალი საეკლესიო პოლიტიკის თანახმად, სურდათ მართლმადიდებლობის ცნების ქართველობის ცნებისაგან დაშორება, ერთისათვის მხოლოდ სარწმუნოებრივი, მეორისათვის ეროვნულ-ეთნიკური სახის მინიჭება, შემდგომ კი რუსობისა და მართლმადიდებლობის გაერთმნიშვნელობა ქართულ ცნობიერებაში.

საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ყოველივე ამას, რუსეთის ხელისუფლების ნებას, შესანიშნავად გრძნობდა იმერეთის მორწმუნე მოსახლეობა და აღნიშნავდა კიდევ შესაბამის წერილში რუსეთის ხელისუფლებისადმი 1819-1820 წლებში, „საეკლესიო რეფორმის“ წამოწყების დროს. დასავლეთი საქართველოს ქართველობა „საეკლესიო რეფორმას“ განიხილავდა ქართული ეკლესიის ანუ ეროვნული სარწმუნოების შებლაღვა-გაუქმების მცდელობად და წერდა ხელისუფლებას: „თუ რუსეთის იმპერიაში არ შეახეს ხელი ებრაელთა სარწმუნოებას, აგრეთვე, სომხებისა და კათოლიკეთა ეკლესიებს, ჩვენ რატომ უნდა წარმოვადგენდეთ გამონაკლისს. თუ იმ დროს, როცა მაჰმადიანთა ხელში ვიყავით, არავინ ეხებოდა ჩვენს მტკიცე რწმენას და არც ამგვარ მწუხარებას გვაყენებ-

დნენ, მაშ რაღა დაგიშავეთ ამჟამად, როცა გვტაცებენ შერეულ მღვდელმთავრებს, ტაძრებსა და მღვდლებს“.<sup>1</sup>

ამ წერილიდან ჩანს, რომ 1819-1820 წლებში იმერეთისა და დასავლეთი საქართველოს მოსახლეობამ შესანიშნავად იცოდა, თუ სინამდვილეში რა სურდა და რა ეკლესიური შედეგი მოჰყვებოდა „საეკლესიო რეფორმას“. მართლაც, როგორც წერილშია აღნიშნული, რუსეთის იმპერიას ხელი არ უხვლია არამართლმადიდებლური ერების ეკლესიებისათვის. ამის მაგალითია ის, რომ სომხურ ეკლესიას იმპერიაში ბოლომდე ჰქონდა „თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია კათალიკოსით სათავეში. სომხურ ეკლესიებთან ყველგან გახსნილი იყო სომხურენოვანი სამრევლო სკოლები, სომხებს ჰქონდათ სასულიერო საშუალო სასწავლებლებიც (სემინარიები, ერთი მათგანი თბილისში), ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებელიც ეჩმიაძინში, სასულიერო აკადემია. ყველგან სწავლა წარმოებდა სომხურ ენაზე“.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლებას აღევლება ისიც, რომ, მიუხედავად სამეფო ხელისუფლების გაუქმებისა, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთი 1810 წელს შეიერთა რუსეთის იმპერიაში, კვლავინდებურად იმერეთის მეფის ადგილს ახლა, ფაქტობრივად, ასრულებდა იმერეთის სასულიერო უმაღლესი ხელისუფლება. მას ხალხის დაბალ და მაღალ ფენაზე უდიდესი ზეგავლენა ჰქონდა, ეს კი ძალზე აწუხებდა რუსულ ხელისუფლებას. ამით იყო გამოწვეული ის, რომ მთავრობისაგან ადგილობრივმა რუსულმა ხელისუფლებამ მიიღო ასეთი სახის ბრძანება: „დრო არის, ბოლო მოეღოს იმე-

---

<sup>1</sup> Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею. Т.6, стр. 391 Тифлис

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1997, გვ. 230



რეთის სამღვდელობის გადაჭარბებულ გავლენას ხალხის გონებაზე“.<sup>1</sup>

რუსების ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმერეთში უმაღლეს საეკლესიო ხელისუფალთა, განსაკუთრებით კი ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტების, გავლენა ხალხზე კი არ შემცირებულა, არამედ გაზრდილა. ამის მიზეზთა შესახებ ს. კაკაბაძე წერს: „სულ იმერეთ-გურია-სამეგრელოში ამ დროს ითვლებოდა ცხრა მღვდელმთავარი. მღვდლებიც დასავლეთ საქართველოში იყვნენ ძლიერ ბევრნი (ისინი ოჯახობით შეადგენდნენ მოსახლეობის დაახლოებით 5%-ს). მღვდელს სოფელში დიდი გავლენა ჰქონდა, რადგანაც ახლოს იდგა გლეხობასთან და, როგორც უფრო შეგნებული, გლეხობისათვის მის ჭირ-ვარაშში სასარგებლოც იყო. გარდა ამისა, გასულ ხანაში, ოსმალებთან ბრძოლების დროს, სამღვდელოება საჭირო იყო ხალხში ქრისტიანული შეგნების განსამტკიცებლად. ქუთაისისა და გელათის მიტროპოლიტებს თავის ხელქვეით ჰქონდა საეკლესიო დიდი შეძლება (თითქმის ამ დროს 500 მოზრდილ კომლ აზნაურ-გლეხზე მეტი). თავიანთი კარის სხვადასხვა მოხელეებით და თავადების ხშირი სტუმრიანობით მათი გავლენა ადგილობრივი ქართული მმართველობის გაუქმების გამო კიდევ უფრო გაიზარდა, მით უმეტეს, რომ რუსული მმართველობა ხალხს არ მოსწონდა“.<sup>2</sup>

ქუთათელ და გენათელ მიტროპოლიტთა გავლენის გაზრდა, აგრეთვე, უნდა აიხსნას ძველქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის სისტემით, რომელიც ბოლომდე, რუსთა მმართველობის დამყარებამდე, იყო შენარჩუნებული იმერეთის

---

<sup>1</sup> Акты Т.6, стр. 574

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921, თბ., 1997, გვ. 87

სამეფოში. კერძოდ, იმერეთში მეფე თვითმპყრობელი მმართველი კი არ იყო, არამედ იგი სახელმწიფოს მართავდა თავის საბჭოსთან ერთად. საბჭოს წევრები დიდმნიშვნელოვან თანამდებობებსაც ფლობდნენ. მეფის საბჭო ორად განიყოფოდა: სასულიეროდ და საეროდ, „სასულიერო პირები საბჭოში დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მათ შეხედულებებსა და მოსაზრებებს მეფე ყოველთვის გულმოდგინედ ისმენდა და დიდ ანგარიშს უწევდა“.<sup>1</sup> საბჭოში მონაწილეობდა ოთხი ეპისკოპოსი: 1. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი; 2. გენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე; 3. ნიკორწმიდელი მიტროპოლიტი სოფრონიოსი და 4. მთავარეპისკოპოსი ანტონი“.<sup>2</sup> მეფის საბჭოს საერო ნაწილი რუსების შემოსვლის წინ შედგებოდა 30-მდე თავადისა და ტახტის აზნაურისაგან. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური წყობილება, რომელიც, გ. გონიკაშვილის თანახმად, „ქართული სახელმწიფო სამართლის წესებზე იყო აგებული“, გვაგონებს ძველქართული სახელმწიფო მოწყობის წესს, როცა მეფის კარზე არსებული სახელმწიფო დარბაზი შედგებოდა „ოთხი ბერისა“ და ვეზირებისაგან.

აღსანიშნავია, რომ იმერეთში მეფობის გაუქმების შემდეგ რუსებიც ეცადნენ, იმერეთის რუსი მმართველის კარზე დაეარსებინათ „საბჭო“ (თითქოსდა არ სურდათ მმართველობის ძველი ფორმების შეცვლა), ახლა მისთვის მმართველობის უმაღლესი ორგანო უწოდებიათ „საერთო კრების“ სახელით, მაგრამ „კრება მხოლოდ ფორმალური დაწესებულება

---

<sup>1</sup> მ. გონიკაშვილი, იმერეთი XVIII-XVX საუკუნეთა მიჯნაზე, 1979.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, ქართველი ხალხის ისტორია, 1783-1921, თბ., 1997, გვ. 52

იყო. იმერეთის საქმეებს ერთპიროვნულად განაგებდა მმართველი რუსი გენერალი“.<sup>1</sup>

როგორც აღინიშნა, მართალია, იმერეთში მეფობა გააუქმეს, მაგრამ იმერეთის მეფესთან არსებულ საბჭოს, რომელიც, ცხადია, რუსთა მიერ დაშლილი იყო, მაინც უდიდესი გავლენა ჰქონია ხალხზე, განსაკუთრებით კი მის სასულიერო ნაწილს, ამიტომაც მიიღო ხელისუფლებამ მთავრობის უზენაესი ბრძანება, მოესპოთ „ხალხის გონებაზე“ ქართული სამღვდელოების ზეგავლენა. ეს ხელისუფლებამ დააგალა სინოდალურ კანტორასა და ეგზარქოსს. მათ ავტორიტეტი არ გააჩნდათ, ჩარეულიყვნენ დასავლეთი საქართველოს საეკლესიო საქმეებში, ითხოვდნენ ჯარის გამოყენებასა და ხაზინისაგან ხარჯის გაწევას საეკლესიო საქმეთა მოსაგვარებლად. სანაცვლოდ მთავრობას ჰპირდებოდნენ, რომ „საეკლესიო რეფორმით“ ხაზინა გაწეულ ხარჯებს ერთიათად აინაზღაურებდა ეკლესიებიდან შემოსავლების გაზრდით. ეგზარქოსი თეოფილაქტე რუსის გაძლიერებული ჯარითა და არტილერია-ქვემეხების თანხლებით გადავიდა დასავლეთ საქართველოში „საეკლესიო რეფორმების“ განსახორციელებლად.

იმერელი ქრონოგრაფი წერდა: „1819 წელს, ივნისის თვეში, მოვიდა საქართველოს ეგზარხი მიტროპოლიტი თეოფილაქტე ბრძანებითა მისის იმპერატორებისის დიდებულების რუსეთის ხელმწიფისათა სასულიეროს შტატის დასაწყობად, რათა ქმნილ იყო ერთ ეპარქიად და იმ ერთს ეპარქიის ზემდგომ მღვდელმთავარის ხელქვეშ უნდა შესულიყო ყოველივე სასულიერო საქმე და ეგრეთვე ეკლესიის ყმათა“... ამბის გაგრძელების შემდეგ ქრონოგრაფი ამთავრებს: „ამის მსმენელი იმერეთის საზოგადოება მიეცა არა მცირედს მწუხარებასა“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> მ. გონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 208

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, III, 1967, გვ. 597

თეოფილაქტე იმერეთის სოფლებში აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს, რომელნიც ატარებდნენ ასეთი სახის საეკლესიო რეფორმას: შტატის შემცირების საბაბით სამსახურიდან ითხოვდნენ სამღვდელეობას, ეს იწვევდა მაჰმადიანების შემოსევების დროსაც კი მოქმედი ეკლესიების დაკეტვას, აღწერდნენ საეკლესიო ქონება-შემოსავლებს, ხოლო ეპარქიათა შემცირების შესახებ მთავრობის განზრახვა უკვე მთელმა დასავლეთ საქართველომ იცოდა. ეპარქიათა და საეკლესიო მსახურთა შტატების შემცირება სხვა არაფერი იყო, თუ არა ეკლესიისა და ქვეყნისათვის თავდადებული ნაღვაწი ეპისკოპოსებისა და სამღვდელეობის დათხოვნა, ეკლესიების გაუქმება, ურჩების დაპატიმრება, საეკლესიო გლეხთა გადასახადების არა თუ შემცირება, არამედ გაზრდა – „საეკლესიო რეფორმით გლეხთა საეკლესიო გადასახადები გაიზარდა, მოსახლეობის საგადასახადო ტვირთი დამძიმდა. ასე მაგალითად, ივანდიდის, კონტუათის, ნახახულევის, კუხის, მათხოჯის, ფარცხანაყანევის, მალლაკისა და სხვა სოფლების გლეხთა საეკლესიო გადასახადები სამჯერ გაზარდეს“.

იმერეთში იმ დროს ითვლებოდა 2.124 საეკლესიო კომლი (1.994 კომლი საეკლესიო გლეხი და 130 ოჯახი საეკლესიო აზნაური). შემოსავალი მათგან ფულზე გადაყვანით შეადგენდა 11.482 მანეთ ვერცხლის ფულს, მაშინ როცა 1817 წელს ხაზინის შემოსავალი მთელი იმერეთიდან შეადგენდა მხოლოდ 16.745 მანეთს.<sup>1</sup>

„რეფორმით“ შეშფოთებულმა იმერეთის საზოგადოებამ მრავალგზის თხოვნით მიმართა ხელისუფლებას, შეეწყვიტა ეს პროცესი. საზოგადოება არწმუნებდა მთავრობას, რომ ამ საეკლესიო რეფორმის შედეგად „მრავალი ტადარი დაიქცევა, პატიოსანსა და ყოვლადქებულ ხატებსა და ჯვრებს დაიტაცე-

---

<sup>1</sup> ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, 1985, გვ. 62

ბენ, საყდრებს მოაკლდებათ მათგანვე აღზრდილი, მათთვის მლოცველი მოძღვრები, ქართველები განშორებული იქნებიან თავიანთ მღვდელმთავართა კურთხევისაგან“.<sup>1</sup>

ასეთმა თხოვნა-ვედრებამ და დარწმუნებამ არ გაჭრა, რუსის მთავრობამ თეოფილაქტეს ხელმძღვანელობით გააგრძელა „რეფორმა“, რომლის მიხედვითაც „მღვდლების რიცხვი უნდა შემცირებულიყო ერთიორად და ერთისამად. ეპისკოპოსების შესამჩნევად დასანახი ცხოვრება ამალითა და სტუმრიანობით მოისპობოდა, რაც ფრთას შეაკვეცდა მათს გავლენას თავადაზნაურობასა და ხალხზე. როდესაც საეკლესიო გლეხების აღწერას შეუდგნენ გადასახადების ფულზე გადატანით და მათი მომატებით, ხალხი შეშინდა“.<sup>2</sup> აჯანყდა მთელი იმერეთი, საზოგადოების ყველა ფენა 1819 წლის ივნის-ივლისში. თითქმის ყოველი სოფლის ეკლესიებთან იკრიბებოდა მრევლი.

ეკლესიებში დაცული ბუკების ხმაზე იკრიბებოდა მთელი სოფლის მოსახლეობა, ტარდებოდა სახალხო საეკლესიო კრებები. იფიცებდნენ ხატებზე, რომ არ უღალატებდნენ ერთმანეთს, საქრისტიანო საქმეს, დაიცავდნენ ერთობასა და მთლიანობას გამარჯვებამდე. ხალხის საბოლოო მიზანი იყო ე.წ. „საეკლესიო რეფორმის“ გაუქმება, სამღვდელოებისა და ეკლესიის წინანდელ მდგომარეობაში დატოვება.

„გლეხები მოუწოდებდნენ ერთმანეთს ერთობისაკენ. ერთობაში მონაწილე ჯგუფები გადადიოდნენ მეზობელ სოფლებში, ყველგან ადგილობრივ ეკლესიებში დაცული ბუკების დაკვრით იკრიბებოდა ხალხი და ხატებზე ერთობის ფიცს იღებდა. ერთობის ფიცს იღებდა გლეხებთან ერთად თავადაზნაურობაც. ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გენა-

---

<sup>1</sup> ნარკვ. IV, გვ. 931

<sup>2</sup> АКТЫ Т.6, стр. 391

თელი ეფთვიმე აშკარად მოუწოდებდნენ ხალხს ეკლესიის უფლებების დასაცავად.<sup>1</sup> საეკლესიო აჯანყებამ განსაკუთრებით დიდი სახე მიიღო რაჭაში და, საერთოდ, მთელ ქვეყანაში. იმერეთის მმართველი რუსი გენერალი მთავრობას აცნობებდა, რომ აჯანყება საყოველთაო იყო, აჯანყებულებმა დაიჭირეს და ჩახერგეს სამიმოსვლო და საფოსტო გზები, დაიკავეს სადარაჯოები, ისინი მოითხოვდნენ რეფორმის გაუქმებას და ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის იმერეთიდან გაძევებას. მთავრობამ იმერეთში დამატებით შეგზავნა კაზაკთა ორი პოლკი, გრენადერთა პოლკის ერთი ბატალიონი და არტილერია გენერლის მეთაურობით. აჯანყებულებში თანდათან გავრცელდა ლოზუნგი - „სამშობლოს განთავისუფლება“.<sup>2</sup> „სამშობლოს განთავისუფლება“, ცხადია, ეკლესიის თავისუფლებასაც გულისხმობდა.

მთავრობა იძულებული გახდა, „რეფორმა“ შეეწყვიტა, ხოლო „შეშინებული ეგზარქოსი თეოფილაქტე 9 ივლისს გაძლიერებული დაცვით – 300 ჯარისკაცითა და არტილერიით - ქუთაისიდან თბილისს გაემგზავრა. ეს იყო აჯანყებულთა გამარჯვება“.<sup>3</sup>

აჯანყებულები დაწყნარდნენ, მაგრამ რუსი მოხელეებისა და განსაკუთრებით გენერლის ქმედებებმა ხალხი მიახვედრა, რომ ერთადერთი ხსნა იყო მხოლოდ რუსების ქვეყნიდან განდევნა და ეროვნული სამეფო ხელისუფლების აღდგენა. აჯანყებულები დააჩქარა იმან, რომ რუსებს განზრახული ჰქონდათ აჯანყებულების სასტიკი დასჯა, ხალხისაგან კი ითხოვდნენ „ცოდვების მონანიებას“ და რუსეთის იმპერიის ერთგუ-

---

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 87

<sup>2</sup> იქვე, გვ. 88

<sup>3</sup> ნარკვ. IV, გვ. 932, 933

ლებაზე ფიცის დადებას. აჯანყება განახლდა. საიმპერატორო კარს არწმუნებდნენ, რომ აჯანყებას სათავეში ედგა ქართული ეკლესია, კერძოდ კი, ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები: დოსითეოსი და ექვთიმე. პეტერბურგიდან მოვიდა ბრძანება ქართული ეკლესიის მეთაურების იმერეთიდან რუსეთში გადასახლების შესახებ. ეს, ფაქტობრივად, იყო ნებართვა იმისა, რომ მათ ადგილობრივი ხელისუფლება მოჰპყრობოდა თავისი შეხედულების შესაბამისად.

შემუშავებული იქნა გეგმა მიტროპოლიტების დაპატიმრებისა მთელი თავისი ნებართვებითა და ინსტრუქციებით. ამასობაში აჯანყებულმა ხალხმა და იმერეთის მთელმა საზოგადოებამ დაიწყო ძიება სამეფო კანდიდატებისა. სამწუხაროდ, მეფე სოლომონ II-ს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა. სამეფო კანდიდატს ეძებდნენ ბაგრატიონთა შორის, მაგრამ შემდეგ სამეფო სახლის ნათესავთა შორისაც დაიწყეს ძიება. საბოლოოდ, იმერეთის მეფედ გამოაცხადეს სოლომონ II-ის შვილიშვილი ივანე აბაშიძე. ამის საპასუხოდ რუსებმა შეიყვანეს იმერეთში დამატებითი ჯარები, გაიცა ბრძანება ახალი მეფისა და მიტროპოლიტთა დაპატიმრების შესახებ. ისინი სამართლიანად განიხილებოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობისა და საეკლესიო დამოუკიდებლობის არსებობის მასაზრდოებელ ცენტრალურ ფიგურებად. იმერეთის რუსმა მმართველმა პუზირევსკიმ შეიპყრო ღრმად მოხუცებული ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გენათელი ექვთიმე 1820 წლის 4 მარტს, თვითონ კი გაემართა გურიისაკენ ახალი მეფის ივანე აბაშიძის შესაპყრობად. შეპყრობილ მიტროპოლიტებს ხელისუფლება მიიჩნეოდა არა დაპატიმრებულებად, არამედ დატყვევებულებად.

გურიაში წასვლამდე პუზირევსკი შეუთანხმდა რუსულ მმართველობას მღვდელმთავარ ტყვეთა საკითხის შესახებ.

გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს მისწერა: „იმისათვის, რათა დატყვევებულებმა ვერ შეძლონ გაქცევა, არ იცოდნენ ერთმანეთის ვინაობა და გატარების დროს მცხოვრებლებმა ვერ იცნონ ისინი, გადავწყვიტე, რომ თავზე ჩამოვაცვა ტომრები, მათ კისერთან და წელთან შევკრავ, ხოლო ბაგესთან სასუნთქს გავუკეთებ. თუ რაიმე უკიდურესი შემთხვევა მოხდება, მათ დავხოცავ და გვამებს წყალს გავატან“.<sup>1</sup> თბილისის რუსული ხელისუფლება ძალზე შეაშფოთა დახოცვის შემდეგ მიტროპოლიტების გვამების წყალში გადაყრის აზრმა, რადგანაც შეეშინდათ, რომ გვამების ამოცნობის შემდეგ ხალხი გამძვინვარდებოდა, ამიტომაც ასეთი დარიგება მიიღო: „ყველაზე მეტად მოერიდეთ მიტროპოლიტების სიკვდილით დასჯას, ამას შეუძლია მთლად ააღელვოს სამღვდელოებისა და თავადებისაგან წაქეზებული ხალხი, შეიძლება ჩვენს ჯარისკაცებზეც ცუდი შთაბეჭდილება დატოვოს. მათ სარწმუნოებრივი აღმსარებლობის გამო ძლიერი სასოება უნდა ჰქონდეთ სამღვდელოებისადმი... მაგრამ, თუ მაინც საჭიროდ მიიჩნევა მოხუცი მღვდელმთავრების დახოცვა, არავითარ შემთხვევაში არც ერთი გვამი არ დატოვოთ იმერეთში, არც დაასაფლავოთ, არც გადაადგოთ მდინარეში, ვიწრო და სწრაფი დინების გამო შეიძლება მდინარეში ამოავდოს გვამები, რომელთაც ნახავს ცრუმორწმუნე ხალხი. თითოეული გვამი გადატანილ უნდა იქნას მოზღოკამდის. არ იქნას დატოვებული საქართველოშიც კი, ანდა მიტანილ იქნან კაიშაურამდე, სადაც შეიძლება მათი დასაფლავება“.<sup>2</sup> ეს იყო ფაქტობრივი ნებართვა მიტროპოლიტების დახოცვისა, მაგრამ ამ ბრძანების შესრულებამდე თვით პუზირევსკი მოკლეს გურიაში.

---

<sup>1</sup> Акты Т.6, стр. 579

<sup>2</sup> Акты Т.6, стр. 582



მიტროპოლიტთა შეპყრობის შემდეგ აჯანყდა არა მხოლოდ იმერეთი რაჭასთან ერთად, არამედ გურია და სამეგრელოც. რუსებმა იმერეთში შეიყვანეს დამატებითი ჯარი და არტილერია. სახელმწიფოსა და ეკლესიის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი მედგრად ებრძოდა მტერს. ამიტომაც ამიერკავკასიის სარდლობამ დასავლეთ საქართველოში გააგზავნა სამხედრო ექსპედიცია გენერალ ველიამინოვის ხელმძღვანელობით. მას დაევალა, სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს, ადგილზევე ჩამოეხრჩო ტყვეები. მართლაც, რუსებმა ცეცხლს მისცეს და მიწასთან გაასწორეს სოფლები, დაანგრიეს ციხესიმაგრეები. მათ ეკლესიის თავისთავადობის დამცველები თავდადებით ებრძოდნენ (1820 წლის აპრილიდან ივლისამდე). საბოლოოდ, რუსებმა გაიმარჯვეს. ერმოლოვი მრავალი წლის შემდეგ წერდა ამ ამბების შესახებ: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ. ბალები და ვენახები ძირებადღე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღადგენდნენ მოღალატეები პირვანდელ მდგომარეობას“.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, შეპყრობილ მიტროპოლიტებს ტომრები ჩამოაცვეს და ურმებით გაუყენეს რუსეთის გზას. ხელისუფლებას ეშინოდა მათი ცოცხლად დატოვება. როგორც ფიქრობენ, დოსითეოს ქუთათელი სურამთან ახლოს ტომარაში გაგუდულა, სხვა ცნობის მიხედვით კი იგი მოკვდა სასტიკი ცემის შემდეგ. მისი გვამი და, აგრეთვე, მიტროპოლიტი ექვთიმე გენათელიც ტომრებში დატოვეს. მხოლოდ ანანურში, რუსებისათვის უსაფრთხო ადგილას, ინებეს რუსებმა გარდაცვლილი მიტროპოლიტის გვამისგან გათავისუფლება. ცხადია, ეს წინასწარ შეატყობინეს რუსულ საეკლესიო მმართველობას თბილისში.

---

<sup>1</sup> ნარკვ. IV, გვ. 936

ქართული ეკლესიის თავისუფლებისათვის თავდადებულ-  
სა და სიცოცხლის შემწირველ მიტროპოლიტ დოსითეოსს  
კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე უწოდებს „მოწამე მღვდელ-  
მთავარს“. დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის  
ხსოვნა საგანგებოდ აღნიშნეს ავტოკეფალიის აღმდგენელმა  
კრებებმა 1917 წელს. „მოწამე მღვდელმთავრის“ დოსითეოს  
ქუთათელის უკანასკნელი განსასვენებლის შესახებ ბრძანებს  
კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე: „ქუთათელი ამოღრჩეს  
ტომარაში გზათმძივალნი სურამიდან გორში. დიდხანს არ  
იცოდნენ, რა ექნათ მოწამე მღვდელმთავრის ცხედრისთვის.  
მომყოლ ჯარისკაცთათვის არ გაუშხელიათ ეს ამბავი ანანუ-  
რამდის, სადაც ბოლოს მოვიდა ბრძანება საქართველოს სი-  
ნოდალურ ეგზარქოსისაგან მღვდელმთავრის დასაფლავების  
შესახებ ყოვლად მარტივათა და უცერემონიოთ“.<sup>1</sup>

რუსეთში გადასახლებული ბაგრატიონების სამეფო სახ-  
ლის წევრებს ხშირად იწვევდნენ იმპერიის დედაქალაქში იმ  
მიზნით, რათა მათ შესცვლოდათ შეხედულება იმპერიის ცი-  
ვილიზებულიების შესახებ. ჩანს, ამავე მიზნით მიიწვია პეტერ-  
ბურგში იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გენათელი მიტროპო-  
ლიტი ექვთიმე რუსეთში გადაყვანის შემდეგ. მოელოდნენ,  
რომ საიმპერატორო ბრწყინვალეობით გაოცებული ქართველი  
მიტროპოლიტი მიღებული წესების შესაბამისად ქებას შეას-  
ხამდა იმპერატორს, მაგრამ მოხდა გასაოცარი რამ, გენათელ-  
მა ექვთიმემ „ნერონი“ უწოდა „სისხლიან იმპერატორს“, რო-  
მელმაც, როგორც 100 წლის შემდეგ იხსენებდა წმიდა ამბ-  
როსი ხელაია, „საქართველოს დათრგუნვასთან ერთად დახო-  
ცა ხალხი ჯერ 1810 წელს, შემდეგ კი 1819-1820 წლებში.“  
გენათელი მიტროპოლიტი, რომელსაც იმპერატორთან შეხ-

---

<sup>1</sup> ჯვარი ვაზისა, 1990, №3, გვ. 67. წყაროდ ასახელებს В. Потто, Кавказская война, т. 2 стр. 699

ვედრის შემდეგ გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ, დააპატიმრეს და მოათავსეს პეტერბურგიდან 200 კმ-ით დაშორებულ სვირის მონასტერში, სადაც მალე, 1822 წლის 21 მარტს, გარდაიცვალა. ის მოწამის შარავანდედითაა შემკობილი.

ანანურში დოსითეოს ქუთათელი დაუსაფლავებიათ ეკლესიაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინ. ხატისაგან საფლავი დაშორებული ყოფილა „ორ არშინ ნახევრით“.<sup>1</sup> იმჟამინდელი ქრონოგრაფები ხშირად წერდნენ დოსითეოსისა და ექვთიმეს რუსეთში გადასახლების შესახებ, მათთვის უცნობი ყოფილა სიკვდილი დოსითეოს ქუთათელისა. ჩანს, საზოგადოებას უმაღლავდნენ ამას. ამიტომაც მათთვის უცნობი იყო არა მხოლოდ დღე მიტროპოლიტის სიკვდილისა, არამედ წელიც, მაგალითად, ერთი ქრონიკა ასეთია: „1820 - გენათელი და ქუთათელი რუსეთს წაიყვანეს და დაკარგეს, შემოქმედის ციხე მოსჭრეს და შემოქმედელები დასწვეს“,<sup>2</sup> სხვა ქრონიკა ეხება თარიღსაც - „1820 - ქუთათელი და გენათელი წაიყვანეს რუსეთს მარტის მეხუთე დღესა“,<sup>3</sup> ე.ი. 1820 წლის 5 მარტს მიტროპოლიტები რუსეთისაკენ გაუგზავნიათ, ალბათ, რამდენიმე დღის შემდეგ მოკლეს მოხუცი მღვდელმთავარი.

რუსეთის ხელისუფლება ამ მღვდელმთავრებს კარგად იცნობდა საქართველოში შემოსვლის დღიდანვე, რადგანაც ისინი ხშირად მონაწილეობდნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, რომელთაც იმერეთის სამეფო აწარმოებდა რუსეთის მთავრობასთან 1804-1810 წლებში. გენათელ მიტროპოლიტს დიდად ენდობოდა სოლომონ II, ამიტომაც თავის წარმომადგენლად ნიშნავდა რუსებთან მოლაპარაკებების დროს 1809-

---

<sup>1</sup> თ. ჟორდანი ა, ქრონიკები, ტ. III, 1967, გვ. 510

<sup>2</sup> იქვე, გვ. 492

<sup>3</sup> იქვე, გვ. 623

1810 წლებში, უფრო მეტიც, ექვთიმე გაჰყვა სოლომონ II-ს თბილისში, სადაც მეფე მოტყუებით დააპატიმრეს, რაც, ცხადია, მოულოდნელი იყო მღვდელმთავრისათვის და მის მოტყუებასაც წარმოადგენდა. თბილისიდან სოლომონ II-მ მოახერხა გაქცევა. „გაქცევიდან ერთი კვირის შემდეგ, 1810 წლის 17 მაისს, სოლომონ II-მ ახალციხიდან წერილი მისწერა იმერეთის კათალიკოსს, დოსითეოს ქუთათელს, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ იგი თავისი უფლებების აღდგენისათვის ემზადებოდა“.<sup>1</sup> მ. გონიკაშვილი, ჩანს, წყაროზე დაყრდნობით, „კათალიკოსს“ უწოდებს დოსითეოს ქუთათელს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დოსითეოს ქუთათელი მთელ საქართველოში სახელგანთქმული საეკლესიო მოღვაწე იყო. ოსმალთა შემოსევების შედეგად გაუქმებული ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრა აღადგინა იმერეთის საეკლესიო კრებამ 1759 წელს, მეფე სოლომონ I-ის ნებით ზრესილის ომში გამარჯვებისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების შემდეგ. დოსითეოს ქუთათელი ეპისკოპოსის ავტორიტეტი ქვეყანაში გაიზარდა. 1798 წელს სოლომონ II-მ მას კათალიკოსობა უბოძა აფხაზ-იმერთა კათალიკოსის – მაქსიმეს გარდაცვალების შემდეგ. მეფე სოლომონი ამის შესახებ წერდა კიდევ ერთ-ერთი საეკლესიო მამულის გუჯარში: „ამის შემდგომად ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოზს კათალიკოსობა ვუბოძეთ... მამული, ადგილი, ტყე ბიჭვინტისა ღვთისმშობელისა არის... ყოველივე ამ ადგილებისა და მამულებისა გამოსავალი კათალიკოზსა მიერთმეოდეს უცილებლად ყოველთა კაცთა მიერ“.<sup>2</sup> საკათალიკოსოს მამულებს ბიჭვინტის ღვთისმშობლის ქონება ეწოდებოდა. ქუთაისი მტრის მიერ

---

<sup>1</sup> მ. გონიკაშვილი, იმერეთი XVIII-XVX საუკუნეთა მიჯნაზე, 1979, გვ. 170

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 48

დანგრეული იყო საკათედრო ტაძართან ერთად. 120 წლის მანძილზე მის ციხეში მტრის ჯარი იდგა. დოსითეოს ქუთათელს გადაუწყვეტია, აღედგინა არა მხოლოდ ქუთაისის საეპისკოპოსო (ეპარქია), არამედ გადაეცია ქუთაისი ერთ-ერთ სასულიერო ცენტრად, შეუქმნია იქ სტამბა. თბილისში რუსების მიერ ეროვნული ცენტრებისა და მათ შორის სასტამბო საქმის გაუქმების შემდეგ, 1803 წლის 15 იანვარს, ქუთაისში დაუსტამბიათ „საღმრთო და სამღვდლო სახარება ვნების კვირიაკისა“ სოლომონ II-ის სახსრებით, დედოფლის შეწევნით, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა კურთხევით.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილისა და სხვათა გამო, ცხადია, რუსულმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა დოსითეოს ქუთათელისა და ექვთიმე გენათელის ვინაობა და მნიშვნელობა საქართველოსათვის. წმიდა აღმსარებელი კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია სიამაყით აცხადებდა რუსულ-ბოლშევიკური სასამართლოს წინაშე: „განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ხანა XIX ს-ის დასაწყისში. ამ დროს ეკლესიისა და ხალხის დამცველებად გამოდიან ქუთათელი და გენათელი და ხალხის აჯანყებას სათავეში უდგებიან. ორივე გააგზავნეს რუსეთისაკენ, მაგრამ მხოლოდ გენათელმა ექვთიმემ ჩააღწია ნოვლოროდში, სადაც ის უნდა დაეხინაგებინათ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მოისურვა მისი ნახვა, ჩაიყვანეს პეტერბურგში. იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ამისათვის ექვთიმე გენათელი არ მოერიდა, ემზილებინა იმპერატორი საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების

---

<sup>1</sup> ქრონიკები, III, გვ. 460

წართმევისათვის, სამშობლოს დამცველების წამებისათვის. მას უწოდა ახალი ნერონი“.<sup>1</sup>

საბოლოოდ, რუსეთის ხელისუფლებამ მაინც ჩაატარა „საეკლესიო რეფორმა“ დასავლეთ საქართველოში - გააუქმეს სამღვდელმთავრო კათედრები, ცხრის ნაცვლად დატოვეს საბი (იმერეთში, გურიასა და ოდიშში). ეს რეფორმა, ახლა უკვე ფრთხილად, წლების მანძილზე გრძელდებოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შედეგად, შეიბღალა არა მხოლოდ ეკლესიის თავისთავადობა, არამედ ქართულმა ეკლესიამ საუკუნოდ დაკარგა საზოგადოებასა და სახელმწიფოში ის მდგომარეობა და ადგილი, რომლებიც მისთვის ტრადიციული იყო IV-დან XIX საუკუნემდე.

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ეკლესიის ავტოკეფალია, რამაც უმძიმესი შედეგები მოუტანა ქვეყანას. საეკლესიო სამართლის მიხედვით, რუსეთმა, დაარღვია მოციქულთა 34-ე კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა ეკლესიას უნდა მართავდეს საკუთარი ეპისკოპოსი.

---

<sup>1</sup> ა. ხელაია, „მე შვეასრულე ჩემი მოვალეობა“, ჟურ. „მნათობი“, 1988, №10, გვ. 27

*Archpriest Boris (Nichiperovich)*  
*St. Andrew the First-Called Georgian University of the*  
*Patriarchate of Georgia*  
**ECCLESIASTICAL SITUATION IN WEST GEORGIA**  
**AFTER THE ABOLISHMENT OF AUTOCEPHALY**  
**RESUME**

The article discusses the ecclesiastical policy of the Russian Empire in West Georgia. As it is known, till the end of the XVIII century Georgian church was made up of two independent administrative units: Kartli Catholicate and Abkhazian Catholicate. Mitropolit of Kutaisi Dositheos occupying the throne of Abkhazian Catholicate and Ekvtime Gaenateli initiate the unification of the country and the church. Unfortunately, the first part of the idea was unsuccessful, but the church was unified - as Dositheos voluntarily gave up the position on the throne of the Abkhazian Catholicate and complied with the Patriarch Anton II.

The Russian Empire strictly abused both bishops: Dositheos was killed and Ekvtime was exiled to Russia. After getting rid of them, the Russian Empire started to abolish the eparchies of West Georgia and rob the Ecclesiastical Property.

**ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანება - საქართველოსგან  
უძველესი ტერიტორიების გამოყოფის ტენდენციები**

ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ისტორიის შესწავლა კავკასიოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემაა, რომლის მთავარ მეთოდოლოგიას ისტორიის, ქრისტიანული არქეოლოგიის, კულტურის ისტორიის, წყაროთმცოდნეობის, ენათმეცნიერების, პალეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისტიკის, ანთროპოლოგიის კუთხით საგნის კომპლექსურად კვლევა წარმოადგენს. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიულ კვლევებზე დაყრდნობით ჩვენ შვისწავლეთ ის იტორიული წინაპირობები, რამაც გამიწვია ჩრდილოეთ კავკასიის გამაჰმადიანება და საქართველოსგან ამ უძველესი ტერიტორიების გამოყოფა და მართმადიდებელი წირვა-ლოცვების მოშლა. ნაშრომში შევეხეთ მეთოთხმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის იმ მნიშვნელოვან პერიოდს, საიდანაც იწყება ჩრდილოეთ კავკასიის ქართული მართმადიდებლური დედა ეკლესიიდან გამოყოფისა და მოსახლეობის გამაჰმადიანების პროცესი. მონოგრაფიულ ნაშრომში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ისტორიული რეალების სწორი ანალიტიკური ხედვით მიმოიხილავს 1386-1403 წლებში თემურ-ლენგის საქართველოში შემოსევების შემდეგ საქართველოს გარშემო მუსულმანური გარემოცვის რკალის ჩამოყალიბების დაუსრულებელი პრო-



ცეს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების ქრისტიანული პერიოდის კულტურებში ადგილობრივ ლოკალურ ნიშანთა და თვითმყოფობის გამოვლენის ტენდენცია არის სწორი ისტორიოგრაფიული პოზიცია, რაც განსაზღვრავს მის პერსპექტიულობას). მოხდა საკითხთა კონკრეტიზაცია და საგნის მთლიანობაში გააზრებაც, გამოიკვეთა პრობლემის სიღრმისეული მოვლენები და მისი ახალი წახნაგები, უარყოფილია ძველი და მიღებულია ახალი ქრონოლოგიური ჩარჩოები. უკუგდებულია მტკიცება, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისათვის ქრისტიანული რელიგია და კულტურა „ზედაპირული“, „უცხო“, „თავსმოხვეული“ მოვლენა ყოფილიყოს და ღრმად არ შეხებოდეს იმიერკავკასიელთა მსოფლმხედველობას, რითაც ფაქტობრივად არქაიზდებოდა იმ ქვეყნების საზოგადოებრივ - პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონეცა და კავკასიელ ხალხთა კონსოლიდაციის ხარისხიც. აღსანიშნავია, რომ თემურლენგის წინააღმდეგ ქართველები არა მარტო თავდაცვით ომს აწარმოებდნენ, არამედ ზოგჯერ მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებშიც იჭრებოდნენ და თემურის მტრებს დახმარებას უწყევდნენ (ალანჯის ციხის აღება, ნახიჭევანის სანახების დარბევა, იქიდან გამოქცეული თემურის მოსისხლე უფლისწულ ტაჰერის დაფარვა).

კავკასიოლოგიის მიერ 1970-80 შემუშავებული ახალი მტკიცებულებებით საქართველოდან იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის ფართოდ გავრცელებადამკვიდრება იწყება არა XII-XIII სს-ში, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ძლიერების ეპოქაში – დავით IV აღმაშენებლისა (1089-1125) და თამარის (1184-1213) მეფობის დროს, როდესაც საქართველო - ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა, არამედ X საუკუნე-

ნიდან, რაც სათანადოდ აისახა კიდევ ამ ქვეყნების მატერიალურ კულტურებში. აქვეა აღსანიშნავი, მოციქულთა ღროდან მოკიდებული, საუკუნეთა განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ადრინდელი ისტორიული ფაქტებიც. საქართველოს გაერთიანებამდე (ბაგრატ III ეპოქა - X ს. 60-იანი წლების დასაწყისი -1014), ჩრდილო - დასავლეთ იმპერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ ბიზანტიასთან ერთად (ისტორიული ალანეთის ტერიტორიაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაქვემდებარებული ალანეთის სამთავარეპისკოპოსოს, შემდგომში კი - სამიტროპოლიტოს არსებობა) დასავლეთით ქართული სამეფო აფხაზეთი (აფხაზთა მეფის, გიორგი II-ის (922-957) გამორჩეული მოღვაწეობა ქრისტიანობის გავრცელების მხრივ), ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმპერკავკასიაში - ქართლი და კახეთი, ხოლო გაერთიანების შემდეგ — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებას. ამ ისტორიულ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის როლი. ვფიქრობთ, სასულიერო და საერო ხელისუფალთა საერთო ქმედებაა გამოხატული ინგუშეთში არსებულ ტყობა-იერდას წმიდა თომას, კვირაცხოვლობის ტაძრის (X ს. II ნახ. სამეკლესიანი ბაზილიკა, XIII-XIV სს-ში აღდგენილ-გადაკეთებული) დასავლეთ კედლის ბარელიეფურ ქტიტორულ კომპოზიციაში, რომელზედაც გამოსახულია, როგორ მიართმევენ ქრისტეს ეკლესიის მოდელს სასულიერო და საერო ხელისუფალნი. ცნობილია ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საქართველოს ეკლესიის ღვაწლი ეროვნულ - სახელმწიფოებრივ გაერთიანება-მშენებლობაში. ანალოგიური როლი შეასრულა მან საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დაახლოებაში. X საუკუნის ღვთისმეტყველისა და მწერლის - გიორგი მერ-

ჩულისეული ქართული ეროვნული მთლიანობის დეფინიციის შემცველი ფორმულა - „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ - უკვე X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძლება გავრცელდეს იმიერკავკასიაზე. საქართველოს საკათალიკოსო-საპატრიარქოს სტატუსკო და იურისდიქცია, საფიქრებელი» გაცხადდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის (1012-1030, 1039-1045) „აღმოსავლეთის პატრიარქად“ სახელდებით იმავე ტყობია-იერდას ტაძრის ლაპიდარულ წარწერაში. ეს კი შესაძლოა განსახილველი იყოს გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსა და გაერთიანებული ქართული ეკლესიის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ორი საკათალიკოსოს, აგრეთვე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კავკასიისა და სომხეთის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიების ბაზაზე შექმნილი ერთიანი საპატრიარქო, რომლის მამამთავარი იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიაში პირველი პატრიარქი - მელქისედეკ I) ავტორიტეტისა და ბიზანტიის იმპერიასთან, კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებთან როგორც ზოგად კონფესიურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა კონტექსტში, ასევე ჩრდილოკავკასიურ სივრცეში ინტერესთა შეჯახების გამომხატველი. არსებული მასალები საფუძველს ქმნის, შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო იურისდიქციაში შემავალი იმიერკავკასიის სივრცე სამიტროპოლიტოებად და ეპარქიებად გაერთიანებულ სამწყსოდ წარმოვიდგინოთ: IV მსოფლიო საეკლესიო კრების დაკანონებით, საეკლესიო საზღვარი სახელმწიფო საზღვარს ემთხვეოდა, საერო-ადმინისტრაციული დაყოფა საეკლესიოში აისახებოდა. ასე XIV ს-ში გიორგი V ბრწყინვალისა (1314-46) და საქართველოს კათალიკოსის ექვთიმე

III-ის (1310-25) ეპოქაში, მთიანი დაღისტნის ტერიტორიაზე სახელდება 3 საეპისკოპოსო (ხუნძახის, ანწუხისა და წახურის), XV ს-ში კი ხუნძელი კათალიკოსი - ოქროპირია (კ. კეკელიძე). თუ შევადარებთ ამ პერიოდის ვითარებას სპარსელი არაბულენოვანი სწავლულის იბნ-რუსთის (IX ს. II ნახ. - X ს. I ნახ.) მიერ X ს. დასაწყისში აღწერილს, რომელიც სარირის (ავარეთის) მეფის ციხე-სიმაგრის მცხოვრებთ ქრისტიანებად, ხოლო ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას კი წარმართად მოიხსენიებს, ნათლად ჩანს მთიანი დაღისტნის ქრისტიანიზაციის პროცესი, მისი ინტენსიფიკაცია; აღსანიშნავია X ს. ინგუშეთში (ქართული წყაროებით „ღურბუკეთი“) გიორგი ეპისკოპოსის მოღვაწეობაც, რის შესახებაც გვაუწყებს იმავე ტყობია-იერდას ქრისტიანული ტაძრის ლაპიდარული წარწერები. ისტორიულ „ღუნძეთთან“, „ღურბუკეთსა“ და „ლლიღვეთთან“ (ჩაჩნეთი) მიმართებით აღნიშნულ საკითხთა გარკვევისათვის მნიშვნელოვანია კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1010-29) მიერ კახეთ-ჰერეთში ჩატარებული ადმინისტრაციული რეფორმის (რომელიც ადრინდელი ვითარების გამომხატველი იყო - მ. ლორთქიფანიძე) მონაცემების გათვალისწინება. XVIII ს. ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს, რომ ამ რეფორმით, „ღურბუკეთი“ და „ლლიღვეთი“ კახეთის მეორე, კვეტერის საერისთაოში, „ღუნძეთი“ კი - ჰერეთის მესამე, მაჭის საერისთაოში შემავალი ქვეყნებია; საყურადღებოა აგრეთვე მისი მონაცემები ნიქოზის საეპისკოპოსოს ოსეთ-ღვალეთთან დაკავშირებით. არსებობს საფუძველი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის არსებობა ოფიციალურ-კლერიკალურ ხარისხშიც მივიჩნიოთ, რაც ახლოს იყო კანონიკურ ნორმებთან და რაც შეიძლება არსებობდეს მხოლოდ საზოგადოების განვითარების მაღალ დონეზე, თუ მას ამკვიდრებს

ეკლესია და მხარს უჭერს სახელმწიფო ხელისუფლებას. „მეთოდოლოგიურად მცდარად უნდა ჩაითვალოს, როდესაც, ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში, გვიან შუასაუკუნეების ვითარებიდან გამომდინარე, ახდენდნენ X-XIV სს-ის რელიგიურ - კონფესიონალური რეალობის რეკონსტრუქციას. ამით უგულებელყოფდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების ისტორიულ (საზოგადოებრივ-პოლიტიკურ-კულტურულ) განვითარებისა და კავკასიის ხალხთა კონსოლიდაციის მაღალხარისხოვან ხასიათს“-ასკენის მკვლევარი გ. ლამბაშიძე.

კავკასიის ინტეგრაციის ისტორიულ - ევოლუციური პროცესი შეწყდა თათარ - მონგოლთა და, განსაკუთრებით თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ დაიწყო სახელმწიფოებრივი ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული რეგრესი. განვითარდა ცენტრიდანული ძალები, რომელთაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, დაიშალა კონფესიონალურ-კულტურული ერთიანობაც და დაირღვა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საფუძვლებიც (შემდგომში, ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის ცალკეული ისტორიული პარადიგმები აღარ იყო მოვლენის ევოლუციური განვითარების შედეგი, რადგანაც ისტორიული საფუძველი მას აღარ გააჩნდა). ჩრდილო - აღმოსავლეთ იმპერკავკასიაში (დაღისტანი) გავრცელდა და დამკვიდრდა ისლამი, რომელმაც ახალი პოლიტიკურ - სოციალური და რელიგიურ-კულტურული ტენდენციები წარმოშვა. ცენტრალურ და დასავლეთ იმპერკავკასიაში კი მის გავრცელებამდე ნაწილობრივი რესტავრაცია განიცადეს წარმართულმა კულტებმა, რომლებიც ქრისტიანობასთან სინკრეტულად არსებობდნენ. ამ გარდამავალმა პერიოდმა გვიან შუა საუკუნეებში წარმოშვა არა-

კანონიკური არქიტექტურა, რასაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ნახევრადქრისტიანულ - ნახევრადწარმართულ“ სამლოცველოებად მოიხსენიებენ.

**დამოწმებანი:**

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. 2, თბ., 1998.
2. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს ისტორია საერო და საეკლესიო 100 რუკის მიხედვით, „გუმბათი“, თბილისი. 2014.
3. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს წმიდა სამოციქულო და მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები. საგამომცემლო სახლი ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. 2012.
4. ო. ჯანელიძე – ქართულ-ჩრდილოეთ კავკასიური ურთიერთობის ისტორიიდან, საისტორიო შტუდიები, ტ. IV, 2003.
5. გივი ღამბაშიძე - ქართული კულტურის წრის ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში - ენციკლოპედია: ქართული ენა, // თბილისი, „ეროვნული მწერლობა“, 2008.
6. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები - ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი და მ. ცინცაძე; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. ტ. 1 და ტ. 2, „მეცნიერება“, თბ., 1969.
7. ღამბაშიძე გ., ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში - „საბჭოთა ხელოვნება“, 1976, N3.
8. ჯ. კარალიძე - საქართველოს სახელმწიფოს საეკლესიო პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში XI-XIII საუკუნეებში, ჩვენის სულიერების ბალავარი, ტ. I, ბათ., 2009.

9. რ. თოფჩიშვილი, მ. ქურდიანი. რელიგიის როლი ერების ჩამოყალიბებაში. - „ქუთაისური საუბრები“, VII, ქუთაისი, 2000.

*Archpriest Tadeoz (Kebadze)*

*Georgian Technical University*

**CONVERTING TO ISLAM OF NORTH CAUCASUS -  
SEPARATION TRENDS OF ANCIENT TERRITORIES  
FROM GEORGIA  
RESUME**

In the countries of North Caucasus, the study of Christian religion and the history of culture is one of the important scientific problems of Caucasiology, the main methodology of which is the complex research of the object in the field of history, Christian archeology, history of culture, source studies, linguistics, paleography, ethnography, study of folklore, anthropology. Based on the monograph research of metropolitan Anania Japaridze, we have studied the historical prerequisites, that led to the converting to Islam of North Caucasus, separation of these ancient territories from Georgia and dissolution of Orthodox liturgy. In the work we referred to that important period of Georgian history of fourteenth century from which is beginning the process of separation of North Caucasus from Georgian Orthodox Mother Church and converting to Islam of the population.

## ნიკო ბერძენიშვილი ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლის შესახებ XIII საუკუნის საქართველოში

ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მესამე ტომში მოთავსებულია მისივე წერილი „ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII საუკუნის საქართველოში“, რომელიც პირველად დაუბეჭდავს 1938 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომების მე-7 ტომში.

ნიკო ბერძენიშვილი საკითხების თხრობას იწყებს დემნა უფლისწულის მეთაურობით გიორგი III-ის წინააღმდეგ 1177 წელს მოწყობილი აჯანყების დამარცხებით და ამბობს, რომ „სამწუხაროდ, დამთავრდა უფლისწულის დემნას დგომილება როგორც თვით მისთვის, აგრეთვე ამ განდგომილების განმზრახ-გამგებელთათვის“<sup>1</sup>. მართლაც, გიორგი III-მ დამარცხებულთ „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“<sup>2</sup>.

სტეფანოს ორბელიანის ცნობით კი, ეს „მისაგებელი“ დემნასა და ორბელთ მიმართ შემდეგში გამოიხატა: „გიორგი მეფემ დიდათ განიხარა და დიდისა სიყვარულითა და პატივით მიიღო იგი (ივანე ორბელი - ე.თ), ვიდრე ხელთ იგლო

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 74

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959, გვ. 20



ყოველივე ძენი და გუარ ნათესავი მისი. ამისა შემდგომ უმტყუნა აღთქმასა თვისსა გიორგიმ და დასთხარა თვალები ივანეს და დაასაჭურისა იგი, რათა არა ჰყოლოდა მემკვიდრე. ხოლო უმრწემესი ძმა ივანესი ქავთარ, ძე მისი სუმბატ და ძმისწული მისი ინა დახოცნა, ყოველნი მამა-ყრმანი, ყოველი ნათესავი და დედანიცა და მეუღლენიცა მისცა ასახოცად და ამოსაგდებად: რომელნიმე დაარჩევს, რომელნიმე წყალში მოაშთვეს, რომელიმე კლდეზე დაჩეხეს, და ესრეთ აღმოფხურა ქართლიდამ სახელი მათი. ეგრეთვე ბრძანა ახოცა სახსენებლისა ორბელიანთ გვარისა მოთხრობათა საქართუელოსთა... და იყო ასე წელთა 626-სა“<sup>1</sup>.

ნიკო ბერძენიშვილი, სხვა წყაროებზე დაყრდნობით (თამარის პირველი ისტორიკოსი, ვარდანი, ჟამთააღმწერელი, თამარის მეორე ისტორიკოსი), მთლიანად არ იზიარებს სტეფანოსის ცნობას და ამბობს, რომ „სიკვდილით დასჯა ორბელთაგან უნდა შეხებოდა მხოლოდ იმათ, რომელთაც სტეფანოსი ასახელებს კიდეც, ხოლო, რაც შეეხება ორბელთა „ყოველი თესლის“ მოსპობას მამრისას თუ მდედრისას, არცერთი სხვა წყაროთი არ მტკიცდება და დაუჯერებელიცაა“<sup>2</sup>, ასეთივე მოსაზრებისაა ივანე ჯავახიშვილი: „მთავარი მონაწილენი ორბელთა გვარისანი სიკვდილით იყვნენ დასჯილნი“<sup>3</sup>.

სტეფანოს ორბელიანის ცნობით, „ოდეს განჰსდევნა გიორგიმან ორბელიანი, განუყო მამული მათი სსუათა, რომე-

---

<sup>1</sup> სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978, გვ. 51-52

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 242

ლიძე მისცა მტერთა და მიმცემელთა მათთა და დანაშთომი მისცა ყივჩაღსა და მას ყუბასარს... და მისცა მას ალაგი მთავრობისა მათისა და ამყოფა სპასალარად, გინა სპასპეტად ყოვლისა საქათრველოჲსა<sup>1</sup>. ნიკო ბერძენიშვილი იზიარებს სტეფანოსის ამ ცნობას და თავის მხრივ დასძენს, რომ „უგვარო“ ყუბასარი გიორგი მეფის გარდაცვალების უმაღვე მსხვერპლი შეიქმნა „უგვართა“ წინააღმდეგ დიდგვარიანთა ახალი შეტევისა. ის დაამხვეს და მეფე თამარმა ორბელთა პატივი ამირსპასალარობისა ჯერ სარგის ზაქარიას ძე მხარგრძელს, შემდეგ დიდ გამრეკელს, ხოლო ამის გარდაცვალებისა ზაქარია სარგისის ძეს მიუბოძა. ამ დროიდან და შემდეგ XIII საუკუნეში ამირსპასალარობა (ათაბაგ-ამირსპასალარობა) მხარგრძელთა სახლის პატივი შეიქმნა<sup>2</sup>.

სტეფანოს ორბელიანს აჯანყების თარიღად 1177 წელს მოჰყავს. იმავე თარიღს ასახელებს ლაშა გიორგის დროინდელი მემატრიანეც: „ოდეს ორბელიანი გადგეს, ქორონიკონი იყო სამას ოთხმოცდაჩვიდმეტი“<sup>3</sup>. ივანე ჯავახიშვილიც იზიარებს ამ მოსაზრებას<sup>4</sup>. ნიკო ბერძენიშვილი კი ამ აჯანყებას 1178 წლით ათარიღებს, თუმცა არ უთითებს წყაროს. 1178 წელს ასახელებს აგრეთვე დავით ქობაირელი<sup>5</sup>. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ აჯანყება დაიწყო 1177 წელს და დამთავრდა 1178 წელს<sup>6</sup>.

---

<sup>1</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 54

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 367

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242

<sup>5</sup> დ. ქობაირელი, მოსახსენებელი. კრებული, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 262

<sup>6</sup> რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991, გვ. 80

ორბელთაგან ექსორია-დაკრულვა ეხებოდა ქართლის ერისთავ ლიპარიტ სუმბატის-ძეს და მის ორ ძეს, ელიგუმსა და ივანეს, რომლებიც აჯანყების დროს ირანში იყვნენ წასულნი დახმარების საძიებლად. თუმცა, როცა ლიპარიტი სპარსელთა ლაშქრით აჯანყებულთა დასახმარებლად მიემართებოდა, მან შეიტყო დამარცხების შესახებ, უკან გაბრუნდა და, სტეფანოსის მიხედვით, ელდიგუზთან დარჩა, სადაც მალევე გარდაიცვალა. აქ ბატონი ნიკო არ ეთანხმება სტეფანოსს იმაში, რომ ელიგუზ ათაბაგი ამ დროს კარგა ხნის გარდაცვლილი იყო (გარდაიცვალა 1172-73 წწ.), ამიტომ უნდა იყოს მუჰამედი<sup>1</sup>.

ლიპარიტის შვილებიდან ელიგუმი ერანშივე დარჩა, ივანე კი განძის ამირას შემოეკედლა, სადაც, სტეფანოსის ცნობით, დიდი პატივი და სახელი მოიხვეჭა, „რომელიც შემდეგ, თამარის დროს, დიდის ვედრებითა და ფიცით მოიყვანეს საქართველოში და მამეულისგან ორბეთილა მისცეს მხოლოდ. ამ ივანეს ეშვა შვილები, რომელთაგან ჩამომავლობენ აწინდელი ორბელნი“<sup>2</sup>. ნიკო ბერძენიშვილი პრინციპში ეთანხმება სტეფანოსის ამ ცნობას, მხოლოდ ეჭვი შეაქვს ზოგიერთ დეტალში, კერძოდ კი იმაში, რომ სავედრებელი ქართველთა მეფესა და დიდებულთ დევნილი ივანეს წინაშე არა ჰქონდათ რა. პირიქით, დაკრულვილსა და გაძევებულ ორბელიანს შემვენოდა ასეთი რამ და უნდა ვიფიქროთ, ასეც იყო. ნიკო ბერძენიშვილი წერს: „განდგომილებისათვის დევნილი დიდგვარიანი დააბრუნეს, სამოქალაქო უფლებებში აღადგინეს, მაგრამ ნაქონევი „ხელი“ და სამოხელეო ქონება არ დაუბრუნეს. ორბელთა უკან დაბრუნება სავსებით შეეფერებოდა დიდგვარიანთა გამარჯვების შედეგს (1184-1185 წწ. – ამბე-

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 76

<sup>2</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56

ბი), შექმნილ ახალ პოლიტიკურ კურსს თამარის მეფობაში. ეს დიდგვაროვანთა კლასობრივ ინტერესებში შედიოდა. „ამ-ნისტია“ ამ დროს არა მხოლოდ ორბელთ შეეხო: „მრავალი ექსორიაქმნილი მოინდვეს, შემოიყვანეს და სამოქალაქო უფ-ლებებში აღადგინეს“<sup>1</sup>.

რაც შეეხება ელიგუმ ლიპარიტის ძეს, ის საქართვე-ლოში არ დაბრუნებულა და დარჩა ნახჭევანის ოლქში, სანამ „ერთხელ „ათაბაგის ძესთან“ ერთად განძის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში არ მოიკლა. ეს უნდა მომხდარიყო 1195-96 წლებში<sup>2</sup>. ელიგუმს დარჩა მცირეწლოვანი შვილი ლიპარიტი, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ მამასახლი-სებმა წაიყვანეს ნახჭევანში და დედასთან ერთად ათი წლის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ. ამის შემდეგ სივნიეთის ეპისკოპოსი ტერ-სტეფანოსი ცდილობს თავისი დისშვილი შვილითურთ საქართველოში შემოიყვანოს. ის ამისთვის წი-ნასწარ იღებს ნებართვას მეფეთაგან (თამარი, ლაშა) და მხოლოდ ამის შემდეგ შემოდის ლიპარიტი დედასთან ერთად საქართველოში. ამის შესახებ ნ. ბერძენიშვილი დასძენს: „რომ თუ მეფეთა ნებითა და ბრძანებით არა, ისე გაუგებარი იქნებოდა, რად უნდა დაეწყოთ ორბელთა ადგილზე მსხდომთ და მათი სამამულო თუ საპატიო ქვეყნების მქონებელ მხარ-გრძელთ ოდესმე გარდახვეწილი ლიპარიტ ორბელის ჩამომავალთა ძიება“<sup>3</sup>.

ჩვენი აზრით, კი ლიპარიტ ორბელის დაბრუნება ქართ-ველი ხელისუფლების მიერ შორსგამიზნული ნაბიჯი იყო და ფარულად მხარგრძელთა შებოჭვას ისახავდა მიზნად.

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77-78

<sup>2</sup> იქვე, გვ. 80

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 82

ივანე მსახურთუხუცესმა დიდი პატივი სცა ლიპარიტს და მისი სიძედ მოკიდებაც კი სურდა. თუმცა, მათი დამოყვარება არ მოხდა, ვინაიდან ივანეს სახლთუხუცესმა, სახელად ბუბამ შეაცდინა ლიპარიტი და ათაბაგისაგან ფარულად დაისიდა იგი. თავისი ქალი, ასფა, შერთო, რის გამოც „მას ჟამად წამ ერთ განრისხდა ათაბაგი იოვანე და შემდგომად ბრძანებითა მეფისათა მისცა ლიპარიტს ნაცვლად მამულისა მათისა შეუცვალელებსა წიგნითა ჰრამაკის ციხე დაბებით თვისით და სხვითა მრავლითა სოფლითა ვაივონისა ხევი და კოტაიქი, ელარი და სხვანი სოფელნი ყოველითურთ და გელაქუნი და ჰამასრი და სხვანი მრავალნი: სოფელი კაენი, აღსტევი, კერძოდ, თვისითურთ. მისცა აგრეთვე სივნიეთი, ოროტენი, ბარგუმატი და სხუანი ციხენი“<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით, ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „ათაბაგს თითქოს დამოყვრების გზით სურს უვნებელყოს მისი სახლის შესაძლებელი მოქიშპე. ლიპარიტი თითქოს გაურბის ამ მოყვარობას, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ მას უკვე ათაბაგის სახლთან ბრძოლა ჰქონდა გადაწყვეტილი, ასეთი კადნიერი ოცნება მისთვის ჯერ ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა – არამედ სხვა რაღაც მოსაზრებით“<sup>2</sup>.

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ლიპარიტის დაქორწინება ივანეს ქვეშევრდომ ბუბას ასულზე თვითონ ივანეს მოწყობილი უნდა იყოს.

ლიპარიტის ბედი შემდეგში ასე წარიმართა: იგი მონაწილეობას იღებს ჯალალ-ედ-დინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო მონღოლთა შემოსევას ველარ მოესწრო. სტეფანოსის გადმოცემით, ლიპარიტი ბოროტენის ციხის პირდაპირ უცაბე-

---

<sup>1</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 62

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 84

დი ისრით გარდაიცვალა. მას დარჩა ხუთი ვაჟი: ელიგუმი, სუმბატი, ივანე, ფაჰრადავლა და ტარსაიჭი.

ლიპარიტის უფროსი ვაჟი ელიგუმი მონღოლთა შემოსევის დროს თითქმის უბრძოლველად დანებდა მტერს. მან „სახელმწიფოს მიმართ ღალატი, „პატრონის“ მიმართ ორგულობა, ხოლო მეზობელ მთავართა მიმართ მტრობა გამოამჟღავნა და რა გასაკვირია, თუ ამ დროიდან სიძულვილი და მტრობა ჩამოვარდა მხარგრძელთა და ორბელთა „სახლებს“ შორის<sup>1</sup>. სტეფანოს ორბელიანის აზრით, ელიგუმი მოწამლულ იქნა მკურნალის მიერ, ავად მხარგრძელის ბრძანებით, ამასვე იზიარებს ნიკო ბერძენიშვილიც.

ელიგუმის გარდაცვალების შემდეგ ორბელთა სახლის უფროსობა სუმბატ ლიპარიტის ძის ხელში გადავიდა. მტრობა მხარგრძელებსა და ორბელებს შორის არც ამჟერად შეწყვეტილა. სტეფანოს ორბელიანი გადმოგვცემს, რომ „ელიგუმის გარდაცვალების შემდეგ ავაგის სახლი, განსაკუთრებით გვანცა, მეუღლე ავაგისი, შეუნელებლად მტრობდა ორბელთა სახლს, სუმბატის და მისი ძმების, ობლად დარჩენილ ყრმათა, ამოწყვეტა ან განდევნა ენებათ. მოსტაცეს მამული, ხოლო ისინი აქეთ-იქით იმალებოდნენ“<sup>2</sup>. ნიკო ბერძენიშვილი არ იზიარებს სტეფანოსის აზრს სუმბატისა და მისი ძმების ასაკობრივი ყრმობის შესახებ და დასძენს: „ელიგუმის გარდაცვალებით ორბელთა სახლის მდგომარეობა მართლაც უნდა გაუარესებულიყო. ახალგაზრდა სუმბატი, რომელიც ახლა ამ „სახლს“ წინამძღოლობდა, ჯერ კიდევ მონღოლთა კარზე უცნობი და გამოუცდელი იყო. ავაგის წინააღმდეგობა მას კი-

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 89

<sup>2</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75

დეკ უფრო ნაკლებ შეეძლო, ვიდრე მის ძმას, მონღოლთა წინაშე ერთგულად ნამსახურს“<sup>1</sup>.

სუმბატის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მან, თავისი უფროსი ძმის მსგავსად, მოახერხა მონღოლთა ყაენის კარზე დაწინაურება და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველად მონღოლებმა სწორედ სუმბატ ორბელის მამული გაახასეს. „ხასი ფეოდალი ფორმალურადღა ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციაში, არსებითად ის, ეკონომიკურად მონღოლ დიდკაცისადმი განსაკუთრებული და მისგან დამოკიდებული, პოლიტიკურადაც თანდათან ეთიშებოდა საქართველოს სახელმწიფოს“<sup>2</sup>.

მონღოლთა მიერ შეწყალებული და ძალადმხრეული სუმბატი 1254 წელს საქართველოში დაბრუნდა: მაგრამ ხასი სუმბატის წინააღმდეგ ამხედრდა „სახლი ავაგისი“ (რომელსაც გვანცა დედოფალი განაგებდა) და სხვა დიდებულები. ისინი „შეკრბენ ტფილისსა შინა არლუნთან... და მრავალითა ქრთამითა სთხოვდენ წარწყმედასა და არა დამკვიდრებასა მამულისა მისისასა“<sup>3</sup>. აღშფოთებულ დიდებულებს მონღოლთა დივანში უჩივლიათ. სიმართლე იმდენად ცხადი ყოფილა, რომ არლუნ-აღას ხასი დიდებული ვერ დაუცავს და სუმბატი იძულებული გამხდარა ორი წლის შემდეგ კვლავ მანგუ ყაენთან წასულიყო. ყაენმა ყოველივე საჩივარი მოუსმინა სუმბატს და მასზე მზრუნველობა არლუნ-აღას მიანდო. გამარჯვებული ორბელი არლუნ აღასთან ერთად დაბრუნდა საქართველოში.

„ხოლო ოდეს მოვიდა სუმბატ, სირცხვილუელ იქმნენ ყოველნი მტერნი და წინააღმდეგნი მისნი“ - ამბობს სტეფანოს ორბელიანი. მაგრამ ნიკო ბერძენიშვილს ეჭვი შეაქვს

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99

<sup>3</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 85

სტეფანოსის მონათხრობის სისწორეში და დასძენს: „სუმბატის მხარეზე არღუნის დადგომით მართლაც „სირცხვილეული უნდა ქმნილიყვნენ ყოველნი მტერნი და წინააღმდეგნი, - ე.ი. თავიანთი მტრობა, ცოტა არის უნდა შეენელებინათ, უნდა უფრო საზავოდ განწყობილიყვნენ, მიუხედავად ამისა, „ზოგი რამ“ მაინც უნდა დაეთმო სუმბატს: ერთობ ცხადი იყო სიმართლე მოდავეთა და ძლიერი მათი წინააღმდეგობა... საჭირო და აუცილებელი იყო არა იმდენად, მონღოლთა მიერ შეწყალებულობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივი კანონიერების საფუძველზე მოპოვებული ლეგალიობა“<sup>1</sup>. ამით უნდა აიხსნებოდეს სუმბატის სასიყვარულო და საზავო განწყობილება მეზობლებისადმი. სუმბატმა ორბელთა მამულიც შექმნა და მეზობლებიც შემოირიგა. თუმცა პატივმოყვარე სუმბატის საქმიანობა ამით არ დამთავრებულა. მისი მთავარი მიზანი ორბელთა სახლის ძველ პატივში აღდგენა იყო.

ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ამის შემდეგ სუმბატ ორბელი, „ეს ყაენის „მისანლო“ ქართველი ხასი თავის ძაღლონეს არ იშურებს „პატრონის“ სამსახურისათვის და მის ნამდვილს თუ მოგონილ მტრებს უხვად ისტუმრებს „საიქიოს“<sup>2</sup>. სუმბატის ასეთი სამსახური შეუმჩნეველი არ დარჩენია დავით მეფეს. სტეფანოს ორბელიანის გადმოცემით, მეფემ მიიწვია სუმბატი ტფილისს და ჰკითხა: „რა გნებავს, რათამცა მოგანიჭო შენ ნიჭნი დიდ-დიდნი? რამეთუ რაცა გენებოს შენ ჩემისა სამეფოსაგან არცა ერთსა დაგარიდებ“. ზე აღსდგა სუმბატ, თაყუანისჰცა და ჰრქვა: „აღილე ბოროტი სახსენებელი ჩვენი, რომელი ცილი სწამა პირველმან შენმან გიორგი უპირატესთა ჩვენთა, რომელ აღწესად სცა და განაწესა შეჩვენება, რაითა არა გვიტეონ ჩვენ მამულად ჩვენ-

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104



და და დამარხა საუნჯესა თვისსა, მომეც ივინი ხელთა ჩემ-  
თა“<sup>1</sup>.

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ „1177 წლის პრო-  
სკიპაციის მოსპობით სუმბატი გზა-ხსნილზედ გამოდიოდა.  
ამიერიდან აღარავინ ჩანდა საქართველოს დიდებულთ შორის,  
რომელსაც მისი მეტოქეობა შესძლებოდა. ასეთ პირობებში  
სუმბატს სრული საბუთი ჰქონდა. „ათაბაგის სახლის,, ხელში  
ჩაგდება ოცნების სფეროდან რეალურ შესაძლებლობათა რიგ-  
ში გამოეტანა. მართალია, დავით მეფე არ ჩქარობდა ათაბა-  
გის დანიშვნას, მაგრამ ხვაშაქზე, ავაგის ასულზე მზრუნველ-  
ობა და „ათაბაგის სახლის” მმართველობა გვანცას ცოლად  
შერთვისა და მისი ტფილისს წამოყვანის შემდგომ მეფეს  
ვისთვისძე უნდა ჩაებარებინა. ხოლო „ათაბაგის სახლის“  
ასეთ „შევედრებითგან,, მისი „სამამულოდ“ მიღება არც ისე  
შორს უჩნდა მოხერხებულ სუმბატს“<sup>2</sup>.

მაგრამ ამ დროს სამოქმედო ასპარეზზე გამოდის სადუნ  
მანკანბერდელი, „რომელი იყო კაცი ბრძენი და გონიერი, და  
კეთილს განმზრახავი და ჰაეროვანი ძალითა ფრიად ძლიერი,  
და მორკინალი რჩეული საჩინო და მოისარი ხელოვანი“<sup>3</sup>.  
ქართველ ისტორიკოსთა შორის პირველად ივ. ჯავახიშვილმა  
გაანალიზა სადუნ მანკანბერდელის შესახებ არსებული ცნო-  
ბები. მასვე ეკუთვნის პიროვნების სახელის - სადუნის -  
მნიშვნელობის გარკვევის ცდა. წყაროთა შეჯერების საფუძ-  
ველზე მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადუნი მონღო-  
ლური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს მეგობარს, დაახლო-

---

<sup>1</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 237

ებულ კაცს<sup>1</sup>. ეს აზრია ასევე გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში<sup>2</sup>.

ჟამთააღმწერელის მიხედვით, „მეფემ სადუნს შეჰვედრა სახლი ავაგისი და ხვაშაქი“<sup>3</sup>. იმავე წყაროს ცნობით, სადუნი თვით დემეტრე უფლისწულის აღმზრდელიც უნდა ყოფილიყო. სტეფანოსის ცნობით კი, „სუმბატი იქმნა ავაგის სახლის მზრუნველი და მეორე მფლობელიც კი... მეფემ ახლად შობილი უფლისწული დემეტრე ხელთ უღვა სუმბატს „ვითარცა შვილი“, ხოლო დავითის გარდაცვალების შემდეგ ტარსაიჯ ორბელიანმა თავისთან წარიყვანა ტახტის მემკვიდრე აღსაზრდელად და შემდეგ კი დიდად შეუწყო ხელი მის გამეფებას“<sup>4</sup>. თუმცა სტეფანოსის ეს ცნობები ქართული წყაროებით არ დასტურდება. იმავე ავტორის ცნობით, გვანცა დედოფლის დაღუპვა და ხვაშაქის, ავაგის ასულის, ხოჯა საჰიბზე გათხოვება სუმბატის ხელით მოხდა. ჟამთააღმწერლის მიხედვით კი გვანცას დაღუპვა მისივე ასულის, ხვაშაქის განზრახვით მოხდა<sup>5</sup>, რასაც არ იზიარებს ნიკო ბერძენიშვილი: „ხვაშაქი ამ დროს (ე.ი. 1260 წელს), ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გაუთხოვარი ქალწული იყო, სადუნ მანკანბერდელის მზრუნველობის ქვეშ მყოფი. ამიტომ დაუჯერებელი ჩანს მისი ასეთი მტრობა დედისადმი. მეორე მხრივ, ასეთ რასმე რომ ადგილი ჰქონოდა, უეჭველია, სადუნი მისი განზრახვის თანაზიარი უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ სადუნი მტერია მეფისა. მაგრამ ამას ეწინააღმდეგება სადუნის საქმიანობა და-

---

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 794

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 257

<sup>4</sup> სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 102

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 256

ვით მეფის ჰულაგუ ყაენის წინაშე წარდგომის დროს, აჯანყების შემდეგ რომ დაბრუნდა<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, სუმბატის მონაწილეობა გვანცას დაღუპვაში ბატონ ნიკოს სავსებით საბუთიანად მიაჩნია. ასევე არ იზიარებს ნიკო ბერძენიშვილი სტეფანოსის ცნობას იმის შესახებ, რომ ხვაშაქის მზრუნველი და ავაგის სახლის მფლობელი სუმბატი იყო და დასძენს: „გვანცას შერთვით მეფე უშუალოდ დაეპატრონა „ათაბაგის სახლს“, სუმბატი ერთგული სამსახურით ცდილობს მიიღოს მეფისაგან ეს საგამგეო. მეფის ანგარიშში არ შედის, როგორც ჩანს, ამ „სახლის“ ძლიერი ხასი ორბელიანისათვის ხელში ჩაგდება, რომელსაც საგვარეულო პრეტენზიაც კი აკავშირებდა მხარგრძელთა ნამემკვიდრევის დაუფლებასთან და მეფე უპიტიარესობას ანიჭებს ჯერ კიდევ სუსტ სადუნს, ავაგის სახლის ყმას“<sup>2</sup>.

ბოლმამორეული სუმბატი ხელსაყრელ დროს უცდის, რათა მეფეზე შური იძიოს. ეს დროც დადგა: 1260 წელს ყაენის წინააღმდეგ აჯანყებული დავით მეფე დამარცხდა. სწორედ ამ დროს უნდა მოეხერხებინა სუმბატს „ავაგის სახელზედ და ხვაშაქზედ მზრუნველობა არღუნ-აღას წყალობით“<sup>3</sup>.

ამ ხნის განმავლობაში სუმბატის მოქიშპე სადუნი დროებით გაჩუმებული იყო. მაგრამ მოვლენები ისე არ წარიმართა, როგორც სუმბატს სურდა. მონღოლებმა დავით მეფე შემოირიგეს. აქედან გამომდინარე, სუმბატმა ველარ შეძლო მეფის ნდობის მოპოვება და ხელახლა დაიწყო სადუნის აღზევება: „ყაენის წინაშე პასუხსაგებად წარმდგარ მეფესა და

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107

<sup>2</sup> იქვე, გვ. 109

<sup>3</sup> იქვე, გვ. 109

სარგის ჯაყელს მთარგმნელად ყავთ სადუნი და არა მჭერ-მეტყველი სუმბატი“<sup>1</sup>, ე.ი. სადუნმა სძლია სუმბატს.

დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ მეფე გახდა დემეტრე, ხოლო სადუნი - ათაბაგი და მეფე ფაქტიურად მის ხელში მოექცა. მხოლოდ მანკანბერდელის გარდაცვალების შემდეგ შეძლო დემეტრემ ემოქმედა თავისი წესისამებრ: „სადუნით თავმობეზრებულმა დიმიტრიმ ათაბაგობა მის „სახლში“ (ხუტლუ-ბულა, მანგასარი) კი არ დატოვა, არამედ „ერთგულ ყმას“ და მეფის „მორჰმა-განდიდებისათვის მრავალფერად ნამსახურ“ „ტარსაიჯს“ მიუბოძა. მასვე მიაბარა შვილები დავითი და მანუელი აღსაზრდელად, ხოლო „ათაბაგის სახლი“ საუფლისწულოდ დაამტკიცა“<sup>2</sup>.

ხუტლუ-ბულამ, 1289 წელს სამაგიერო გადაუხადა მეფეს და თავის სახლის პატივი აღიდგინა. იგი კვლავ ათაბაგი გახდა<sup>3</sup>.

აქ წყვეტს ბატონი ნიკო საუბარს და აკეთებს დასკვნას, რომ ბოლოს და ბოლოს ორბელთა გვარმა მოახერხა ძველი პატივისა და დიდების აღდგენა.

### **დამოწმებანი:**

1. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955; ტ. II, თბ., 1959.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966.

---

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110

<sup>2</sup> იქვე, გვ. 111

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 292

3. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.
4. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983.
5. დავით ქობაირელი, მოსახსენებელი. კრებული, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
6. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, თბ., 1991.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.

*Eldar Tavberidze*

*Akaki Tsereteli State University*

**NIKO BERDZENISHVILI ABOUT THE FIGHT  
BETWEEN THE FEUDAL FAMILIES IN THE 13<sup>TH</sup> C.  
GEORGIA  
RESUME**

The 13<sup>th</sup> volume of Niko Berdzenishvili's book "Questions of the Georgia's History" has the chapter with title: "Episodes from the battle of the feudal families in the 13<sup>th</sup> c. Georgia".

Niko Berdzenishvili begins his narration with the rebellion of 177 headed by Prince Demna against Giorgi III and the suffocation of the rebellion and decaying of the Orbeli family. Niko Berdzenishvili did not agree with Stephanoz Orbeliani's writing about the elimination of the entire Orbeliani family and referring to the other Georgian historical sources he

remarks that :only the leaders of the rebellion were subjected to capital punishment”.

After that Niko Berdzenishvili discusses in details the history of the representatives of the Orbeli family who were not in Georgia at the time of the rebellion. They were Eristavi (Prince) Lipariit, son of Sumbati, and his two sons Eligumi and Ivane who were in Oran for the search of support. Among them Eligumi stayed in Iran, and Ivane came to Georgia during the reign of Queen Tamar and they gave him only Orbeli from his father’s possessions. Some time later Liparit, the younger son of Eligumi, also returned to Georgia, which, in my opinion, was far reaching prudent step of the Georgian government for the purpose of constraining the Mkhargrdzelis family.

According to Niko Berdzenishvili the 13<sup>th</sup> century was the period of merciless animosity between the Orbelis and Mkhargrdzelis families for the leadership, which terminated with the consequence that after the death of Sadun Mankanberdeli, Orbelianis family rehabilitated their honor, respect and glory, and Tarsaich Orbeli, son of Sumbat Orbeli, became atabag (a family title of the rule of Samtskhe).

**ლელა თოგოშვილი**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ირანის სავაჭრო ურთიერთობები ინგლისთან და რუსეთთან  
XVIII საუკუნის მეორე ნახევარში  
(საკითხის შესწავლისათვის)**

ნაშრომი მიზნად ისახავს აღადგინოს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ირან-ინგლისისა და ირან-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების სურათი და მათი საერთაშორისო მნიშვნელობა; ასევე გაარკვიოს, თუ რა ადგილი ეთმობოდა საქართველოს დამოკიდებულების საკითხს რუსეთის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. ირანში მიმდინარე შინაფეოდალურმა ბრძოლებმა გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგება. მოიშალა სარწყავი სისტემა, გაჩანაგდა გლეხის შრომით შექმნილი ნათესი ფართობები, დაეცა ხელოსნური წარმოება.<sup>1</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ევროპელებს ირანთან მეტად უმნიშვნელო ურთიერთობა ჰქონდათ. ამის მიზეზი იყო ქვეყნის შიგნით არეულობა, რაც უცხოელ ვაჭრებს მუდმივ საფრთხეს უქმნიდა. ინგლისელების გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ. 1750 წელს დაიხურა ინგლისელთა ფაქტორია ისფაჰანში. 1756 წლის ოქტომბერში, ინგლის-საფრანგეთს შორის ომის დროს, ფრანგებმა დაარბიეს ინგლისელთა ფაქტორიები ბენდერ-აბას-

---

<sup>1</sup> Пигулевская Н. В., Якубовский А.Ю., Петрущевский И.П., Строева Д.В., Беленицкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Издательство Ленинградского университета, Л., 1958, 318.

ში, დაწვეს ინგლისელთა გემები. ინგლისელები იძულებული გახდნენ თავიანთი სავაჭრო სახლი ჯერ ბასრაში და, შემდეგ, ქერიმ-ხანის ნებართვით, ბუშირში გადაეტანათ.<sup>1</sup> ინგლისელი ივესი, რომელმაც ინახულა ბენდერ-აბასი, 1758 წელს წერდა: „ახლა ამ ადგილას არ არის არაფერი მნიშვნელოვანი. ქალაქი ნანგრევებადაა ქცეული. ინგლისელთა და ჰოლანდიელთა სავაჭრო ფაქტორიებიდან დარჩენილა მხოლოდ ორი სავაჭრო სახლი, რაც გვარწმუნებს, რომ ეს ქალაქი ერთ დროს ჰყვოდა. მუდმივმა ომებმა გადააქციეს იგი ასეთად. ანარქიამ და არეულობამ ინგლისელთა პრივილეგიებს ბოლო მოუღო. ეს ქალაქი დღეს სულ სხვანაირია, ვიდრე იყო იმ დროს, როცა შარდენმა ინახულა“.<sup>2</sup> ინგლისელებმა გადაწყვიტეს გაეხსნათ სავაჭრო ფაქტორიები ბუშირში. ამ მიზნით მათ ქერიმ-ხანთან გამართეს მოლაპარაკება. 1763 წლის 12 აპრილს დაიდო ხელშეკრულება ინგლის-ირანს შორის<sup>3</sup>, რომლის ძალით ინგლისელებს ბენდერ-ბუშირში ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ. ამ ხელშეკრულებით ქერიმ-ხანი ინგლისელებს უდიდეს შეღავათებს აძლევდა. ამით იგი ცდილობდა გამოეცოცხლებინა სპარსეთის ყურეში ჩამკვდარი ვაჭრობა და საერთოდ ირანის ეკონომიკა. ინგლისელებმა მიიღეს უფლება ირანში საქონელი უბაჟოდ შეეტანათ და გამოეტანათ. მართალია ეს შეღავათი ეხებოდა მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც მათ სპარსეთის ყურის ნავსადგურებში შეჰქონდათ, მაგრამ რამდენადაც ინგლისელთა ვაჭრობა ირანთან ძირითა-

---

<sup>1</sup> შენგელია ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, „მეცნიერება“, თბ., 1973, 111.

<sup>2</sup> შენგელია ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, „მეცნიერება“, თბ., 1973, 111.

<sup>3</sup> Зоненштраль-Пискорский А.Д., Международные торговые договоры Персии, „Мосполиграф“, М., 1931, 74.



დად სპარსეთს ყურის ნავსადგურების მეშვეობით წარმოებდა, მათი ინტერესები ამ შეზღუდვის შედეგად არაფერს აგებდა. მეტად მნიშვნელოვანი იყო შეღავათი - შალეულით ვაჭრობის მონოპოლია. მხოლოდ ინგლისელებს ჰქონდათ უფლება შალეულის საქონელი, კერძოდ, მაუდი, შეეტანათ ირანში. ეს შეღავათი ინგლისელებს დიდ შემოსავალს პირდებოდა.<sup>1</sup> ფირმანის ძლით, არცერთ ევროპულ სახელმწიფოს, გარდა ინგლისისა, არ ჰქონდა უფლება ირანში შემოეტანა შალეული, მაგრამ თუ ასეთ შემთხვევას ექნებოდა ადგილი, ან რომელიმე სახელმწიფოს, ან კერძო პირის მხრივ, მაშინ უნდა მოეხდინათ შალის საქონლის კონფისკაცია. ამგვარად, შალეულის ვაჭრობის მონოპოლია ინგლისის ხელში გადავიდა. რა თქმა უნდა, ამ უფლებების მოპოვება არც ინგლისელებს დაუჯდათ იაფად.<sup>2</sup> ქერიმ-ხანის ფირმანის საფუძველზე, ირანი ინგლისელების წარმომადგენლად სცნობდა ვილიამ ანდრიუ პრაისს, რომელსაც უფლება ეძლეოდა შესულიყო სპარსეთის ყურეში და ნავსადგურ ბუშირში დაეარსებინა ინგლისელების ფაქტორია. ბენიამინ ჯერვისი გამოცხადებულ იქნა სპარსეთის ყურეში ინგლისელების მუდმივ წარმომადგენლად, ხოლო თომას ღურნფორდს და სტეფან ჰერმიტს უნდა განეახლებინათ ინგლისელების ვაჭრობა. ორივე მხარე (ინგლისელები და ირანელები) ამ შეუცვლელ ხელშეკრულებას უნდა დაემორჩილოსო.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> შენგელია ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, „მეცნიერება“, თბ., 1973, 112.

<sup>2</sup> შარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1970, 64.

<sup>3</sup> შარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1970, 65.

ფირმანის მიხედვით, ინგლისელების კომპანიას შეუძლია თავისი სავაჭრო სახლისათვის აილოს მიწის ნაკვეთი ბუშირში, ან სპარსეთის ყურის ნებისმიერ ადგილზე ნებისმიერი ოდენობით ფაქტორიის ასაგებად. მათ მიეცათ თავიანთ ფაქტორიაში ზარბაზნების განუსაზღვრელი რაოდენობით შეტანის უფლება. ინგლისელი ვაჭრები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი სავაჭრო გადასახადისაგან როგორც საქსპორტო, ასევე იმპორტულ საქონელზე. ინგლისელებს უფლება ეძლეოდათ გაესაღებინათ თავიანთი საქონელი არა მარტო სპარსეთის ყურეში, არამედ ირანის ტერიტორიის ნებისმიერ ადგილზე და არავის ჰქონდა უფლება აეღოთ მათგან გადასახადი. მხოლოდ სპარსეთის ყურის ნავსადგურების შეიხებსა და ჰაქემებს ჰქონდათ უფლება აეღოთ საბაჟო გადასახადი ირანიდან გატანილ საქონელზე 3 პროცენტის ოდენობით. ის ფაქტი, რომ მხოლოდ სპარსეთის ყურის ადგილობრივ მმართველებს შეეძლოთ აეღოთ ბაჟი, მიგვითითებს, რომ აქ მოსახლე არაბული ტომები ფაქტიურად ნახევრადდამოუკიდებელნი იყვნენ.

თუ რომელიმე ვაჭარი ინგლისის კომპანიისაგან აიღებდა ვალს, ან რაიმე ვალდებულებას იკისრებდა, ადგილობრივი შეიხი, ან ჰაქემი ვალდებული იყო აეძულებინა ირანელი მოქალაქე გადაეხადა ვალი, ან შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. თუ შეიხი, ან ჰაქემი ამ საქმეში უძლური აღმოჩნდებოდა, მაშინ თვით ინგლისის კომპანიის წარმომადგენელს ეძლეოდა უფლება, არსებული წესის მიხედვით, ამოეღო თავისი ან კომპანიის ვალი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი უფლება ინგლისელებისა, რომლებსაც შეეძლოთ ყოველგვარი საშუალება და გზა გამოეყენებინათ ირანელი ვაჭრების მათდამი სრულ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის. არცერთ ადგილობრივ შეიხს, ან მმართველს არ ჰქონდა უფ-

ლება წინააღმდეგობა გაეწია ინგლისელებისათვის საქონლის ექსპორტის ან იმპორტის საქმეში. კომპანიას უფლება ეძლეოდა ირანის ნებისმიერ ადგილზე შეეტანა, გაეყიდა და ეყიდა საქონელი. „როდესაც ინგლისის გემი შედის ირანის რომელიმე ნავსადგურში, - აღნიშნულია ფირმანში, - არცერთ ვაჭარს არ აქვს უფლება აწარმოოს მოლაპარაკება ფარულად, თუ ამის შესახებ არ იცის კომპანიის მთავარმა რეზიდენტმა“.<sup>1</sup>

ფირმანი ავალებდა ადგილობრივ შეიხებსა და ჰაქემებს, რომ თუ ინგლისის გემი დაზიანდებოდა, ან იყო მისი ჩაძირვის საშიშროება, მათ ყოველი ღონე უნდა ეხმარათ იმისათვის, რომ გადაერჩინათ გემი. ხოლო თუ ამის საშუალება უკვე აღარ იყო, მაშინ მათ უნდა გადაერჩინათ ყველა და ყველაფერი, რაც კი გემზე იყო და არ ჰქონდათ უფლება ამისათვის გასამრჯელო ან საქონლის ნაწილი მოეთხოვათ. ინგლისის კომპანიის წარმომადგენლებს და ყველა იმ პირს, რომელიც ინგლისელების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, ნება ეძლეოდათ შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური რიტუალები და არავის ჰქონდა მათთვის ხელის შეშლის უფლება. ინგლისელებისაგან გაქცეული ჯარისკაცი, მეზღვაური თუ მონა უნდა დაბრუნებოდა მის პატრონს, არავის ჰქონდა მისთვის თავშესაფრის მიცემის უფლება. ამრიგად, ინგლისელებს საშუალება ეძლეოდათ კომპანიის სამსახურში მიეზიდათ ირანელთა მომსახურე პერსონალი და თვითონ გამხდარიყვნენ მათი ბატონ-პატრონი.

ინგლისელებისათვის გამოყოფილი იყო ადგილი მიცვალებულთა დასასაფლავებლად. თუ მათ სურდათ ადგილი ბაღის გასაშენებლად და ეს ადგილი ფადიშაჰს ეკუთვნოდა, მა-

---

<sup>1</sup> შარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1970, 66.

შინ იგი უსასყიდლოდ გადაეცემოდა კომპანიას. მაგრამ, თუ იგი ეკუთვნოდა სხვა რომელიმე პორს, ამ შემთხვევაში ინგლისელებს უნდა შეესყიდათ ეს მიწის ნაკვეთი რიგიან ფასში. ქერიმ-ხანი ინგლისელებს უბრუნებდა იმ სახლს შირაზში თავის წყლით და ბაღით, რომელიც ადრე კომპანიის განკარგულებაში იყო. ესე იგი, ქერიმ-ხანს სურდა მიეზიდა ისინი თავის სატახტო ქალაქში.

ყველგან, სადაც კი ინგლისელებს ექნებოდათ სავაჭრო სახლი, მთარგმნელები და სხვა მათი მოსამსახურე პირები თავისუფლებოდნენ ყოველგვარი გადასახადისაგან. ამავე დროს, აღნიშნული პირები კომპანიას ემორჩილებოდნენ და არავის ჰქონდა მათ საქმეში ჩარევის უფლება.

ფირმანის მიხედვით, ინგლისელებს ნება ეძლეოდათ ირანში შეეძინათ საქონელი ინგლისსა და ინდოეთში გასაგზავნად. მაგრამ მათ ეკრძალებოდათ ირანში გასაყიდად შემოტანილი საქონლის საზღვარგარეთ გატანა, ვინაიდან ამგვარი მოქმედება გააღარიბებდა ირანს და ზიანს მიაყენებდა მთელი ქვეყნის ვაჭრობას.

ინგლისელებს ეკრძალებოდათ მუსლიმებთან ცუდად მოპყრობა. ირანში შეზიდული საქონლის შესყიდვაში უპირატესობას ანიჭებდნენ ცნობილ ვაჭრებს და სანდო პირებს. ქერიმ-ხანი იცავდა გაბატონებული კლასის ინტერესებს და, იმავედროულად, სურდა აეცილებინა უსიამოვნებები, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა უბრალო პირის მიერ საქონლის შესყიდვას. ინგლისელებს ეკრძალებოდათ დახმარების აღმოჩენა ფადიშაჰის მტრებისათვის, მეამბოხეებისათვის. არ ჰქონდათ მათი ირანიდან გაყვანის უფლება. ამგვარი პირები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცათ ირანის გამგებლებისათვის.

როგორც ფირმანიდან ჩანს, ინგლისელებმა მოიპოვეს სპარსეთის ყურეში ისეთი უფლებები, რომლის მსგავსი

არცერთ სახელმწიფოს არ მოუპოვებია. აშკარაა, რომ ფირმანი ინგლისელების მითითებით და უშუალო მონაწილეობით არის შედგენილი. ამავე დროს, ინგლისელების მიზიდვა ბუშირში ამ ნავსადგურის გამგებლის ინტერესებში შედიოდა, რადგან ინგლისელთა მიერ ინტენსიური ვაჭრობის გაჩაღების შემთხვევაში მასაც კარგი მოგება დარჩებოდა. მათ სრული უპირატესობა მოიპოვეს თავიანთ ევროპელ კონკურენტებზე, მაგალითად, ჰოლანდიელებსა და პორტუგალიელებზე. ახლა მათ ირანში ყოველმხრივ თავისუფალი ვაჭრობის უფლება ეძლეოდათ.<sup>1</sup>

ინგლისელებმა მიიღეს ბენდერ-ბუშირისა და სხვა ნავსადგურების შეიარაღების უფლებაც, რაც ზღუდავდა ირანელთა სუვერენიტეტს. ამრიგად, ინგლისელები უკვე XVIII ს-ის შუა ხანებში ქმნიდნენ ირანში გამაგრებულ ბაზებს ამ ქვეყნის შემდგომი კოლონიზაციის მიზნით. ხელშეკრულება ინგლისელებს ექსტერიტორიულობის უფლებასაც ანიჭებდა. მასში ნათქვამია: „სადაც არ უნდა ჰქონდეთ ფაქტორიები ინგლისელებს, მათ სამსახურში მყოფი პირები არ გადაიხდიან ბეგარას და ინგლისელებისავე წესებს, კანონებსა და გამგებლობას დაემორჩილებიან“.<sup>2</sup> მეტად მნიშვნელოვანია ქერიმხანის მიერ გაცემული ბრძანება, დაკავშირებული ვალუტის საკითხებთან. ფირმანში ამის შესახებ ნათქვამი იყო: „ინგლისელები იყიდიან სპარსელი ვაჭრებისაგან იმ საქონელს, რომლის გატანა შეიძლება ინგლისში ან ინდოეთში და მთლიანად არ წაიღებენ აღებ-მიცემობაში ნახულ მოგებას,

---

<sup>1</sup> შარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1970, 68.

<sup>2</sup> Зоненштраль-Пискорский А.Д., Международные торговые договоры Персии, „Мосполиграф“, М., 1931, 74.

რადგანაც ეს ქვეყანას აზარალებს და მთელ ვაჭრობასაც ზიანს მოუტანს“.<sup>1</sup>

ამგვარად, ასეთი დიდი უფლებების მოპოვების შემდეგ ინგლისელებმა დააარსეს ფაქტორია ნავსადგურ ბუშირში, აღმართეს თავიანთი დროშები და დადგეს ზარბაზნები. ესე იგი, ინგლისელებს უკვე თავიანთი ფაქტორიები ჰქონდათ ბასრასა და ბუშირში. ბასრა ბაღდადის ფაშას ემორჩილებოდა. ეს უკანასკნელი კი თურქეთს ვასალი იყო, ხოლო ბუშირი ქერიმის განკარგულებაში იყო. ინგლისისათვის საჭირო იყო ფართო სავაჭრო ურთიერთობა როგორც თურქეთთან, ასევე ირანთან. მაგრამ მდგომარეობა გართულდა და 1769 წელს ინგლისელები, ქერიმ-ხანთან უთანხმოების გამო, ბენდერ-ბუშირიდან ბასრაში გადადიან. ყოველივე ამან დიდი ზიანი მიაცენა ირანის ვაჭრობას.

ოსმალეთის მთავრობამ ბასრა ამკარად სცნო ინგლისელთა საკონსულოდ. ბრიტანეთის სააგენტოს ირაანიდან ოსმალეთში გადანაცვლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო. ბასრაში ინგლისელები ოთხ წელიწადს დარჩნენ. 1773 წელს, როცა აქ შავმა ჭირმა იფეთქა, მათ დატოვეს ქალაქი და ისევ ბუშირში მიბრუნდნენ. მაგრამ ინგლის-ირანის ურთიერთობა მეტად მერყევი იყო, ვიდრე 1788 წელს ინგლისელებმა, სპარსეთის ყურეში ვაჭრობის უზრუნველსაყოფად, ჯაფარ-ხანისაგან სპეციალური ფირმანი არ მიიღეს. ინგლის-ირანის ვაჭრობა მნიშვნელოვნად ფართოვდება XVIII ს-ის 90-იან წლებში.

ირანისა და რუსეთის ურთიერთობები გამოწვეული იყო როგორც შინაგანი ეკონომიკური მოთხოვნებით, ისე საერთაშორისო ვითარების ხშირი და მკვეთრი ცვალებლობით და,

---

<sup>1</sup> შენგელია ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, „მეცნიერება“, თბ., 1973, 113.

ამდენად, ერთნაირი არასდროს ყოფილა. ირანისა და რუსეთის კავშირი რეგულარულ ხასიათს არ ატარებდა. XVI ს-ის ბოლო მეოთხედიდან მოყოლებული, ოსმალთა აგრესიის გაძლიერებასთან ერთად, რუსეთის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დადგა ვოლგისპირეთში ახლად შემოერთებული ტერიტორიებისა და ჩრდილო კავკასიში მოპოვებული პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნების საკითხი, რამაც აღმოსავლეთ საქართველოსა და ირანთან დაკავშირების აუცილებლობის საკითხი დააყენა. ოსმალეთიდან მომდინარე საფრთხის გამო, რუსეთი, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ ქვეყნების ბუნებრივ მოკავშირედ იქცა.<sup>1</sup> ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ირანი არ მომძლავრდა და რუსეთის წინსვლამ კავკასიაში საშიშროება არ შეუქმნა მის ინტერესებს. ამკარა გახდა ის ფარული წინააღმდეგობა, რომელიც ყოველთვის არსებობდა ამ ფეოდალურ სახელმწიფოებს შორის<sup>2</sup>.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში, მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, ირან-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა არ შეწყვეტილა. რუსეთს მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ირანთან ვაჭრობის გაფართოებას. ამ მიზნის მისაღწევად მას პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა ირანული აბრეშუმის ექსპორტის გზების, კერძოდ, თურქეთ-ხმელთაშუა ზღვის მაგისტრალის რუსეთზე გადმონაცვლება. ამ თვალსაზრისით წარუმატებლად დამთავრდა ანა ივანეს ასულისა და ელისაბედ პეტრეს ასულის ცდები. ჯერ კიდევ 1734 წლის რუსეთ-ინგლისის შეთანხმებამ ტრანზიტული ვაჭრობის შესახებ მასზე

---

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973, 209.

<sup>2</sup> ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1977, 195.

დამყარებული იმედები ვერ გაამართლა - ვერ შეუწყო ხელი ირანული აბრეშუმის ექსპორტის რუსეთის გზებზე გადმონაცვლებას და ამასთან ინგლისელთა ანტირუსული ინტრიგების წყარო გახდა. მამასადამე, ეკატერინე II -ს სიფრთხილე უნდა გამოეჩინა უცხოეთთან სატრანზიტო შეთანხმებების გამოყენებისას. ირანთან ვაჭრობაში უპირატესობის მოსაპოვებლად რუსეთს უნდა სცოდნოდა ირანისა და ევროპის აღებ-მიცემობა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ღონისძიებანი ირანში. ამასთან რუსეთს უნდა გაეთვალისწინებინა დაბრკოლებანი, რასაც ირანში უქმნიდნენ ვაჭრებს. მაგალითად, ჩრდილოეთ ირანში ვაჭართა მდგომარეობის შესახებ აკად. ს. გმელინი აღნიშნავს: „ხანი ფულით გაუმაძღარია. ის ტყავს აძრობს არა მარტო თავის ქვეშევრდომებს, არამედ ყველა უცხოელსაც, ვინც მის პროვინციაში სტუმრად ჩამოდის. უცხოელები უკმაყოფილო მიდიან ამ ქვეყნიდან. აქ რეიდზე მდგარ სავაჭრო გემებს, რომლებსაც შემოაქვთ საქონელი გასაყიდად და გადასაცვლელად, ყოველთვის აგვიანდებათ გასვლა. დიდი ხნის ლოდინი ფუჭი გამოდგება ხოლმე, რადგან ირანის ხელისუფლება არასდროს ასრულებს დანაპირებს. არც ვაჭართა მიერ მათი უხვად დასაჩუქრება ჭრის. ვაჭრებს არ ენანებათ საჩუქრები, რადგან დაინტერესებულნი არიან, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თავი დააღწიონ ამისთანა მასპინძლობას... თვითონ ხანია უპირველესი ვაჭარი და მოიპოვებიან ვერავი მაკლერები, რომლებიც მას დაწვრილებით ატყობინებენ, რომელი გემით ვინ რა საქონელი მოიტანა. თუ მოესურვებათ და ხანის სახელით საქონელი წაიღეს ნისიად გემიდან, ვაჭარი უნდა გამოეთხოვოს საზღაურს, რადგანაც სამართალს მაინც ვერსად იპოვის“.<sup>1</sup> წყაროებით ხშირად დასტურდება რუ-

---

<sup>1</sup> Гмелин С.Г., Путешествие по России, С-Петербург, Иждивеннем императорской Академии наук, 1785, 655.



სეთის ვაჭართა მიმართ ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორც იყო ძვირფასი ქვების გამოძალვა ჩალის ფასად, გემების გაძარცვა იმ საბაბით, თითქოს ვაჭრებს დავალიანება ჰქონდათ. ყოველმხრივი ტერორი, საერთაშორისო ურთიერთობათა ელემენტარული წესების დარღვევა, ყველანაირი საშუალების გამოყენება რუს ვაჭართა დისკრედიტაციის მიზნით, რუსეთის გემების გაჩხრეკა ვითომდა ვაჭრების მიერ გადამალული საქონლის მისაგნებად და სხვ. რუსეთის მთავრობა გრძნობდა თავის ვაჭართა, როგორც სოციალური ძალის, სისუსტეს და ხვდებოდა, რომ ირანის ბაზარზე დასავლეთ ევროპის ვაჭრებისათვის კონკურენციის გაწევა მათ შესაძლებლობებს აღემატებოდა. გმელინი აღნიშნავს, რომ ირანში რუს ვაჭრებს საქონელი ნისიად ჰქონდათ გაცემული და იძულებული ხდებოდნენ აბრეშუმი შეესყიდათ იმ ფასებში, რასაც იქაური მეაბრეშუმეები მოითხოვდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სავსებით ხელცარიელი რჩებოდნენ, რადგან ირანში ჭარბად იყვნენ აბრეშუმის მუმტრები, რომლებსაც, რუსებისაგან განსხვავებით, ადგილობრივი ვაჭრებისათვის აბრეშუმის პარკში ნაღდი ოქრო-ვერცხლის შეთავაზება შეეძლოთ.<sup>1</sup>

ირანი ცალკეულ სახანოებად იყო დაყოფილი. მას არ ჰყავდა ერთი მმართველი, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა სავაჭრო ხელშეკრულების დადება და ვაჭრობის რეგულირება. ამიტომ ვაჭრობა იქ სტიქიურ ხასიათს ატარებდა და უმთავრესად დამოკიდებული იყო კასპიისპირა სანაპიროების სახანოების გამგებლებზე. ქერიმ-ხანმა, საკუთარი პოზიციების განმტკიცების შემდეგ, ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში გადაწყვიტა არა მარტო ინგლისელების მიზიდვა

---

<sup>1</sup> Гмелин С.Г., Путешествие по России, С-Петербург, Иждивеннем императорской Академии наук, 1785, 606.

სპარსეთის ყურეში, არამედ იგი რუსეთთან ვაჭრობის გაუმჯობესების მომხრეც იყო.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ თავის ქვეყანაში მას არც ჰქონდა და არც შემდეგში შეუქმნია ნორმალური პირობები საგარეო ვაჭრობისათვის, მას ფირმანებიც კი დაუგზავნია მის დაქვემდებარებაში მყოფი ხანებისათვის, რომ არ შეევიწროებინათ და არ შეშალათ ხელი რუსეთის ვაჭრებისათვის. პირიქით, მათ ევალებოდათ ხელის შეწყობა ირან-რუსეთის ვაჭრობისათვის.<sup>2</sup>

მიუხედავად ირანში შექმნილი რთული ვითარებისა, ქერიმ-ხანის მმართველობის პერიოდში გრძლდებოდა ირან-რუსეთის სავაჭრო ურთერთობა, რომელსაც უფრო მეტი სარგებლობა მოჰქონდა ირანელი ვაჭრებისათვის, ვიდრე რუსეთისათვის.<sup>3</sup> ირანთან ვაჭრობა რუსეთის მთელი ვაჭრობის მხოლოდ 3-4 პროცენტს შეადგენდა.<sup>4</sup> რუსეთს ირანში უმთავრესად გაჰქონდა მაუდი, ხავერდი, რკინის ჭურჭლი, შაქარი, პურის ფქვილი, ლაქი და სხვ. ირანიდან რუსეთში შეჰქონდათ აბრეშუმის პარკი, აბრეშუმის ქსოვილი, ბამბა, ბრინჯი, ენდროს საღებავი და სხვ. რუსეთის რკინამ ირანთან ვაჭრობაში სათანადო ადგილი ვერ დაიკავა. ეს, ერთი მხრივ, შესაძლოა მიეწერებოდეს სატრანზიტო სიძნელეებს, რასაც რუსეთი განიცდიდა და, მეორე მხრივ, იმ დიდ მოთხოვნებს, რაც მაშინ რუსეთის რკინაზე იყო დასავლეთ ევროპაში.

---

<sup>1</sup> Маркова О.П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, „Наука“, М., 1966, 67

<sup>2</sup> Покровский С.А., Внешняя торговля и внешняя торговая политика России, „Наука“, М., 1947, 105.

<sup>3</sup> Покровский С.А., Внешняя торговля и внешняя торговая политика России, „Наука“, М., 1947, 106.

<sup>4</sup> Джанелидзе Д.Д., Иранский вопрос во внешней политике России второй половины XVIII века, „Наука“, М., 1967, 10.

ამრიგად, XVIII ს-ის მეორე ნახევარში ირანისა და რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, მკვეთრად იცვლებოდა. ევროპის სახელმწიფოთა და, კერძოდ, ინგლისელთა პოზიციები ირანში მეტად სუსტი იყო. ევროპის სახელმწიფოებს თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები ძირითადად სპარსეთის ყურის სანაპიროსა და კუნძულებზე ჰქონდათ. მათი ინტერესები ჯერჯერობით მხოლოდ ვაჭრობით განისაზღვრებოდა და ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე არსებით გავლენას ვერ ახდენდა.

#### **დამოწმებანი:**

- 1) ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
- 2) ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1977.
- 3) შარაშენიძე ზ., ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, „მეცნიერება“, თბ., 1970.
- 4) შენგელია ლ., ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, „მეცნიერება“, თბ., 1973.
- 5) Гмелин С.Г., Путешествие по России, Иждивенмем императорской Академии наук, С-Петербург, 1785.
- 6) Джанелидзе Д.Д., Иранский вопрос во внешней политике России второй половины XVIII века, “Наука”, М., 1967.
- 7) Зоненштраль-Пискорский А. Д., Международные торговые договоры Персии, „Мосполиграф“, М., 1931.
- 8) Маркова О.П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, „Наука“, М., 1966.

9) Пигулевская Н. В., Якубовский А.Ю., Петрущевский И.П., Строева Д.В., Беленицкий Л. М., История Ирана с древнейших времен до конца 18 века, Издательство Ленинградского университета, Л., 1958.

10) Покровский С.А., Внешняя торговля и внешняя торговая политика России, „Наука“, М., 1947.

*Lela Togoshvili*

*Gori State Teaching University*

**TRADE RELATIONS OF IRAN WITH ENGLAND AND  
RUSSIA IN THE SECOND HALF OF THE 18<sup>TH</sup>  
CENTURY (FOR TO STUDY THE ISSUE )  
RESUME**

The positions of England and Russia were weaker in Iran in the second half of the 18<sup>th</sup> century. Foreign merchants were in danger by disarrangement in the country. Despite the difficult situation in Iran trade relations were not stopped between these countries. Their interest was trading and it didn't influence on political and economical life of the country.

**ელდარ მამისტვალიშვილი**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**მკურნალობა – მოხერხებული საშუალება კათოლიკური პროპაგანდისათვის**

მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსათვის თეატინელთა მისიონი საქართველოში ისე დასუსტდა, რომ იგი მხოლოდ სამეგრელოში შემორჩა. რომში გადაწყვიტეს თეატინელები კაპუჩინელთა ორდენის ბერ-მონაზვნებით ჩაენაცვლებიათ. წმინდა კონგრეგაცია „დე პროპაგანდა დე ფიდელში“ მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ომებით გავერანებულ ქვეყანაში, გაჭირვებასა და სიღარიბეს შერვეული კაპუჩინელები უფრო გამოდგებოდნენ. მათი პირველი ნაკადის შემოსვლა საქართველოში 1662-63 წლებში მოხდა, ხოლო იმერეთში, ოდნავ მოგვიანებით, 1670 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო. არსებობს ერთი კაპუჩინელი მოძღვრის, კარლო მარია დე სენტ-მარენის მიერ „პროპაგანდისადმი“ წარდგენილი მოხსენება, დათარიღებული 1668 წლის 28 ნოემბრით, სადაც იგი აღნიშნავს: „ქუთაისში არის თეატინელთა მიტოვებული ეკლესია. იქაური მეფე (იგულისხმება ბაგრატ IV) მის მოცემას დაგვიპირდა, თუ წავედით და დავდექით იმ ქალაქში“<sup>1</sup>.

მეფე ბაგრატ მეოთხეს მაინც სურდა, თავის კარზე ჰყოლოდა მისიონერები და ცდილობდა, როგორმე დაებრუნებინა ისინი. ამ მიზნით მან 1674 წელს წერილი მისწერა

---

<sup>1</sup> მიქელ თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902, გვ. 234.

თბილისში კაპუჩინელთა პრეფექტს სერაფინო და მელიკოკას თხოვნით, ეშუამდგომლა, რათა რომიდან ქუთაისში გამოეგზავნათ „*ორიოდე კაი მეცნიერი და კაი ექიმი პატრი, მათივე საექიმო წამლებით და წიგნებით*“, თან ჰპირდებოდა, რომ გაუწევდა მათ მფარველობას, კარგ პირობებს შეუქმნიდა სამუშაოდ და პაპსაც მისწერდა ამის შესახებ. საინტერესოა, რომ მელიკოკას *ამასვე თხოვდა* იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი გავლენიანი თავადი, შოშიტა რაჭის ერისთავიც<sup>1</sup>.

მართალია, ბერძნებმა ონში მისიონერთა ეკლესია-მონასტერი დაარბიეს, მაგრამ ამით კათოლიკობას დიდად ვერ ავნეს, ვინაიდან ვინც იქ კათოლიკე იყო, ისევ კათოლიკედ დარჩენილა, როსტომ ერისთავისა და კათალიკოს ბესარიონის ჩათვლით (?). მათ დიდი სურვილი ჰქონიათ ონში მისიონის კვლავ აღორძინებისა, რის გამოც გამუდმებით თხოვდნენ კაპუჩინელთა მისიონის პრეფექტს ახალციხეში, ალოიზიოს, გამოეგზავნა მისიონერები რაჭაში. პრეფექტი ერთხანს თავს იკავებდა, ისევ და ისევ მოსალოდნელი ზიფათის გამო, მაგრამ, საბოლოოდ, მან მაინც გამოგზავნა იმერეთს ერთი მოძღვარი და *ექიმობაში განსწავლული* ძმა დიონიზიო. მათი მოსვლით მისიონი რაჭაში კვლავ განახლებულა. ისინი ჯერ ქუთაისში, მეფე სოლომონთან შეჩერებულან ერთხანს და შემდეგ წასულან ონში<sup>2</sup>.

წერილით პიუს მეექვსისადმი, რომელიც 1779 წლის 25 აგვისტოთია დათარიღებული, მეფე აცნობებს პაპს, თურა უბედურება დაატეხეს თავს მის სამეფოს ოსმალებმა და სთხოვს, დაეხმაროს მის გაჭირვებულ ხალხს, ასევე, იგი

---

<sup>1</sup> ლევან ბეგიშვილი, კათოლიკობის ისტორიის შესახებ იმერეთში // კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში I. 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (6-8 ივნისი, 2017), მასალები, თბილისი, 2018, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 118.

ითხოვს, **გამოგზავნოს ორი ექიმი „ყოვლისა სნეულობისა“** და მისთვის საჩუქრად ერთი საათი. სოლომონის წერილს უპასუხა ახალმა პაპმა პიუს მეშვიდემ. პაპი მეფეს ამცნობებდა, რომ „დიდად განიხარა“ მისი წერილით, ამავე დროს სწუხს ყოველივე ამის გამო, ამხნეებს მას და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ: „სიკეთე გნებავსთ ჩვენის საყდრისა და ჩვენთვის, ეწვეით და იფარავთ ყველა კათოლიკეებს და მეტადრე მისიონერებს“ და ჰპირდება მეფეს, რომ აუცილებლად ეცდება **გამოგზავნოს ერთი კარგი ექიმი**<sup>1</sup>.

კაპუჩინები განიცდიდნენ უკიდურეს მატერიალურ სიღუბნეში, რადგან წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდე“ მათ კუთვნილ ჯამაგირს წლობით აგვიანებდა. ამიტომ პატრების რჩენის ერთგვარ წყაროს მათ მიერ **საექიმო საქმიანობიდან გასამრჯელოს აღება** წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ღარიბებისაგან გასამრჯელოს არ იღებდნენ. ამან მაინც მისიონს დიდი ზიანი მიაყენა, რადგან გასამრჯელოზე მკურნალობამ მოსახლეობის პატრებისადმი დამოკიდებულებაზე ცუდად იმოქმედა<sup>2</sup>, რაც წმ. პროპაგანდის უკმაყოფილებას იწვევდა.

ღონ კრისტოფორო დე კასტელმა ვენეციაში ყოფნის ოთხი თვის შემდეგ შეძლო გამგზავრებულიყო ფლორენციასა და რომში. „ფლორენციის დიდ ჰერცოგთან (ფერდინანდ II-სთან – ე.მ.): იმერეთის მეფის ელჩის სახით ვიყავი გამოგზავნილი; ამ მეფეს უნდოდა ფლორენციის **ჰერცოგთან მეგობ-**

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>2</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Fiferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol. 1, f.167. *ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) / იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალისძეილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018, გვ. 9.*

*რობის დამყარება და წამლების მიღება მისი მეუღლისათვის – დედოფ-ლისათვის, რომელიც ავადმყოფობის გამო იტანჯებოდა<sup>1</sup>.*

კასტელი მოგვითხრობს, რომ სამეგრელოს მთავარს უნდოდა მისიონერს მოესატა მთავრის ანუ ზუგდიდის მთავარი ეკლესია (დღეისათვის აღარ არსებობს). ნახატებს შორის ფრესკის სახით გადმოცემული უნდა ყოფილიყო მისი მეუღლის, დედოფლის, ისტორია, კერძოდ, მისი ავადმყოფობა და გარდაცვალება. ფრესკის კომპოზიცია იყო: მომაკვდავი დედოფალი, დამწუხრებული მთავარი გარემოცვაში ქალების, ექიმებისა და მისიონერების, რომლებსაც *წამლები მიაქვთ ავადმყოფთან<sup>2</sup>*.

კაპუჩინი მისიონერ ჯუზეპე ანტონიო რომანოს მიერ თბილისიდან 1675 წლის 15 აგვისტოს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი მიწერილი წერილიდან ვიგებთ, რომ ის ერეკლე ბატონიშვილს დაუახლოვდა მას შემდეგ, რაც მან ირანში *ავადმყოფობისაგან განკურნა* ის და მთელი მისი კარი, დაახლოებით ასი ადამიანი ერთი თვის განმავლობაში. მაღლიერმა ერეკლემ ჯუზეპეს საქართველოში დასაბრუნებლად გზის ფული მისცა. გამგზავრების წინ პატრმა ერეკლეს „სამახსოვრო ბარათი“ დაუტოვა, რომელშიც ეწერა: „მისი სახელმწიფოს ერთ-ერთ პროვინციაში პაპის ტახტი ადგილობრივი ქრისტიანების სამსახურისათვის ფლობს სახლს, ვენახს და მიწას. ამ ქონების

---

<sup>1</sup> ალექსანდრე ორჯერ იყო ნაქორწინები: პირველად მამია გურიელის ასულზე, თამარზე, მეორედ თეიმურაზ I-ს ასულზე, ზურაბ არავკის ერისთავის ქვრივზე, დარეჯანზე.

<sup>2</sup> ლიზინი ა. პ., *კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში / თარგმანი, შესახალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, 2009, გვ. 116.*



ჩვენთვის დაუბრუნებლობა მისი მთავრული ღირსებისათვის შეუფერებელი იქნებოდა“. ერეკლემ ხელსაყრელად ჩათვალა ესარგებლა შემთხვევით და ჯუსტინოს „გულთბილად“ უპასუხა: როცა თავისი ქვეყნის დასახელებულ პროვინციებს ფლობდა, მაშინ იქ მისიონერები არ იმყოფებოდნენ და ამდენად მას რაიმე ვალდებულება არ ჰქონდა მათ წინაშე, მაგრამ მისიონერები თუ შაჰს ჩააგონებენ, რომ ერეკლეს თავის სამეფო დაუბრუნოს, მაშინ ის მათ დაუბრუნებდა ყველა ქონებას<sup>1</sup>. ამასთანავე, ერეკლე ბატონიშვილმა გამოთქვა სურვილი: „თუ აქ ორი ახალი მისიონერი ჩამოვა – *ერთი ექიმი, მეორე ქირურგი*, მაშინ ის თავისი სახლისა და კარისათვის წამლების შესაძენად მათ წელიწადში რეგულარულად გადაუხდიდა 100 სკუდოს. ამის შესახებ მას უნდა ჩვენს ბატონ პაპს მისწეროს“. ჯუზეპემ პასუხის გაცემისაგან თავი შეიკავა, უმჯობესად მიიჩნია დალოდებოდა შაჰის კარის გადაწყვეტილებას<sup>2</sup>.

ეკონომიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მისიონერებმა გადაწყვიტეს მკურნალობისათვის გასამრჯელო აეღოთ. გთავაზობთ ამონარიდს საქართველოში კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის სერაფინო და მელიკოკას მიერ 1674 წლის 18 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია ღე პროპაგანდა ფიდესადმი თბილისიდან მიწერილი წერილიდან: „ახლა გაუწყებთ: ნამდვილად არ მახსოვს, ვთხოვდი თუ არა წმინდა კონგრეგაციას [ავადმყოფთა] *მკურნალობისათვის რაიმე გასამრჯელოს აღებაზე* ნებართვას. მე ყოველთვის წინააღმ-

---

<sup>1</sup> იგულისხმება გორში თეათინელთა და ავგუსტინელთა ყოფილი ქონება.

<sup>2</sup> *Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congresso, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 189 r-196 v. ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი), გვ. 73-74.*

დეგი ვიყავი ამგვარი გასამრჯელოსი და განკარგულება გავეცე, რომ არავის მოეთხოვა იგი. ასეთ წესს მხარს ვუჭერდი ჯერ კიდევ ჩემი წინამორბედის მოსვლამდე და მას შემდეგაც, როცა მისიონის ხელმძღვანელობა მივიღე. რადგან ბოლო წლებში არ მიგვიღია ჩვენთვის განკუთვნილი ყოველწლიური სარჩო (ზედიზედ 4 წლის მანძილზე არაფერი მიგვიღია), უკიდურესმა გაჭირვებამ გვაიძულა გასამრჯელო აგველო, რაზედაც თვალს ვხუჭავდი და ამან მისიონს დიდი ზიანი მიაყენა<sup>1</sup>.

კაპუჩინი მისიონერ ჯუზეპე ანტონიო რომანოს მიერ თბილისიდან 1675 წლის 1 ოქტომბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი მიწერილი წერილით ცდილობდა დაესაბუთებინა **ადგილობრივ მოსახლეობის მკურნალობა, როგორც კათოლიკური პროპაგანდისათვის მოხერხებული საშუალება**. ჯუზეპე წერდა, რომ მკურნალობა საშუალებას აძლევდა მისიონერ ექიმებს მოენახათ ქვეყნის მმართველებთან მისასვლელი გზა, დიდებულებისა და მწვალებლების (სომეხი გრიგორიანელების, ქართველი მართლმადიდებლების) სახლებში შესვლის საშუალება. ამიტომ მისიონის ნორმალური მუშაობისათვის მღვდელთაგან ერთი უნდა იყოს ქირურგი, მეორე ექიმი, ან თუნდაც მღვდელი იყოს ფელდშერი<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 178 r-179 v. *ვერობული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)*, გვ. 44.

<sup>2</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 263 r-265 v. *ვერობული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)*, გვ. 72-73. *წინამდებარე რელაციის მცირე ნაწილი პირველად თავისუფალი თარგმანის სახით გამოაქვეყნა მიქელ თამარაშვილმა (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902, გვ. 249-250.*

ბერნარდო მარია და ნაპოლი თავის „საცნობო ბარათში“ (1676 წლის 10 მარტი) წერდა, რომ მისიონერებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წამლების მიღებას ერეკნიდან, რადგან საქართველოში მათი შეძენა შეიძლება მხოლოდ ორი ან სამი თურქისაგან და იგი იმდენად ძვირი იყო, რომ ყველაზე მდიდრებს თუ შეეძლოთ მათი ყიდვა; მისიონერები იძულებული იყვნენ ამაზე დაეხარჯათ ის მოწყალეობა (მარცვლის, ფქვილის და სხვ.), რადგან საქართველოში, როგორც ის აცხადებდა, *მხოლოდ ექიმობით შეეძლოთ არსებობა და მასპინძელთა კეთილი განწყობის მოპოვება.*

წელიწადში ერთხელ შეიძლებოდა წამლების დიდი ტვირთის გაგზავნა ერეკნიდან, სადაც ისინი იაფად იყიდებოდა; ამგვარად, *მისიონერები შეიძლებდნენ ექიმობას ისე, რომ არაფრის შეეშინდებოდათ, ხოლო წამლებისა და მკურნალობის სანაცვლოდ, მოთხოვნიდნენ ბრინჯს, ზეთს და სხვ., რომელიც ჰქონდათ ღარიბებსაც და მდიდრებსაც*<sup>1</sup>.

ჯუზეპე ანტონიო რომანოს მიერ 1677 წლის 1 მაისს გორიდან წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილ წერილში წუხილით აღნიშნავდა: ღირსეულო ბატონო, რას გვიბრძანებთ ისეთ ვითარებაში, როცა უკან გზაზე ჩემმა მეგობრებმა 40 პიასტრი მომიგროვეს და ისიც უფროსს გადავეცი ორი მრევლის შესანახად, რაც უკვე დახარჯულია. *საექიმო საქმიანობა ვერ დაგვებმარება, რადგან ყველა დიდებული [ქალაქიდან] წავიდა და თავის მამულში ჩაიკეტა. ქალაქიდან გასვლა საშიშია, ღარი-*

---

<sup>1</sup> Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 214 r-218v. *ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი)*, გვ. 93

*ბებს მადლობაზე ვმკურნალობთ და, აი, კალებში ჩაძირვას ვიწყებთო<sup>1</sup>.*

1 ივნისს გორიდან წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდეს“ ერთ-ერთი კარდინალისადმი გაგზავნილ წერილში, ჯუზეპე უბრუნდება მკურნალობის საკითხს და იხსენებს გურიის მთავარის მიერ მისიონერებთან ერთი დიდებულისა და ოთხ მსახურის გაგზავნის შესახებ. ის ითხოვდა მის სამთავროში მისიონერების ჩასვლას. იმ ეკლესიებისა და ქონების გარდა, რომელიც ოდესღაც მამა-თეათინელებს ეკუთვნოდათ, მთავარი კაპუჩინებს პირდებოდა ერთ სოფელს 20 სახლითა და ქვეშევრდომებით. ამ უკანასკნელთ დაევალებოდათ მამების მომსახურება და მისიონერების მამულის მოვლა. *მისიონერებს თავიანთი ზარჯით უნდა შეეძინათ მხოლოდ წამლები<sup>2</sup>.*

1677 წლის მეორე ნახევარში ჯუსტინო ირანში იყოფებოდა. იქ მან გაიცნო ბატონიშვილი ერეკლე/ნიკოლოზი (შემდეგში მეფე ერეკლე I). ის და „*მისი მთელი ოჯახი ავად იყო შავი ჭირის მსგავსი დაავადებით*. მე შევთხოვე წმ. სამსონს<sup>3</sup> (გაურკკ.) ექიმი, მისიონერი და ყველანი გამოჯანმრთელდნენ. ამიტომ, თუ ის [საქართველოში] დაბრუნდება, მე არა მხოლოდ ვპირდები, რომ ვისარგებლებ მისი კეთილგანწყობით ჩვენი საქმეების მოსაგვარებლად, არამედ ვიმედოვნებ

---

<sup>1</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Giorgia 1626-1707, vol I, ff. 135v-137 r. იქვე, გვ. 102.

<sup>2</sup> ამ რელაციონის დაწერის დროს გურიის მთავარი იყო გიორგი III გურიელი (1664-1684).

<sup>3</sup> წმინდა სამსონ რომაელი, ექიმი, რომელიც შემდეგ იყო მღვდელი. ის (Teatro Farmaceutico, Dogmatico e Spagirico, del dottor Giuseppe Donzelli. In Venezia, MDCCXXVIII).

უფრო მეტზე, რადგან ის ძალიან ღვთისმოსავია და დიდ პატივს სცემს სამოციქულო სარწმუნოებას“<sup>1</sup>.

ირანიდან მობრუნებულმა ჯუსტინომ მოიარა სამცხე, დაბრუნდა თბილისში და შემდეგ გაეშურა გურიაში, რომლის მთავარი გიორგი III გურიელმა (1664-1684) მას შეუთვალა, რომ რომის პაპის ქვეშევრდომ მამებს, რომელთაც *ხელეწიფებათ ექიმობა და ქირურგობა*, შეეძლოთ გურიაში თავისუფლად დაებრუნებინათ სახლი, ეკლესია, ბაღი, ოცი კომლი ქვეშევრდომებით, ათი ცხენი, ღორები და ცხვრები<sup>2</sup>. თავის მხრივ, ჯუსტინომ მოითხოვა *გაევ ზავნათ გურიაში სამი მამა, რომელთაც შეეძლოთ მკურნალობა, ან ორი ძღველი და ერთი ქირურგი*<sup>3</sup>.

ჯუსტინოს აზრით, მოსახლეობას თუ არ ეცოდინებოდა, რომ მისიონერებს ინახავდა წმინდა კონგრეგაცია, მაშინ ისინი ვერ ისარგებლებდნენ პატივისცემითა და ავტორიტეტით. ამასთან ერთად, თუ საქართველოს *პრეფექტი მოამარაგებდა მისიონერებს წელიწადში ორი საპალნე წამლებით*, მაშინ ისინი მოიკრებდნენ ძალას და ახალი ხარჯებით არ დაამძიმებდნენ წმინდა კონგრეგაციას. *ისინი დააკმაყოფილებდნენ ამ ქვეყნის დიდებულებს და მოიპოვებდნენ მათს კეთილგანწყობას*<sup>4</sup>.

მას შემდეგ რაც სხვადასხვა საჭიროებამ, მეურნეობის მოწყობამ და სხვ. *აიძულა მამა მისიონერები საქართველოში დაეწყოთ ფულის აღება მკურნალობისათვის, მას შემდეგ, რაც თითქოს მე გავხდი მთავარი ექიმი* (მართალია, არა

---

<sup>1</sup> Archivio di Propaganda Fide, Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707, vol I, ff. 246 r-248 v. იქვე გვ. 112-113.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 116.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 117

<sup>4</sup> იქვე, გვ. 118.

აფორიზმთან თანხმობით: „ექიმო უმკურნალე შენს თავს“), *მე არასოდეს არავითარ პირობას ვაყენებდი და არაფერს ვითხოვდი მკურნალობისათვის. უბრალოდ ვიღებდი ყველაფერს, რასაც მადღევდნენ, მათ შორის ფულსაც.* ვფიქრობ, ასეთი მოქცევა პასუხობს წმინდა კონგრეგაციის მისწრაფებას უზრუნველჰყოს მისიონის მშვიდი არსებობა<sup>1</sup>.

კაპუჩინთა მისიონის პრეფექტის ჯულიო და კრემონას მიერ თბილისიდან 1691 წლის 28 ნოემბერს წმ. კონგრეგაცია „დე პროპაგანდა ფიდელსთვის“ გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: რომ *მკურნალობით დაგროვილი ფულით შეძლეს ახალი თავშესაფარის აგება თბილისში*<sup>2</sup>.

უფროსი მოქადაგის, ფრა' ბერნარდო მარია და ნაპოლი, საქართველოს მისიონის ყოფილი ვიცე-პრეფექტი, თავის წერილში გამოთქვამს აზრს საქართველოს მისიონის მიღწევებისა და ნაკლოვანებების შესახებ<sup>3</sup>.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მისი აზრით, ის მესამე *ნაკლი, რომელიც დაკავშირებული იყო საქეიმო საქმიანობასთან.* მიუხედავად ამისა იგი მეტად საჭირო იყო მისიონებისათვის, აქ საქართველოში, ვიდრე სხვაგან. *ექიმობა მისიონერებს აძლევდათ საშუალებას, რომ ამ ხელოვნებით დაახლოვებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც უკიდურესად საჭიროებდა და ძალიან სურდა დასავლეთიდან მოსული ექიმების დახმარება, თუმცა ისინი მწვალებლები<sup>4</sup> და მტრულად იყვნენ განწყობილნი კათოლიკობის მიმართ.*

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 119.

<sup>2</sup> Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, ff. 438 r-447r. იქვე, გვ. 192.

<sup>3</sup> წერილი უთარილოა. Archivio di Propaganda Fide. Scritture Riferite nel Congressi, Georgia 1626-1707. Vol. I, f. 224 r-227 r.

<sup>4</sup> ამ შემთხვევაში უმთავრესად იგულისხმებიან სომეხი გრიგორიანები და მართლმადიდებლებიც.

ექიმობას მისიონერებისათვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ისინი მკურნალობის საბაბით აწარმოებდნენ საუბრებს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, მაგრამ ეს მეტად საჭირო საშუალება ამორებად მათ საბოლოო მიზანს. და რამდენადაც მისიონერები მოსწყდნენ საბოლოო ყოფით მიზნებს – ისინი იძულებულნი გახდნენ ეძებათ თავისთვის საზრდო. აქედან მომდინარეობდა ის, რომ საქართველოს მმართველთა და მათ კარს შორის, სადაც მისიონიდან, გარდა ექიმებისა, არავის ჰქონდა შეღწევის საშუალება და სხვა მისიონერები არ სარგებლობდნენ პატრიარქის ცემით. ამიტომ იყო ძალიან მოკრძალებული მათი წარმატებები სარწმუნოების გავრცელების საქმეში.

ბერნარდო მდგომარეობის გამოსწორების ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა მისიონერებისათვის კუთვნილი წლიური საზრდოს მიცემას. თუკი ეს გაკეთდებოდა, მაშინ შეიძლებოდა მისიონერებს აკრძალვოდათ გასამრჯელოსათვის ექიმობა, ხოლო მირთმეული საჩუქრები გადასცემოდა კათოლიკეთა თემის წინამძღვრს, რათა გამოიყენებინა თემის საჭიროებინათვის<sup>1</sup>.

კათოლიკე მისიონერების, კერძოდ კაპუჩინების მდგომარეობა, ადგილი და როლი შესახებ XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, სრულიად პირუთვნელად და ნათლად დავიხატა ცნობილმა ჟან შარდენმა<sup>2</sup>. „...ცამეტი წელია, რაც ისინი რომიდან გამოუგზავნიათ; მკურნალთა სახელის

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 123-124.

<sup>2</sup> 1672-1673 შარდენმა წლებში იმოგზაურა საქართველოში. მან მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, ვრცლად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი უამრავი ფაქტი და მოვლენა, პირადი შთაბეჭდილებები შეავსო საქართველოს წარსულის შესახებ ცნობით, რომლებიც ამოკრება ბერძენ, რომაელ და სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებიდან და წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებიდან.

წყალობით, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ და როგორადაც მათ მიიჩნევენ, ყველგან კარგად მიუღიათ... თავდაპირველად ისინი დამკვიდრებულან თბილისში, შემდეგ კი გორში. შანავაზ-ხანს ორსავე ქალაქში თითო სახლი უბოძებია მათთვის, თანაც ნება მიუცია თავიანთი სარწმუნოება თავისუფლად ექადაგათ... მისიონერთა შორის ის, ვინც უფრო დახელოვებულია მკურნალობაში, მთავარს თან ახლავს და მისი მფარველობის ქვეშ არის. ეს მათთვის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს ქართველი და სომეხი სამღვდელთა მისი წინააღმდეგ, რომლებიც დროდადრო ცდილობენ ამ მისიონერთა განდევნას, რადგანაც ხედავენ მათ მეტიისმეტად გულმოდგინებას ხალხის თავიანთ მხარეს გადასაყვანად. მაგრამ, რადგანაც საქართველოში არც მკურნალებია და არც დასტაქრები, ისინი მეტად საჭირონი არიან სამედიცინო და ქირურგიული პრაქტიკისათვის და ზოგიერთი მათგანი, ვინც უფრო დახელოვებულია ამ დარგში, დიდი წარმატებით მოღვაწეობს. მათ პაპისაგან მკურნალობაში გასამრჯელოს მიღების ნებართვა აქვთ, რასაც ისინი იყენებენ. ასე რომ მკურნალობა მათი საარსებო საშუალებაა. ჩვეულებრივად მათ გასამრჯელოს უხდიან ღვინით, ფქვილით, პირუტყვითა და ახალგაზრდა ტყვეებით. ზოგჯერ ცხენებსაც აძლევენ. ისინი ჰყიდიან ყველაფერს, რაც მათთვის სარჩოდ საჭირო არ არის ან რაც გამოუსადეგარია. ამ დიდი დახმარების გარეშე, რომელსაც მკურნალობისთვის იღებენ, მათ გაუჭირდებოდათ კონგრეგაციის მიერ გაცემული წლიური ხელფასით თავის რჩენა“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> შარდენი, მოგზაურობა ირანსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 323-325.



*Eldar Mamistvalishvili*  
*Gori State Teaching University*  
**HEALING AS A CONVENIENT WAY FOR CATHOLIC  
PROPAGANDA  
RESUME**

The main instrument of Capuchin missionaries propaganda in Georgia was the healing of local population in the last quarter of the XVII century. This gave the opportunity to missionary doctors to find the ways to come closer to the rulers of the country, noblemen and broad layers of the population, though they could not achieve any success from the point of view of propaganda of Catholicism, whose reasons were mentioned in the notes, sent to Rome by the missionaries themselves.

**სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაცია  
იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილების მიხედვით**

დიდი წინაპრების ზნეობრივი მაგალითები, სახელოვან მამულიშვილთა სასიკეთო საქმეების გამომხეურებასა და საზოგადოებისთვის მიწოდება-გაცნობას უდიდესი კეთილისმყოფელი გავლენა ჰქონდა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში. ამიტომაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სამაგალითო ცხოვრების აქტუალიზაცია XIX ს-ის ქართულ ბეჭდურ მედიაში. ქართული ერთობის ფორმირების ეპოქალურ პროცესში აქტიურად იყო ჩართული ი. გოგებაშვილი. იგი აღნიშნული თვალსაზრისით ხშირ საუბრებს მართავს მკითხველებთან სამაგალითო ქართველების ღვაწლზე ვინაობის, ენის, სარწმუნოების შენარჩუნება-დაცვაში.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა სპეციალურ ლიტერატურაში. ამჯერად მე არ შევეუდგები მათ განხილვას. მე მხოლოდ აღვნიშნავ იმ ნაშრომებს, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით წარმოდგენილია მამულიშვილობის თემა. თუმცა ამ ნაშრომებში ვერ ვხვდებით ქართული იდენტობისათვის სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაციის მნიშვნელობის ანალიზს. ნაშრომებში უმთავრესად წარმოდგენილია პატრიოტული შეხედულებების შესწავლა. დ. ყიფშიძის თვალსაზრისით ი. გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პატრიოტულ აღზრდას და გამორიცხავ-

და ზნეობრივ აღზრდაში რელიგიის როლს<sup>1</sup>. თუმცა აღინიშნა თვალსაზრისი, რომ ი. გოგებაშვილი, პატრიოტულ აღზრდასთან ერთად, არ გამოირიცხავდა ქრისტიანული სარწმუნოების როლს ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით<sup>2</sup>. ტ. სარიშვილი შეხედულებით გმირობისა და სიმამაცის ისტორიული მაგალითებით ი. გოგებაშვილი მოსწავლე-ახალგაზრდობაში აღვივებდა მშობლიური ერის სიყვარულს, მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირვისა და მტერთან შეურიგებლობის გრძნობებს<sup>3</sup>. მამულიშვილობის აღზრდის საკითხს ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობაში ეხება ჟ. ბლაგიძე<sup>4</sup>. პატრიოტიზმის თემა იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში განხილულია ნატო ყურაშვილის სტატიაშიც<sup>5</sup>. ამავე თემაზე არაერთი საყურადღებო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული თავიანთ ნაშრომებში გ. გოგოლაშვილს, შ. ძიძიგურს, ზ. ჭუმბურიძეს, ი. მეგრელიძეს, ვ. რამიშვილს და სხვებს.

წინამდებარე გამოკვლევაში შევეცდები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით – ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის ფარგლებში - წარმოვადგინო ი. გოგებაშვილის პუბლი-

---

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1940, 47.

<sup>2</sup> გ. კვანტალიანი, დიდი ქართველი პედაგოგი ქრისტიანული რელიგიის მნიშვნელობაზე მოზარდთა ზნეობრივ აღზრდაში, სკოლა და ცხოვრება, #4, 1990, 45-47.

<sup>3</sup> ტ. სარიშვილი, იაკობ გოგებაშვილი პატრიოტული აღზრდის შესახებ, კომუნისტური აღზრდისათვის. საიუბილეო კრებული, #10, 1940, 35-36.

<sup>4</sup> ჟ. ბლაგიძე, ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში. თსუ, თბ., 1990.

<sup>5</sup> ნ. ყურაშვილი, პატრიოტიზმის საკითხი იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაში, საზრისი, #24, 2008, 54-57.

ცისტური წერილების მიხედვით სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაციის როლი ქართული იდენტობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ეთნოსიმბოლისტური პარადიგმის მესაფუძვლე გახლავთ ბრიტანელი მეცნიერი ე.დ. სმითი, რომლის შრომები ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მ. ჩხარტიშვილისა<sup>1</sup> და ლ. პატარიძის<sup>2</sup> თარგმანებით. ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სუბიექტივისტურ ფაქტორებს. აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომში აქცენტები გაკეთდება საზოგადოებრივ პერცეფციებზე, სიმბოლოებზე, ისტორიულ მახსოვრობაზე, ღირებულებებზე.

ურთულესი პერიოდი ედგა ქართულ იდენტობას XIX ს-ის II ნახევარში. რუსული მმართველობამ იმდენად გადაავარა ქართველობა, ი. გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიოგენეს ფარნითაც კი შეუძლებელი იყო ჭეშმარიტი მამულიშვილების პოვნა. ამიტომაც იგი ხალხში მამულიშვილური გრძნობის გაღვიძების მიზნით საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას სამაგალითო ცხოვრების ასახვაზე, ისეთ პირთა დაფასებაზე, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი ვინაობის აღდგენასა და ეროვნულ აღორძინებაში. მაგალითად მოიხმობს ბატონ ჩუბინაშვილის დახვედრას ქართული საზოგადოების მიერ: „ბ. ჩუბინაშვილის დახვედრით და მიგებებით ჩვენმა საზოგადოებამ მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა ეროვნულს პრინციპს, ხალხოსნურ მიმართულებას“ (ივერია 1882, №1, გვ. 135)

---

<sup>1</sup> ე. დ. სმითი, ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, თბილისი. 2004.

<sup>2</sup> ე. დ. სმითი, ნაციონალური იდენტობა, თარგმანი ლელა პატარიძისა, თბ., 2008.

იგულისხმება დავით იესეს ძე ჩუბინაშვილი (1814–1891), ქართველი ლექსიკოგრაფი, ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე. იგი მოღვაწეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1840 წ. გამოსცა ქართულ–რუსულ–ფრანგული ლექსიკონი, 1846 წ. კი რუსულ–ქართული ლექსიკონი, რომელსაც წაუძღვარა ქართული ენის გრამატიკის ნარკვევი, 1855 წ. რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „მოკლე ქართული გრამატიკა“, რომელშიც ძირითადად მოცემულია ახალი ქართული ენის ანალიზი; 1887-1891 წლებში გამოსცა ქართულ-რუსული ლექსიკონი. დ. ჩუბინაშვილს დიდი წვლილი აქვს ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლა-გამოცემის საქმეშიც. მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წ. გამოცემაში. 1842 წ. გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი „რუსთველოლოგიური კვლევა ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. შეადგინა „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“ და სხვ.

აი, ასეთი ღვაწლის მქონე პიროვნების დახვედრა მიაჩნია ი. გოგებაშვილს „ეროვნული პრინციპისა“ და „ხალხოსნური მიმართულებისთვის“ სოლიდარობად (ეს ეპიზოდი განხილული გვაქვს მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ადრინდელ ნაშრომში<sup>1</sup>).

საზოგადოების გამოსაფხიზლებლად ი. გოგებაშვილი მიმართავს ისეთ ხერხს, რომელიც მკითხველებში აღძრავს ნაციონალურ სენტიმენტებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამაგალითო ცხოვრების ამსახველი პუბლიკაცია „ღირსეული სახსოვარი“. პუბლიკაცია სასიქადულო იმერეთის მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად, ეძღვნება მისი სახელის უკვდავსაყოფად ღირსეული სახ-

---

<sup>1</sup> მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია, ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო, უნივერსალი, თბ., 2011, 282.

სოვარის დაწესების საკითხს. ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, რომ განსვენებული მწყემსმთავრის ღირსება იმერთა ხალხმა ორი სიტყვით გამოხატა: „მეცნიერი არქიერი“. ი. გოგებაშვილი მიიჩნევდა, რომ სწორედ ამ „მეცნიერი არქიერის“ ღვაწლის შესაბამისი ღირსეული სახსოვარის დაწესება დიდ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას. ასეთ სახსოვარად ასახელებს სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინებას ქართულ ენაზე – „განსვენებულის სახელით გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა კლასიკური თხზულებებით, რომელთაგან ზოგნი მოჰფენენ მთელს ერში ცოდნასა და განათლებასა...“

იმის დასტურად თუ რა შეუძლია ჭეშმარიტ მწყემსმთავარს, ავტორი მოიხმობს მისი დაუღალავი მოღვაწეობიდან ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ფაქტს. გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებისა და მეცადინეობის შედეგად იმერეთის გლეხობამ შეძლო გამოეყვინა მამული მებატონეთაგან. ეს ფაქტი თანამედროვეების მიერ დასახელებულ იქნა „უმაგალითოდ მთელ მსოფლიოში“. პუბლიკაციას ახლავს რედაქტორის შენიშვნა, რომელიც იუწყება, რომ ავტორმა ერთი თუმანი გამოგზავნა გაბრიელ ეპისკოპოსის სამწიგნობრო თანხისათვის (ივერია 1896, №51).

კორესპონდენცია აღსანიშნავია ზნეობრივი თუ მატერიალური თვალსაზრისით. ზნეობრივი მხრით უკვე აღვნიშნეთ. მატერიალური თვალსაზრისითაც გამორჩეულია ი. გოგებაშვილის წვლილი საზოგადო საქმისთვის. იგი ერთ-ერთი პირველი აგზავნის ფულად სახსარს საზოგადო კეთილი საქმისთვის.

„დიდებული და ალუხოცველი ძეგლი აიგო თავის თანამემამულეთა გულში...“

სამაგალითო ცხოვრებით ანდერძად მოგვცა: სამშობლოს სიყვარული, სიმართლე, სათნოება, ურთიერთ შორის მშვილობა, სიყვარული, ძმობა-ერთობა და დავრდომილთა და გლახაკ-

თათვის ზრუნვა... საუკუნოდ და სამარადისოდ იქნება დაუვიწყარი ჩვენ ქართველთათვის ხსენება შენი, ძვირფასო და სამაგალითო მოძღვართ-მოძღვარო!“ (ივერია 1896, №56).

ასევე იაკობ გოგებაშვილი არის მისაბადი საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის სახელობის სტიპენდიის დაარსების ინიციატორი. „ივერია“ დიდი გულისტკივილით ემშვიდობება ღირსეულ მამულიშვილს, დ. ბაქრაძეს. ასე ეთხოვება ილია ჭავჭავაძე „საფლავი შენისთანა კაცისა, სალოცავია მამულისა“. სწორედ ამისთანა მამულიშვილის, რომლის საქმენი მისი გარდაცვალების შემდგომაც აგრძელებენ არსებობას, სახელობის სტიპენდიის დასაარსებლად იაკობ გოგებაშვილი პირველი აგზავნის 25 მანეთს. ინიციატივა მიზანმიმართული იყო – სტიპენდია განკუთვნილი უნდა ყოფილიყო იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც თავიანთ მიზნად დაისახავენ სამშობლო ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ისეთ ვითარებაში, როდესაც ჩვენი ისტორიის შესახებ ნიჰილისტური თვალსაზრისი დომინირებდა, ამგვარ ინიციატივებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. წახალისება ხელს შეუწყობდა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ კვლევას (ივერია 1890, №34).

საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანია სამაგალითო ადამიანთა სახელობის სტიპენდიის დაარსება, რაც თვალსაჩინოდ არის გამოკვეთილი ვასილ პეტრიაშვილის სტიპენდიის დაარსების შესახებ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში. ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სტიპენდიის დაარსება განახორციელებს საზოგადოების გულითად პატივისცემას იმ ადამიანისადმი, ვინც ჭეშმარიტად იმსახურებს პატივისცემას. იგი უკვდავყოფს იმის სახელს, რომელმაც ეს უკვდავება დაიმსახურა მაღლიანი შრომით.

„წმინდა პატიოსანი ცხოვრების მიმდევნი თავის ზნეობრივს მადლიანს ძალას ჰყენს თავის გარშემო არა მარტო სიცოცხლის დროსა, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ჰპოულბს მიმბაძავთ, რომელნიც განაგრძობენ და უკვდავ ჰყოფენ მის მადლიანს ხასიათსა და მის სპეტაკს ზნესა, და ამდიდრებენ ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ქონებრივის თანხაზედ“.

აი როგორ აფასებს ი. გოგებაშვილი ქიმიკოსი ვასილ პეტრიაშვილის ღვაწლს:

„... ერთი ხელით ემსახურებოდა მეცნიერებას, კაცობრიობას, და ჩინებულადაც ემსახურებოდა, და მეორე ხელით ემველებოდა გაჭირვებულს სამშობლოს და ამდიდრებდა ქართულს ლიტერატურას კაპიტალური თხზულებითა...“

აქვე იუწყება რომ აგზავნის ფულად დახმარებას სტიპენდიის შესამატებლად ოცდახუთი მანეთის ოდენობით (ივერია 1900, №273).

ი. გოგებაშვილი აქტიურობს მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხში, რომელთა შორის აღსანიშნავია მისი ინიციატივა „წერაკითხვის საზოგადოების“ გამგეობაში კავკავის სახალხო სკოლის მასწავლებელს ბ-ონ ბოცვაძისათვის ფულადი (ხუთი თუმნის ოდენობით) შემწეობის თაობაზე. დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა მასწავლებელი ბოცვაძე: მამა გარდაცვლია, ამას ისიც დართვია ზედ რომ გაუძარცვავთ. ი. გოგებაშვილი ბოცვაძეს მრავალი სასიკეთო საქმის ინიციატორად და განმხორციელებლად ასახელებს. მისი ინიციატივით ყოფილა დაარსებული კავკავში სახალხო ბიბლიოთეკა, ამასთან ყოველნიარად უწყობდა ხელს ქართული ენის ათვისებას. ქართული ენის სახელმძღვანელოდ „Родное Слово“ აურჩევია და მოსწავლეები კეთილ კვალზე დაუყენებია (ივერია 1894, №192). მისი უან-



გარო ღვაწლის გადმოცემით ცდილობს ავტორი მკითხველებს სოლიდარობის გრძნობა გაუღვივოს და დახმარების სურვილი აღძრას იმ თანამომხმეების მიმართ, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ეროვნული სულისკვეთების ახალგაზრდების აღზრდაში.

იაკობი, ერთ-ერთი პირველი, გამოენმაურა საკითხს სალიტერატურო ფონდის დაარსების თაობაზე, რათა საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მომავალშიც არ დაგვეკარგა როგორც ეს ე. ნინოშვილის შემთხვევაში მოხდა, სამაგალითო ქართველი მოღვაწეები. ამ წერილში ასევე ფრიად საყურადღებოა ი. გოგებაშვილის მონდომება როგორმე დახმარებოდა ფულადი შემწევობით ე. ნინოშვილს, რომელიც ყოველგვარ ფულად დახმარებაზე უარს ამბობდა. აი, როგორ დაიყოლია ნიჭიერი მწერალი. მიუწერია მისთვის, თითქოს გამომცემლები დიდად იყვნენ დაინტერესებული მისი თხზულებების ტომებად გამოცემით, რომელსაც განახორციელებდა გამოჯანმრთელების შემდეგ, მანამდე კი თხოვდა სესხად მიეღო ყოველთვე ოცდახუთი მანეთი გამოჯანმრთელების შემდეგ დაბრუნების პირობით. როგორც კორესპონდენციიდან ჩანს, ე. ნინოშვილს გახარება მისი თხზულებებით რომ დაინტერესებულან გამომცემლები და თანხმობა განუცხადებია. იგი ყოველთვე იღებდა დახმარებას ოთხი თვის განმავლებაში, სანამ გარდაიცვლებოდა (ივერია 1904, №106).

ე. ნინოშვილის გარდაცვალებამ ძალიან დაამწუხრა ი. გოგებაშვილი. საზოგადოებრივი გულგრილობის შედეგად მიიჩნევდა მის გარდაცვალებას და ადანაშაულებდა ქართულ საზოგადოებას შესაბამისი დახმარება რომ არ გაუწია მის საუკეთესო შვილს. ამგვარივე შემთხვევების თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით აქტიურობდა სალიტერატურო ფონდის დაარსება-გაძლიერებაზე. კიდევ ერთ შემთხვევაზე მინდა

ყურადღება გავაძახვილო. ი. გოგებაშვილი კიდევ ერთი საუკეთესო შვილის აკაკი წერეთლის დასახმარებლად მოუწოდებს სრულიად ქართველობას გაილოს შემწეობა. აქ საუბრობს ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებაზე, სადაც ნაციონალური საჩუქარი ჰქონიათ შემოღებული გამოჩენილი მამულიშვილების დასახმარებლად. საამისოდ საჯაროდ ხელისმძღვერებს და თანხას აგროვებდნენ და საჩუქარს მხარეთმცოდნე სახელოვან მოღვაწეს. ამის მაგალითად ასახელებს პოლონელი ბელეტრისტიკოსის სენკევიჩისთვის გაკეთებულ ნაციონალურ საჩუქარს. მიუხედავად იმისა, რომ სენკევიჩი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო, ხელმძღვრით შეუგროვებიათ თანხა, უყვითათ არისტოკრატიული სასახლე მარნით, სადაც ღვინით სავსე ქვევრები ყოფილა და მიურთმევიათ საჩუქრად სენკევიჩისთვის.

„ეს მშვენიერი ჩვეულება გადმონერგილ იქმნას ჩვენშიაც“ – აი რა არის წერილის მიზანი, რათა ამ საუცხოო ჩვეულებამ ხელი შეუწყოს საქვეყნო მოღვაწეობის გაძლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებას. უნდა გავუფრთხილდეთ ღირსეულ მამულიშვილებს, მოუწოდებს „ივერიის“ ფურცლებიდან. ამ შემთხვევაში აკაკიზე აკეთებს აქცენტს ორი თვალსაზრისით:

„ჯერ ერთი ესა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა დღემდინ იოტისოდნათაც არ შემცირებულა, თუმცა იგი სამოცდა მეხუთე წელიწადში გადადგა და არა ერთ უკვდავ ქმინილებას აჩუქებს კიდევ თავისს საყვარელ სამშობლოს, თუ სენს და მოუსვენრობას თავიდგან ავაშორებთ; მეორეც ისა, რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც უხვად დაჯილდოვებულია აკაკი თვით ევროპიელ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და, ვინ იცის, ეღირსება თუ არა ქართველს ერს მეორე აკაკი შემდეგ საუკუნოებში...“

დიალ, საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს, და-  
არსოს თანხა აკაკისა. ამ სასიქადულო საქმეში, რასაკვირვე-  
ლია, სრული თანგრძნობით მიიღებენ მონაწილეობას არა მარ-  
ტო კერძო კაცნი, არამედ ის დაწესებულებანიცა, რომელნიც  
წინადაც დახმარებიან აკაკის გაჭირვების დროს“.

ავტორმა ერთ-ერთი პირველმა გაიღო ფულადი დახმარე-  
ბა ასი მანეთი აკაკი წერეთლის სამკურნალოდ. კომიტეტს,  
რომელიც უნდა შედგეს ჰპირდება რომ ყოველთვე ათ მანეთს  
გადასცემს იმავე მიზნით (ივერია 1904, №249). ი. გოგებაშ-  
ვილის ამ საყურადღებო ინიციატივას მოჰყვა მწერალ ეკ. გა-  
ბაშვილის გამოხმაურება. ეკ. გაბაშვილი აღნიშნავდა, რომ არ  
იყო აუცილებელი აკაკის სპეციალური ფონდის შექმნა, გვეხ-  
რუნა სალიტერატურო ფონდის გაძლიერებაზე და აქედან გა-  
მოვყოთ სათანადო სახსრებიო (ივერია 1904, №252). ეკ. გა-  
ბაშვილის წერილს ი. გოგებაშვილის პასუხი მოჰყვა - „წმე-  
ნის შერყევა“, სადაც მიუთითებდა რომ შერცხვენილები არ  
დავრჩეთ „თორემ ვინ იცი კიდევ ეყოლება კი საქართველოს  
მეორე აკაკი“ (ივერია 1904, №267).

ხალხის გონებრივი ამოქმედებას მრავალმა ფაქტორი  
განაპირობებს, მათ შორის ავტორი ასახელებს სახალხო მას-  
წავლებლების დამსახურებას, რომლებმაც გაავრცელეს წერა-  
კითხვა და მოუძაადეს წიგნებს და ჟურნალ-გაზეთებს ახალი  
მკითხველები. უყურადღებოდ არ რჩება მასწავლებლის პატიო-  
სნური ღვაწლის მითითება, რათა გაუკუდმართებულ საგანმა-  
ნათლებლო სისტემის პირობებში ნამდვილ მაგალითებად იქც-  
ნენ და მისაბამები გახდნენ საზოგადოებისთვის. ერთ-ერთ ასეთ  
მასწავლებლად ასახელებს წინამძღვრიანთკარის სამეურნეო  
სკოლის მასწავლებელს ხატიაშვილს. ყველა სხვა სიკეთესთან  
ერთად სკოლის წარმატების საფუძვლად ასეთი მუყაითი, გო-  
ნიერი, პატიოსანი მასწავლებლების ღვაწლს მიუთითებს

(დროება 1884, №227). „ეს უჩინარნი მხენელნი და მთესველნი გონებრივის ყანისა არ ჯილდოვდებიან არც ნივთიერად და არც ზნეობრივად...“ - აღნიშნავს ი. გოგებაშვილი და სვამს მათი ღვაწლის შესაბამისად დაფასების საკითხს. მისი აზრით, ამ საკითხს სამასწავლებლო კასების დაარსება ნაწილობრივ შეუწყობდა ხელს, საიდანაც მასწავლებლებს მიეცემოდათ: პრემიები, დასაჯილდოებლად სამაგალითო მოღვაწეობისა ხალხის განათლების ასპარეზზე, შემწეობა გაჭირვებისა და უბედურობის დროს, და, გარდა ამისა, ხელი გაემართებათ სესხით. ამისთანა ყურადღებით გამხნეებული მასწავლებლები, მეტს მხნეობას გამოიჩინენ სწავლა-აღზრდაში, მეტს თანაგრძნობას და სიყვარულს ლიტერატურისა და მწიგნობრობისადმი და უფრო მეტად ეცდებიან გააძლიერონ საზოგადოებასა და ხალხში თანაგრძნობა და სიყვარული სწავლისა და მწიგნობრობისა. წერილის ავტორს საამისოდ პირველი ხარჯიც გაუღია და წერა-კითხვის საზოგადოებისთვის თხუთმეტი თუმანი გადაუცია, რათა „ეს ფული ხუთ სამთუმნიან პრემიად გაჰყოს და მისცეს პირველი პრემია სამაგალითო სახალხო მასწავლებელს გურიისას, რომელიც სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ჩვენში დაწინაურებულ კუთხედ სწავლა-განათლებაში, მეორე პრემია - სამაგალითო მასწავლებელს იმერეთისას რაჭითურთ, მესამე პრემია უკეთესს მასწავლებელს სამეგრელოსას სვანეთითა და სამურზაყანოითურთ, მეოთხე პრემია კახეთისას და მეხუთე - ქართლისას“ (ივერია 1900, №118).

აქტიურ მონაწილეობას იღებდა ღირსეულ მამულიშვილთა საიუბილეო საღამოების გამართვაში. ერთ-ერთი ასეთია რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამო. ი. გოგებაშვილს მართალია ვერ მოუხერხებია სიტყვის თქმა და განმარტება თუ რა ღვაწლი მიუძღვის რაფიელ ერისთავს ქართულ პოეზიაში, მაგრამ „ივერიიდან“ განუმარტავს მის მკითხველებს თუ „რა

ადგილი უჭირავს მამულიშვილთა გუნდში, შავ ბედთან ბრძოლაში იმ მშვიდობიან არწივს ქართული პოეზიისას, რომელსაც რაფიელი ჰქვია, რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს და ექმნება მისს საუკეთესო ლექსებს, მის ქართულს კაცთ-მოყვარეობას მოზარდი თაობისა და ხალხის აღზრდაში; მერმე უნდა შევხებოდი ჩვენი პოეზიის სხვა არწივების ღვაწლსა და ღრმა კვალსა, რომელსაც ისინი ავლებენ ქართველთა არსებობაში და გამეთავებინა იმით, თუ რა დიდი მხნეობა, დაუძინებელი ბრძოლა არსებობისათვის, დიდი სიფრთხილე, დიდი წინდახედულობა და დიდი პოლიტიკური ტაქტიკაა საჭირო ჩვენთვის, რათა თავი დავაღწიოთ საშინელს კრიზისს, რომელშიაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, გავთანასწორდეთ ყოველი უფლებით ჩვენი სახელმწიფოს მთავარ ერთან და შავი ბედი თეთრ ბედად ვაქციოთ“ (ივერია 1895, №244).

ამდენად, სამაგალითო ცხოვრების რეპრეზენტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული იდენტობის დაცვა-შენარჩუნებისათვის. ი. გოგებაშვილი სამაგალითო ქართველთა ცხოვრების გააქტიურებით ცდილობდა, ერთი მხრივ, „მოწოდების კაცების“ საზოგადო საქმეში აქტიური ჩართულობისთვის ხელი შეეწყო, მეორე მხრივ, მკითხველებში აღძრავდა სოლიდარობის გრძნობას და საერთო იდეის გარშემო აერთიანებდა ქართველობას.

*Ketevan Mania*  
*Academy of Sciences of Tskhum-Abkhazia*  
**REPRESENTATION OF EXEMPLARY LIFE  
ACCORDING TO IAKOB GOGEBASHVILI'S  
PUBLICISTIC LETTERS  
RESUME**

This work shows the role of actuality of exemplary life among readers in point of view of forming Georgian Unity where Iakob Gogebashvili was actively involved. He was calling fellow-countrymen for protecting their own identity by representing exemplary Georgians achievements.

I. Gogebashvili was pointing at a meaning of establishing noble remembrance of countrymen remarkable achievements. He supported founding a scholarship, conducting evening meetings and enforcing secular and spiritual erudition for immortalizing their names for ever.

He helped materially impoverished public figures. By warning noble countrymen, raising solidarity towards them among readers and by triggering desire of support, he tried to employ “Men of Appeal” in social activities.

He doesn't leave inattentive the merit of a public teacher in the process of increasing people's perception, underlying fair value of a teacher in order that, they could become real examples and a foregoers for public in that deprived educational environment.

**ANTI-RELIGIOUS CAMPAIGN OF SOVIET  
GOVERNMENT IN TSKHINVALI REGION  
(THE FIRST QUARTER OF XX CENTURY)**

Presumably, the first population in the area of current Tskhinvali is considered to be settled from a palæolithic period. According to some researchers, the fact of forming Tskhinvali as a town-type settlement is related to the name of King Aspagir.<sup>1</sup> Named as “small town ” by Vakhushti Bgrationi it became a royal town later. Based on the census of seventies in XVIII century, 700 household were inhabited there. According to one Turkish document<sup>2</sup> published by S. Jikia in 1965, Tskhinvali was donated to Givi Amilakhvari by Turkish Sultan Ahmed III in 1728, however, based on the data of 1803 the beginning of XIX century, 99 households livening in Tskhinvali belonged to a Queen Darejan- the widow of The King Erekle.<sup>3</sup>

Certain researchers were always interested in searching particular issues of Tskhinvali history many times. Apart above mentioned researchers, the following figures have covered those issues in different times : D. Koridze,<sup>4</sup> O. Japaridze,<sup>1</sup> B.

---

<sup>1</sup> P. Ioseliani, Towns of Georgia; Tif., 1850, p. 68

<sup>2</sup> S. Jikia. One Turkish document about Tskhinvali. Tbilisi State University. Works, 1965, Vol. 116, pg. 243;

<sup>3</sup> I. Megrelidze. The antiwuities in Liakhvi Valley, Tbilisi 1984, pg. 165;

<sup>4</sup> Koridze. For the History of Colchian cultures, Tbilisi 1965;

Kuptin,<sup>2</sup> B. Tekhov,<sup>3</sup> I. Megrelidze,<sup>4</sup> M. Tsotniashvili,<sup>5</sup> S. Makalatia,<sup>6</sup> G. Sosiashvili,<sup>7</sup> Al. Mghebrishvili<sup>8</sup> and others.

The data about Tskhinvali indicates of densely populated settlement. Therefore, existence of many Georgian architectural sites was also conditioned by that fact. Amongst the ancient churches remaining in town there are Kavti St George's church (its ancient construction layer is dated to VIII-IX century), The Virgin Mary's church (dated to 1718), Zghuderi St George's church and etc.

According to Professor S. Makalatia, nothing had been left from defensive buildings. Only the ruins prove that Tskhinvali was surrounded by the fortified towered fence on the right bank of the River Liakhvi. In XIX century, that fence was sold to a private persons and people built the houses there. That is why, nowadays no ruins can be noticed from the fortified towered fence.

Cultic featured churches are not that important. In the area adjacent to the fence, some of the extended families (like Kvanchakahdze, Shedanashvili, Beridze, Kashakhashvili and other families) used to have small mortared -stones churches. Kavti St George's church of Beridze family is significant to

---

<sup>1</sup> O. Japaridze. The treasure of Tskhinvali. The heralds of Georgian State Museum, 1950, Vol. 16;

<sup>2</sup> B. Kufin, About the issues of Georgian Culture in the Caucasus according to the archaeological sources, The herald of Georgian State Museum, 1944, vol. 12;

<sup>3</sup> B. Tekhov, Sources about South Ossetia, Tb., 1971, p. 87.

<sup>4</sup> I. Megrelidze. The antiwuities in Liakhvi Valley, Tbilisi 1984;

<sup>5</sup> M. Tsotniashvili. The History of Tskhinvali, Tskhinvali 198 6;

<sup>6</sup> S. Makalatia, Liakhvi Valley, Tbilisi 1971;

<sup>7</sup> G. Sosiashvili. The History of Samachablo, Tbilisi 2005;

<sup>8</sup> Al. Mghebrishvili, The History of literature and culture of Tskhinvali, Tbilisi 2011;



mention. It was built by the cobble -stone and Georgian bricks. It is a single-naved church without the dome and roofed by the tiles...Zghuderi St George's church is significant for its historical inscriptions.

Zghuderi is one of the neighbourhood of Tskhinvali. It is located on the left bank of the River Liakhvi on the upper land and resembles the defensive building from the far distance. From its name it is obvious that it should have had a mortared stone fence earlier.<sup>1</sup>

Zghuderi Church is monumental, small in size. It is constructed by mortared stone and above the Southern door there is a following inscription on the whole stone;" Oh, portly, the great martyr amongst all martyrs, Saint George of Zghuderi, be a protector of Mariam<sup>2</sup> - the queen of the queens and the daughter of the King Dadiani and bless her during the Judgement Day"..<sup>3</sup>

Megrelidze expands above mentioned issue and presents the list of the churches in the area of Tskhinvali

- During the period of Vakhtang VI ( 1718) the church named after Virgin Mary had been built on old square
- Church of the Dormition of the virgin (on Tbilisi Street)

---

<sup>1</sup> Based on the opinion of I. Megrelidze in 1771 Tskhinvali was raided by Lezghins and at that time above mentioned fence had been demolished (this opinion is based on the following data of Davit Batonishvili-son of Giorgi (materials of the history of Georgia 1905 pg. 20): in 1772 Lezghins entered Tskhinvali, destroyed everything except the fortress and captured lots of people), Antiwuities in Liakhvi Valley. Tbilisi 1984, pg. 177;

<sup>2</sup> Queen Mariam, sister of Levan Dadiani II and the wife of Kartli King Rostom (1632-1658);

<sup>3</sup> S. Makalatia. Liakhvi Valley, Tbilisi 1971, pg. 43;

- Virgin Mary’s church on Japaridze Street (the new church building) had been built on the Southern side of the old wall
- Kavti Church ( the ruins of which were found not far away from beer factory later)
  - Zghuderi St. George’s Church (on the left bank of the River Liakhvi)
    - Ascension church (Armenian)
    - Lomisa Church (used to be located on the right bank of the River Liakhvi in the area of the hospital)
    - Marine Church (used to be located in the area of town council building)
    - Dzudzusakdara (Used to be located in the area of sawmill)
      - St Nikolozhi church (in the year of sawmill)
      - Kvavisakdara (in the territory of the railway station and Natsargora)
      - St. Nikolozhi church of Dgvrisi (belonged to Eliozishvilis)
        - Holy Mary's church (Dgvisi towards Tamarasheni)
        - St George's Church (so called red church: that small old church was called either Makulti or makuti church. That one was demolished and the " red" one was built by the Machabelis)
        - Marine Church ( on the left bank of the River Liakhvi)
        - The church of Gotsiridzes( on the left bank of the River Liakhvi)<sup>1</sup>

The work of M. Tsozniashvili “The History of Tskhinvali “covers all the architectural sites of Tskhinvali. The author gives general overview about the location and the main

---

<sup>1</sup> I. Megrelidze. The antiuities in Liakhvi Valley, Tbilisi 1984, pg. 165;

architectural features of the temples inside or outside of Tskhinvali fortified towered fence. He particularly focuses on Holy Mary's church located inside Tskhinvali fence. "Amongst the buildings located inside Tskhivali fence Holy Mary's church is worth to mention. It is rather big and sophisticated which varies it from all current churches of Tskhinvali.

Holy Mary's church is mainly built by bricks and cobble stones. Carved stone is used for fenestras, doors and upper part of the wall. The church is dome-shaped. The dome is hoisted in the middle and covered by shale-stone.

On top of the West wall there is a church-tower. It stands on stone pillars and is covered by a white shale-stone as the dome.

Academician M. Brosset, who travelled in Tskhinvali and its surroundings mentions<sup>1</sup>, that the church had no dome. However, we consider, that initially the church should have had a dome as the walls and the dome merge in such a way that it gives us the reason to think they were built at the same period of time. Besides, in written materials related to the renovation of the church nothing is mentioned about the construction of the dome."<sup>2</sup>

We should also mention that Tskhinvali Holy Mary's temple was renovated and ornamented in 1878 by the father and the son Ivane and Mikheil Meburnutovis. This fact was actively reported by Georgian periodical press of that time. According to the magazine "Imedi", Ivane meburnutov together with his son Mikheil put all his efforts to renovate the church... He started to renovate the church and edged it with

---

<sup>1</sup> M. Brosset. Archeological trips. Saint Petersburg 1851, VI, pg. 59 (french);

<sup>2</sup> M. Tsojniashvili. The history of Tskhinvali, Tskhinvali 1986, pg. 383;

mortared stone outside. He plastered it from inside and covered it with drawings; there was only one door and he did the doors from the West and North sides and made the church beautiful...<sup>1</sup>

Based on M. Tsojniashvili's opinion, single-naved basilica named after Holy Mary on Japartidze Street outside Tskhinvali fence takes significant place amongst the temples located outside Tskhinvali fence. It was known as Kashveti amongst Tskhinvali population.

Above mentioned author wrote the following about middle sized temple which was built by the cobble stones and bricks, covered by the tiles, with plastered walls and no track for drawings: "The major part of this church was destroyed in 1965 due to some construction works of the house nearby. We had the possibility to see and give the proper description of that church before it had been destroyed

People residing in the area of the church indicated that in old time there was a smaller church on that particular spot. Later, approximately in the second half of XIX century, Kvanchakhadzes built bigger church instead of it."<sup>2</sup>

Earlier, this temple attracted the attention of I. Megrelidze. According to him, Holy Mary's church on Japartidze Street is significant amongst all Georgian churches in Tskhinvali. Its West part resembles the tower. The main body of the building is new and there are some ancient stones remained on the Northern part of it. There are some grave boulders on the Northern part, which are relatively new.

---

<sup>1</sup> Magazine "Imedi", 1882, #11-12, pg. 76 (passenger mgzavri, correspondence from Tskhinvali);

<sup>2</sup> M. Tsojniashvili. The History of Tskhinvali, Tskhinvali 1986, pg. 388;

All of these churches and additionally four or five synagogues on such a small area of Tskhinvali prove that this place once was densely populated.<sup>1</sup>

Zghuderi St George' church is the oldest amongst the temples in Tskhinvali area. This is a simple building with white walls. The only decoration is the cross picture on the West facade. According to M. Tsojniashvili, the temple has quite a long history. The wall was almost a metre below; late it had been rebuilt and raised.<sup>2</sup>

Zghuderi St George's church does not have any architectural value. Small monumental building attracted the attention of the researchers by two majuscule inscriptions on its wall.<sup>3</sup>

From the point of view of its antiwuity, Kavti St George church dated X-XI is very interesting. It is located on Telman street being right-angled monumental building built by the carved stone. There is a semi circular arch on the Eastern part with arched fenestra and lowered stone pillar in the centre.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> I. Megrelidze. The antiwuities in Tskhinvali Valley, Tbilisi 1984, pg. 168;

<sup>2</sup> M. Tsojniashvili. The History of Tskhinvali. Tskhinvali 1986, pg, 394.

<sup>3</sup> We have already mentioned the six-lined majuscule inscription on top of Southern entrance of the church. But as for the second inscription on the Eastern facade it is located on the left side of the fenestra. The inscription consists of three lines:: Saint, the most respected, amongst all the martyrs ( Giorgi), the protector of Zghuderi, bless the church and forgive all the sins of Ioane, Amen),- [Shida Kartli, the architectural inheritance of Didi and Patara Liakhvi Valleys (Tskhinvali District), the materials of 1981-1983 expedition, Tbilisi 2002, pg. 222];

<sup>4</sup> The church had the entrances from all three sides. Northern and Southern doors are now built up, Western entry has an arch. The arch of the entry is based in the massive door-posts. On the Western façade there is a random pattern of two carved stones. There is a cross shape on the middle pillar

Together with all above mentioned temples, St. George' s church of late mid-centuries as well as a monumental building built by the cobble stones and Georgian bricks and others are very important.

Above mentioned facts prove, that religious life in Tskhinvali area come from the ancient times. The variety of stone built churches or other payer-houses indicate to rich traditions of a spiritual life in the region. The Georgian churches built by Georgians who were the majority at that time and relevant cultic building for Armenian and Jewish population being in minority had been existing peacefully and harmoniously here.

Active settling of Ossetian population in Tskhinvali region starts from the beginning of XIX century. From that period, "Ossetians occupy the major part of mountainous area of Patara Liakhvi Valley. From this time and especially from the first ten years of XIX century, Ossetians started to settle to the low lands of Shida Karli villages from the mountainous part of Shida Kartli ".<sup>1</sup>

Based on the Russian sources of XIX century, Tskhinvali was only inhabited by Georgians, Jews and Armenians in 1802.<sup>2</sup> This fact is proved by some other data of different authors.<sup>3</sup>

---

of the Eastern fenestra. Northen and Southern facades are glabrous (Shida Kartli, the architectural inheritance of Didi and Patara Liakhvi Valleys (Tskhinvali District), the materials of 1981-1983 expedition, Tbilisi 2002, pg. 227];

<sup>1</sup> R. Topchishvili. Settling of Ossetians in Shida Kartli and the issues of ethno history of Shida Kartli, Tbilisi 1997, pg. 219;

<sup>2</sup> Acts of the Caucasus Archaeological Commission, Vol. 1, Tif., 1866;

<sup>3</sup> Please, see: a) I. Langen, Descriptiopn of the Caucasus, including short remarks about Georgia's historical-statistical information (translation

The religious points of view of gradually increased number of Ethnic Ossetians were initially different.

Harsh weather conditions and land shortage were the main factors which caused the gradual settling of Ossetians on the low lands. The majority of Ossetians living on the Southern downhills studied Georgian and integrated to a Georgian society.

We can say, that one of the reasons of inclination to plunder and robbery was the general poverty conditioned by different subjective or objective reasons. It is significant, that these particularities inculcated in their routine were reflected in the religious convictions of Ossetians. Based on A. Andreev Ossetian religion is the inconceivable mixture of Christian, Islamic and heathenish points of view and rituals.<sup>1</sup>

The particularities of plunder and robbery inculcated in their routine were very interestingly reflected in ethnographic past as well as in religious conviction of Ossetians. We consider, it is worth to mention, that the facts of having the protector deities for thieves, robbers or murderers still existed up to XX century in Ossetia. For instance, the name of protector deity called black horseman cross (Cayбapap) for the night adventure searchers, thieves and violators was widely known. "Parinji Dzuar" and others, the protector deity for the murderers were also very popular.

Low social background, lack of development and the lack of education were also the main problems. Since the Ossetians started to settle on the territory of Georgia and began to get to

---

from the French) St. Petersburg, 1805, p. 53;b) Geographical and statistical description of the Caucasus, Tif., 1908, p. 44;

g) G. N. Gekhtman, Economic geography of Georgia, Tif., 1924, p. 42;

<sup>1</sup> A. P. Andreev, From Vladikavkaz to Tbilisi, Tif., 1895, p. 87;

know Georgian culture and traditions and generally when they started to integrate to the society, Ossetians started to develop in a way that it was even visible for the strangers.

Throughout the centuries, Ossetians always had all kinds of possibilities to get to know the richest Georgian traditions in Georgia and at the same time keep and develop their own language, culture and traditions.

Together with language and cultural traditions, Ossetian religious points of view had an interesting development which is described in Georgian as well as Russian sources of XIX century.

“One of the conditions to have and own the land in low land districts of Georgia was to convert Ossetians to Christianity. Deed of grants often underlined the three epithets about Ossetians like: “New Christian”, “former Ossetian” or “ex Ossetian”. In those three cases it means the Christianity of that Ossetian. Mentioning these facts show that the life of Christian Ossetian (who was considered to be a Georgian not Ossetian any more) with Georgian Christians is natural and even desirable”.<sup>1</sup>

According to Vakhushti Bagrationi, Ossetians are: “The old Christians and the parish of Nikozli. They keep the lent and respect the icons, church and priestly. Otherwise, they are ignorant and they do not have a priest. Some of them are christened in Kartli and Racha. But Tagauris, Kurtaulis, Valagiris, Paikomis, Didgorelis and Basianelis, the nobles of which are Mohammedan and the peasants are Christians. We can distinguish them with the following: The ones eating pork are Christians; the ones eating horse are Mohammedans. They have a cult and called it Vavhila. They sacrifice the goat to Elia

---

<sup>1</sup> A. Songhulashvili “ South Ossetia in Georgi?!” , Tbilisi 2009, pg. 179;



and eat meat themselves. But the skin leather will be stretched on a high pillar and worship the leather in order to avoid the hail and have a good harvest".<sup>1</sup>

In the work "Spreading Christianity amongst Ossetians and the fight for its strengthening" I. Kvashilava has an interesting conclusion about the religious points of view of Ossetians. From his point of view, generally Ossetians were of unsteady belief. They followed different religious doctrine based on what they needed. Finally, they found themselves closer to heathen faith.<sup>2</sup>

Many Russian sources of XIX century also indicate about the heathen faith of the majority of Ossetians.

The Russian writer Orest Evetski, who was working in Caucasus for a long time ( Statistics of Transcaucasia) was busy to collect the samples of Russian folk poetry. In his work "The census of Transcaucasia" created by the order of the Count Paskevitch-the vicehent and the field marshal, the author many times underlines, that amongst 22000 Ossetians (males and females) who speak Ossetian language, certain number converted to Christianity (Greek) and mixed different heathen rituals to it. Some of them are of heathen faith. Polygamy is very popular among both of the groups.<sup>3</sup>

O. Evetski interestingly describes Ossetian religious rituals. Namely, he puts the emphasis on the fact that despite the heathen faith of Ossetians, there are often prayer's houses in the villages built by the stones and surrounded by the trees.

---

<sup>1</sup> G. Togoshvili. Vakhushti Bagrationi about Ossetia and Ossetians, Tbilisi 1977, pg. 37;

<sup>2</sup> I. Kvashilava Spreading christianity amongst Ossetians and fight of its strengthening. Scientific complete worl-anthropological researches", Tbilisi 2008, X, pg. 123;

<sup>3</sup> О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-петербург 1835, стр. 31;

Those houses are named after St. Mary or any other protectors' names. The interior of the prayer houses is decorated by the cross and many horns. Khevsuris, Svanis and Ossetians respect ancient churches a lot. The relative of the killed person could not touch the killer if he takes the shelter to the church. They have their holy forests and copses. they keep the fast before Christmas and Easter. They know about different celebrations and they do not understand the meaning. These events are celebrated by sacrificing done by the archpriests and the celebration ends with the feast and shooting the guns.<sup>1</sup>

Like Vakhushti Bagrationi and O. Evetski, Russian Geographer, ethnographer and the member of Russian Imperial Geographic association Petre Nadejdin also covers the issue of Ossetian religious faith. He had been living In Caucasus almost twenty years and had an access to the archives in Caucasus department of Russian Imperial Geographic association and Rumiantsev Museum while he had been working on the work called " Nature and Human beings in Caucasus and in Transcaucasia"

The author considers the data by Hasthousen and Dubois De Montpereux and concludes that Ossetians converted to Christianity by the Georgian King Vakhtang VI. Later Queen Tamar also assists a lot for spreading the Christianity amongst them. There are Christians, Mohammedans and heathens amongst Ossetians. However, none of the above mentioned religion was strongly established between them. They are half heathens having holy copses where they make a sacrifice (bread, meat, fish)

During sacrifice they slot the goats and hang their leather on high trees.

---

<sup>1</sup> О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-петербург 1835, стр. 86;

Professor G. Sosiashvili mentions about the importance of goat cult amongst Ossetians" Vachila cult was related to a goat cult in Ossetian heathen pantheon. The cult of the goat was so strong among Ossetians, that Vachila became the synonym of Ossetian person within Georgian society..."

It is worth mentioning, that Vachila worship is still popular amongst the Ossetians living in Georgia."<sup>1</sup>

Half Christian Ossetians kept Christian fasts and made their sacrifice during holy week. It is significant, that every big celebration was celebrated by making a special sacrifice: pig for the New Year, sheep or lamb for Easter and the goat for Christmas. They especially respect and worship four saints: Prophet Iliā, Archangel Michael, Saint Georg and Saint Nikoloz. They have Christian week consisting of seven days. Sunday is called the day of God. Monday and Friday are the days when one should not start any business.<sup>2</sup>

The issue of Ossetian superstitiousness are also interestingly shown in above mentioned works. O. Evetsk and P. Nadejdin have almost similar opinions about this topic. More precisely, the latter says that Ossetians are very superstitious people. They have their wizards who predict the future in a somnambular condition. They have different hallucinations and talks with deceased and saints about what they talk a lot with other people. When something was stolen from Ossetian secretly (as the open robbery is not considered to be larceny) he looks for a wizard, wise man and asks for help after giving him a present. They go to the house together having some suspicion. A wise man holds a cat and says: " If you took the object and will not give it back, let this cat torture

---

<sup>1</sup> G. Sosiashvili, Ziebani, Tbilisi 2007, gv. 9;

<sup>2</sup> П. Надеждин, Природа и люди на Кавказе и за Кавказом, Санкт-петербург 1869, стр. 101;

the souls of your ancestors. Be sure that the thief will bring the stolen back. If there is any doubt on an individual they (the victim and the wise man) go from one house to another repeating these words and in such cases the thief is always found.<sup>1</sup>

O. Evetsk presents the issue of Ossetian superstitiousness almost the same way.<sup>2</sup>

R. Topchishvili gives interesting data about the religious life of Ossetians:’ Nowadays

როგორც კირიონ II თხზულებიდან ჩანს, ეგზარქოსი ვლადიმერი შიდა ქართლში ჩასვლას 1895 წელს გეგმადა, თუმცა წყალდიდობამ შეუშალა ხელი. მოგზაურობის მარშრუტი შედგენილი ყოფილა სამი წლით ადრე. მოგზაურობის დროს ეგზარქოს ვლადიმერს მხოლოდ სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკი მამა ანტონ თოთიბაძე ახლდა.<sup>3</sup> მატარებელს, რომლითაც ქართლის ეკლესიების მოსანახულებლად თბილისიდან წამოსული ეგზარქოსი მგზავრობდა, სადგურ ძეგვში გორის მაზრის სხვა ჩინოვნიკებთან ერთად მაზრის მაღალჩინოსანი თავდგირიძე შეეგება. თბილისის ვიცე-გუბერნატორის ვ. ვ. სტეფანოვიჩის დავალებით მეუფეს ძეგვში ეტლი დაახვედრეს.<sup>4</sup> ძეგვიდან ეგზარქოსი კავთისხევში გაემართა. აღიდების გამო მეუფის ეტლს მდ. კავთურას გადალახვა გაუჭირდა, თუმცა მას ადგილობრივი გლეხები დაეხმარნენ. კავთისხევში ეგზარქოსს ადგილობრივმა თავადებმა – თარხნიშვილებმა უმასპინძლეს.<sup>5</sup> კავთისხევის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ვლადიმერი ადგილობრივ გლეხებს

---

<sup>1</sup> И. К. Обозрение карталйнских церквей высокопреосвященным Владимиром, Экзархом Грузии, 1897, стр. 4.

<sup>2</sup> Там же, стр. 12.

<sup>3</sup> Там же, стр. 1.

<sup>4</sup> Там же, стр. 2.

<sup>5</sup> Там же, стр. 3.

გაესაუბრა და გეზი ჩოჩეთისაკენ აიღო. ჩოჩეთის ეკლესიიდან მეუფემ მეტეხში გადაინაცვლა.<sup>1</sup> აქ მას მეტეხის განახლებული ტაძარი მოუნახულებია. აღსანიშნავია, რომ მეტეხის ტაძრის აღდგენაში დიდი წვლილი შეიტანეს: გორის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ი. დ. სულხანიშვილმა, იღუმენმა კირიონმა [შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II, (1855-1918)], თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მოხელემ ი. ხ. ყანჩელმა, საეკლესიო მამასახლისმა დ. მაღალაშვილმა და ყოფილმა მღვდელმა მამა გრ. რუსიშვილმა. ტაძრის აღსადგენად 5000 რუბლი დაიხარჯა. მეტეხში ეგზარქოსს გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი დახვდა<sup>2</sup>, რომელმაც ვლადიმერს მისასალმებელი სიტყვით მიმართა და მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადა. ეგზარქოსმა მეტეხიდან ახალქალაქს მიაშურა. აქ მან დაათვალიერა ახალქალაქის ეკლესია, ასევე სკოლა, სადაც საღმრთო რჯულს ასწავლიდნენ. მეუფე ელენე ზაქარიას ასულ გრუზინსკაიას სახლში ასადილეს.<sup>3</sup> 11 მაისს, მეუფე სოფელ დოესისკენ გაემართა. მარშრუტის თანახმად ვლადიმერს ერთაწმინდის და ხიდისთავის ტაძრებიც უნდა მოენახულებინა, მაგრამ უამინდობის გამო ვერ მოახერხა.<sup>4</sup> ეგზარქოსმა გეზი გორისკენ აიღო. გორის ბაქანზე მეუფის ამაღლას გორის მაზრის უფროსის თანაშემწე გ. ლ. ჯანდიერი შეუერთდა, რომელიც მოგზაურობის დროს ეგზარქოსს გვერდიდან არ მოშორებია.<sup>5</sup> ვლადიმერმა მაზრის ადმინისტრაციული ცენტ-

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> Там же, стр. 4-5.

<sup>3</sup> Там же, стр. 7.

<sup>4</sup> Там же, стр. 8.

<sup>5</sup> Там же.

ტრიდან გზა ქარელისკენ გააგრძელა, სადაც ციციშვილებმა სამგზავრო ეტლი დაახვედრეს. მეუფემ ელენე მიხეილის ასულ ციციშვილის ოჯახში ისაუზმა, შემდეგ კი მხლებლებთან ერთად ქარელის შემოგარენში არსებული ვაყას და ნაბახტევის ეკლესიები მოინახულა.<sup>1</sup> გზად მიმავალი ეგზარქოსი შეჩერდა ალში, შემდეგ კი მოინახულა მოხისის ეკლესია.<sup>2</sup> ეგზარქოსი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და სწავლავანათლების აუცილებლობაზე ისაუბრა. მომდევნო სოფელი ქვენატკოცა იყო.<sup>3</sup> ქვენატკოცის ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ეგზარქოსმა სალოლაშენის ეკლესია დაათვალიერა, სადაც ალიდან გადაბრძანებული ულუმბოს ღვთისმშობლის ხატი მოილოცა.<sup>4</sup> აქედან ბრეთის ეკლესიას ესტუმრა<sup>5</sup>, შემდეგ კი გზა ნიქოზისაკენ გააგრძელა.<sup>6</sup> შემაწუხებელი სიცხის მიუხედავად ეგზარქოსს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა შეეგება. ნიქოზიდან 7 ვერსის დაშორებით, ვლადიმერს ნიქოზის საეკლესიო ძეგლთა აღდგენის კომიტეტის წევრები (გორის მაზრის თავადზნაურობის წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი, ილუმენი კირიონი და პორუჩიკი თავადი ფავლენიშვილი) ცხენოსან აზნაურთა 40 კაციანი ამალით დახვდნენ. როგორც კირიონის თხზულებიდან ირკვევა, ამალაში შედიოდ-

---

<sup>1</sup> Там же, стр. 9.

<sup>2</sup> Там же, стр. 10. მოხისის ეკლესიაში მოგვიანებით მოღვაწეობდა დიცის მკვიდრი მამა სამსონ მძინარაშვილი, რომელიც ბოლშევიკებმა დახვრიტეს. ქართულმა ეკლესიამ იგი 2018 წელს წმინდანად შერაცხა, დღეს მისი საფლავი დაკარგულია. იხ. მღვდელი სამსონ მძინარაშვილი, წიგნი: საქართველოს იმედი, წიგნი 45, თბ., 2014, გვ. 156.

<sup>3</sup> Там же, стр. 11.

<sup>4</sup> Там же.

<sup>5</sup> Там же.

<sup>6</sup> Там же, стр. 12.

ნენ ცხინვალელი სომხებიც<sup>1</sup>. ვლადიმერმა ჯერ ნიქოზის მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ტაძარი მოინახულა, სადაც იღუმენმა კირიონმა ნიქოზის ტაძრის აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.<sup>2</sup> ამის შემდეგ კი ნიქოზის ამაღლების ტაძარი მოილოცა. გზად ნიქოზის მთავარ ტაძრამდე მეუფეს წითელი ხალიჩა დაუგეს. ამაღლების ტაძრის გალავანში მწყემსმთავარს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი შეეგება და სამაღლობელი სიტყვა წარმოთქვა.<sup>3</sup> ნიქოზიდან ვლადიმერმა ცხინვალში გადაინაცვლა, სადაც უამრავი ხალხი დახვდა.<sup>4</sup> მეუფემ მოინახულა მართლმადიდებლური ეკლესია და ორწლიანი სასწავლებელი, ეწვია ქალთა სკოლას. ცხინვალის შემდეგ მეუფემ მელვრეკისის ეკლესია მოილოცა.<sup>5</sup> როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს სოფელი პალესტინაში არსებულ ქართულ მონასტერს ეკუთვნოდა და ბერძნული სამღვდელობის მიერ იყო მიტაცებული.<sup>6</sup> საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მელვრეკისის წმ. იოანე

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> ამას გვაუწყებს ნიქოზის ამაღლების ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არსებული დაფა, სადაც ვკითხულობთ: „ზემო ნიქოზელთა დახმარებით, სხვათა პირთაშეწირულობით და ჩვენის მეცადინეობით აღვადგინეთ და გავამშენიერეთ ტაძარი ესე. წმინდაო(.) დილო მოწამეო რაჟდენ(.) მეოხ გვეყავ ჩვენ(!) გორის მაზრის მარშალ ივანე დავითის ძე სულხანიშვილი, ინსპექტორი გორის სასულიერო სასწავლებლისა გიორგი იერონიმეს ძე საძაგელოვი, თ. ზაქარია ბესარიონის ძე ფავლენიშვილი და მღვდელი ნიქოზისა იოანე დავიდოვი. 1889. VIII. 3; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიანვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 141.

<sup>3</sup> Там же, стр. 13.

<sup>4</sup> Там же, стр. 15.

<sup>5</sup> Там же, стр. 19.

<sup>6</sup> იხ. გ. სოსიაშვილი, ბერძენი სასულიერო მოღვაწენი შიდა ქართლში, ხელნ. გვ. 13; გ. სოსიაშვილი, სინას მთა და სოფელი მელვრეკისი, „გულანი“, №16, 2015, გვ. 113.

ნათლისმცემლის ეკლესია პალესტინის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქი იყო. მეღვრეკისში მოღვაწეობდნენ ბერძენი არქიმანდრიტები. მათი შთამომავლები - დიმიტრიადები, აღნიშნულ სოფელში დღესაც ცხოვრობენ.<sup>1</sup> იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში მეუფეს მამა სამსონ კენჭაძე შეეგება. გადმოცემით, რომელიც მეღვრეკისში მცხოვრები არქიმანდრიტის შთამომავალ ვახტანგ დიმიტრიადისაგან ჩავიწერეთ, პირველი სკოლა სწორედ სამსონ კენჭაძის დამსახურებით გაიხსნა. მეღვრეკისში მოღვაწე ბერძენი არქიმანდრიტების ჯვარი წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძარში XX საუკუნის 20-იან წლებამდე იყო შემორჩენილი.<sup>2</sup>

მეღვრეკისიდან ეგზარქოსი სოფელ დიცს ესტუმრა, სადაც ღვთისმშობლის ეკლესია და მისი მამული მოინახულა, შემდეგ კი სოფელ არბოს ეწვია. არბოს ტაძარი ეგზარქოსის სტუმრობამდე შვიდი წლის წინ უკურთხებიათ, თუმცა, როგორც კირიონი წერს, წმინდა გიორგის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო გადახურული.<sup>3</sup> ამის გამო მლოცველები არბოს წმიდა გიორგის ბაზილიკურ ტაძარში ლოცულობდნენ. მეუფეს გზა მერეთის მიმართულებით უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ მდ. პატარა ლიახვის ადიდების გამო, მან ერედვის წმინდა გიორგის უძველესი ტაძრის მონახულება გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ თავის ნარკვევში კირიონი ერედვის ტაძრის შესასვლელთან არსებულ ასომთავრულ წარწერებს იხსენიებს, რომლებიც, მისი შეფასებით, ძნელად ამოსაკითხი ყოფი-

---

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, ბერძენი სასულიერო მოღვაწენი შიდა ქართლში, ხელნ. გვ. 13.

<sup>2</sup> იხ. საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, XX საუკუნის 20-იან წლებში, დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 139.

<sup>3</sup> Там же, стр. 20.

ლა.<sup>1</sup> ერედვის 906-914 წ.წ წარწერა მოგვიანებით არაერთი ქართველი მკვლევრის შესწავლის საგანი გახდა. აღნიშნულ წარწერას იკვლევდნენ: ვ. თოფურია, გ. ჩუბინაშვილი, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, რ. მეფისაშვილი, ივ. იმნაიშვილი, ი. მეგრელიძე და სხვ.<sup>2</sup> ერედვიდან წამოსული ეგზარქოსი სოფელ ტირძნისში შეჩერდა. გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლის ი. დ. სულხანიშვილის მამის - დავით სულხანიშვილის - მიერ 1830 წელს აშენებული ტაძრის მონახულების შემდეგ ვლადიმერი ტირძნისის საეკლესიო-სამრევლო სკოლით დაინტერესდა, რომელიც თავდაპირველად ერთწლიანი ყოფილა.<sup>3</sup> \* ტირძნისიდან ვლადიმერის ეტლი ტყვიაგში გაემართა. ტყვიაგის ეკლესიაში იმპერატორის და მისი ოჯახის სადიდებლად წირვა-ლოცვა აღევლინა.<sup>4</sup> ეგზარქოსს ტყვიაგში მასპინძლობას თავადი ა. ფავლენიშვილი უწევდა. მეუფემ შემდეგ ქიწინისის და ფლავის ეკლესიები მონახულა და იქი-

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> იხ. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980, გვ. 172; ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 38-39; გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52.

<sup>3</sup> Там же, стр. 21.

\* აღსანიშნავია, რომ ტირძნისის სკოლაში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია (იხ. თ. სახოკია, ტირძნისი (გორის მაზრა) [მოსავალი, სკოლა და მისი მზრუნველი], გზ. „ივერია“, 1889, 267.), რომელმაც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან მეტყველების ნიმუშები, შეიტანა თავის შესანიშნავ ლექსიკოგრაფიულ წიგნში „ქართული-სატოვანი სიტყვა-თქმანი“ (თ. სახოკია, ქართული სატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.), თ. სახოკიამ აქვე მოუყარა თავი „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურ ვარიაციებს. იხ. თ. სახოკია, ტარიელი ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხისტყაოსანი“ (ქართლში გაგონილი) [ტირძნისში ჩაწერილი], გზა. „ივერია“, 1890, №7, №8.

<sup>4</sup> Там же, стр. 23.

დან იკორთაში ჩავიდა,<sup>1</sup> სადაც მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარში მოღვაწე მღვდელი დ. გამრეკელი დახვდა.<sup>2</sup> იკორთის შემდეგ ეგზარქოსი თორტიზის და ხელთუბნის ეკლესიებს ეწვია.<sup>3</sup> მეუფეს ხელთუბნის სკოლაც დაუთვალა იერებია და მოსწავლეები საღვთო სჯულის ცოდნაში გამოუცდია. როგორც ილუმენი კირიონი გადმოგვცემს მოსწავლეებს თავი გამოუჩენიათ და ეს მათი სკოლის ხელმძღვანელის და მასწავლებლის თ. რაზიკაშვილის დამსახურება იყო.<sup>4</sup> ხელთუბნის სკოლას ფინანსურად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეხმარებოდა.<sup>5</sup> ვლადიმერმა ამის შემდეგ მეჯვრისხევის, კირბალის, ბერშუეთის და ხურვალეთის ეკლესიები მოინახულა.<sup>6</sup> ხურვალეთიდან საკორინთლოში გადავიდა. საკორინთლოს ეკლესიის ნახვის შემდეგ ეგზარქოსი ამილახვრების მამულს: ქვემო და ზემო ჭალას ესტუმრა.<sup>7</sup> ქრისტეშობის სახელობის ეკლესიაში ტაძრის სიწმინდეთა შორის ვლადიმერისთვის ადგილობრივ მოძღვარს – აღნიაშვილს – მირიან მეფის ჯვარი უჩვენებია. როგორც თხზულების ავტორი გადმოგვცემს, აღნიშნული ჯვარი სასწაულთმოქმედი ხისგან იყო დამზადებული.<sup>8</sup> ამის შემდეგ ეგზარქოსი ვლადიმერი გენერალ ამილახვრის თანხლებით სამთავისში გაემგზავრა, სადაც VI საუკუნეში აგებული ბრწყინვალე ტაძარი დაათვალიერა. ავტორის თქმით: „საქართველოს საეკლესიო ხუროთ-

---

<sup>1</sup> Там же, стр. 24.

<sup>2</sup> Там же.

<sup>3</sup> Там же, стр. 28.

<sup>4</sup> Там же.

<sup>5</sup> იხ. ვ. ვაგუა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თბ., 1979.

<sup>6</sup> Там же, стр. 29-30.

<sup>7</sup> Там же, стр. 30.

<sup>8</sup> Там же.

მოდღერების შედეგრი“.<sup>1</sup> სამთავისშივე ესტუმრა ვლადიმერი საეკლესიო-სამრევლო სკოლას, შემდეგ კი კასპში გადაინაცვლა. კასპის ეკლესიის მონახულების შემდეგ ეგზარქოსი ვახშამზე თავადმა დ.ი. ამილახვარმა მიიწვია. ვლადიმერი ლამისყანის ტაძარსაც ეწვია,<sup>2</sup> შემდეგ კი გ. ლ. ჯანდიერის დახმარებით აღიდებული მდ. ქსანი გადალახა და სოფელ ოძისს მიაშურა, ოძისის ეკლესიის შემდეგ მეუფემ ქსოვრისის ეკლესია დაათვალიერა, შემდეგ კი მუხრანში ჩავიდა, სადაც კონსტანტინე ივანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი დახვდა.<sup>3</sup> ეგზარქოსმა ჯერ ქეთევანის და წმ. გიორგის ტაძრები მონახულა,<sup>4</sup> შემდეგ კი წილკის და ყურისუბნის ეკლესიები.<sup>5</sup> ნატანტრის გავლით მეუფე მცხეთისკენ გაემართა, მოილოცა სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრები.<sup>6</sup> მცხეთიდან მას სურვილი ჰქონდა, რომ გზა გაეგრძელებინა წინამძღვრიანთკარისკენ, სადაც სამეურნეო სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი სამი დღე ელოდა, თუმცა, ცუდი გზის გამო იგი თბილისში გაემგზავრა.<sup>7</sup> ქართლში მოგზაურობის დროს ეგზარქოსმა 49 ეკლესია მონახულა. როგორც იღუმენი კირიონი წერს: „ეკლესიების მოძღვრებთან შეხვედრებისას მეუფე მათ ყურადღებას ადგილობრივი ეკლესიების საჭირობოლო საკითხებზე და მოძღვრების წმინდა მისიის ნაყოფიერი და წარმატებული დამკვიდრებისათვის ღონისძიებების განხორციელებაზე ამახვილებდა, მწყემსმთავარი ეკლესიების მოვლა-პატრონობის თაობაზე, ღვთის მსახურებისას

---

<sup>1</sup> Там же, стр. 30-31.

<sup>2</sup> Там же, стр. 32.

<sup>3</sup> Там же, стр. 33.

<sup>4</sup> Там же, стр. 33-34.

<sup>5</sup> Там же, стр. 35.

<sup>6</sup> Там же, стр. 36-38

<sup>7</sup> Там же, стр. 38.



და ქადაგებაში მოძღვრის სიტყვის მნიშვნელობაზე, საეკლესიო საბუთების წარმოებაზე, მრევლში ჯვრების და ხატების გავრცელებაზე, საეკლესიო-სამრევლო სკოლების და საეკლესიო ბიბლიოთეკების მოწყობაზე მათ რჩევა-დარიგებებს აძლევდა.“<sup>1</sup>

## 1.2. ვინ იყო საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმერი?

მიტროპოლიტი ვლადიმერი (ერისკაცობაში ვასილ ნიკიფორეს ძე ბოგოიავლენსკი) დაიბადა 1848 წლის 1 იანვარს, ტამბოვის გუბერნიაში, კერძოდ, მორშანის მაზრაში, სოფელ პატარა მორშევკაში. მამამისი ნიკიფორე ბოგოიავლენსკი სოფლის მღვდელი იყო. მის ოჯახს ნათესაური კავშირი ჰქონდა არქიეპისკოპოს ვასილ ბოგოიავლენსკისთან.<sup>2</sup> ვლადიმერმა დაამთავრა ტამბოვის სასულიერო სემინარია, 1874 წელს კი კიევის სასულიერო აკადემია. აკადემიის დამთავრების შემდეგ მას ღვთისმეტყველების ხარისხი მიენიჭა.<sup>3</sup> 1874 წლიდან მომავალი მიტროპოლიტი ტამბოვის სასულიერო სემინარიაში, ასევე ქალთა საეპარქიო სასწავლებელსა და გიმნაზიაში ჰომილეტიკას, ლიტურგიკას, ღვთისმეტყველებას და გეოგრაფიას ასწავლიდა. იგი ამავედროულად გერმა-

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> Лютова С. Н., Серженко И. И., К вопросу о родословии митрополита Владимира (Богоявленского) и архиепископа Василия (Богоявленского). // Вест. ПСТГУ, 2017, № 2 (75), стр. 11-21.

<sup>3</sup> Православная энциклопедия, Т. VIII, М., 2004, стр. 629-634, 752.

ნული ენის მასწავლებელიც იყო. სასულიერო მოღვაწეობის სურვილით, მალე ვლადიმერმა მასწავლებლობას თავი დაანება. მისი სასულიერო კარიერა 1882 წლიდან იწყება, როდესაც ქალაქ კოზლოვის პოკროვსკის ეკლესიის მღვდლად აკურთხეს. 1883 წელს ვლადიმერი დააწინაურეს და კოზლოვის წმ. სამების ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს, ხოლო მალე ამავე ქალაქის ბლადოჩინად გადაიყვანეს. მრევლის წინაშე მან თავისი განსწავლულობით, გამორჩეული ქადაგებებით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. მალე მას თავს დაატყდა ოჯახური ტრაგედია. გარდაეცვალა მეუღლე და ერთადერთი შვილი, რამაც მისი ბერად აღკვეცა დააჩქარა. 1886 წლის 8 თებერვალს იგი ტამბოვის, ყაზანის მონასტერში ბერად შედგა. ვლადიმერი მცირე ხანში არქიმანდრიტის ხარისხში იქნა აყვანილი. დაინიშნა კოზლოვის სამების მონასტრის წინამძღვრად. იმავე წლის 6 ოქტომბერს ვლადიმერი ნოვგოროდის ანტონიევის მონასტრის წინამძღვარი გახდა. 1888 წლის 13 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა „უწმინდესი სინოდის მოხსენება ყოფილი არქიმანდრიტ ვლადიმერის სტაროროუსის ეპისკოპოსად და ნოვგოროდის ეპარქიის ვიკარად კურთხევის შესახებ“.<sup>1</sup> იმავე წლის 3 ივნისს, მიტროპოლიტ ისიდორესა (ნიკოლსკი) და სხვა სასულიერო იერარქების მიერ ვლადიმერი ალექსანდრე ნეველის ლავრაში ქირომანტიით იქნა შემოსილი. ვლადიმერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქადაგებას, სასულიერო პირების მიერ მრევლთან აქტიურ ურთიერთობას. მისი ქადაგებები და საღვთისმეტყველო წერილები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Правительственный вестник», 5 (17) июня 1888, №121, стр. 1.

<sup>2</sup> ეგზარქოს ვლადიმერის ქადაგებების, მის მიერ გამოქვეყნებული ლოგმატიკური ხასიათის წერილების, თუ საზოგადოებრივი აქტიურობის

---

Әлһәмдүлһи оъ. Речь при первом служении в Большом Московском Успенском соборе „Странник“. Том 2, СПб., 1898.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01\\_004](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01_004);

Речь при вступлении Их Императорских Величеств в Большой Московский Успенский собор «Прибавления к Церковным ведомостям». СПб., 1900. №15-16.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01\\_003](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01_003);

Речь при вручении жезла преосвященному Трифону (Туркестанову) 1-го июля 1901 года «Прибавления к Церковным ведомостям». СПб., 1901. № 29.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01\\_001](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01_001).С

лово при освящении придела св. Иоанна Воина в церкви Живоначальной Троицы, на Капельках, 28 декабря 1908 года М., 1909.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01\\_002](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01_002);

Речь Святейшему Патриарху Тихону в день восшествия его на Патриарший Престол Всероссийской Православной Церкви, 21 ноября 1917 года Пг., 1918.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01\\_005](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.v.vladimir01_005);

Беседы на семь слов Спасителя с креста. СПб., 1899; Римский амфитеатр и христианские мученики. Сергиев Посад, 1900; Петроград, 1915; О труде и собственности, 1905; К богатым и бедным, 1906; Социальная задача семьи, 1906; Страдания Христа и страдания Церкви. СПб., 1907; О рабочем вопросе. На основании Евангельской притчи о рабочих и винограднике (Мф. 20, 1-16.), 1907; Вечерние собеседования между крестьянином, рабочим и священником: Современные религиозные вопросы. Сергиев Посад. 1908; Наша пастырская задача в борьбе с социал-демократической пропагандой, 1909; Неверие книжников и фарисеев древнего и нашего времени, его мнимые основания и действительные причины, 1909; Слово против социализма, 1913; Евангелие детства. Подарок детям, 1912; <https://tvereparhia.ru/biblioteka-2/v/1248-vladimir-bogoyavlenskij/15286-vladimir-bogoyavlenskij-evangelie-detstva-podarok-detyam-1912>;

О праве церковного отлучения, или анафематствования.

1891 წლის 19 იანვრიდან ვლადიმერი სამარისა და სტავროპოლის ეპისკოპოსი გახდა. სამარაში მან დააარსა ალექსეევსკის რელიგიურ-საგანმანათლებლო საძმო. საფუძველი ჩაუყარა ქალთა საეკლესიო სკოლებს. ეპისკოპოსმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთში ქოლერის მძვინვარების დროს. ეპიდემია ძლიერი სისასტიკით დაატყდა თავს ვოლგისპირეთს. ქოლერას დაემთხვა უმოსავლო წლით გამოწვეული შიმშილობა. ეპისკოპოსი ვლადიმერი სასაფლაოებზე პანაშვიდებს იხდიდა. იგი არ ერიდებოდა ქოლერით დაავადებულთა მონახულებას. სამარის ტაძარში ვლადიმერის ქადაგებამ<sup>1</sup> იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ცნობილ იურის-

---

<https://www.tvereparhia.ru/publikaczii/novomucheniki-i-ispovedniki/4676-vladimir-bogoyavlenskij-mitropolit-kievskij-o-pravetserkovnogo-otlucheniya-ili-anafematstvovaniya;> Обретение Бога (доказательства бытия Божия).

<https://www.tvereparhia.ru/publikaczii/novomucheniki-i-ispovedniki/4848-vladimir-bogoyavlenskij-mitropolit-kievskij-obretenie-boga-dokazatelstva-bytiya-bozhiya;> Против ли нас (абстинентов) Библия? Доклад Митрополита Владимира (Богоявленского), читанный на противоалкогольном Съезде в Москве 6-го Августа 1912 года.

<https://www.tvereparhia.ru/publikaczii/novomucheniki-i-ispovedniki/13056-protiv-li-nas-abstinentov-bibliya-dostochtimoe-sobranie-bogolyubivye-ottsy-i-bratie;>

Пастырские беседы с детьми. М., 1912; Петроград, 1915.

<https://www.tvereparhia.ru/publikaczii/novomucheniki-i-ispovedniki/12924-svyashchennomuchenik-vladimir-bogoyavlenskij-besedy-o-pravoslavnom-vozpitanii-detej;>

Отче наш. Беседы на молитву Господню

<https://www.tvereparhia.ru/publikaczii/novomucheniki-i-ispovedniki/12373svyashchennomuchennik-mitropolit-vladimir-bogoyavlenskij-otche-nash-besedy-na-molitvu-gospodnyu;>

<sup>1</sup> Шавельский Г. И. Русская Церковь пред революцией. М., Артос-Медиа, 2005 (написана в половине 1930-х), стр. 74.

ტზე ა. ფ. კონიზე, რომ მან უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს<sup>1</sup> სთხოვა ამ გამორჩეული მოღვაწისთვის ეკლესიას უფრო მეტი ყურადღება მიექცია. ობერ-პროკურორ კ. პ. პობელონოსცევის დაინტერესებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეპისკოპოს ვლადიმერის სასულიერო კარიერის ზრდას. 1892 წლიდან ეპისკოპოსი ვლადიმერი საქართველოში იწყებს მოღვაწეობას. ის ჯერ ქართლის და კახეთის არქიეპისკოპოსი, შემდეგ კი საქართველოს ეგზარქოსი გახდა. ვლადიმერის ძალისხმევით არაერთი ტაძარი იქნა აღდგენილი, დაარსდა რამდენიმე სამრევლო სკოლა, ასევე სასულიერო-საგანმანათლებლო საძმო. მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმერი რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გამტარებელი იყო (რაზეც ქვემოთ შევჩერდებით), კირიონ II თხზულებიდან ჩანს, თუ როგორ თბილად იყო განწყობილი ეგზარქოსისადმი ქართული საზოგადოება, სასულიერო წრეები, თუ თავად-აზნაურთა ფენა. ანტიქართული სულისკვეთებით გამოირჩეოდა ეგზარქოსის თანაშემწე მღვდელი ივანე ვოსტორგოვი. ის ხმებს ავრცელებდა, თითქოს ქართული სამღვდელოების წარმომადგენლები პეტერბურგში ეგზარქოს ვლადიმერის მიმართ ცილისმწამებლურ კამპანიას აწარმოებდნენ. ვოსტორგოვის<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> რუსეთის წმინდა სინოდში 12 მღვდელმთავარი შედიოდა, ობერ-პროკურორს სახელმწიფო მინისტრის უფლებები ჰქონდა და სინოდის მუშაობას აკვირდებოდა. ქ. პავლიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსო 1900-1917 წ.წ თბ., 1995, გვ. 17.

<sup>2</sup> ცნობილია ივანე ვოსტორგოვის ანტიქართული საქმიანობა, ის გააფთრებით დევნიდა ქართულ ენას სამეგრელოში. ამის შესახებ თ. სახოკია წერდა: „სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ბავშვების დაჩლუნგებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად. ერთი თოფის დაცლით მთავრობამ ორი კურდღლის მოკვლა მოახერხა: სამეგრელოს სამინისტრო სკოლებიდან ქართული გამოდევნა და გარუსების გზაზე შეაყენა სამეგრელოს მკვიდრნი... განსაკუთრებით სამეგრელოსთვის შეიქმნა მძიმე დეკანოზ ვო-

მტკიცებით 1895 წელს, იენისში, როდესაც თბილისის სინო-დალური კანტორის მღვდელმა კალმახელიძემ არქიმანდრიტი ნიკოლოზ სიმონოვი მოკლა, მსგავსი თავდასხმა ექზარქოსზეც იგეგმებოდა. მისი მტკიცებით, ერთ-ერთი მედავითნე, რომელიც ხანჯლით იყო ჩასაფრებული ვლადიმერის სახლთან, დაკავებული იქნა და მღვდელმთავარზე თავდასხმა არ შედგა.<sup>1</sup> თუ გავითვალისწინებთ ი. ვოსტორგოვის დამოკიდებულებას ქართველებისადმი, ამჟამად, რომ ეს ფაქტი გაზვიადებული უნდა იყოს. ექზარქოსზე ტერორისტული აქტის საფრთხის შემთხვევაში, საქართველოს რამდენიმე კუთხეში უმაღლესი სასულიერო იერარქის მოგზაურობა არ შედეგებოდა. (აღსანიშნავია, რომ ვლადიმერმა იმოგზაურა საინგილოშიც)<sup>2</sup> 1897 წელს ვლადიმერი არჩეულ იქნა ყაზანის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად. 1898 წლის 21 თებერვალს კი საქართველოს ყოფილი ექზარქოსი მოსკოვის და კოლომნის მიტ-

---

სტორგოვის პარპაში. იგი თამამად იძახდა: მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათს სკოლებში არ უნდა ასწავლოთ...“ თედო სახოკია, თქვენ ვის მისდევთ?! თბ., 1927, <https://www.scribd.com/document/244433368/Putkaradze-Saqartvelos Mokle Istoria>. რუსი საეკლესიო მწერალი და მისიონერი ქართველთა მოძულე ივანე ივანეს ძე ვოსტორგოვი (1864-1918), რომელიც ამიერკავკასიაში საეკლესიო და საერო სკოლების ზედამხედველი იყო, ჟურნალ „Духовный Вестник экзархата“-ს რედაქტორობდა. 2000 წელს რუსეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. ტ. ფუტყარაძე, ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები, თბ., 2019, გვ. 44. სწორედ ი. ვოსტორგოვის ინიციატივით გააძევეს ეპისკოპოსი კირიონი საქართველოდან 1902 წელს.

<sup>1</sup> „Церковность“. 4-11 марта, 1918, №350, стр. 4 (примечание к публикации: „речь, сказанная по приглашению Совета Всеросс. Церковн. Собора в заседании в память почившего убиенного митрополита Владимира 15 (28) февр. 1918 г. в Соборной Палате.“).

<sup>2</sup> ი. ოქროპირიძე, მოგონებები, „მნათობი“, 1989, №12.

როპოლიტად, ასევე სერგიევის სამების ლავრის არქიმანდრიტად დაინიშნა. მოსკოვში ჩასულ მღვდელმთავარს ნიკოლაევსკის რკინიგზის სადგურზე რუსეთის სამღვდელოებამ და მოსახლეობამ მას საზეიმო დახვედრა მოუწყო. ვლადიმერის პატივსაცემად შეხვედრას მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დიდი თავადი სერგეი ალექსანდრეს ძეც დაესწრო. მომდევნო დღეს მან კრემლის მიძინების ტაძარში საზეიმო ვითარებაში მოსკოვის საეპისკოპოსო კათედრა ჩაიბარა.<sup>1</sup> დედაქალაქში ყოფნის დროს იგი მისიონერულ საქმიანობასაც ეწეოდა. ვლადიმერი ეწინააღმდეგებოდა მარქსისტული იდეების პროპაგანდას. 1905 წელს მოსკოვის მიტროპოლიტი აქტიურად უჭერდა მხარს რევოლუციასთან მებრძოლ გენერალ-გუბერნატორ – ფეოდორ დუბასოვს. მიტროპოლიტ ვლადიმერის სახელს უკავშირდება რუსეთში დაწყებული ანტიალკოჰოლური კამპანია. 1911 წელს მისი ინიციატივით ჩატარდა ალკოჰოლის საწინააღმდეგო ყრილობა. საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ცნობილია, მისი მხარდაჭერა დიდი მთავრის მეუღლის ელიზავეტა ფიოდორის ასულის საეკლესიო-საქველმოქმედო საქმიანობისადმი. მიტროპოლიტმა 1912 წლის 30 მაისს მონაწილეობა მიიღო მოსკოვში ალექსანდრე III ძეგლის გახსნაში. 1912 წლის 23 ნოემბერს ვლადიმერი სანკტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტად, ალექსანდრე-ნეველის წმინდა სამების ლავრის არქიმანდრიტად და უწმინდესი სინოდის უპირველეს წევრად დაინიშნა. იმავე წლის 3 დეკემბერს ვლადიმერი მოსკოვში მრევლს დაემშვიდობა. ეპარქია თავის მოადგილეს ეპისკოპოს ვასილის (პრეობრაჟენსკის) გადააბარა. მოსკოვში მან 10 დეკემბრამდე დაჰყო და უამრავი

---

<sup>1</sup> «Московские церковные ведомости», 1898, 5 апреля, №14, стр. 183-188.

ადამიანი მოინახულა.<sup>1</sup> აღნიშნულ პერიოდში რუსეთის დედაქალაქში გამოდიოდა მემარჯვენე ლიბერალური გაზეთი: „Утро России“, რომელიც ვლადიმერის საწინააღმდეგო ინფორმაციას ავრცელებდა\*, მათ შორის, მღვდელთმთავრის მიერ მოსკოვის ეპარქიის მართვის ერთპიროვნულობაზე, აგრეთვე მოსკოველ მოძღვართა ჩაგვრაზე.<sup>2</sup> 1913 წლის 21 თებერვალს, რომანოვების დინასტიის 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე ვლადიმერს საწინამძღვრო ჯვარი ებოძა.<sup>3</sup> მიტროპოლიტ ვლადიმერს აკრიტიკებდა აგრეთვე ემიგრაციაში მყოფი რუსი პროტოპრესვიტერი გიორგი შაველსკი. რევოლუციამდე იგი სინოდის წევრი იყო. მისი შეხედულებით, ვლადიმერი პატიოსანი მოღვაწე იყო, თუმცა მისი პიროვნება რუსული ეკლესიის უმაღლესი იერარქისათვის შეუფერებელი იყო. შაველსკის აზრით, ის რომელიმე პროვინციულ კათედრაზე უფრო გამოდგებოდა. პროტოპრესვიტერის აზრით, ვლადიმერს აკლდა ავტორიტეტიც, მოხერხებულობაც და ტაქტიც. ის ვერ სარგებლობდა მაღალი ნდობით ვერც სამეფო ოჯახში და ვერც მრევლში. შაველსკის შეხედულებით, ვლადიმერს სინოდის მართვა არ შეეძლო. ეკლესია სრულიად სხვაგვარ მწყემსთავარს მოით-

---

<sup>1</sup> «Московские церковные ведомости», 8 декабря 1912, №50, стр. 1095-1105; «Московские церковные ведомости», 15 декабря 1912, №51, стр. 1122-1139.

\* აღნიშნული გაზეთი „პროგრესული პარტიის“ ორგანოს წარმოადგენდა და ერთ-ერთი მსხვილი მეწარმის პ. პ. რიაბუშინსკის საკუთრება იყო.

<sup>2</sup> Родственники митрополита Владимира, «Утро России», 6 декабря 1912, №281, стр. 5; Борьба митрополита Владимира с духовенством. // «Утро России», 8 декабря 1912, №283, стр. 5.

<sup>3</sup> «Правительственный вестник», 21 февраля 1913, №43, стр. 4.



ხოვდა.<sup>1</sup> ვლადიმერ ბოგოიაველენსკი სინოდალურ საქმეებზე გრივოლ რასპუტინის გავლენის წინააღმდეგ გამოდიოდა, რამაც სამეფო კარის უკმაყოფილება გამოიწვია. საბოლოოდ, იგი მოსკოვის კათედრას ჩამოაშორეს. როგორც აღინიშნა, ვლადიმერი მოსკოვის კათედრიდან სანკტ-პეტერბურგში გადაიყვანეს, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო. 1915 წლის 23 ნოემბერს იგი უწმინდესი სინოდის უპირატესი წევრის სტატუსის შენარჩუნებით კიევისა და გალიციის მიტროპოლიტად დაინიშნა. გ. შაველსკის შეფასებით, სინოდის უპირატესი წევრის სხვა კათედრაზე გადაყვანა შერისხვის ტოლფასი იყო. ეს განაპირობა ვლადიმერის დაპირისპირებამ რასპუტინთან. აღსანიშნავია, რომ პეტერბურგის კათედრა მიტროპოლიტმა პიტირიმმა (ოკნოვი) ჩაიბარა. იგი რასპუტინის ბანაკში მოიაზრებოდა.<sup>2</sup> 1917 წლის დასაწყისში პეტროგრადი პოლიტიკურმა არეულობამ მოიცვა. ანარქიის დღეებში, კერძოდ, 26 თებერვალს უწმინდესი სინოდის „სამახსოვრო“ სხდომა ჩატარდა. იმდროინდელი ოპერ-პროკურორის ნ. პ. რავეის მოადგილის, თავად ნ. დ. ჟევახოვის გადმოცემით, მიტროპოლიტმა ვლადიმერმა უარი განაცხადა მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა თხოვნაზე, რომლის თანახმადაც მღვდელმთავარს მოსახლეობისთვის უნდა მიემართა, რათა საზოგადოებაში არსებული მღელვარება ჩამცხრალიყო: „ყოველთვის ამგვარად ხდება: იმ დროს, როდესაც არ ვჭირდებით, არც კი გვამჩნევენ, ხოლო, როდესაც საფრთხე დგება, დახმარების აღმოსაჩენად პირველ რიგში ჩვენ მოგვმარ-

---

<sup>1</sup> Шавельский Г. И. Русская Церковь пред революцией. М.: Артос-Медиа, 2005 (написана в половине 1930-х), стр. 73-74.

<sup>2</sup> <http://pstgu.ru/news/Smi/2010/10/29/25303>

თავენ“.<sup>1</sup> მიტროპოლიტმა დროებითი მთავრობა აღიარა. მალე იგი სინოდის წევრის თანამდებობიდან გადადგა, თუმცა კიევის კათედრის ხელმძღვანელად დარჩა. ვლადიმერი ეწინააღმდეგებოდა კიევის სასულიერო წრეებში არსებულ ავტოკეფალისტურ განწყობას. 1917 წლის შემოდგომით ავტოკეფალისტებმა ცენტრალური რადის სასულიერო საქმეთა მინისტრის მიკოლა ბესსონოვის (ყოფილი ეპისკოპოსი ნიკონი) მხარდაჭერით „სრულიად უკრაინის საეკლესიო რადა“ შექმნეს. მის თავმჯდომარეს არქიეპისკოპოს ალექსი დოროდნიცინს (ყოფილი ვლადიმერელი არქიეპისკოპოსი) კიევის მიტროპოლიტთან უთანხმოება ჰქონდა.<sup>2</sup> 1917 წლის 28 დეკემბერს, პატრიარქ ტიხონის ლოცვა-კურთხევით კიევში მიტროპოლიტ ვლადიმერის ხელმძღვანელობით სრულიად უკრაინის საეკლესიო კრება გაიხსნა.<sup>3</sup> კრებაზე დაისვა საკითხი უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მიტროპოლიტი ვლადიმერი მტკიცედ იცავდა რუსეთის ეკლესიის ერთიანობას. მოწინააღმდეგე ჯგუფის ლიდერი არქიეპისკოპოსი ალექსი მიტროპოლიტ ვლადიმერის მეზობლად, კიევ-პეჩორის ლავრაში, თვითნებურად დასახლდა. იგი აქტიურად მუშაობდა ლავრის ბერებთან და მათ მიტროპოლიტის წინააღმდეგ განაწყობდა. იმ დროისათვის კიევს მიხეილ მურავიოვის მეთაურობით საბჭოთა რაზმები უახლოვდებოდნენ. 1918 წლის 18 იანვარს საეკლესიო კრება ისე დაიხურა, რომ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია.

---

<sup>1</sup> Князь Николай Давидович Жевахов. Воспоминания. Том I. Сентябрь 1915 - Март 1917. Памятное заседание Св. Синода, 26 февраля 1917 года. [www.krotov.info/history/20/1910/zhevahov4.html](http://www.krotov.info/history/20/1910/zhevahov4.html).

<sup>2</sup> Православная энциклопедия. М., 2004, Т., VIII, стр. 633.

<sup>3</sup> Краткая летопись Всеукраинского церковного собора. //Церковная жизнь. №1-6, Маборас, N.Y. U.S.A., 1956, стр. 15.

23-24 იანვარს საბჭოთა ჯარებმა (მე-2 რევოლუციურმა არმია რეინგოლდ ბერზინის მეთაურობით) პეჩორის ლავრა ალყაში მოაქცია.<sup>1</sup> 1918 წლის იანვრის ბოლოს კიევი რევოლუციურმა ქაოსმა მოიცვა, რამაც კრიმინალების გააქტიურებას ხელი შეუწყო. თებერვლის რევოლუციის შემდეგ პეჩორის ლავრის ბერებს ვლადიმერის მოწინააღმდეგენი მონასტრის წინამძღვრის წინააღმდეგ აქეზებდნენ, ამის საფუძვლად მონასტრის საძმოს წევრების არათანასწორ მატერიალურ მდგომარეობას აცხადებდნენ. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი „საეკლესიო ბოლშევიზმმა“ ითამაშა, რომელიც რევოლუციურ რუსეთში ანარქიის ფონზე აღმოცენდა. მონასტერში გამართულ მიტინგებზე გაისმოდა მოთხოვნები საეკლესიო მმართველობის დემოკრატიზაციის თაობაზე. ბერები პროტესტს გამოთქვამდნენ მიტროპოლიტ ვლადიმერის მიმართ. მონასტრის მართვის არსებული მეთოდები მათ დესპოტურად მიაჩნდათ. რევოლუციურ იდეებს აყოლილმა ბერებმა ახალი წინამძღვარი არქიმანდრიტი კლიმენტი (ჟერატიენკო) აირჩიეს. მიტროპოლიტ ვლადიმერის ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. 1918 წლის 24 იანვარს, გვიან საღამოს „ზემო მონასტრის“ წინამძღვრის სახლში ოთხი შეიარაღებული ჯარისკაცი შეიჭრა. მათ მოწყალეების დის სამოსში გამოწყობილი ქალი ახლდათ. „სტუმრებმა“ ვახშამი მოითხოვეს, შემდეგ კი სახლი გაჩხრიკეს. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მანამდე თავდამსხმელებმა ერთ-ერთი ბლალოჩინი და

---

<sup>1</sup> Кабанец Е. П. За что убили митрополита Владимира // Еженедельник 2000: газ., 8-14 февраля, 2013, Т. 641, №6. Цыпин В. А. Русская Церковь при Святейшем Патриархе Тихоне (1917-1925) // История Русской Церкви 1917-1997, М., 1997, стр. 832.

ლავრის ხაზინა გაძარცვეს<sup>1</sup>. 1918 წლის 25 იანვარს წითელ-გვარდიელებმა მიტროპოლიტ ვლადიმერის მოსასვენებელ ოთახში ჩხრეკა ჩაატარეს. ბერები წითელარმიელებს შესჩიოდნენ, რომ მათაც სურდათ მონასტერში ისეთივე წესების დამკვიდრება, როგორც „წითლებს“ ჰქონდათ – კომიტეტებით და საბჭოებით, მაგრამ მიტროპოლიტი ამის ნებას არ აძლევდა.<sup>2</sup> არქიეპისკოპოს ალექსის მიერ წაქეზებულმა ბერებმა გაავრცელეს ხმები, რომ კიევის ტაძრების კუთვნილი თანხები მიტროპოლიტთან ინახებოდა. 1918 წლის 25 იანვარს, საღამოს, კიევ-პეჩორის ლავრაში, მიტროპოლიტთან ხუთი შეიარაღებული ჯვარისკაცი მივიდა. მათ მეთაურს უწინაფრო ქუდი ეფარა, რის გამო თვითმხილველებმა ის მეზღვაურად მიიჩნიეს. თავდამსხმელები ვლადიმერისაგან კიევის ეკლესიების კუთვნილ თანხებს მოითხოვდნენ.<sup>3</sup> კომენდანტთან წაყვანის საბაბით, ვსესხვიატსკოეს ალაყაფის გავლით მიტროპოლიტი ლავრიდან გაიყვანეს და ნიკოლსკის ქუჩის შორიანხლოს, ძველი პეჩორის ციხე-სიმაგრის მიწაყრილთან მხეცურად მოკლეს<sup>4</sup>. მოკლულის სხეულზე აღმოჩენილი იქნა ექვსი ნატყვიარი, ნაჩხველეთი ჭრილობები და მრავალი დაზიანება.<sup>5</sup> გარდაცვლილის სხეულის დათვალიერება ჩატარებული იქნა სახელმწიფო მრჩევლის, ექიმ ალექსი გოროდეც-

---

<sup>1</sup> Кабанец Е. П. За что убили митрополита Владимира // Еженедельник 2000: газ., 8-14 февраля 2013. Т. 641, №6.

<sup>2</sup> Цыпин В. А. Русская Церковь при Святейшем Патриархе Тихоне (1917-1925) // История Русской Церкви 1917-1997, М., 1997, 832 с.

<sup>3</sup> Там же.

<sup>4</sup> Кабанец Е. П. За что убили митрополита Владимира // Еженедельник 2000: газ., 8-14 февраля 2013, Т. 641, №6.

<sup>5</sup> Там же; pravoslavie.org.ua/2005/05/posledniy\_den\_znizni\_mitropolita\_vladimira\_bogoyavlenskogo/

კის მიერ.<sup>1</sup> ბოლშევიკური პრესა მყისიერად გამოეხმაურა მიტროპოლიტის მკვლელობის ფაქტს. „ИЗВЕСТИЯ“ იტყობინებოდა კიეველი მიტროპოლიტის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ და აღნიშნავდა, რომ ის ჩადენილი იყო „უცნობი პირების მიერ“. ფაქტის ამგვარი ფორმულირება მკვლელობის ოფიციალურ ვერსიად იქცა.<sup>2</sup> საეკლესიო წრეებში კი გავრცელებული იყო მოსაზრება, რომლის თანახმად მიტროპოლიტი ვლადიმერი ბოლშევიკების მიერ იყო მოკლული (იმ დროისათვის კიევი ბოლშევიკებს უკვე დაპყრობილი ჰქონდათ). მღვდელი მიხეილ პოლსკი თავის აგიოგრაფიულ თხზულებაში მიტროპოლიტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სწორედ ეკლესიის ვერსიას იზიარებდა.<sup>3</sup> მკვლევარ მ. ა. ელიზაროვის მტკიცებით, ეჭვს გარეშეა, რომ მ. ა. მურავიოვის რაზმთან ერთად ვლადიმერის დახვრეტაში კიევში შემოსული მეზღვაურებიც იღებდნენ მონაწილეობას. ლავრაში თავის შტაბთან ერთად განლაგებული რ. ი. ბერზინის თქმით, მკვლელობა არა პოლიტიკური, არამედ ძარცვის მიზნით მოხდა. როდესაც თვით ბერზინმა და მასთან მყოფმა მეზღვაურებმა შეიტყვეს მიტროპოლიტის დაკავების შესახებ, მაშინვე სცადეს მისი განთავისუფლება, მაგრამ ვერ მიუსწრეს<sup>4</sup>. ლავრის ბერებმა ჩაატარეს დამოუკიდებელი გამოძიება, რომელიც ობიექტურობით არ გამოირჩეოდა. გამოძიების მასალები მათ ცალკე ბროშურის სახითაც კი გამოსცეს, სადაც ფაქ-

---

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> Там же.

<sup>3</sup> Протопресвитер Михаил Польский. Новые мученики Российские // 1. Владимир, митрополит Киевский и Галицкий Т. I, Джорданвилль, 1949.

<sup>4</sup> Елизаров М. А. Левый экстремизм на флоте в период революции 1917 года и гражданской войны: февраль 1917 - март 1921 гг., СПб., 2007, с. 578.

ტები დამახინჯებული იყო. მკვლელობას ისინი ერთგვარ რიტუალს უკავშირებდნენ, რომელიც „გამხეცებულმა ურწმუნო სატანისტებმა“ ჩაატარეს, აღნიშნულის მტკიცებად კი მიტროპოლიტის სხეულზე მიყენებული „20-ზე მეტი ნაჩხვლეტი და 30-ზე მეტი ცეცხლსასროლი ჭრილობა“ მოჰყავდათ<sup>1</sup>. როგორც მკვლევარი ე. პ. კაბანეცი აღნიშნავს, ბანდის მეთაურის, „მეზღაურის“, ქმედება მოწმობდა, რომ ის არაერთხელ იყო ნამყოფი ლავრაში. საბჭოთა ჯარების კიევში გამოჩენით მას ხელსაყრელი საბაბი მიეცა ძარცვისათვის. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა მოწყალების დის სამოსში გამოწყობილ ქალზეც, რომელიც წინა დღეს მონასტრის წინამძღვრის სახლის ჩხრეკაში მონაწილეობდა. ე. პ. კაბანეცის აზრით, მას ლავრის საფინანსო დოკუმენტებზე წვდომა ჰქონდა და ყაჩაღებისთვის საქმის მიმცემი იყო<sup>2</sup>. ე. პ. კაბანეცის აზრით, იმის მტკიცება, რომ ავტოკეფალისტების აგიტაციის გავლენის ქვეშ მყოფმა მორჩილებმა მიტროპოლიტი მკვლელებს „გადასცეს“, არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. მეცნიერის დაკვირვებით, ბოლშევიკებს მიტროპოლიტის მკვლელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონიათ, მკვლელობა „ანარქისტების თავისუფალი ასოციაციის“ წევრების მიერ იქნა ჩადენილი არა იდეურ-პოლიტიკური, არამედ მატერიალურ-დანაშაულებრივი მოტივით. უკრაინული სახელმწიფოს დამხობამდე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სამსახურთან ურთიერთკავშირში მოქმედ გეტმანის შტაბთან არსებულმა საგანგებო განყოფილებამ მიიღო აგენტურული შეტყობინება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ: „თავისუფალი ანარქისტების კიევის ასოციაციის ჩინოს-

---

<sup>1</sup> Кабанец Е. П. За что убили митрополита Владимира // Еженедельник 2000: газ. 8-14 февраля 2013, Т. 641, №6.

<sup>2</sup> Там же.

ნების მიერ იანვრის თვეში ჩადენილი იქნა კიევის მიტროპოლიტის ვლადიმერის მკვლელობა... მათ სათავეში უდგა მოქალაქე „არსენტიევის“ ცოლი, რომელიც ჯერ კიდევ ერთი თვით ადრე საქალაქო სასურსათო სამმართველოში მსახურობდა... პიროვნების ვინაობა დადგენილი იქნება“. ე. პ. კაბანეცმა აღნიშნა, რომ „ანარქისტების თავისუფალი ასოციაცია“ სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედების განსახორციელებლად მარჯვედ იყენებდა პოლიტიკურ ლოზუნგებს. მისი ვარაუდით, ზემოთ ხსენებული „თავისუფალი ანარქისტების ასოციაციის მეთაური“ და ლავრაში „საქმის მიმცემი“ მოწყალეების და – ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო. მეცნიერის აზრით, მკვლელობა არ იყო ჩადენილი ბოლშევიკური ხელისუფლების პირდაპირი მითითებით, მაგრამ ის მომზადებული იყო წინმსწრები ბოლშევიკური აგიტაციითა და ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლით<sup>1</sup>. მიტროპოლიტ ევლოვის (გეორგიევსკი) გადმოცემით მიტროპოლიტ ვლადიმერის წინააღმდეგ ლავრაში მოღვაწე ბერებიც გამოდიოდნენ. მათ მღვდელმთავრის წინააღმდეგ დოროდნიცინი აქეზებდა. ბერებმა დაინახეს, თუ როგორ გაიყვანეს ტერორისტებმა ვლადიმერი, თუმცა არაფერი უღონიათ. ევლოვის გადმოცემით: „მეზღვაურებმა მოხუცი შინამოსამსახურე წიხლისკვრით მოიშორეს და პირდაპირ მიტროპოლიტის საძინებელში შეიჭრნენ, სადაც დაახლოებით ორი საათი დაჰყვეს. თუ რა ხდებოდა საძინებელში, არ არის ცნობილი. შემდგომ მათ მეუფე ვლადიმერი გამოიყვანეს და მასთან ერთად უკანა გასასვლელისკენ გაემართნენ. „მშვიდობით, ივან...“ – მიტროპოლიტმა შინამოსამსახურისათვის ამის თქმალა მოასწრო. მეუფე ლავრიდან შეუმჩნეველად გაიყვანეს

---

<sup>1</sup> Кабанец Е. П. За что убили митрополита Владимира // Еженедельник 2000: газ. 8-14 февраля 2013, Т. 641, №6.

და ლავრის მიწაყრილებთან მიბჯენით დახვრიტეს“.<sup>1</sup> კიევის რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების 2008 წლის 4 თებერვლის სხდომაზე მკვლევარ ი. ვ. ნაზაროვის მიერ გასაჯაროებული იქნა კიევის საოლქო სახელმწიფო არქივში მოპოვებული №16102 საგამოძიებო საქმის მასალები. საგამოძიებო ქმედებები 1918 წლის ზაფხულში მიმდინარეობდა და უკრაინის სახელმწიფოს დამხობის გამო არ დასრულებულა. საქმე „მიტროპოლიტ ვლადიმერის მკვლელობასთან დაკავშირებით“ ეხებოდა „უკრაინის საეკლესიო რადის წევრებს: მარიჩევს, ფილიპენკოს, ლიპეროვსკის“. აღნიშნული მასალების საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა, რომ მიტროპოლიტი „ბოლშევიკებს არ მოუკლავთ“. მისი სიკვდილი ავტოკეფალიის მომხრეთა ინტერესებში შედიოდა, რომელნიც ზურგს უმაგრებდნენ მკვლელებს. აღნიშნული მასალების თანახმად დადგინდა, რომ მკვლელობის მონაწილე იყო „ტროფიმ ხარიტონის-ძე ნეტრებკო, პრილუკსკის მაზრის, სოფელ ლადინოს გლეხი“, „სერდიუკსკის სამთო დივიზიონის“ დემობილიზებული ჯარისკაცი.<sup>2</sup> მღვდელმოწამე ვლადიმერის წმინდა ნაწილები კიევ-პეჩორის ლავრის გამოქვაბულში ხარების ტაძარშია დასვენებული. 1918 წლის 5 (18) აპრილს სრულიად რუსეთის საადგილმამულო კრებამ ამ საშინელ წელს აღსრულებულ მოწამეთა ხსენების დღედ 25 იანვარი, ან მისი მომ-

---

<sup>1</sup> Революция. Церковный Собор (1917-1918) Глава 16-я из: Митрополит Евлогий (Георгиевский). Путь моей жизни. Воспоминания. Париж: YMCA-Press, 1947.

<sup>2</sup> Интервью Дмитрия Сквозова с к. э. н. И. В. Назаровым «Благочестивое» убийство // Еженедельник 2000: газ., 22-28 февраля 2008, Т. 403, №8.



დევნო კვირა დღე დაადგინა<sup>1</sup>. 1992 წლის 4 აპრილს რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამღვდელმთავრო კრებამ მიტროპოლიტი ვლადიმერი წმინდანად შერაცხა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Собрание определений и постановлений Священного Собора Православной Российской Церкви 1917-1918 гг., М., 1994 (репринт), Вып. 3-й., С. 55.

<sup>2</sup> Журнал Московской Патриархии, 1992, №6, С. IX.

ეგზარქოს ვლადიმერის რუსეთის ეპარქიებში მოღვაწეობის შესახებ დამატებით იხ. *Архиеп. Аверкий Таушев*. Сатанинская природа бунта. (Ко дню Русской Скорби), Jordanville, 1976; [http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.abercius01\\_429Mump](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.abercius01_429Mump). *Анастасий Грибановский*. Похвальное слово (митрополитам Владимиру и Вениамину), новым священномученикам Русской Церкви, Jordanville, 1949.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.anastasius01\\_004Mump](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.anastasius01_004Mump). *Арсений Стадницкий*. Речь на торжественном заседании Священного Собора, посвященном памяти мученически скончавшегося митрополита Киевского Владимира (Богоявленскаго), 15 (28) февраля 1918 года // Прибавления к Церк. ведомостям, Пг., 1918, №9-10.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.arsenius02\\_002](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.a.arsenius02_002); Высокопреосвященнейший Владимир, митрополит Московский и Коломенский. // Моск. церк. ведомости, 15 марта 1898, №11, С. 141-145. Высокопреосвященный Митрополит Киевский Владимир. (Некролог) // Прибавления к Церк. ведомостям, Пг., 1918, №5.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=new\\_martyrs.vladimir01\\_01](http://slovo.russportal.ru/index.php?id=new_martyrs.vladimir01_01); *Галкин А. К., Дамаскин (Орловский), игум.* Владимир (Богоявленский) // Православная энциклопедия, М., Церковно-научный центр «Православная энциклопедия», 2004, Т. VIII: «Вероучение - Владимир-Волынская епархия», С. 629-634, 752 с.

<http://www.pravenc.ru/text/158956.html>;

*Лютова С. Н., Серженко И. И.* К вопросу о родословии митрополита Владимира (Богоявленского) и архиепископа Василия (Богоявленского), Вест. ПСТГУ, 2017, №2 (75), С. 11-21.

როგორც აღნიშნა, 1892 წლიდან ეპისკოპოსი ვლადიმერი საქართველოში იწყებს მოღვაწეობას. საქართველოს ეკლესიის უმაღლეს საკეთმპყრობლად ვლადიმერის დანიშვნის შესახებ საეგზარქოსოს ჟურნალი „*Прибавления к „Духовному вестнику Грузинского Экзархата“*“ აღნიშნავდა:

---

[http://pstgu.ru/scientific/periodicals/bulletin/II/archives/articles/75/;](http://pstgu.ru/scientific/periodicals/bulletin/II/archives/articles/75/)  
*Иерей Николай Крикота.* „Я готов отдать свою жизнь за церковь“. Жизнеописание священномученика Владимира Киевского, М., 2002.

Священный собор 1917-1918 гг. и мученическая кончина митрополита Киевского и Галицкого Владимира // Вестник ПСТГУ. II: История. История Русской Православной Церкви, 2008, Вып. II:1 (26), С. 106-127.

<http://pstgu.ru/download/1217088631.publ2.pdf;> *Тихон, митр. Московский.* Речь на торжественном собрании Священного Собора Российской Православной Церкви, посвященном памяти мученически скончавшегося высокопреосвященного Владимира (Богоявленского), митр. Киевского и Галицкого, 15 (28) февраля 1918 года // Прибавления к Церк. ведомостям, Пг., 1918, №9-10.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.t.tychon01\\_014.](http://slovo.russportal.ru/index.php?id=alphabet.t.tychon01_014.)  
Священномученик Владимир Киевский и Галицкий в Православном календаре.

<http://days.pravoslavie.ru/Life/life6507.htm;>

Протопресвитер Михаил Польский. Новые мученики Российские. Первое собрание материалов. Гл. 1. Владимир, Митрополит Киевский и Галицкий. – Jordanville, 1949.

[http://slovo.russportal.ru/index.php?id=new\\_martyrs.polsky01\\_01;](http://slovo.russportal.ru/index.php?id=new_martyrs.polsky01_01;)  
Владимир (Богоявленский Василий Никифорович) на сайте Православного Свято-Тихоновского богословского института. [http://martyrs.pstbi.ru/bin/db.exe/ans/nm/?HYZ9EJxGHoxlTYZCF2JMTdG6Xbu0eu0Ye8mcs0\\*cUOuXfiyWeuKhsOeceG00cC4ceuWd66qceeXYfi0iceXb8E\\*](http://martyrs.pstbi.ru/bin/db.exe/ans/nm/?HYZ9EJxGHoxlTYZCF2JMTdG6Xbu0eu0Ye8mcs0*cUOuXfiyWeuKhsOeceG00cC4ceuWd66qceeXYfi0iceXb8E*); Последний день жизни митрополита Владимира (Богоявленского)

[http://pravoslavie.org.ua/?r\\_type=article&action=fullinfo&id=6925](http://pravoslavie.org.ua/?r_type=article&action=fullinfo&id=6925)

„По назначении высокопреосвященнейшего Палагия экзарха Грузии, на петербургскую митрополицию кафедру, высочайшей волею государя императора 18-го октября 1892 года, указано было занять вакантную кафедру грузинского экзархата преосвященному Владимиру епископу самарскому.“<sup>1</sup> სამარის ეპარქიიდან კავკასიაში გადმოსულ მღვდელმთავარს საგანგებო წერილი მიუძღვნა მისდამი რწმუნებული ეპარქიის მრევლმა, სადაც ვრცელი ადგილი ეთმობა მისი, როგორც მღვდელმთავრის, დამსახურებებს.<sup>2</sup> ვლადიკავკაზიდან საქართველოში გამოგზავრებულ ახლად დანიშნულ ეგზარქოსს განსაკუთრებული დახვედრა მოუწყვეს. ყაზბეგში საგანგებოდ ჩავიდა სინოდალური კანტორის წარმომადგენელი დეკანოზი ო. ელიევი. მლეთაში შეჩერებულ ვლადიმერს ღუშეთის მაზრის უფროსი ს. ს. ჩეხოვსკი მიეგება.<sup>3</sup> მცხეთაში ქართული ეკლესიის მეთაურს ტფილისის მაზრის უფროსი ლ. გ. ჯანდიერი დახვდა.<sup>4</sup> 29 ნოემბერს ვლადიმერი უკვე თბილისში იყო. საქართველოს დედაქალაქში რუს მღვდელმთავართან შესახვედრად განსაკუთრებული სამზადისი გაეწიათ. დროშებით მოერთოთ თბილისის სიონის ტაძარი. თბილისში ეგზარქოსს კავალერიის გენერალი ზ. გ. ჭავჭავაძე, სახელმწიფო მრჩეველი, ინფანტერიის გენერალი დ. ა. სვიატოპოლკ-მირსკი და სხვა მაღალჩინოსნები დახვდნენ.<sup>5</sup> ეგზარქოსთან შესახვედრად თბი-

---

<sup>1</sup> Прибавления к «Духовному вестнику Грузинского Экзархата», 15 декабря, №24, 1892, стр. 1.

<sup>2</sup> Там же, стр. 6; Церковные ведомости, №46, 1892.

<sup>3</sup> Прибавления к «Духовному вестнику Грузинского Экзархата», 15 декабря, №24, 1892, стр. 8.

<sup>4</sup> Там же, стр. 10.

<sup>5</sup> Там же.

ლისის ქუჩებში უამრავი ხალხი იყო გამოსული. განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა გოლოვინის და გეორგიევსკის პროსპექტები. გადაჭედილი იყო მეფისნაცვლის სასახლესა და ქაშუეთის ტაძარს შორის არსებული ტერიტორია.<sup>1</sup> ქაშუეთთან ეგზარქოსს თბილისის გუბერნატორი გ. დ. შერვაშიძე შეეგება. აქვე იყო თბილისის კომენდანტი ა. ა. ერისთავი, ქალაქის თავი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლოგორუკი, კამერჰერი<sup>2</sup> ლ. ა. მაღალოვი და სხვ.<sup>3</sup> სიონის ტაძარში მისულ ეგზარქოსს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გორის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ (ოქროპირიძე).<sup>4</sup> როგორც ჩანს, ეგზარქოსის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ყველა ღონისძიება წინასწარ იყო დაგეგმილი და გაწერილი.

უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე ვლადიმერმა 1898 წლის 21 თებერვლამდე დაჰყო. შემდეგ ის მოსკოვის და კოლომენსკის მიტროპოლიტი გახდა. საქართველოში ვლადიმერი ხოლმის და ვარშავის ყოფილმა არქიეპოსკოპოსმა ფლავიანემ (გოროდეცკი) შეცვალა.<sup>5</sup> საქართველოში ვლადიმერის მოღვაწეობის დროს არაერთი ტაძარი იქნა აღდგენილი, მის სახელს უკავშირდება თბილისში ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის<sup>6</sup>, საღვთისმეტყველო თავყრი-

---

<sup>1</sup> Там же, 11

<sup>2</sup> Kammerherr - გერმ. ერთ-ერთი უმაღლესი წოდება სამეფო კარზე.

<sup>3</sup> Там же.

<sup>4</sup> Там же, 13.

<sup>5</sup> Епископ Кирион, Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие, Тиф., 1901, стр. 32.

<sup>6</sup> თავის დროზე ყაზანის ღვთისმშობლის ტაძრის სახელი დიდუბის ივერიის ღვთისმშობლის ტაძრისთვის ეგზარქოს პალადის (1886-1892) დაურქმევია. როგორც კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე იგონებს, ეგზარქოსმა დიდუბის ეკლესიაში 8 ივლისსა და 22 ოქ-

ლობათა დარბაზის აშენება, სასულიერო ბიბლიოთეკის მოწყობა და სხვ.<sup>1</sup> კავკასიაში ქოლერის გავრცელებასთან დაკავშირებით, მისი ინიციატივით მოწყობილ იქნა წმიდა ფეოდოსიას სახელობის ღარიბთა სასადილო.<sup>2</sup> კირიონის ცნობით, ეგზარქოსი ვლადიმერი იყო დაუღალავი, ბრწყინვალე საეკლესიო მჭევრმეტყველი.<sup>3</sup> კირიონის მხრიდან რუსი ეგზარქოსის ასეთი შეფასება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება მოეძებნოს: 1. კირიონი 1896 წელს ვლადიმერ ბოგოიავლენსკიმ აღკვეცა ბერად და სასულიერო კარიერაც სწორედ მისი ეგზარქოსობის დროს დაიწყო, ამიტომ მას რუსი იერარქის მიმართ შესაძლოა გარკვეული პიროვნული სიმპათია ჰქონდა. 2. კირიონის წიგნი: „Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие. Тиф., 1901“, სადაც ეგზარქოს ვლადიმერის შეფასებაა მოცემული, საქართველოს რუსეთთან შეერთების საიუბილეო გამოცემაა და, რაკი მისი დაწერა სახელისუფლებო და უმაღლესი საეკლესიო წრეების მიერ კირიონს დაევალა, ცხადია, აქ რუსი ეგზარქოსების მოღვაწეობა უარყოფით კონტექსტში განხილული ვერ იქნებოდა. ამიტომ მკითხველმა კირიონის ზოგიერთი ნაშრომი, რომლებიც საქართველოში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას ეხება, ეპოქის კონტექსტში უნდა გაიაზროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგზარქოს ვლადიმერის ქართველთმომოულოებასა და მიზან-

---

ტომბერს ჩატარებული წირვებით ბევრი დაარწმუნა, რომ დიდუბის ეკლესია ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის იყო. კ-პ კალისტრატე ცინცაძე, „ჩემი მოგონებებიდან“, საქართველოს საპატრიარქო, საღვთისმეტყველო კრებული, თბ., 1987, გვ. 46.

<sup>1</sup> Епископ Кирион, Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие. Тиф., 1901, стр. 31-32.

<sup>2</sup> Там же, стр. 31.

<sup>3</sup> Там же.

მიმართულ რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე მისი თანამედროვე ქართველი სასულიერო მოღვაწეები დაუფარავად წერენ.<sup>1</sup>

ამ მხრივ, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე. მღვდლის ხარისხში აყვანის შემდეგ მამა იროდიონი ერევნის გუბერნიის დაბა იგდირის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი იყო, ხოლო შემდეგ თავისი გვარის გამორჩეული წარმომადგენლის მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს (მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი - 1861-1921) თხოვნით,<sup>2</sup> მან საინგილოში დაიწყო მოღვაწეობა და კახის წმინდა გიორგის ეკლე-

---

<sup>1</sup> ეგზარქოს ვლადიმერის მოღვაწეობაც იმ რუსი შოვინისტი სასულიერო პირების საქმიანობის გავრძელება იყო, რომელთა მთავარ მიზანს ქართული იდენტობის მოშლა და მოსახლეობის გარუსება წარმოადგენდა. ამის შესახებ მარტო ქართველი სასულიერო და საერო მოღვაწეები არ მიუთითებენ. რუსი ეგზარქოსების რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე დაუფარავად წერდა ნ. დურნოვო: „საქართველოში წარგზავნილი რუსი ეპისკოპოსები ამ ქვეყანას ისე უყურებენ, როგორც მათთვის საძარცვავად მიცემულ ოლქს“. ნ. დურნოვო, ბედი ქართული ეკლესიისა, (ქართული ეკლესიის საკითხებზე), გ. ტოტოჩავას თარგმანი, თბ., 1997, გვ. 9. რუსი სასულიერო იერარქები ქართველებთან შედარებით შემწყნარებლობით ეკიდებოდნენ სომხებს. ნ. დურნოვის წიგნში აღნიშნულია: „1894 წელს ქართველთაგან წმ. სინოდში წამოდგენილ წერილში წერია, რუსმა ეგზარქოსებმა და სასულიერო უწყებების ჩინოვნიკებმა ქართული ეკლესია და საეკლესიო ქონება საშემოსავლო საქმედ აქციეს, სომხურ ეკლესიას კი დაუტოვეს კათალიკოსიც და სრული თვითმართველობაც, არ შეუძცარებათ სომხური ეკლესიების რიცხვიც; ყოველგვარ მფარველობას უწევენ სომეხ ხალხს სამაგიეროდ საქართველოს ძველი სამოციქულო ეკლესია მთლიანად გააპარტახეს და გაანადგურეს.“ ნ. დურნოვო, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

<sup>2</sup> კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ლეონიდე გარკვეული პერიოდი საინგილოსა და მთელს კავკასიაში მისიონერად იყო დაინიშნული.

სიის წინამძღვარი გახდა.<sup>1</sup> მამა იროდიონის მოგონებებში ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი საინგილოს ქართულ მოსახლეობასთან ეგზარქოს ვლადიმერის ურთიერთობას და ძალზე ცხადად ჩანს, რუსეთის წმინდა სინოდის მიერ საქართველოში მოვლენილ ეგზარქოსის დამოკიდებულება ქართველი ხალხის მიმართ, როგორ ეპყრობოდა იგი საინგილოში ქრისტიანობის გასაავრცელებლად მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს. იროდიონ ოქროპირიძის მოგონებებში, რომელიც საინგილოში ახლად ამენებული ორი ტაძრის ქურმუხის წმინდა გიორგის და თასმალის ეკლესიის კურთხევაზე მიწვეულ ეგზარქოსის სტუმრობას ეხება, განსაკუთრებით საინტერესოა ერთი ეპიზოდი. ამონარიდი საინგილოში მოღვაწე ქართველი მღვდლის მოგონებებიდან საკმაოდ ვრცელია, თუმცა, საინტერესოდ წარმოგვიჩენს ვლადიმერ ბოგოიაველენსკის, როგორც პიროვნების და როგორც სასულიერო იერარქის პორტრეტს. ტექსტი მოგვყავს პროფ. ა. მღებრიშვილის მონოგრაფიიდან: „მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბ., 2017“. მამა იროდიონი წერს: „თითქმის წელიწადი გავიდა, დიდმარხვამ მოატანა, მაგრამ მღვდელი მაინც არ ჩანდა. მარხვის დადგომის წინ თბილისში ჩავედი, ეგზარხოსს მდგომარეობა აეუხსენი და ვთხოვე, რომ ყორღანის სამრევლოსათვის მღვდელი მალე დაენიშნა. მან მიპასუხა, ვეძებ ერთ დამსახურებულ რუს მღვდელს, ვიპოვი და გამოვვზავნიო. დამსახურებული და წარჩინებული მღვდელი კარგია, მაგრამ ის უკვე მოხუცობაში ფეხშედგმული იქნება მეტქი, - შევკადრე ეგზარხოსს. რა უნდა

---

<sup>1</sup> ა. მღებრიშვილი, მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოღვაწეობა ცხინვალში, თბ., 2017, გვ. 41.

გამიკეთოს იმ მოხუცებულმა მღვდელმა თავისი წარჩინებითა და ორდენებით? თანაც რუსმა, რომელმაც ქართული ენა არ იცის-მეთქი, ამაზე მრისხანედ შემომიძტია, - მაშ როგორ გინდა რომ იყოსო, მე მაინც გაბელულად ვუთხარი, რომ იქ მღვდლად უნდა დაინიშნოს ახალგაზრდა, ენერგიით აღსავსე მღვდელი, რომელსაც არა მარტო ინგილოების ენა, არამედ მათი ადათ-წესები ნაწილობრივ მაინც ეცოდინება, მაშინდა შემიკითხა, თუ რა ენაზე ლაპარაკობენ ყორღანელი ქრისტიანებიო.

ქართულ ენაზე-მეთქი, - ვუპასუხე.

- არა მგონია! მე ვიცი, რომ ისინი თათრულად ლაპარაკობენ.

- თათრულიც იციან, მაგრამ მათი დედაენა ქართულია და ოჯახშიც ქართულად ლაპარაკობენ-მეთქი, - ავუხსენი.

- არა მგონია, სტყუიო, - მითხრა.

- თქვენო მეუფეზავ, მე ანაფორა მაცვია და სულელი არა ვარ, რომ თქვენ მოგატყუოთ, თქვენ ხომ ჩამობრძანდებით ეკლესიის საკურთხევლად. იქ თქვენ თვითონ ნახავთ და გაიგონებთ, თუ ისინი რა ენაზე ლაპარაკობენ-მეთქი.

იქაც ხომ შენვე უნდა შეგეკითხო და იქაც ვერე მეტყუიო. მიკვირს თქვენგან მაგ სიტყვების თქმა-მეთქი, - შევკადრე, განა იქ ჩემს გარდა სხვა კაცს ვერ ნახავთ, რომ ჰკითხოთ? იქ თქვენს გარშემო იქნებიან ოლქის უფროსი, თქვენი ამალა, მღვდლები, სხვანი და სხვანი.

- კარგით, მღვდელს მალე დაგინიშნავთო, დამპირდა.

ეგ ზარხოსმა პირობა შეასრულა და ყორღანში მალე დაინიშნა მღვდელი ნიკოლოზ ბარნაბიშვილი, რომელიც ამ მრევლისათვის მართლა შესაფერისი და ენერგიით სავსე იყო.



1896 წლის ოქტომბერში<sup>1</sup> შემატყობინეს ეგზარხოსის მოგზაურობის მარშრუტი. მითითებულ დღეს ჩვენი საბლადოჩინოს საზღვარზე სამ საათზე მივედით მე და ლეონიდე, თან გვახლდა კახში მცხოვრებ ინგილო ვაჟაკატა ნახევარზე მეტი, რომ ეგზარხოსს ღირსეულად შევხვედროდით, მაგრამ მის მოლოდინში შეგვიბინდდა, თანაც ჟინჟულა დაიწყო. უკვე კარგად დაბინდდა, როცა დეკანოსი მოვიდა, მალე მეორე ტრანსპორტიც მოვიდა, რომელშიც პროტოლიაკვნები კარგარეთელი და პისკუნოვი, რეგენტი აუშვი და ხუთიოდე მაგლობელი იყვნენ, ჩემი მრევლი ცხენოსნებით გზის ორივე მხარეს გავამწკრივე, რომ ეგზარხოსისათვის საზეიმო შეხვედრა მომეწყო, მაგრამ ისე დაბნელდა, რომ თვალსახედად აღარაფერი ჩანდა. ეგზარხოსმა მიბრძანა, წადით წინ, ყველანი ეკლესიაში დამხვდით, რომ იქ ლოცვა და ცისკარი ერთად გავმართოთო. წინ ცხენოსნები გავუშვით და უკან ეტლით მიყვებოდით მე და ლეონიდე ბნელში გზას ძლივსღა ვხედავდით, ამიტომ ცხენოსნები ნელა მიდიოდნენ, ეგზარხოსი კი დაგვიანების გამო ბრაზობდა და გვაჩქარებდა, როგორც იყო ეკლესიის ეზოს მივალწიე. ეზო ხალხით იყო სავსე, ცეცხლიც დაენტოთ, ეზო გაენათებინათ, ლოცვა და ცისკარი ცხრა საათზე გავათავეთ.

ოჯახში ვახშამი უკვე მზად მქონდა, რომ სუფრაზე მომეპატიჟებინა ეს მღვდელი, სასულიერო პირი და ვახშმობისას თან მოგველაპარაკნა მრევლისა თუ ეკლესიის საჭიროებებზე, ცისკრის შემდეგ ეგზარხოსმა ჩაი დალია, დასვენება მოითხოვა ისე, რომ ახლაც ვერაფერზე ველაპარაკე, ვთხოვე

---

<sup>1</sup> ქურუმების და თასმალის ტაძრების მშენებლობა 1895 წლის შემოდგომით დასრულდა, რომელსაც იროდიონ ოქროპირიძის მესვეურობით სპეციალური კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 162.

ვანშამზე მობრძანებულიყო, უარი მითხრა, ერთიღა დამრჩენოდა, ღეკანოზ ელიევს ავუხსენი, რომ ამაღლის ხალხს მაინც უნდათ ვანშამი, ნამგზავრებს მოშივდებოდათ. ცოტახანს მაინც დაბრძანდეს, შენაყრდეს, თქვენც ხომ მშიერი ხართ და თქვენ თხოვეთ-მეთქი. მან მართლაც თხოვა ვანშამზე მობრძანება, მაგრამ იმასაც უარი უთხრა, ამის შემდეგ ელიევმა მსუყე სასიამოვნო ხორაგის ცოტა რაოდენობა და ღვინო წაიღო ჩემი სახლიდან. ეგზარხოზი და ის ცალკე ოთახში ჩაიკეტნენ. მეორე ოთახში კი ამაღლასა და სამღვდელოებას გავუშალე ვანშამი. ასე უგემურად ჩამიარა საგანგებოდ მომზადებულმა ვანშამმა. ღამის გასათევად შეძლებისამებრ მოსასვენებლად მოვათავსე. მეორე დღილას მიბრძანა, წადი სკოლაში და მოამზადე გოგონები, უნდა დავათვალიეროო. ეგზარხოზს კი მისიონერი ივანიცკი<sup>1</sup> გაჰყვებოდა განმარტების მისაცემად, ჩვენი ეკლესიის ეზოში კახის მოლები მოსულიყვნენ. თავზე თეთრი ჩაღმები უქათქათებდათ და ეკლესიის გვერდით, ჩემი სახლის პირდაპირ, ჩამწკრივებულიყვნენ. მეორე მხარეს ჩემი მრეველი იდგა, რომ არქიელის ლოცვაკურთხევა მიეღო. იმან კი თეთრჩაღმიანი მოლებისაკენ გასწია და რუსული ლაპარაკი დაუწყო. ივანიცკიმ აუხსნა, რომ ისინი თათრის მოლები არიან და მშვიდობით მობრძანებას გილოცავენო. არქიელს ეგონა, რომ მოლების ბლალოჩინს მუსულმანთა აკადემია ექნებოდა დამთავრებული და ეკითხებოდა, თქვენ ყაზანში ყოფილხართო, თათრებს ივანიცკი

---

<sup>1</sup> როგორც იროდიონ ოქროპირიძე აღნიშნავს: „1895 წელს საინგილოსთვის კვლავ საგანგებო მისიონერი დაინიშნა. ეს კახლდათ ყაზანის სამისიონერი კურსდამთავრებული ტარას ივანიცკი - ადგილობრივი მღვდლის შვილი, რომლის მამა ერთ დროს თათრის მოლა იყო, მერე ქრისტიანობა მიიღო და ქართველი ქალი შეირთო ცოლად, მერე მონასტერში შეისწავლა საეკლესიო წიგნების კითხვა და მღვდლად ეკურთხა.“ ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

უთარგმნა. კაზანს თათრულ ენაზე ქებას ეძახიან, ამიტომ მოლებს ეგონა ქებაზე გვეკითხებოდნენ და უპასუხა: დიან, კაზანი, ვიცით, შიგ ფლავსა ვხარშავთო. ივანიცკიმ ასევე გადაუთარგმნა არქიელს, მაგრამ ის ნათქვამს ვერ მიხვდა. ივანიცკიმ ხელმეორედ რომ აუხსნა, მას გაეცინა და სკოლაში შევიდა. ბავშვებმა სამღვთო რჯულის ისტორია ამალღებაზე ქართულად მიუგეს რა დღეს არის ხოლმე ამალღებაო, აკითხვინა ივანიცკის აღდგომის მეორე დღესო, უპასუხეს ბავშვებმა. შეეკითხა რა დღესო, მაგრამ ბავშვებმა რუსული არ იცოდნენ და ვერ უპასუხეს. შიკრიკმა მოგვაცხენა, რომ ტარანტასი მზად არისო. ეკლესიიდან გამოსულმა არქიელმა ისე გაიარა, რომ მრევლს არც კი შეხედა. მე კი მინდოდა, რომ ორიოდე გამამხნევებელი სიტყვა მათთვისაც ეთქვა, მე და ლეონიდეს ჩავსხედით ფაიტონში და ქურძუნის საყდრისაკენ გავყევით. გზაში ლეონიდეს შევეკითხე მრევლს გამოელაპარაკა თუ არა-მეთქი, არაო, - მითხრა, მეწყინა, ხალხი მის პატივსაცემად ემზადებოდა. ძროხა დაკლეს მისი მხლებლებისა და სამღვდელოებისათვის. იქვე ეზოში, ხეთა ჩეროში, მოამზადეს სადილი, მე და ლეონიდემ ავუხსენით, რომ თქვენს საპატივსაცემოთ ხალხმა სადილი მოამზადა და გთხოვთ მიერთვითო. დიდი უარი განაცხადა. მე ვერ დავრჩები და თვითონ ჭამონო, ის ტარანტასისაკენ წავიდა. ჩვენ კი მრევლს მივუბრუნდით, სადაც სუფრა იყო გაშლილი, იქვე მისულიყვნენ არქიელის მხლებელი მთავრები და მგალობლები. ხალხს გამოვუცხადეთ, რომ თვითონ ექიფნათ, ჩვენც ცოტა შევნაყრდით და არქიელთან წავედით. გზაში ლეონიდეს ვუთხარი, რას შვრება ეგ კაცი, გუშინ მე გამიუგემურა ვახშამი, დღეს კი მრევლის სადილი არ იკადრა. ასე რომ შიმშილით სული აღმოხდება-მეთქი, მაგაზე ახი

იქნება, ეგ რომ მოუვიდესო, - მიპასუხა ლეონიდე. მაგას მაგისთანა უსიხარულო ხასიათი აქვსო.

პატარა ოცდახუთკომლიან სოფელ მეშაბაშში ჩავიარეთ. აქაური მრევლი კახის საყდარზე არის მიწერილი. აქაურ ქალებს, განსაკუთრებით მოხუცებსა და ბავშვებს კახის ეკლესიაში სიარული ეძძიებოდათ წირვა-ლოცვასა და ზიარების დროს. ბევრი ვუჩიჩინე აქაურებს, რომ ერთი პატარა ეკლესია აეშენებინათ, წირვა-ლოცვასაც იქ ჩავატარებდით და მარხვაში ხალხსაც ზიარებისთვის იქვე მოვამზადებდით, რაკი ერთ ეკლესიაში ორი მღვდელი ვიყავით, ამის გაკეთება შეგვეძლო. მეშაბაშელმა მრევლმა თავისი ხარჯით ააშენა ეკლესია და კანკელიც მოასწრო. იმ სოფელს გლეხთა თავკაცი ჰყავდა და როცა მას გაუუსწორდით, ის ბერკაცი უკან დაგვედევნა, მოგვეწია, ფაიტონი და ტარანტასი შეგვაჩერებინა, არქიელთან მივიდა, ქუდი მოიხადა და მოახსენა, რომ ჩვენი ხარჯით სოფლის ეკლესია ავაშენეთ. გთხოვთ, მობრძანდეთ და დაათვალიეროთო. არქიელმა იმ მოხუცს სასტიკი უარი უთხრა და ხალხის სურვილი ფეხქვეშ გათელა. ის კაცი ძალზედ ყოჩაღი ჩანდა, არქიელს მაგრად დაუდგა, აღარ მოეშვა: ჩვენც ქრისტიანები ვართ, მამ ეკლესია ვინ უნდა დაგვიმწყალობოს, თუ არა თქვენო. მაშინ არქიელი ჩვენს ფაიტონში გადაჯდა. მე და ლეონიდე იმის მძიმე ტარანტასში ჩავსხედით, იმაში დავუცადეთ, უკან მობრუნებულმა არქიელმა მადლობის მაგიერ საყვედური მითხრა, ასეთ პატარა სოფელში ეკლესია რათ ააშენებინეო, განა არ სჯობდა ამ მრევლს კახში ევლო და ის შტატის ეკლესია დაემშვენებინაო.

ახლა სოფელ ალიბეგლოს ეკლესიაში ჩავიარეთ და მზის ჩასვლისას მივედით ყორღანში, იქაც ლოცვა და ცისკარი ერთად შევასრულეთ. მერე ელიევთან ერთად ერთ

პატარა ოთახში ჩაიკეტა და ჩაი მიირთვა, მღვდლები კი ცალკე ოთახში დავსხედით, ჩვენთვის ვლაპარაკობდით, თუ ხალხთან საუბარი არ სურს, მაშ რისთვის დადისო ეპარქიაში? თუ ორიოდე კეთილ დარიგებას არ მისცემს?

ჩაის დალევას რომ მორჩა, კარებზე მივაკაკუნე და ელიევს ვუთხარი, სამღვდელოებას ეგზარხოსის ნახვა გინდა, სასაუბრო გვაქვს, ნება ითხოვე-მეთქი. ელიევი მალე მობრუნდა და მითხრა მობრძანდითო, მე და ყორღანის მღვდელი შევედით, თავაზიანად ვუთხარი: თქვენო მეუფებაე! აქაურ მოხუც მრევლსაც კი ჯერ არ უნახავს არქიელი, მისი ხმა და დარიგება არ მოუსმენია. ჩვენ მღვდლები რასაც ვაკეთებთ, სულ თქვენი სახელითა და ავტორიტეტით ვაკეთებთ, მრევლი მოუთმენლად გელოდათ და იმედით ემზადებოდა თქვენს შესახვედრად. საზღვარზე დღის ორი საათიდან მოვიდნენ. ქურმუნის ეკლესიასთან გიცდით დიდძალი ცხენოსანი მრევლი. გთხოვთ, ინახულოთ და თქვენი გამამხნევებელი სიტყვა უთხრათ-მეთქი. ამაზე კუშტად შემომიბთია, სამაგათოდ არ მეცალა, მე ჩემს საქმეს ვეშურებოდიო.

მეორე დღეს თასმალოს ეკლესიაში ვწირეთ და ვაკურთხეთ. წირვის შემდეგ მიბრძანა, ჩემთან იყავი და განმარტება მომეცი ხოლმეო, ეკლესიის გარეთ გზაზე მრავალი მუსულმანობა დამწკრივებულიყო და იქვე ცალკე იდგა თასმალოელ ქრისტიანთა ცამეტკაციანი ჯგუფი, რომლებიც რჯულიდან გადამდგარიყვნენ, ეგზარხოსმა ჰკითხა, ესენი ვინ არიანო, ესენი მუსულმანები არიან, იმ პატარა ჯგუფში კი გადამდგარი ქრისტიანები დგანან-მეთქი, მერე ოლქის უფროსის თანაშემწეს, თოფჩიევს ჰკითხა, ესენი რას უცდიან აქა, რა უნდათო. თოფჩიევმა უპასუხა, ადგილობრივი მუსულმანები არიან, თქვენს პატივსაცემათ და სალმის მოსაცემად მოსულან, რომ მშვიდობით მობრძანება მოგილოცონ, რომ ხომ-გილდი

მოგახსენონო, რაკი გაიგო, რომ მუსულმანები არიანო გაბრაზდა, მაშინ თოფჩიეკმა ხალხს უბრძანა დაიშალენითო. მუსულმანები დაიშალნენ, ქრისტეს რჯულიდან გადამდგარ ქართველებზე კი მითხრა ეგენი ჩემთან შემოიყვანეთ ოთახშიო. ისინი ოთახში შემოიყვანეს. მალე ივანიცკი და ადგილობრივი მღვდელი მიხეილ ყულოშვილიც შემოვიდნენ. ეგზარხოსმა გარეთ გასვლა მიბრძანა სხვა ყველა ოთახში დარჩა.

მერე ყულოშვილმა მითხრა, რომ ეგზარხოსს უკითხავს მისიონერისა და ყულოშვილისათვის იმ რჯულიდან გადამდგარი ქართველების შესახებ. ესენი რა ენაზე ლაპარაკობენო და რა ეროვნებას ეკუთვნიანო, ივანიცკის უთქვამს, თათრულ ენაზე ლაპარაკობენ და ეროვნებითაც თათრები არიანო. მღვდელ ყულოშვილს კი უთქვამს, არა, ესენი თათრები არ არიან, ქართველები არიან და ქართულადაც ლაპარაკობენო. ერთი ცალკე უმტკიცებდა და მეორე ცალკე. მაშინ ეგზარხოსს უბრძანებია, დეკანოზ ელიევს დაუძახეთო. მას უბრძანა: მაგათ გამოეღაპარაკე და გაიგე, რა ენაზე ლაპარაკობენ და რომელია მათი მშობლიური ენა, ქართული თუ თათრული. ელიეკმა ჩამოისვა წვერზე ხელი და იმ ჯგუფს მიმართა: გამარჯობათ თქვენი, შვილებო! მათ უპასუხეს: გაგიმარჯოს, მამაო! როგორა ხართ და გულბათი როგორა გყავთო. მადლობთ, მამაო, კარგად გყავსო, მერე უკითხავს, როგორი მოსავალი მოგივიდათო. კარგი მოსავალი გექონდა, მაგრამ ცოტა ჩულთუკები გაგვიფუჭდაო. ჩულთუკი რალა არისო, უკითხავს. ბრინჯია მამაო - სანამ გავლეწავთ და დავებევავთ, მის მარცვალს ჩულთუკს ვეძახით. ამის შემდეგ ელიევს ეგზარხოსისათვის უთქვამს, ესენი სუფთა ქართულ ენაზე ლაპარაკობენო.

ამნაირად გამოაშკარავდა, რომ მისიონერი ივანიცკი აშკარად ატყუებდა ეგზარხოს ვლადიმერს, რომ ინგილოები ბუნებით თათრები არიან და არა ქართველებიო. ახლა უკვე დარწმუნდა ეგზარხოსი ჩემი სიტყვების სიმართლეში, როცა მღვდლად დამსახურებული რუსი მღვდლის მაგიერ ქართველ მღვდელს ვთხოვდი.

სიღნაღის მოწერილობის თანახმად ეგზარხოს ვლადიმერს თვითონ პირადად უნდა დაერიგებინა რჯულიდან გადამდგარი თასმალოელი ქრისტიანები, მაგრამ გადამდგარებზე ამის დარიგებამაც ვერ იმოქმედა და თათრებთან მშვიდობიანი მეზობლობა არჩიეს მუდამ მტრობასა და ბრძოლას. იმათ გამოცდილებით იცოდნენ, რომ, მართალია მთავრობა სიტყვით მფარველობას და შველას ჰპირდებოდა, საქმით კი არაფერი კეთდებოდა. სანამ წინანდელი ნაიბი მერკულოვი იყო, მართლა მფარველობდა და პატრონობდა ქრისტიანობაზე დაბრუნებულ ქართველებს. მამასახლისებს ქრისტიანებიდან ირჩევდა და მოხელეებად აყენებდა. ყველაფრით მხარს უჭერდა, მისი წასვლის შემდეგ ქრისტიანები ისევ თათრების დევნას განიცდიან. ეგზარხოსი ვლადიმერი აქაც უკმაყოფილო დარჩა, სინოდის წინაშე თავი ვერ გამოიჩინა.

თასმალოდან ზაქათალაში გავემგზავრეთ ეგზარხოსისა და ელიევის ტარანტასი წინ წავიდა მე და ლეონიდე უკან მივეყვით. გზაზე რომელ სანაიბოშიც გავიარეთ, ყველგან აქაური მუსულმანები თავიანთი ნაიბით გვხვდებოდნენ. ნაიბი წინ გადაუდგებოდა ხოლმე ტარანტასს და ეგზარხოსს სამხედრო წესით მოახსენებდა: მაქვს პატივი, მოგახსენოთ რომ ჩემი სოფლის მცხოვრებლები წინ გეგებებიან პატივისცემით და მშვიდობიანი მგზავრობის სურვილითო. ეგზარხოსი ვლადიმერი უკმუნად პასუხობდა, თავი დამანებეთ, მე მათთან რა მესაქმებაო. უბრძანეთ, რომ დაიშალონ, უკან მობრუნებული

ნაიბები მე და ლეონიდეს გვეუბნებოდნენ, ეს რანაირი უფროსი გყოლიათო. ხალხი მის პატივსაცემად მოვიდა, გზა რომ დაულოცოს, ის კი უმადურად პასუხობს, დაიშალეთო. გიჟი ხომ არ არის ეგ თქვენი უფროსიო. სირცხვილით ვიწოდით.

მეორე დღით გავაცილეთ, წავიდა და ძალზედ ცუდი შთაბეჭდილება დაგვიტოვა ხალხსაც და სამღვდელოებასაც. ჩემი მრევლი მეუბნებოდა მამაო, იმას აქებდით და გვეუბნებოდით, არქიელი მოვა და შრომის ერთგულებისათვის დაგლოცავთ, ასეთი დიდი გარჯილობით ამ ციცაბო კლდეზე ეკლესია რომ ააგეთო. ეკლესიის აშენებაზე ჩვენი შრომისათვის კაპიკიც ხომ არ აგვიღია. იმის პირიდან მაღლიერების სიტყვა მაინც გაგვეგონა. კომიტეტის თავმჯდომარე ბრძანდებით და მოგესხნებათ, თუ ჩვენ, მისი წევრები, მრევლს როგორ ველოლიავებოდით, ზოგი ურმით, ზოგი თავისი შრომით გვეხმარებოდა. სადილის ფული გამოვიღეთ, ცხვარ-ძროხა დაკაალით და იმან არა თუ არ გვიკადრა, ერთი სამადლო სიტყვაც არ დასცდენია. ეგ დიდი არქიელი კი არა, უგულო და გაუნათლებელი ყოფილაო. მე რაღა მეთქმოდა, მხოლოდ მწარე ფიქრებმა ამიძვრიეს გული, რომ ასეთ უბედურებაში ჩავარდა ჩვენი ერი და თვით ეკლესია იმისთანა უცხვირპირო და უგულო მმართველების ხელში, რომლებიც მარტო იმ პოლიტიკას მისდევდნენ, რომ ხალხი გავარუსოთო. ცხადია, მაგათ ხელში ჩავარდნილი ინგილოები დაჰკარგავენ ქრისტიანობას და გაათარღებინან. ამ ამბის მნახველი თათრობიდან ქრისტეს რჯულზე აღარავინ გადმოვა.

არქიელის წასვლის შემდეგ კომიტეტის წევრების გულის მოსაგებად მალე მივაყოლე წერილი. ვაცნობე, რომ თქვენს მიერ ნაკურთხი ქურმუხისა და თასმალის ეკლესიებისა და საკრებულო სახლის ამშენებელნი ღირსნი არიან



პარქიელური მთავრობისაგან გამხმნეებისა და დაჯილდოებისა. ამის პასუხად ორი თვის შემდეგ მომივიდა მოწერილობა: „გადაეცით აღმაშენებელი კომიტეტის წევრებს ლოცვაკურთხევა მისი უსამღვდელოების, საქართველოს ეგზარხოსის ვლადიმერისა.“ ეს წერილი კომიტეტის წევრებს გამოუცხადდა.

ნეტავი ფეხი მოსტეხოდა იმ უჟმურსა და საინგილოში არ მოსულიყო, - თქვეს, - მისმა მოსვლამ და გულქვაობამ საინგილოს ქრისტიანობას ვნების მეტი არაფერი მოუტანაო. ის გულქვა კაცი რუსეთის სამღვდელოებაში ისეთი წარჩინებით იყო მიღებული, რომ მალე მოსკოვის მიტროპოლიტობა და სინოდის წევრობა მიიღო. ხალხი გააკვირდა, უკეთესი რუსი თუ ასეთია მდარე რაღა იქნებაო.

მართალია, ეგზარხოსის საინგილოში ჩამოსვლამ ძალზე მატკინა გული, მაგრამ მხნეობა მაინც არ დამიკარგავს და უფრო მეტს ვცდილობდი ქრისტიანობის წარმატებისათვის<sup>1</sup>. ეგზარქოს არც საქართველო ეხატებოდა გულზე და არც ქართველი მღვდელმსახურები, მაგრამ იგი ქადაგებებით ცდილობდა შეენიღბა თავისი დამოკიდებულება. ამას ადასტურებს მისი: „სიტყვა თქმული იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო გაბრიელის დასაფლავების დღეს მის მალაყოვლად უსამღვდელოესობის უწმიდესის სინოდის წევრის, ქართლ-კახეთის მთავარ-ეპისკოპოსის, საქართველოის ექსარხოსის ვლადიმერის მიერ რუსულითგან ნათარგმნი თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ილია ფერაძის მიერ, 1896 წელსა, 22 დეკემბერსა.“ გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე ეგზარქოსის მიერ წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში ჩანს თავის სამწყსოზე ძალზე მზრუნველი და ღვაწლმოსილ ქართველ სასულიერო პირთა დიდად დამფასებელი

---

<sup>1</sup> ა. მღებრიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164-171.

მღვდელმთავარი. სავარაუდოდ, გამოსათხოვარი სიტყვის ავტორი საეგზარქოსოს რომელიმე ჩინოვნიკი იქნებოდა. როდესაც ეგზარქოსი ვლადიმერი მოსკოვის მიტროპოლიტად გადაიყვანეს, მისთვის საგანგებო მისალოცი ტექსტი დაწერა ცნობილმა ქართველმა სასულიერო მოღვაწემ, წმ. ალექსანდრე ოქროპირიძემ. მან ვლადიმერის დაწინაურებაში განსაკუთრებული როლი მიაწერა რუსი მღვდელმთავრის საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსად მოღვაწეობას: „მოგილოცავთ მიტროპოლიტის ხარისხს. გაუწყებთ, რომ თქვენ იყავით უბრალო ბერი - მერე ეპისკოპოსი და ეგზარქოსი საქართველოს ეკლესიისა, საქართველოს ეკლესია იმოდენით მაღალი, ძველი და მძლავრი, რომ მის მაღლმა თქვენ თავის ასპარეზზედ ასე დაგაწინაურად დღეს მიტროპოლიტის ხარისხით მიბრძანდებით რუსეთს. ეს უმაღლესი ხარისხი თქვენ მოგანიჭათ საქართველოს ძველ ეკლესიამ და ამიტომ უნდა უმაღლოდ მას და არ დაივიწყო ამ ძველი ეკლესიის ამაგი.“<sup>1</sup> ეგზარქოს ვლადიმერის შესახებ საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ (1866-1952). კალისტრატეს დახასიათებით: „პეტერბურგის მიტროპოლიტისა და უწმინდესი სინოდის თავმჯდომარის მიერ დანიშნული ეგზარქოს პალადის მემკვიდრე გახდა მთავარეპისკოპოსი ვლადიმერ ბოგოიაველენსკი (1892-1898); ეს იყო ჭკვიანი, უბრალო, ღირსეული და მჭევრმეტყველი პიროვნება, მთავარეპისკოპოსთაგან ერთადერთი კაცი, ვინც განაგებდა ოთხივე პატივსადებ კათედრას-საქართველოსას, მოსკოვისას, პეტერბურგისას და კიევისას. მთავარეპისკოპოსთაგან პირველი სხამდა მღვდლებს მიღებისას დროს და ისე ესაუბრებოდა მათ, როგორც თანამ-

---

<sup>1</sup> სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეზე, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფ., 1918, გვ. 107-108.

შრომლებსა და თანამოსამსხურეებს, ერთი თვისება გამოარჩევა სხვათაგან: როცა მღვდელი ღელავდა და ხმამაღლა ლაპარაკს იწყებდა, ხანდახან თვითონაც ეუფლებოდა თანამოსაუბრის განწყობილება, მაგრამ ორივე რომ ყვირილს ატეხდა, მეუფე ვლადიმერი გაიღიმებდა, ხმას დაიმდაბლებდა, იტყოდა, ნეტა რა გვაყვირებს, მშვიდად ვისაუბროთო, და უკვე წყნარად და მეგობრულად აგრძელებდნენ ორივენი საუბარს. მე ამ მღვდელმთავარს განსაკუთრებით პატივს ვცემ, ვინაიდან მან მაკურთხა, თუმცა არ შემძლია თვალი დავხუჭო მის აშკარა ქართველთმოძულეობაზე თუ არა, აშკარა რუსთმოყვარეობაზე მაინც.<sup>1</sup> მის თხზულებაში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის შესახებ რამდენიმე ეპიზოდია. ერთ-ერთი მათგანი თბილისის სასულიერო სემინარიის დახურვას ეხება. კალისტრატე ცინცადის გადმოცემის თანახმად სემინარიელებმა რამდენიმე მოთხოვნა წაუყენეს ხელმძღვანელობას, მათ შორის: სწავლების ენად ქართული ენის შემოღება რუსულის ნაცვლად, ქართული ლიტერატურის სწავლების, ასევე აკრძალული ლიტერატურის კითხვის ნებართვა. სემინარიელთა გაფიცვას მ. ცხაკაია ხელმძღვანელობდა. ეგზარქოსის ბრძანებით სემინარია 1894 წლის 8 იანვრამდე დაიხურა, ხოლო 84 სემინარიელი კი გაირიცხა.<sup>2</sup> კალისტრატე ცინცადის გადმოცემით ეგზარქოს ვლადიმერს სიძულვილი ჰქონდა ქართული სალოცავებისა და სიწმინდეებისადმი: „მეუფე ვლადიმერმა ქართველთადმი სიძულვილს ქართული სალოცავებისადმი სიძულვილიც დაურთო. ცნობილია, რომ ქართული ეკლესია 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლობას და უფლის კვართის დღესასწაულს ზეიმობს, რუსული ეკლესია კი – ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის საფარველის დღესა-

---

<sup>1</sup>კალისტრატე ცინცადე, „ჩემი მოგონებებიდან“, თბ., 2001, გვ. 39.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 41.

სწაულს. 1894 წლის 1 ოქტომბერს მეუფე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში წირავდა, წირვის შემდეგ მღვდელმსახურნი პარაკლისის გადასახდელად გამოვიდნენ. საწიგნეზე ორი ხატი იდო: სვეტიცხოვლის და ღვთისმშობლის საფარველის. მეუფემ კანდელაკს უბრძანა, სვეტიცხოვლის ხატი წაეღო. მლოცველთ გული დაუძიმდათ. ზოგიერთ რუსსაც კი, ბევრი გავიდა ეკლესიიდან.<sup>1</sup> ჩენი ქვეყნისადმი ეგზარქოსის აგდებული დამოკიდებულება ჩანს კალისტრატეს სიტყვებში: „მეუფეს სამრევლო სკოლაში მისვლა უყვარდა, ერთხელ დიდუბის სკოლას ეწვია, აქ ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა, მეუფემ მასწავლებელს ჰკითხა: რას ასწავლითო? მასწავლებელმა მოახსენა საქართველოს გეოგრაფიასო. რომელ საქართველოსას, თუ გნებავთ თქვათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისასო? მასწავლებელი აირია. ეგზარქოსმა კი მე შემომხედა. გამოხედვაში საყვედური თუ კითხვა უკრთოდა. მეუფეო – მიუგუე მე – არა თბილისისას და ქუთაისისას, არამედ იმ საქართველოს გეოგრაფიას, რომლის ეგზარქოსი თქვენ ბრძანდებით! მეუფეს გაეღიმა, მაგრამ ეს ღიმილი არ იყო სახეს რომ სილამაზეს ანიჭებს, არამედ სხვა ღიმილი, რომელიც სახის ლამაზ ნაკვთებსაც კი ამახინჯებს.“<sup>2</sup> რუსი ეგზარქოსი განსაკუთრებით მოწადინებული იყო, რომ ქართველი სასულიერო პირები რუსი მღვდლებით ჩაენაცვლებინა, ამას იგი ღიად აცხადებდა: „ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თქვა: (ეგზარქოს პალატზე – გ. ს) კარგი მღვდელმთავარი იყო, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებს რუსები ერჩია, რასაც ვერ მოვიწონებო. მეუფე ვლადიმერმა მიუგო: „უკაცრავად მაგრამ მეც მასავით მოვიქცევი, მეტსაც ვიზამ: სადაც კი რუსის ჩაჩხირვა შეიძლება უსათუოდ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 44.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 46.

ჩავჩხირავ“<sup>1</sup> როგორც აღვნიშნეთ, ეგზარქოსი ვლადიმერი ქართველებს არ სწყალობდა, თუმცა, ილუმენ კირიონის თხზულებიდან ჩანს, რომ ქართველი ჩინოვნიკებიც და უბრალო მოსახლეობაც რუსი მღვდელმთავრის გამოჩენას შიდა ქართლის სოფლებში მოგზაურობის დროს აღფრთოვანებით ეგებებოდა. კირიონის ნარკვევში ამის დამადასტურებელი რამდენიმე ეპიზოდი გვხვდება. მეტეხში ჩასულ ეგზარქოსს მეტეხის ტაძრის აღდგენის კომიტეტის თავმჯდომარე, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი ი. დ. სულხანოვი შეეგება და მას ასეთი სიტყვით მიმართა: „თქვენო უსამღვდელოესობავ, ჩვენო უმოწყალესო სულიერო მწყემსო და მოსიყვარულე მამაო! მოგესალმებით, რა მართლმადიდებელი საქართველოს ამ განთქმულ სალოცავში, ჩვენ კომიტეტის წევრები და მეტეხის მკვიდრნი მთელი გულითა და სულით გამოვხატავთ სიხარულს, რომ ჩვენდამი სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე თქვენი უსამღვდელოესობის აქ ჩამობრძანების პატივი გვერგო. მოხარულნი ვართ თქვენი მშვიდობიანად ჩამოსვლისა, რომელიც განაპირობა თქვენმა საყოველთაოდ ცნობილმა მზრუნველობამ თქვენზე მინდობილი წამებული საქართველოს საკეთილდღეოდ, რომელიც ზეციური დედოფლის წილხვედრი ქვეყანაა. სიყვარულით გვხვდებით თქვენ, ჩვენს უმოსიყვარულეს მამას, რომელიც თვით ზეციურმა მეფემ გამოგვიგზავნა. თქვენი მობრძანებით ხარობს თვით ეს ჭაღარა ძეგლიც, რომელიც ვახტანგ გორგასლის ღვთისმოსავი ხელით არის ნაგები და საქართველოს მამაცი და სახელოვანი გმირების, მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლობის დამცველთა სისხლითაა მორწყული. არაერთგზის შეხებია ამ 1500 წლიან ტაძარს, მის მშვიდ იერს მტრის ხელი და მახვილი. ქვით ნაშენი გალავნის სათოფურებიანი

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 39.

კომპეების და ტაძრის ფრონტონებზე არსებული ციტადელე-ბის ნარჩენები მოწმობენ გარდასულ დროთა ქარცეცხლიანი ეპოქის შესახებ. განვლილმა საუკუნეებმაც თავის კვალი და-აჩნიეს ტაძარს, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნის ბოლოს მომხდარმა მიწისძვრამ, რომელმაც შეარყია ტაძრის შენობა, რის შედეგად მას ბზარი გაუჩნდა, მაგრამ სასულიერო ხელ-მძღვანელობის მზრუნველობის შედეგად შეიქმნა კომიტეტი, რომელიც თავდადებულად შრომობდა მისი აღდგენისათვის, და, უფლის წყალობით, როგორც თქვენ ხედავთ, აღადგინა იგი. იბერიის მფარველის, მარადიული ქალწულის კეთილი ნებითა და წყალობით მოხდა სასწაული – ხილვის შესაბამისად ღვთისმშობლის ხატმა ჩაანაცვლა უგზო-უკვლოდ და-კარგული ქართველი გვირგვინოსნების მიერ უხვად შემკული უძველესი ხატი. თქვენო უსამღვდელოესობავ, თქვენი სტუმრობით გაბედნიერებული ხალხი ვიდასტურებთ თავის ერთ-გულებას, გულთბილად ლოცულობს იბერიის მფარველის უბიწო ღვთისმშობლის წინაშე თქვენი ჯამრთელობისათვის თქვენივე სამწყემსოს საკეთილდღეოდ“.<sup>1</sup> ასეთივე სიტყვით მიმართა გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა ი. დ. სულხანიშვილმა ეგზარქოსს, სოფელ ზემო ნიქოზშიც, როგორც ილუმენი კირიონი წერს: „მისი უმღვდელოესობა სოფლის გავლით მთავარი ეკლესიისაკენ ეტლით გაემართა. მონაკვეთი ძირითადი გზიდან ეკლესიამდე წითელი მაუდით გადაკრული ხალიჩებით იყო მოფენილი. მის ორთავე მხარეს მყოფი ქართულ ეროვნულ და ევროპულ ტანსაცმელში გამოწყობილი უამრავი ადამიანი მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. მეუფეს გამოჩენისას ხალხი სიხარულსა და აღტაცებას ვერ მალავდა. ტაძრის გალავანში მწყემსმთავარს გორის

---

<sup>1</sup> И. К. Обозрение карталйнских церквей высокопреосвященным Владимиром, Экзархом Грузии, 1897, стр. 5-6.

მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი მიეგება: თქვენო უსამღვდელოესობავ, ყოვლადმწყალობელო სულიერო მწყემსო ჩვენო და კეთილსახიერო მამაო! ჩვენი დიდი ხნის და საყოველთაო სურვილი ახლა და ბედნიერება გვერგო თქვენი, უმოსიყვარულესი მწყემსმთავარის ნახვისა! ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი განუსაზღვრელი სიყვარულითა და ერთგულებით, გულითადად გეგებებათ აქ, ამ ყოფილ კათედრალურ ტაძარში, რომელშიც მისი დამაარსებელი, ძღვევამოსილი გვირგვინოსანი, ვახტანგ გორგასლანი, ზეცისაკენ ხელაპყრობილი ლოცულობდა. მოგესალმებით და გულწრფელად მოხარულნი ვართ, რომ თქვენ დასძლიეთ მგზავრობასთან დაკავშირებული ყველა სიძნელე და მშვიდობიანად ჩამობრძანდით ჩვენთან. საყოველთაოდ ცნობილია თქვენი მწყემსმთავრული დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი და დაუღლეელი მოღვაწეობა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის საკეთილდღეოდ. თქვენ არა მარტო ფიქრობთ ჩვენს რელიგიურ, ზნეობრივ, მართლმადიდებლური სულისკვეთებით გამსჭვალულ განათლებაზე, არამედ მამაშვილური რჩევა-დარიგებებით, საეკლესიო-სამრევლო სკოლების გამრავლებისა და მოწესრიგების საკითხებზე ზრუნვით, ცდილობთ ჩამოაყალიბოთ ჩვენგან გონიერი, მოაზროვნე მოქალაქეები, ერისა და მშობლიური ეკლესიისადმი თავდადებული შვილები. ჩვენი მოსახლეობა მადლობას გიხდით თქვენი სამწყემსოს კეთილდღეობისათვის თქვენი დაუღლეელი ზრუნვის გამო და იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენს მხარესა და ამ ეკლესიას შემდგომშიც არ მოაკლდება თქვენი მამობრივი ზრუნვა და მფარველობა. დიდი ვახტანგ გორგასლანის მიერ აგებული ეს უძველესი და ჭაღარა ძეგლი მრავალი საუკუნის განმავლობაში იდგა აქ აღმართული. მრავალი ჭირ-ვარამი გადაიტანა მან შემხედვარემ იმისა, თუ როგორ იტანჯებოდა

ურწმუნოთა უმძიმესი უღლის ქვეშ მყოფი წამებული საქართველო, რომლის მატთანის ფურცლები მისი საუკეთესო და გამორჩეული შვილების სისხლითაა შეღებილი, მათი სისხლით, ვისაც წილად ხვდა რწმენისა და სამშობლოსთვის წამებულ-დამცველთა გვირგვინოსნების წოდების ტარება. ჯერ კიდევ V საუკუნის პირველ ნახევარში ამ ტაძარმა გულში ჩაიკრა და მყუდრო საგანედ მოევიწყა საქართველოს ეკლესიის უძვირფასეს სიწმინდეს – პირველმოწამე წმინდა რაფაელის ნაწილებს, რომელიც ახალი სამშობლოს, საქართველოსა და მისი მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი სიყვარულისა და თავდადებისათვის 451 წელს სპარსელებმა ჯვართ აცვეს. ამ ეკლესიაში აგრეთვე ინახებოდა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე დიდის მიერ ბოძებული, ელენეს მიერ მოპოვებული ქრისტეს ჯვრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ ნაწილისგან დამზადებული პატარა ჯვარი მოთავსებული იყო ძვირფას ბუდეში. საქართველოს ეს უდიდესი სიწმინდე, რომელიც ცნობილი იყო როგორც „ძელი ჭეშმარიტი“, XVIII საუკუნის ბოლოს ნიქოზის ეკლესიიდან დაიკარგა, რის გამოც მეფე გიორგი XIII იმდროინდელი ნიქოზელი ეპისკოპოსი ათანასე მოჰკვეთა კათედრას და მონასტერში გაამწესა. ასე ამრიგად, ეს ტაძარი იყო უთქმელი, მაგრამ მიუკერძოებელი მოწმე ჩვენი სამშობლოს დიდებული, მღელვარებით აღსავსე წარსულისა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ქართლის ეს სულიერი მანათობელი დღითიდღე, თანდათანობით ქრებოდა, მისი გუმბათი ნელ-ნელა ინგრეოდა, მისი ოთხივე მხარე, გარდა ჯვრისებრი ფუძისა, საძირკვლამდე იყო დაზიანებული, ტაძრის პერანგი ადგილ-ადგილ იშლებოდა, მის გარშემო ნანგრევების გროვა ამახინჯებდა საერთო ხედს. ერთი სიტყვით, ერთ დროს საყოველთაოდ განთქმული ტაძრის დღეები უკვე დათვლილი იყო და როდესაც მავანი



მზად იყო თავისი მკრეხელური ხელის ერთი მოსმით ამოე-  
ლო მოქმედი ტაძრების სიიდან, ის, როგორც ფენიქსი, აღდგა  
და აღორძინდა. ეს მოხდა შექმნილი კომიტეტის წყალობით  
და ტაძარმა, როგორც დაღლილმა გოლიათმა, თავისი ცხო-  
ვრების გრძელ გზაზე ცოტაოდენი შეისვენა, კვლავ ძალღონე  
მოიკრიფა და ამჟამად ნუგეშითა და იმედით შეჰყურებს ხვა-  
ლინდელ დღეს. ათონელი მოღვაწე-მშენებლის მსგავსად, ამ  
მეტად განსაკუთრებულ დღეს ნიქოზის კომიტეტი თავს უფ-  
ლებას აძლევს აღდგენილი ტაძრის - წმინდა დიდმოწამე  
რაჟდენის აკლდამის შემყურემ თქვას: „ეს „ანი“-ა და ჩემი  
წმინდა მანათობელია. ჩვენ ლოცვა-ვედრებით მივმართავთ სა-  
ქართველოს ეკლესიის პირველმოწამე რაჟდენს, რომლის  
წმინდა ნაწილები განისვენებენ ამ 1500 წლიან ტაძარში,  
ძალ-ღონე და სიმტკიცე გიბოძოთ. თქვენი, როგორც სული-  
ერი მწყემსის, წინაშე მღვობი ამოცანების და მისიის გან-  
ხორციელების და დაგვირგვინების საქმეში, თქვენდამი მინ-  
დობილი იბერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ. გთხოვთ გვიბო-  
ძოთ თქვენი მწყემსმთავრული კურთხევა და არ დაგვივიწყოთ  
თქვენს წმიდა ლოცვებში“.<sup>1</sup> ასეთივე შინაარსის მისასალმე-  
ბელი სიტყვით მიმართა ცხინვალში ჩასულ ეგზარქოსს  
მღვდელმა მანასია კაპანაძემ: „თქვენო უსამღვდელოესობავ,  
უსამღვდელოესო მეუფეო, ყოვლად უმოწყალესო მწყემს-  
მთავარო და მამაო! სასიხარულო ამბავმა - თქვენმა გადაწ-  
ყვეტილებამ მოგენახულებინათ ქართლი და, მათ შორის,  
ჩვენი კუთხე, ჩვენში თრთოლვით აღსავსე მოლოდინი აღძრა,  
რომელიც ამჟამად ცხადად გვექცა. თქვენი ჩამობრძანება  
ჩვენთვის, ცხინვალელებისათვის, დიდი ზეიმია, რომელიც  
ჩვენს საეკლესიო-სამრევლო მატრიანეში აისახება და მისი  
ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი იქნება, ხოლო ჩვენთვის

---

<sup>1</sup> Там же, стр. 13-14.

საამო მოგონებად დარჩება. ვაფასებთ რა თქვენს, სულიერი მწყემსის, ჩვენდამი ამგვარ ყურადღებას, თითოეული ჩვენგანი, ჩვენდაუნებურად ვიხედებით საკუთარი გულის სიღრმეში, მის ყოველ კუთხე-კუნჭულში და ჩვენს თავსვე ვეკითხებით: ვართ კი ღირსნი ჩვენდამი ამგვარი ყურადღებისა? თქვენ, თქვენი უმდიდრესი სიბრძნითა და გამოცდილებით შეგიძლიათ უფრო მეტად განჭვრიტოთ ჩვენი მატერიალური და სულიერი მდგომარეობის სიმწირე, ვიდრე ჩვენ ამას საკუთრივ ვგრძნობთ. ჩვენ არ ვძალავთ და არც შეგვიძლია დაემალოთ ჩვენი სულიერი ნაკლოვანებები, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, თქვენი მწყემსმთავრული მიმტვევებლობით, კეთილი გულით და მამაშვილური სიყვარულით, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მიგვიტევოთ ჩვენი ნაკლოვანებები. და თუ სადმე და რამეში ღირსნი ვიქნებით და დავიმსახურებთ თქვენს სიმკაცრეს, მაშინ, როგორც შვილები საკუთარ მამას, გთხოვთ, რომ ეს სიმკაცრე გაანელოთ იმ სიყვარულით, რომელიც თქვენ, სულიერ მწყემსს ჩვენდამი, თავისი სამწყემსოსადმი, გააჩნია და ამით მოგვცეთ ღვთის ცნებების აღქმის და განუხრელად შესრულებისთვის სწორი მიმართულება. წმინდაო მეუფეო! დაგვდეთ პატივი და ამ ღვთის ტაძარში ადავლინეთ ლოცვა მათთვის, ვინც თქვენ წინაშე ღვას და სასოებით ელის თქვენს ლოცვა-კურთხევას.<sup>1</sup> ეგზარქოსს მხოლოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკები და სასულიერო პირები არ ამკობდნენ ხოტბა-დიდებით. როგორც ჩანს, ადგილობრივი მრევლი განსაკუთრებულ სამზადისში იყო უმაღლეს სასულიერო იერარქთან შესახვედრად, ეს იქიდანაც, ჩანს, რომ ეკლესიის მეთაურს მისასალმებელი სიტყვებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც ეგებებოდნენ. სოფელ ტირძნისში ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, როგორც

---

<sup>1</sup> Там же, стр. 15-16.

იღუმენი კირიონი წერს, ერთ-ერთმა გლეხმა ვლადიმერს ასეთი სიტყვებით მიმართა: „თქვენო უსამღვდელოესობავ, ყოვლად მოწყალეო ჩვენო მწყემსმთავარო. უდიდესი სიხარულითაა აღსავსე თითოეული ჩვენგანის გული, რადგან დიდი პატივი გვაქვს თვალნათლივ ვიხილოთ ჩვენი მამამწყემსმთავარი. ჩვენთაგან მრავალს თავის სიცოცხლეში არც კი უნახავს არქიელი! მაღლობას გიძღვნით მასზედ, რომ ჩამობრძანდით ჩვენთან, რათა დაგვმოძღვროთ ჩვენ და ჩვენი შვილები, რათა შეიცნოთ ჩვენი სულიერი ჭირ-ვარამი, მოგვიშუშოთ იარები და დაგვამკვიდროთ სათნო და მაღალზნეობრივ ცხოვრებაში. მაღლობას გიხდით ჩვენს შვილებზე გაწეული მზრუნველობისათვის, რომელთა რელიგიური განათლების მისაღებად ჩვენს მშობლიურ სოფელში გახსენით ორწლიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა. გთხოვთ, ჩვენი ძველი ადათ-წესის მიხედვით მიიღოთ ჩვენგან პური და მარილი და აღავლინოთ ლოცვა ჩვენთვის და ჩვენი შვილებისათვის“.<sup>1</sup> თუ როგორი იყო ეგზარქოსის მიმართ ქართველ არისტოკრატთა ოჯახების დამოკიდებულება, ეს ძალზე კარგად ჩანს სოფელ ტყვიაში ვლადიმერისადმი ა. ი. ფავლენიშვილის მეუღლის მიმართვიდან: „გულითად მაღლობას გიხდით ჩვენადმი იმ განსაკუთრებული ყურადღებისათვის, თქვენი მობრძანებით რომ გააბედნიერეთ ჩვენი ოჯახი. ოდითგან საქართველო განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით. ჩვენო ძვირფასო მწყემსმთავარო, ძველი ადათ-წესის შესაბამისად მიიღეთ ჩვენგან პური და მარილი და თქვენი მამაშვილური სიყვარულით და წმინდა მარჯვენით გვაკურთხეთ. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი წმინდა ლოცვა-ვედრებით ღმერთი გვიბოძებს ჯანმრთელობას და კეთილდღეობას“.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Там же, стр. 21.

<sup>2</sup> Там же, стр. 23.

ეგზარქოსს საგანგებოდ მომზადებული სიტყვებით ხვდებოდნენ დაბალი სასულიერო პირებიც. მუხრანში ჩასულ მღვდელმთავარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ადგილობრივმა მღვდელმა მარინოვმა (მარინაშვილი), რომელიც რუს ეგზარქოსს ქეთევან წამებულის ეკლესიის შესასვლელში შეეგება: „უფლის სახელით დალოცვილი ყოფილიყავით თქვენო ყოვლად მაღალო უსამღვდელოესო მეუფეო! ეს თქვენი რთული და უამრავ უხერხულობასთან დაკავშირებული მოგზაურობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ უზარმაზარი და მრავალფეროვანი ეპარქიის მართვაში საკუთარი საწყემსოს და საკუთარი ქვეშემდგომების ახლო გაცნობას. თქვენი ჩამობრძანება ნამდვილად ახარებს სტუმართმოყვარე მუხრანელ მემამულეებს და საერთოდ მთელ მოსახლეობას, რომელნიც ძველთაგან მიჩვეულნი არიან საკუთარ სოფელში მრავალი მაღალი წოდების სასულიერო პირის ხილვას. ჩვენს მეზობელ სოფელ წილკანში საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ბაგრატიონების სამეფო დინასტიის შთამომავალი, მუხრანელების საგვარეულოს წარმომადგენელი მღვდელმთავრები უძღვებოდნენ. რა თქმა უნდა, გვიხარის ჩვენც საღმრთო და საეკლესიო მსახურებს, რამეთუ ეკლესიების და საეკლესიო საბუთების მონახულების შემდეგ, თქვენ, თქვენთვის ჩვეული მამობრივი სიყვარულით ზუსტ მითითებებს მოგვცემთ, თუ როგორ მოვიქცეთ, რათა უფლის საკურთხევლის ჭეშმარიტი მსახურნი და მისი დარაჯნი ვიყოთ“.<sup>1</sup> ახლოვდებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის თარიღი, შორს არ იყო ასევე საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების დროც. რუსი ეგზარქოსისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულება კირიონის თხზულების

---

<sup>1</sup> Там же, стр. 33-34.

მიხედვით თითქოს უჩვეულოა. უჩვეულოა თავად-აზნაურთა ელიტარული ოჯახების, სასულიერო პირების, დაბალი სოციალური ფენების განწყობა იმ იმპერიის ეკლესიის სინოდის მიერ დანიშნულ უმაღლეს სასულიერო იარარქის მიმართ, რომელმაც გულმოდგინედ იმუშავა მრავალსაუკუნოვანი სამოციქულო ეკლესიის გადასაგვარებლად და ეროვნული ცნობიერების აღმოსაფხვრელად. თითქოს უჩვეულოა თხზულების ავტორის ილუმენ კირიონის შეფასებაც, ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობას, მისი აზრით, სწორედ რუსეთთან შეერთებამ იხსნა განადგურებისგან საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები: „XVIII საუკუნის დამლევს, როდესაც საქართველო ერთმორწმუნე რუსეთს მიუერთდა, ქართული ძეგლებისათვის იწყება ნუგემის მომცემი დრო. დიდსულოვან რუსეთს დროულად რომ არ მოესწრო დახმარების გაწევა, ჩვენ ყველანი ვანდალიზმის მოწმენი გავხდებოდით – პირისაგან მიწისა აღიგვებოდა თაობების მუხლმოუდრეკელი შრომის შედეგი - სიძველეების მთელი სამყარო. ამჟამად მშვიდობისა და რუსეთის დიდების პერიოდში ძველთაძველი ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლების აღდგენის საქმე საკმაოდ წარმატებით მიმდინარეობს.“<sup>1</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია ეპოქის რეალობა, გასათვალისწინებელია ეგზარქოსთან დაახლოებული და მის მიერ ბერად ხელდასახმული სასულიერო პირის მიერ ეგზარქოსის მოგზაურობისადმი მიძღვნილი ტექსტის მიზანი... გასათვალისწინებელია იმპერიული ძალმომრეობის ქვეშ მყოფი ხალხის განწყობა და დამოკიდებულება. მოგვიანებით, როცა საქართველოს ეგზარქოსი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო საქართველოდან (იგი მოსკოვის და კოლომ-

---

<sup>1</sup> Там же, стр. 28.

ნის მიტროპოლიდად გადაიყვანეს) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე პეტერბურგში მყოფი კირიონი 1906 წლის იანვარში ვლადიმერ ბოგოიაველენსკის კვლავ შეხვდა. კირიონს ყოფილმა ეგზარქოსმა მოულოდნელად ჰკითხა: „თქვენ კირიონის სახელი რად დაირქვითო“ – ყოფილმა ეგზარქოსმა მომავალი პატრიარქისაგან ასეთი პასუხი მიიღო: „ბერად შედგომა გადავწყვიტე 9 მარტს, ამ დღეს 40 მოწამის მოგონებაა, თქვენ თვით ეს გარემოება მოგახსენოთ, გამოიტანეთ КРЕСТНЫЙ КАЛЕНДАРЬ-ი და რადგანაც ამ დღის 40 მოწმეში პირველად კირიონია, თქვენის დართვით ავირჩიეთქი ეს სახელი.“<sup>1</sup> მღვდელმთავარ კირიონის და საქართველოს ყოფილი ეგზარქოსის ვლადიმერის შეხვედრა პეტერბურგში შემთხვევითი არ იყო. უწმინდესი სინოდის მიერ 1906 წლის 16-18 იანვარს შეიქმნა განსაკუთრებული სათათბირო, რომელსაც საქართველოს საეგზარქოსოში არსებული საეკლესიო საქმეები უნდა განეხილა. აღნიშნულ სათათბიროს სათავეში ჩაუდგა საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი ვლადიმერ ბოგოიაველენსკი. სათათბიროში შედიოდნენ: საქართველოს ყოფილი ეგზარქოსი ფლაბიანე (გოროდეცკი) იმჟამად კიევის მიტროპოლიტი, საქართველოს მოქმედი ეგზარქოსი ნიკოლოზი (ნალიმოვი), ეპისკოპოსი კირიონი (იმჟამად ის ორლოვსკის და სევის ეპარქიას უდგა სათავეში, 1906 წლის 3 თებერვალს კი სოხუმის ეპარქიაში გადაიყვანეს) და იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი.<sup>2</sup> აღნიშნული სათათბიროს მუშაობამ

---

<sup>1</sup> წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (სამაგლიშვილი) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიაშვილმა, თბ., 2006, გვ. 15.

<sup>2</sup> Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; Указателем

ქმედითი შედეგი ვერ გამოიღო. ქართველი ეპისკოპოსები თავგამოდებით იბრძოდნენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზნით,<sup>1</sup> თუმცა, რუსეთის სინოდის უმაღლესი იერარქები ხელაღებით ბლოკავდნენ აღნიშნულ საკითხს. მალე სინოდის ინიციატივით მუშაობა დაიწყო რუსეთის საეკლესიო კრების წინარე განსაკუთრებული სათათბიროს მეორე განყოფილებამ.<sup>2</sup> ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა ლიტოვსკისა და ვილენსკის ეპისკოპოსი ნიკანდრი (მოლჩა-

---

снаддил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязань, 2016, стр. 13; წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი, გვ. 23.

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ 1906 წლის დასაწყისში ობერ-პროკურორმა ა. დ. ობოლენსკიმ ი. ჭავჭავაძეს და გიორგი ჟურულს განუცხადა, რომ განიხილებოდა ქართული ეკლესიის სათავეში ქართველი ეგზარქოსის დანიშვნა. რუსეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ამით ქართულ ეკლესიაში დაწყებული ავტოკეფალისტური მოძრაობა ჩაცხრებოდა. ე. ბუბულაშვილი, „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები“, თბ., 2003, გვ. 38; საქართველოს ეკლესიის სათავეში რომ ქართველი ეგზარქოსის დანიშვნის საკითხზე აქტიური მსჯელობა მიმდინარეობდა, ამას ადასტურებს კირიონ II წერილი. როგორც ამ წერილიდან ჩანს (წერილი დათარიღებულია 1905 წლის 30 ნოემბრით), იგი სადილზე მიუწვევია ყოფილ ეგზარქოს ვლადიმერ ბოგოიავლენსკის, შემდეგ კი ფლაბიანეს შეხვედრია, რომელსაც კირიონთან საუბარში ქართველი ეგზარქოსის დანიშვნის იდეა გაუმჟღავნებია: „გუშინ მიტროპოლიტმა ვლადიმერმა სადილად არ გამომიშვა, დღეს ვნახე ფლაბიანე, რომელმაც ბევრი ილაპარაკა ჩვენს ეკლესიურ საქმეებზეც. მე პირდაპირ ვუთხარი, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უნდა დაუბრუნდეს მეთქი. იმან სთქვა: თუ ეგზარქოსად ქართველს დაუნიშნავენ, ქართველები უნდა დაშოშმინდნენ და დასჯერდნენო.“ ს. ვარდოსანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14-15. რუსეთის სინოდი ეგზარქოსის თანამდებობაზე განიხილავდა კირიონის კანდიდატურას. „წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი) და აფხაზეთი“, გვ. 21, №4.

<sup>2</sup> გ. როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წ.წ საღისურთაქციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, გვ. 173.

ნოვი).<sup>1</sup> მეორე განყოფილების სხდომებზე, რომელიც 1906 წლის 2 და 8 ივნისს გაიმართა, ეპისკოპოსმა კირიონმა რამდენიმე მოხსენება წაიკითხა, სადაც ის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აუცილებლობას მეცნიერულად ასაბუთებდა.<sup>2</sup> განსაკუთრებული სათათბიროს მეორე სხდომას შეუერთდა ქართველთაშორის ი. ვორტორგოვი. მისმა მოხსენებამ (1906 წლის 13 დეკემბერს) შეაფერხა ქართველ მოღვაწეთა მოძრაობა, რომლის მიზანი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა იყო. ამას რუსეთის წმინდა სინოდი სეპარატიზმად განიხილავდა.<sup>3</sup> სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი სათათბიროს სხდომები 1906 წლის 15 დეკემბერს დაიხურა.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; Указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязань, 2016, стр. 16.

<sup>2</sup> Там же; ს. ვარდოსანიძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი კირიონ II (1855-1918 წ.წ.), გვ. 16-20; გ. ბურდული, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე, თბ., 2012, გვ. 392-399.

<sup>3</sup> ე. ბუბულაშვილი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, კრებ: „ქრისტიანობა საქართველოში“, თბ., 2000. ამ საკითხზე ვრცლად იხ. ხ. ქოქრაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II ეროვნულ-საზოგადოებრივი და საისტორიო შეხედულებანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2001, გვ. 59-84; გ. როგავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

<sup>4</sup> Материалы об убийстве Экзарха Грузии Никона (Софийский) и некоторые вопросы церковной истории (1908-1913), Сборник составили Джемал Гамахария и Татьяна Ерохина; Указателем снабдил Джемал Гамахария, Тбилиси-Рязань, 2016, стр. 24, 170-185.



*Giorgi Sosiashvili*  
*Professor of Gori State Teaching University*  
**ABOUT THE EPISODE OF RELATIONSHIP OF  
CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA  
KIRION II AND RUSSIA'S EXARCH VLADIMIR  
BOGOYAVLENSKY  
RESUME**

Among many representatives of the clergy, Giorgi (son of Ieronime) Sadzaglishvili had been born in Shida Kartli, particularly in Village Kvemo Nikozi, who had been granted a chance to become a helmsman of the The Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church in 1917. He was a person, who carried a burden of being a spiritual leader of the state, who dedicated his public and religious life to the rescuing of Georgian identity. It is enough to look through the scientific works of Kirion II, to be convinced that in case he had lived public life and contributed to scientific life, he could have been a martyr in public life too. As of the initiative of cleric Ieronime (father of Kirion II), Kirion II, who at that time had studied at Ananuri Ecclesiastics school had been admitted to Gori Theological Seminary in 1862, whereas while studying there, he showed unprecedented eagerness to learn Georgian history, while it motivated him to become a researcher of the Christian sites of Georgia. This is evidenced in his initiative to form a small group of the students, who, as Soprom Mgaloblishvili notes, they would go to field trips to see the historical sites in Shida Akrtli at least four times a month. This non-abated love towards the Christianity and the antiquities of his country defined his fields of interest as of aresearcher, historian, philologist, expert of antiquities and a patristic. He is an author of works in different epochs of the Georgian History,

the lives of Saint Fathers, ancient Georgian Spiritual and Public life, material-cultural sites of Shida Kartli, the lives of Georgian Pilgrims, the traditions of monastics life, history of the Georgian Church and etc.,

Specific importance is paid to different religious confessions in the scientific works of Kirion II, as his research interests were related to the Georgian ecclesiastic sites abroad. After careful analysis of his bibliography, it becomes evident that he was an excellent in source studying and lexicography. It should be noted separately, that Kirion II had various ethnological studies, as according to E. Abramishvili, there exists 1600 studies. The martyr helmsman of the Georgian Church left a rich epistolary inheritance. As according to the correspondences of Kirion II to clergymen of the Georgian Church, it is evident that he was a standing guard of spiritual and public lives of Georgians. In each line, we can notice the feelings of a person, soon to become a patriarch, who was fighting for the independence of the country and the autocephaly of the Georgian church.

As we mentioned, Kirion II left vast number of scientific works to Georgian people, whereas among many others, are the works related to Shida Kartli. It is not uncommon that his interests were related to his region. Part of his works is published in Russian and are relatively known to the wider society. In this regard, our attention was brought to the work of Kirion II: „Обозрение Карталинских церквей высокопреосвященния Владимиром Экзархом Грузии“. The mentioned work, the future to be patriarch had written in 1897, and described the travels of exarch Vladimir Bogoyavlensk to Shida Kartli, which should have started in 1892. Vladimir had been holding the highest ecclesiastic position until February 21, 1898, whereas later on he became a metropolitan of

Moscow and kolomensk. Vladimer had been replaced by archepiscope Holm and Warsaw, Flaviane (Gorodetski). During his time in Georgia, many churches had been restored and ecclesiastic schools opened, whereas many other occurrences are related to his name, in particular establishment of the Missionary Theological-Educational brotherhood, establishment of the Kazan Virgin Saint Mary church in Tbilisi, establishment of the Hall for Religious gatherings, establishment of the theological library and tec., As according to his initiative, there had been established a communal cafeteria for the poor during the Cholera outbreak in Tbilisi. As according to Kirion II, exarch Vladimer was an excellent example of a tireless and eloquent person. It should not be ordinary evaluation of exarch Vladimer from Kirion II, as there could be found several explanations to this: 1) Kirion took monastic vows in 1896 with the help of Vladeimer Bogoyavlensk, and his religious cereer started then, and he should have had certan symphathy towards him; 2) Episcope Kirion's book: „Краткий очерк истории Грузинской Церкви и Экзархата за XIX столетие, Тиф., 1901“, where he describes Vladiemr's travels, was a anniversary publication, and the fact that it had been obligated to Kirion to write, he could not have described to Russian clergymen in negative context. Therefore, while assessing the certain works of Kirion II, which is related to the Russian ecclesiastic politics in Georgia, should be assessed taking into consideration the reality of the epoch. While many modern Georgian clergymen write about the hatred of Vladimer towards Georgians and about his Russian politics. The work of Vladmier was a continuation of those Russian Chauvinists, whose main priorities were to demolish Georgian identity and start “Russification” of Georgian population. This is mentioned not

only in the works of Georgian clergymen and publicists, but in N. Durnovo's works too. The Wholy synod of the Russian Orthodox Church had appointed Vladimer as an exarch, whereas he had traveled through Shida Kartli, as described by Kirion II, who at that time was abbot. Kirion II published the work in the journal „Духовный вестник“ (Ecclesiastic Messenger), while the editor of the journal was I. Vostorgov (1864-1918), who showed antipathy towards Georgians, the work was published in five publications, while later on It was published as a separate book and which nowadays represents a bibliographical rarity. The book, which is kept in the special unit of the Georgian National Library, is only 38 pages and does not have the date of publication (the book should have been published after the publication of the journal „Духовный вестник“ (Ecclesiastic Messenger) in 1896-1897) and does not indicate the author, however in the end of the book, we have the initials of the author И. К. (abbot Kirion – G. Sosiashvili).

It is worth noting that renowned Georgian scholar I. Megrelidze had used this book, while working on the material-cultural sites and inscriptions of Tskhinvali, Zemo Nikozi and Likahvi Gorge, however without an indication of the author. It is evidenced in the book, that Kirion II accompanied exarch Vladimer during his travels in Shida Kartli, as they had close relationship. On November 2, 1896 Giorgi Sadzaglishvili took monastic vows in Jvari Monastery and was named as Kirion and appointed as a head of Kvatakhevi monastery.

In 1897 Kirion had been appointed as an inspector of the Christianity Restoration Society and the executive head of Georgian monasteries. During that time, exarch Vladimer had traveled in Shida Kartli, whereas as indicated in the book, Kirion had first met exarch Vladimer in village Metekhi with the aim to meet the committee members regarding the

restoration of Metekhi church. He was accompanied by: head of the Gori region noblemen, state counselor I. D. Sul Khanishvili, I. K. Kancheli, who at the time worked as a member of the State Property division of the Tbilisi Governorate, previous cleric of the village, cleric G. Rusishvili and ecclesiastic headman, noblemen D. Magalashvili. When visiting the existing churches in Shida Kartli, Kirion had met with Vladimir in village Nikozi, along with the members of the committee: I.D. Sul Khanishvili and lieutenant, noblemen Zakaria Pavlenishvili. As evidenced in Kirion's publication, exarch Vladimr had planned to travel in Shida Kartli in 1895; however the floodings had not allowed him to do so. The exact route of the travel had been developed three years prior to the actual act. During the travel, exarch Vladmeir had been accompanied only by the head of Sion Cathedral church, after Anton Totibadze, who had travelled with him by train from Tbilisi to Shida Kartli. Exarch had arrived to Dzegvi, where according to the decree of the vice-governor of Tbilisi V.V. Stepanovich a carriage awaited for him, along with many officials, Gori region official Tavdgiridze had been present. During his travels in Shida Kartli, the exarch had visited 49 churches, as Kirion notes, when meeting the heads of the churches: "When meeting the heads of the churches, exarch Vladimir explained the holy mission of the churches, about the caring of the churches and about importance that the word of the head of the church beared. He also noted about the importance of the collection of the ecclesiastic documents, about the dissemination of the icons and crosses among the population and about the establishment the theological schools and ecclesiastic libraries".

ეროვნული საკითხი გრიგოლ გველესიანის პუბლიცისტურ  
ნააზრევში

XX საუკუნის I მეოთხედში მოღვაწე სახელოვან ქართველთა შორის, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, თვალსაჩინოა როლი ცნობილი პუბლიცისტის – **გრიგოლ ივანეს ძე გველესიანისა** (1870-1926 წწ.). ის იყო პიროვნება, რომელიც ყოველთვის ქართული ლიტერატურის მესვეურთა და საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა. მან თავისი შინაარსიანი და უმწიკვლო ცხოვრების დიდი ნაწილი ქუთაისში გაატარა. ქუთაისიდან საქმით თუ კალმით ეხმიანებოდა მამულიშვილურ საქმეებს. არ დარჩენილა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რასაც გრიგოლ გველესიანი თავის ბასრ პუბლიცისტურ ნააზრევში არ შეხებოდა.

აი, როგორ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებით საქმიანობას პუბლიცისტი გ. მებუკე: „გრიგოლ გველესიანის ჟურნალისტური მოღვაწეობა იყო უმწიკვლო და უანგარო, საზოგადოებრივი ინტერესების და საზოგადო საქმისადმი ერთგულებით ნაკარნახევი. მან პირველმა წამოჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც იმ დროისათვის პროგრესულ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ. მისი პუბლიცისტური წერილები, ეკონომიკური და უფლებრივი ნარკვევები დიდი ერუდიციით იყო დაწერილი და მათ ფართო გამოხმაურება ჰქონ-

დათ. გრიგოლ გველესიანს აინტერესებდა ჩვენი ცხოვრებისა და კულტურის ყოველი მხარე. იგი მთელი ათეული წელი ჩვენი მაშინდელი ცხოვრების მემატიანე იყო. მან იცოდა საინტერესო წერილების წერა და საჭირობოროტო საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც მაშინდელი ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს გულში ხვდებოდა... გრიგოლ გველესიანი იმდროინდელ ქართულ მწერლობაში თითქმის ერთადერთი პუბლიცისტი იყო, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ ლანძღვა-გინებას არ მიმართავდა, დინჯი და პატივისცემით აღსავსე კილო ჰქონდა<sup>1</sup>.

პუბლიცისტი განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატავდა თავის პოზიციას ეროვნული საკითხისადმი. ამ საკითხს წინამდებარე ნაშრომში დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან მიმართებაში განვიხილავთ.

გრ. გველესიანი, როგორც სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, მხურვალედ თანაუგრძნობდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლის იდეას, კერძოდ, ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას და შემდეგ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის გამოცხადებას.

გრ. გველესიანი ეროვნული საბჭოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ უწოდებს დიად ისტორიულ აქტს, რითაც ქართველი ერი, ხანგრძლივი მონობის შემდეგ, კვლავ დაადგა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გზას. მიუხედავად ამისა, დასძენს პუბლიცისტი, – თავისუფლების მომტანი ეს აქტი ჩვენში ვერ იწვევს იმ გრძნობებს, სიხარულსა და ზეიმს, „რო-

---

<sup>1</sup> მებუკე გ., რევოლუციამდელი ქუთაისის საზოგადო მოღვაწეები, გაზ. „ქუთაისი“, 1962, №73, 14 აპრილი, გვ. 3.

გორისაც იგი ღირსია“. ამის მიზეზი არ არის მხოლოდ ქვეყნად არსებული, მეტად მძიმე საზოგადო ვითარება და ჩვენი სულიერი განწყობილება. ჩვენი დიდი ხნის გულითადი სწრაფვა სხვა ერებთან ძმურად შეკავშირებული საქართველოს შინ და გარეთ ძლიერება იყო, და ეს სურვილი თითქოს განხორციელდა კიდევ ერთი თვის წინ, სრულიად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით. მაგრამ იმედი დაიმსხვრა და მოლოდინი გაცრუვდა მაშინ, როცა ამიერკავკასიის ფედერაციამ ასე მალე დალია სული. ავტორი იმედოვნებდა, რომ საქართველოს მუსლიმანობა მეტ შეგნებას გამოიჩენდა და ჩვენთან პოლიტიკურ კავშირს არჩევდა ოსმალეთის დესპოტურ რეჟიმში შესვლას. „ჩვენ კიდევ, სუსტად მაინც, გვწამდა, რომ საღი პოლიტიკა ბოლოს და ბოლოს თვით ოსმალთ უკარნახებდა, რომ სომეხთა ამ ჩვენი მესამე მოკავშირის ბედის გადაწყვეტას ისინი შურისძიებისა და განუსჯელი სიძულვილის საზომით არ შეუდგებოდნენ და მათ სრულად განადგურებას თავის უმახლობელს მიზნად არ დაიდებდნენ“<sup>1</sup> შემთხვევით მოპოვებული ძღვევამოსილება ზოგს თვალებს უბრმავეს. ამის შედეგია, ერთი მხრივ, აზერბაიჯანის განზე გადგომა და ოსმალთა ფრთების ქვეშ მონური მოწიწებით შესვლა და, მეორე მხრივ, სომხეთის თითქმის უბრძოლველად დაპყრობა. რაც შეეხება საქართველოს, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას და მფარველობას ოსმალეთის მოკავშირე გერმანია გვპირდება. ოსმალეთმა ერთი თვის წინ თვითონ აღიარა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და მისი ფედერაციული კავშირი, ხოლო დღეს ამ დამოუკიდებლობას უარყოფს და ამტკიცებს, რომ მან თავის დროზე მთავრობის და არა ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარა. უსირ-

---

<sup>1</sup> გველესიანი გ., საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №173, 30 მაისი, გვ. 2.



ცხოვობა და სიყალბე დიპლომატიისთვის დამახასიათებელია, მაგრამ თუ ეს ამ ზომამდე მიაღწევდა, ეს ჩვენ ძნელად წარმოგვედგინაო, – აღნიშნავს გრ. გველესიანი<sup>1</sup>. თუკი უწინ ოსმალეთის მთავრობა ქართულ მხარეს ბრესტ–ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას სთხოვდა, ამჟამად ურცხვად უარყოფს წინათ ნათქვამ–დაპირებულს და არგუმენტად ის ფაქტი მოჰყავს, რომ ტრაპიზონის შემდეგ შეტაკებები მოხდა და მდგომარეობა შეიცვალაო. ბათუმში გამართულ შეხვედრაზე ქართული მხარე ოსმალთა დელეგაციისათვის იმის დამტკიცებას შეეცადა, რომ ბათუმისა და ყარსის ოლქებში მომხდარი შეტაკებები ბრესტის ხელშეკრულებას სრულადაც არ არღვევდა. ხელშეკრულების მეოთხე მუხლი ითვალისწინებდა ამ ოლქებიდან ჯარების გაყვანას და თავისუფალ თვითგამორკვევას. მოხდა კი პირიქით – ოსმალეთმა თავისი ჯარი შეიყვანა ბათუმისა და ყარსის ოლქებში და ამით დაარღვია ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. მასასადამე, ამიერკავკასიას სრული უფლება ჰქონდა, რომ მიეღო გარკვეული ზომები მის დასაცავად. თუ კიდევ გისხენებიათ ეს მეოთხე მუხლი, ჩვენ თქვენთან მოლაპარაკებას შევწყვეტო, – იმუქრებოდა ოსმალეთის დელეგაცია<sup>2</sup>.

გრ. გველესიანი ასეთი რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე წერილში ეხება გერმანიის პოზიციასაც და შენიშნავს, რომ ვინაიდან მას არც ამიერკავკასიის და არც საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო თითქოს არაფერი აქვს, ხოლო ვინაიდან ამიერკავკასიის რესპუბლიკა ირღვევა, გვირჩევს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ამ დამოუკიდებლობის დაცვას თვითონვე გვპირდებო. გარეგნულად, გრ. გველესიანის აზრით, ისე ჩანს, რომ

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> იქვე.

გერმანიასა და ოსმალეთს შორის ამიერკავკასიის გამო თითქოს კონფლიქტია, თუმცა სინამდვილეში პუბლიცისტს დაუჯერებლად ეჩვენება ამ ორ მოკავშირეს შორის რაიმე სერიოზული განხეთქილების არსებობის შესაძლებლობა ისეთი შედარებით მცირე საკითხის გამო, როგორცაა თუნდაც მთელი ამიერკავკასიის სვე-ბედი. „უფრო მართალი იქნება ვიფიქროთ, რომ მათ შორის ამიერ-კავკასიის შესახებ საიდუმლო შეთანხმებაა და ეს დასადასტავი კონფლიქტი ჩვენი მოსატყუებელი ხერხია. გვაგონდება ყარაჩოლლური ფანდები – ორი რო განგებ ჩხუბობს მესამეს მოსატყუებლად...“<sup>1</sup>.

გრ. გველესიანი ფიქრობს, რომ ორივე მოკავშირეს დაახლოებით ერთნაირი მიზნები ასულდგმულებდა საქართველოს მიმართ და ამ მიზნებს შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავდა. ამიტომ გერმანიის მფარველობის რეალურობაში ეჭვი ეპარებოდა და, შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის სიმტკიცეც მეტად პრობლემაურად ეჩვენებოდა. „ამიტომაც არის, რომ ამ სახით და ამ პირობებში გამოცხადებული პოლიტიკური დამოუკიდებლობა საქართველოსი, განმარტოვებულისა, სუსტისა ეკონომიურად, ფინანსურად და რეალური ძალებით, მეზობელ ერთაგან იძულებით ჩამოშორებულისა, ირგვლივ მუსლიმანთა მასებით გარშემორტყმულისა, ჩვენ ძალზე გვაფიქრებს და დიდს იმედებს არა გვგვრის. ასეა თუ ისე, შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებდა ორ ბოროტებათაგან უმცირესი გვერჩია... და ჩვენც, რა თქმა უნდა, უპირატესობა გერმანიას ვარგუნეთ“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ გველესიანი აღტაცებით შეხვდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის გამოც-

---

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> გველესიანი გ., საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზ. „ხალხის მეგობარი“, 1918, №173, 30 მაისი, გვ. 2.

ხადებას, თუმცა ქვეყნის მომავალ ბედ-იღბალზე სერიოზულად შეფიქრიანებულ მამულიშვილს აწუხებდა და მოსვენებას უკარგავდა ის გამოწვევები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა 1918 წლის 26 მაისს თავისუფლებამოპოვებული პატარა საქართველო.

როგორი იყო პოლიტიკური ვითარება საქართველოში იმ დროს, რაზეც საუბარია გრიგოლ გველესიანის წერილში?

1917 წლის დეკემბერში ბერლინიდან ჩამოსულმა ემიგრანტული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ორმა წარმომადგენელმა ქართველ პოლიტიკოსებს ამცნო, რომ, თუკი საქართველო დამოუკიდებლობას დაუყოვნებლივ გამოაცხადებდა, გერმანია მზად იყო ეცნო მისი დამოუკიდებლობა და საერთაშორისო აღიარებისთვისაც ეზრუნა<sup>1</sup>. ამასთანავე, გერმანია იმის გარანტიას იძლეოდა, რომ მისი მოკავშირე ოსმალეთის ტერიტორიულ მოთხოვნებს ჩაატევდა I მსოფლიო ომამდელი (1914წ.) საზღვრების ფარგლებში.

ამიერკავკასიის დემოკრატიული ძალების მეცადინეობით თბილისში შეიქმნა კოალიციური მთავრობა—ამიერკავკასიის კომისარიატი, ხოლო შემდეგ – პარლამენტი (სეიმი). მთავრობა მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში შეუდგა საქმიანობას. 1918 წლის 3 მარტს ბრესტში ხელი მოეწერა ზავს, რითაც საბჭოთა რუსეთის მთავრობა ოსმალეთს უთმობდა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქებს. ამ დროისთვის ამიერკავკასიის ფედერაცია არამყარ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მასში ხელოვნურად იყო გაერთიანებული სხვადასხვა ფსიქიკური წყობის, რელიგიური აღმსარებლობის, პოლიტიკური ორიენტაციისა და კულტურის ხალხი<sup>2</sup>.

---

<sup>1</sup> სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998, გვ. 100-102.

<sup>2</sup> სიორიძე მ., ბათუმის საზავო კონფერენცია, ბათ., 2001, გვ. 84.

ოსმალებმა შეტევა განახორციელეს ბათუმის ოლქის მიმართულებით, 14 აპრილს ბათუმი დაიკავეს და შეიჭრნენ გურიასა და სამცხე-ჯავახეთშიც. „ამიერკავკასიისადმი დიდ ინტერესს იჩენდა ოსმალეთის მოკავშირე და უფროსი პარტნიორი გერმანიაც. ამიტომ, როდესაც აშკარა გახდა, რომ ოსმალეთი არ აპირებდა ბრესტის ხელშეკრულებით დაკმაყოფილებას და კავკასიის დაპყრობას ფიქრობდა, საქმეში გერმანელებიც ჩაერივნენ. მათ ოსმალეთის მთავრობას მოთხოვეს შეტევის შეჩერება და ამიერკავკასიის რესპუბლიკასთან საზავო მოლაპარაკების განახლება. სტამბოლში უკმაყოფილებით შეხვდნენ ამ წინადადებას, მაგრამ ბოლოს მაინც დამორჩილდნენ. მოლაპარაკების ადგილად დაინიშნა ქ. ბათუმი, რომელიც უკვე ოსმალებს ეპყრათ“<sup>1</sup>.

ბათუმის საზავო კონფერენციის (1918 წლის 11-26 მაისი და 31 მაისი – 4 ივნისი) მუშაობაში მონაწილეობდა გერმანიის მიერ მოვლენილი დელეგაცია, გენერალ ფონ ლოსოვის (გერმანიის სამხედრო რწმუნებული კონსტანტინოპოლში), გრაფ შულენბურგისა და აღმოსავლეთის საქმეთა სპეციალისტის – ო. ვეზენდონკის შემადგენლობით. დელეგაცია მიზნად ისახავდა ოსმალთა გაზრდილ პრეტენზიების წინააღმდეგ გალაშქრებას და მათთვის ბრესტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტის არდათმობას და ამ გზით ამიერკავკასიაში გერმანიის ინტერესების დაცვა.

კონფერენციის მსვლელობისას ამიერკავკასიის მთავრობა მოითხოვდა მოლაპარაკების წარმართვას ბრესტის ხელშეკრულების საფუძველზე, რასაც მხარს უჭერდა გერმანიის მხარეც. მაგრამ ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, იუსტიციის მინისტრმა ჰალილ-ბეიმ ამაზე უარი განაცხადა,

---

<sup>1</sup> სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998, გვ. 85.

იმ მოტივით, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ ჩაშალა ტრაპიზონის კონფერენცია, განხორციელდა ხელახალი სამხედრო შეტაკება და დაიღვარა სისხლი. ამიტომ, ჰალილ-ბეის აზრით, შემდგომი მოლაპარაკება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მოთხოვნებს ვერ დაეფუძნებოდა.

მკვლევარი მალხაზ სიორიძე შენიშნავს, რომ ბათუმის კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაცია ცდილობდა ამიერკავკასიის ეთნიკურად ჭრელი დელეგაციის წევრთა უთანხმოების გამოყენებას და ამ გზით ამიერკავკასიის პოლიტიკური რეორგანიზაციის მიღწევას, მისი გამუსლიმანებით. ოსმალებს მიზნად ჰქონდათ დასახული ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის კავკასიის ერთიან სახელმწიფოდ გარდაქმნა. გეგმა ითვალისწინებდა ჩრდილო-კავკასიელი მუსლიმანების აზერბაიჯანთან შეერთებას, რა გზითაც მაჰმადიანები უმრავლესობაში აღმოჩნდებოდნენ, ხოლო კავკასიის სახელმწიფო, ოსმალთა აზრით, ოსმალურ ორიენტაციას დაადგებოდა. ამ მიზნით ბათუმის კონფერენციის კულუარებში ოსმალთა საიდუმლო მოლაპარაკება წარმოებდა აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებთან<sup>1</sup>.

გერმანიის დახმარებით ოსმალეთის ექსპანსიური მიწრაფებების ალაგმვა და ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ქართველ პოლიტიკოსთა ინტერესში შედიოდა და ისინიც მოხერხებულად იყენებდნენ მოკავშირე გერმანია-ოსმალეთს შორის არსებულ უთანხმოებებს. შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი სეიმის

---

<sup>1</sup> სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918). ბათ., 1998, გვ. 89.

დამლა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის მფარველობაში შესვლა იყო<sup>1</sup>.

ბათუმშივე მომზადდა გერმანია-საქართველოს მომავალი „ურთიერთობის წინასწარი მოწესრიგების“ ხელშეკრულების ტექსტები, რასაც ხელი მოეწერა ქ. ფოთში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ, 28 მაისს<sup>2</sup>.

ზუსტად 100 წლის წინ, ქუთაისში, გამომავალ გაზეთ „ხალხის მეგობარში“ დაბეჭდილი წერილი – „საქართველოს დამოუკიდებლობა“, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩენს გამოჩენილ პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის – გრიგოლ გველეხიანის ეროვნულ სულისკვეთებას.

#### **დამოწმებანი:**

**გველეხიანი გ.**, საქართველოს დამოუკიდებლობა, გაზეთი „ხალხის მეგობარი“, 1918, №173, 30 მაისი.

**მებუკე გ.**, რევოლუციამდელი ქუთაისის საზოგადო მოღვაწეები, გაზეთი „ქუთაისი“, 1962, №73, 14 აპრილი.

**ჟორდანია ნ.**, ჩემი წარსული (მოგონებები), პარ., 1953.

**სიორიძე მ.**, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათ., 1998.

**სიორიძე მ.**, ბათუმის საზავო კონფერენცია, ბათ., 2001.

---

<sup>1</sup> იხ. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული (მოგონებები), პარ., 1953, გვ., 128-129.

<sup>2</sup> სიორიძე მ., ბათუმის საზავო კონფერენცია. ბათ., 2001, გვ. 91.

*Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia*  
*Akaki Tsereteli State University*  
**NATIONAL QUESTION IN THE WORK OF GRIGOL  
GVELESIANI  
RESUME**

Among the most renowned Georgians of the first decades of the 20<sup>th</sup> century, Grigol Gvelesiani's (1870-1926) role as a publicist is remarkable. He was an individual who always cared for the Georgian literature. He was in the center of Georgian intellectual and political circles.

Grigol Gvelesiani spent most of his life in the city of Kutaisi, from where he closely followed Georgian intellectual life. He dedicated numerous outstanding works to various pressing problems that the society faced. He was particularly passionate about national problems. This question along with the issues of the Georgian political life is discussed in this following work.

Gvelesiani as one of the leaders of the Socialist-Federalist Party, actively supported national-territorial autonomy for Georgia and specifically, establishment of Transcaucasia Federation. Later on, he was one of the supporters of the 1918 Georgian Declaration of Independence. Grigol Gvelesiani's letter titled "Independence of Georgia," which was published exactly 100 years ago on local newspaper "People's Friend" is the most vivid manifestation of Gvelesiani's national spirit.



გრიგოლ გველესიანი

### სამოქალაქო ომი ესპანეთში და ინგლისის პოლიტიკა

1936 წლის 16 თებერვალს, ესპანეთში, კორტესის (პარლამენტის) არჩევნებში სახალხო ფრონტმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მიუხედავად მარცხისა, ესპანელმა ფაშისტებმა მნიშვნელოვანი პოსტები შეინარჩუნეს სახელმწიფო აპარატსა და არმიაში. დაკარგა რა ხელისუფლების სათავეში „ლეგალურად“ მოსვლის იმედი, რეაქცია დაადგა შეთქმულების გზით ფაშისტური დიქტატურის დამყარებისათვის მზადებას.

ესპანეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ ინგლისის ინტერესი გაიზარდა, რადგან დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთს ლონდონი თავის სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ მიიჩნევდა. ბოლდუინის კონსერვატორული მთავრობა შეშფოთებული იყო ესპანეთში მემარცხენე-ბურჟუაზიული მთავრობის შექმნით, რადგან ამაში ხედავდა საფრთხეს ევროპაში ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის მიმართ.<sup>1</sup> გარდა ამისა, ინგლისის მმართველ წრეებს აღელვებდა ფინანსური ჯგუფების მიერ ესპანეთის მრეწველობაში ჩადებული კაპიტალის ბედი.

ესპანეთში ინგლისის ელჩი ჩილტონი მიიჩნევდა, რომ ესპანეთის მთავრობა, კიროგას მეთაურობით, სოციალისტურ იდეოლოგიას თანაუგრძნობდა. აქედან გამომდინარე, ინგლისე-

---

<sup>1</sup> Малай В. Судьба республики решалась не в Мадриде. Белгород, 1999, გვ. 10.



ლი დიპლომატები თავისი მოხსენებით ბარათებით კიდევ უფრო აღვივებდნენ ინგლისური საზოგადოების ანტირესპუბლიკურ განწყობილებებს. ამიტომ იყო, რომ ცნობას, ესპანეთში ფაშისტური ამბოხების დაწყების შესახებ 1936 წლის 18 ივლისს, კმაყოფილებით შეხვდნენ ლონდონში. საინტერესო პოზიცია ეკავა უინსტონ ჩერჩილს, რომელიც სამოქალაქო ომს ესპანეთში ბოროტებად მიიჩნევდა და ფრანკოს მომხრეებთან ერთად, მის გაჩაღებაში რესპუბლიკელებსაც ადანაშაულებდა.<sup>1</sup>

ესპანეთში დაწყებული კონფლიქტის პირველი დღეებიდანვე ინგლისის მთავრობა შეუდგა საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებას, რომელიც შექმნილ ვითარებაში მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს ინგლისის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ინტერესების განმტკიცებას. მმართველი წრეების აზრით, ამ მიზნებს პასუხობდა ე.წ. ჩაურევლობის პოლიტიკა ესპანეთში მებრძოლი ორივე მხარის მიმართ, რაც იარაღის მიყიდვაზე აკრძალვას ითვალისწინებდა.<sup>2</sup>

1936 წლის 29 ივლისს, ინგლისის მთავრობის სხდომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა თავის კოლეგებს აცნობა, რომ შესაძლებელი იყო ესპანეთის რესპუბლიკას მიემართა ინგლისისათვის თხოვნით იარაღის მიყიდვის შესახებ. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, გადაწყდა, რომ თუ ასეთი თხოვნა იქნებოდა - უარით ეპასუხათ. ამის შესაბამისად, იდენმა ფორინ ოფისის თანამშრომლებს მკაფიო ინსტრუქციები მისცა - ნებისმიერი საშუალებით თავი აერიდებინათ რესპუბ-

---

<sup>1</sup> სვანაძე ლ. უინსტონ ჩერჩილი. პოლიტიკური ბიოგრაფია. წიგნი მეორე, რთული გზა მწვერვალისაკენ. პრემიერ-მინისტრი. ქუთაისი, 2007, გვ. 282-287.

<sup>2</sup> Илюхина Р. М. Англия и Лига Наций. – Проблемы британской истории. М., 1984, гв. 368.

ლიკვლებისათვის იარაღის მიყიდვის საკითხის განხილვისაგან.<sup>1</sup> 1936 წ. ივლისის ბოლოს ინგლისის მთავრობამ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია ესპანური კონფლიქტისადმი. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისი არ უნდა ჩარეულიყო სამოქალაქო ომში, თავი უნდა აერიდებინა როგორც ესპანეთის კანონიერი მთავრობის, ისე ნაციონალისტების დახმარებისათვის. სინამდვილეში, ასეთი პოზიცია მეამბოხეთა ფარულ მხარდაჭერას ნიშნავდა<sup>2</sup>, რადგან ამბოხებულებს გენერალ ფრანკოს მეთაურობით ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოები ეხმარებოდნენ.<sup>3</sup>

ჩაურევლობის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის ინგლისს ესაჭიროებოდა თავისი ევროპელი მოკავშირის - საფრანგეთის - მხარდაჭერა. მით უმეტეს, რომ დასაწყისში საფრანგეთის მთავრობის მეთაურის ბლუმის პოზიცია, ესპანეთის მოვლენების მიმართ, რესპუბლიკელების სასარგებლოდ იყო, რასაც განაპირობებდა საფრანგეთ-ესპანეთის საიდუმლო შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1935 წ. დეკემბერში. ამ შეთანხმების თანახმად, ესპანეთის რესპუბლიკას გააჩნდა უფლება-შეესყიდა საფრანგეთში იარაღი 40 მლნ. ფრანკის ოდენობით, მაგრამ საფრანგეთის გავლენიანმა პოლიტიკურმა წრეებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ესპანეთს დახმარება არ მიეღო. ბუნებრივია, ასეთ პოზიცია საშიში იყო თვითონ საფრანგეთისათვის, რადგანაც ფრანკისტების გამარჯვების შემთხვევაში, საფრანგეთი აღმოჩნდებოდა ფაშისტური სახელმწიფოების რკალში და მოწყდებოდა თავის კომუნიკაციებს ჩრდილოეთ აფრიკაში. საფრანგეთის რე-

---

<sup>1</sup> Cattel D.T. Soviet Diplomacy and the Spanish Civil War. Berkeley, 1957, p. 19.

<sup>2</sup> სვანაძე ლ. დასახ. ნაშრ., გვ. 282.

<sup>3</sup> იქვე.

აქციული წრეების პოზიცია კარგად გამოიყენა ლონდონმა და შედეგსაც მიაღწია - ესპანეთის მიმართ საფრანგეთის პოზიცია შეიცვალა. ესპანეთი შესაძლოა, მეორე მსოფლიო ომის პოლიგონი გამხდარიყო. ინგლისი და საფრანგეთი უფრო ხელნედავდნენ, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომი საერთაშორისო კონფლიქტის პრელუდიად გადაიქცეოდა. ლონდონსა და პარიზში არ სურდათ სახალხო ფრონტის დახმარება ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, ისინი უარს ამბობდნენ ჩარეულებს კონფლიქტში, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერი და მუსოლინი მათი პასიურობით სარგებლობდნენ.<sup>1</sup>

1936 წ. 22-23 ივლისს ლონდონში გაიმართა კონფერენცია ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის მთავრობის მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. იქ მრავალი პოლიტიკური პრობლემა განიხილეს. ინგლისის პრემიერმა ბოლდუინმა შეშფოთება გამოხატა საფრანგეთის პოზიციის გამო - მიეყიდა ესპანეთისათვის იარაღი 1935 წლის შეთანხმების თანახმად. მისი აზრით, თუ საფრანგეთის დახმარება გამოიწვევდა კონფლიქტს იტალიასთან, მაშინ ინგლისი იძულებული იქნებოდა ნეიტრალიტეტი დაეცვა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ხრიკები ინგლისმა მოგვიანებითაც გამოიყენა ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკების დროს ლონდონში 1938 წლის 28-29 აპრილს, როცა განიხილავდნენ საკითხს ჩეხოსლოვაკიისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მაშინ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰალიფაქსმა გააფრთხილა საფრანგეთის პრემიერი დალაღიე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბონე, რომ ინგლისი დაიცავდა ნეიტრალიტეტს, თუ საფრანგეთი მხარს დაუჭერდა ჩეხოსლოვა-

---

<sup>1</sup> დოიჩერი ი. სტალინი, II. თარგმ. ინგლ., თბ., 2014, გვ.104.

კიას.<sup>1</sup> თავის მხრივ, იდენმა რჩევა მისცა პრემიერ ბლუმს სიფრთხილე გამოეჩინა ესპანეთისათვის იარაღის მიყიდვის საკითხში.<sup>2</sup> ინგლისის ასეთმა პოზიციამ, თუმცა არაოფიციალურმა, მაინც იქონია ზეგავლენა საფრანგეთის მთავრობის პოზიციაზე. 1936 წ. 25 ივლისს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დაფიქსირდა ესპანეთთან 1935 წლის შეთანხმების პირველი დარღვევა - საფრანგეთმა მექსიკასთან დადო შეთანხმება, რომლის თანახმად საფრანგეთი თავის უფლებას - მიეყიდა იარაღი რესპუბლიკური ესპანეთისათვის, მექსიკას უთმობდა.

ამბოხებულები, იყენებდნენ რა გერმანიისა და იტალიის სამხედრო დახმარებას, მადრიდისკენ მიიწვევდნენ. ასეთ სიტუაციაში, საფრანგეთის მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გერმანიისა და იტალიის დახმარება ფრანკოსადმი აიძულებდა პარიზს რესპუბლიკური ესპანეთის დახმარებაზე ეფიქრა. მეორე მხრივ, მემარჯვენეთა ზეწოლა ქვეყნის შიგნით და ინგლისის პოზიცია უბიძგებდა საფრანგეთის მთავრობას ესპანეთთან დადებული შეთანხმება დაერღია. ეს საკითხი მწვავე განხილვის საგანი იყო საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 1936 წ 1 აგვისტოს, რის შედეგადაც მოინახა ესპანეთის საკითხის „კომპრომისული“ გადაწყვეტა: საფრანგეთის მთავრობამ მიმართა ინგლისისა და იტალიის მთავრობებს მოწოდებით, რომ გაერთიანებულიყვნენ ჩაურევლობის პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც შეიძლებოდა გავრცელებულიყო სხვა დაინტერესებულ ქვეყნებზეც.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Edwards J. The British Government and the Spanish Civil War. 1936-1939. London, 1979, p. 148.

<sup>2</sup> Томас Х. Гражданская война в испании. 1936-1939. М., 2003, с. 205.

<sup>3</sup> Edwards J. op. cit., p. 149.

ასეთი შეთანხმების მიღწევა ინგლისის მთავრობას აუცილებლობად მიაჩნდა, მაგრამ საჭიროდ თვლიდა, რომ ის მოეწონებინა ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებსაც. ამასთან დაკავშირებით, ფორინ ოფისის მაღალი რანგის მოხელე მაუნზი, ლორდ ჰალიფაქსს სწერდა: „მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაა ვიყოთ სრულიად თავისუფალი ესპანეთში ჩაურევლობის პოლიტიკის გატარებაში. ინგლის-საფრანგეთ-იტალიის შეთანხმებას არ ექნება არავითარი სარგებლობა და შესაძლოა სასიფათოც იყოს მანამდე, ვიდრე სხვა დიდი სახელმწიფოები, როგორცაა გერმანია და საბჭოთა რუსეთი, არ შეუერთდებიან მას და ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა შევიზღუდოთ შეთანხმებით, რომელიც არ არის უნივერსალური“.<sup>1</sup>

საფრანგეთის პრემიერმა ბლუმმა, რომელიც გამოირჩეოდა მოქნილი დიპლომატიით<sup>2</sup>, გადაწყვიტა, ერთხელ კიდევ დაეზუსტებინა ინგლისის მთავრობის მოსაზრება ესპანეთის პრობლემაზე. ამ მიზნით, ლონდონში მიავლინეს აღმირალი დარლანი, რომელსაც დაევალა შეხვედროდა საზღვაო მინისტრ ლორდ ჩეტფილდს და ინგლისის მთავრობის გენერალურ მდივან ჰენკსს. ამ ვიზიტმა ნათლად აჩვენა, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომის მიმართ ლონდონი ადრინდელ პოზიციას იცავდა - ეს იყო კეთილსასურველი დამოკიდებულება მეამბოხეების მიმართ ფრანკოს მეთაურობით.<sup>3</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ფრანკო ძველმოდური ყაიდის სამხედრო დიქტატორი უფრო იყო, ვიდრე ჰიტლერის მსგავსი ფაშისტი ფიუ-

---

<sup>1</sup> Прицкер Д. П. Подвиг Испанской республики. М., 1962, с. 22.

<sup>2</sup> Демидов С. Международные отношения в Европе. 1919-1939. М., 2001, с. 135.

<sup>3</sup> Сориа Ж. Война и революция в испании. 1936-1939. т. 1. М., 1987, с. 104.

რერი.<sup>1</sup> ამას დაემატა ლონდონის ზეწოლა პარიზზე, ელჩის კლერკის მეშვეობით, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრ დელბოს განუცხადა, რომ თუ საფრანგეთი თავისი მოქმედებით აღმოჩნდებოდა ესპანური კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილის მხარეზე, ასეთ შემთხვევაში ინგლის-საფრანგეთის სამოკავშირეო ურთიერთობებს დიდი პრობლემები შეექმნებოდა.

ინგლისის ელჩის ამ დემარშს მალე შედეგი მოჰყვა. მეორე დღეს, 8 აგვისტოს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საფრანგეთი ვალდებული იქნებოდა დაეხურა თავისი სამხრეთი საზღვარი ესპანეთთან, ყოველგვარი სახის სამხედრო ტვირთების ტრანზიტისათვის.<sup>2</sup>

ინგლისის მთავრობამ, იმ შემთხვევისათვის თუ საერთოევროპული პაქტის დადება ჩაურევლობის შესახებ შეუძლებელი გახდებოდა, შეიმუშავა ოფიციალური კურსი ესპანეთის მიმართ. მას საფუძვლად დაედო მაუნზის მიერ დამუშავებული და იდენის მიერ მოწონებული შემდეგი რეკომენდაციები:

1. აუცილებელია გაგრძელდეს ჩვენი „მიუკერძოებლობის“ უწინდელი პოლიტიკა, ჩავშლით რა ყოველგვარ სურვილს მომარაგდეს იარაღით და სამხედრო მასალებით ესპანეთში მეომარი ერთ-ერთი მხარე. უნდა მოინახოს აგრეთვე მიზეზები იმისათვის, რომ არ მივცეთ ნებართვა იარაღის ექსპორტზე რესპუბლიკური მთავრობისათვის, მისგან შესაბამისი განცხადების მიღების შემთხვევაში თხოვნით ამის შესახებ; იმავე დროს, ეს უნდა გაკეთდეს აშკარა უარის გარეშე, ვი-

---

<sup>1</sup> Дипломатический словарь, т. II. М., 1971, с. 335.

<sup>2</sup> Аскарате М., Сандоваль Х. 986 дней борьбы. Национально-революционная война испанского народа. М., 1964, с. 49.

მოქმედებთ რა რესპუბლიკური მთავრობის შესაბამისი განცხადების განხილვის პრინციპით.

2. მხარი დაუჭიროთ ისეთ პოლიტიკას, რომელსაც ჰქონდა ადგილი სხვა მთავრობების მიმართ მშვიდობიან დროს, ე.ი. მივცეთ ნებართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიცემა გარანტიები, რომ იარაღი და აღჭურვილობა გამოყენებული იქნება ესპანეთის მთავრობის მიერ თავდაცვის მიზნით.

3. მივცეთ ნებართვა იარაღის ექსპორტზე ესპანეთის ნებისმიერ ადგილზე.<sup>1</sup>

ამ რეკომენდაციების არსი ნათელი იყო: ინგლისს ყველანაირად უნდა შეეშალა ხელი რესპუბლიკური მთავრობის კანონიერი მოთხოვნისათვის - შეეძინა აუცილებელი იარაღი. მეორე შემთხვევაში, სამხედრო მასალების შეტანა შეიძლებოდა მომხდარიყო ესპანეთის ნებისმიერ ტერიტორიაზე, ე.ი. უზრუნველყოფილი იქნებოდა როგორც რესპუბლიკელების, ისე ნაციონალისტების საჭიროებანი.

თავის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას, რომ ამუშავებდა დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ინგლისს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იტალიასთან ურთიერთობისათვის - იტალია ხომ თავისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროდ მიიჩნევდა ამ რეგიონს. ამასთან დაკავშირებით, იმპერიის უშიშროების ბრიტანეთის კომიტეტმა მოამზადა შესაბამისი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამი იყო:

1. ჩვენი ინტერესები ახლანდელ ესპანურ კრიზისში, მდგომარეობს ესპანეთისა და მისი სამფლობელოების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და ესპანეთის მთავრობასთან ისეთ ურთიერთობებში, რომლებიც უზრუნველყო-

---

<sup>1</sup> Cattel D.T. op. cit., 1957, p. 34.

ფენ კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს ევროპულ ომში ჩვენი ჩართვის შემთხვევაში.

2. იტალიის აშკარა ინტერვენცია იმ მიზნით, რომ მხარი დაუჭიროს მეამბოხეებს ესპანეთში, დააჩქარებს სერიოზული საერთაშორისო კრიზისის მომწიფებას.

3. იტალიის მიერ ესპანეთის ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილის ოკუპაციამ შეიძლება ზიანი მოუტანოს ბრიტანეთის ინტერესებს; იტალიის მიერ ესპანეთის მაროკოს ნებისმიერი ნაწილის და განსაკუთრებით სეუტის ოკუპაცია დაემუქრება დიდი ბრიტანეთის სასიცოცხლო ინტერესებს; იტალიის მიერ ბალეარის და კანარის კუნძულების დაპყრობა ძალზედ არასასურველია, თუმცა არ განიხილება, როგორც სასიცოცხლო მუქარა.

4. დიდი ბრიტანეთის სასიცოცხლო ინტერესებისათვის დამუქრება იქნება იტალია-ესპანეთის ნებისმიერი კავშირის დაღება.

5. ყველა მოქმედება, აღნიშნული მე-2 და მე-3 პუნქტებში, მეტ-ნაკლებად აზიანებს საფრანგეთის ინტერესებს.

6. იტალიის გეგმების ჩაფუშვის მიზნით, ნებისმიერ სფეროში გადამწყვეტი მოქმედებების ჩატარების მუქარამ, დიპლომატიურის გამოკლებით, ომის დიდი საფრთხე შეიძლება გამოიწვიოს.<sup>1</sup>

აფასებდა რა მდგომარეობას დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში, იმპერიის უშიშროების კომიტეტმა მთავრობას შესთავაზა ზეწოლა მოეხდინა ევროპულ სახელმწიფოებზე, რათა სასწრაფოდ დადებულიყო პაქტი ჩაურევლობის შესახებ ესპანეთის საქმეებში. თუ ასეთ შეთანხმებას ხელს ვერ მოაწერდნენ, მაშინ აუცილებელი იქნებოდა ერთი მხრივ, დიდი ბრიტანეთის ინტერესების დაცვაზე ეზრუნათ დასავლეთ ხმე-

---

<sup>1</sup> Ibidem, p. 36.



ლთაშუა ზღვისპირეთში საკმარისი სამხედრო-საზღვაო ძალების შენარჩუნების გზით. მეორე მხრივ, საფრანგეთისათვის უნდა ჩაეგონებინათ აზრი, რომ არ იყო სასურველი ესპანეთსა და კოლონიებში იტალიის ინტერვენციის პროვოცირება. ამის ფონზე, ცოტა უცნაურად გამოიყურება დიდი მასშტაბის პოლიტიკოსის, უინსტონ ჩერჩილის, პოზიცია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ესპანეთში მიმდინარე მოვლენებს არ ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ინგლისისათვის სტრატეგიული თვალსაზრისით.<sup>1</sup>

1936 წ. 15 აგვისტოს ინგლისმა და საფრანგეთმა გაცვალეს ნოტები, რომლის თანახმად ორივე ქვეყნის მთავრობამ ვალდებულება აიღო - აეკრძალა იარაღის და სამხედრო მასალების ექსპორტი ესპანეთსა და მის სამფლობელოებში<sup>2</sup>; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით აქტიურობდნენ აფრეთვე აშშ მმართველი წრეები. მაგალითად, 1937 წ. იანვარში ამერიკის კონგრესმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც კრძალავდა იარაღის მიყიდვას ესპანეთში მებრძოლი ძალებისათვის<sup>3</sup>.

მასასადამე, 1936 წ. აგვისტოს შუა პერიოდიდან, ესპანეთის კონფლიქტში ე.წ. ჩაურევლობის იდეა შეიარაღების ექსპორტის აკრძალვის გზით, საბოლოოდ იღებს კონკრეტულ ხორცშესხმას ჩაურევლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით, რომელსაც ინგლისის გარდა, 1936 წ. 15 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე შეუერთდა 27 ევროპული სახელმწიფო. ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების დეკლარაცია (Non – Intervention Agreement - NIA), რომლის ტექსტიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა ევ-

---

<sup>1</sup> Томас Х. указ. соч., с. 205.

<sup>2</sup> Прицкер Д. П. указ. соч., с. 635.

<sup>3</sup> Там же.

როპის ქვეყნების სახელმწიფოებს, ორი ნაწილისაგან შედგებოდა. დოკუმენტის პრეამბულა შეიცავდა მოწოდებას თავი შეეკავებინათ ესპანეთის კონფლიქტში ჩარევისაგან ნებისმიერი ფორმით, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გზით. მეორე ნაწილი შედგებოდა სამი სპეციალური პუნქტისაგან, რომელიც კრძალავდა იარაღის ნებისმიერი სახეობის, სამხედრო მასალების, თვითმფრინავების და სამხედრო გემების ექსპორტს, რეექსპორტს და ტრანზიტს ესპანეთსა და მის კოლონიებში.

შეთანხმება ჩაურევლობის შესახებ წარმოადგენდა დოკუმენტების ერთობლიობას, რომელსაც არ გააჩნდა კანონის ძალა. არ არსებობდა დოკუმენტი, რომელიც დააკავშირებდა სხვადასხვა სახელმწიფოების ტექსტებს მთლიანობაში. ნებისმიერ ქვეყანას შეეძლო უარი ეთქვა შეთანხმების ამა თუ იმ პუნქტზე, ისე რომ არ დამუქრებოდა საფრთხე დაედანაშაულებინათ საერთაშორისო უფლებების დარღვევაში.

ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ, კომიტეტის პირველი სხდომა შედგა 1936 წ. 9 სექტემბერს ლონდონში, ფორინ ოფისის ლოკარნოს დარბაზში უ. მორისონის თავმჯდომარეობით, რომელიც მალე შეცვალა ამ პოსტზე კონსერვატიული პარტიის ცნობილმა წევრმა ლორდმა პლიმუტმა. ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტს, ინგლისის ხელმძღვანელობის აზრით, თვალი უნდა ედევნებინა იმისთვის, რომ ყველა ქვეყანას, რომელმაც ხელი მოაწერა I -ს, მკაცრად დაეცვა საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებები. უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტი დამოუკიდებელი იყო ერთა ლიგისაგან. თუმცა, ეს უკანასკნელი ფაქტიურად ჩამოცილებულ იქნა საკითხის განხილვისაგან, რომელიც ეხებოდა ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების აგრესიას ესპანეთის მიმართ. ამის მიუხედავად, ერთა ლიგა მაინც ფლობდა ეკონო-

მიკური და პოლიტიკური სანქციების ერთობლიობას ინტერვენციების ასალაგმავად.<sup>1</sup>

ჩაურევლობის კომიტეტს მსგავსი უფლებამოსილებანი არ გააჩნდა. მას დაეკისრა მიუკერძოებელი მეთვალყურის როლი, რომელსაც შეეძლო განეხილა პროტესტები თუ დაირღვეოდა შეთანხმებანი ჩაურევლობის შესახებ. კომიტეტზე დაკისრებული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად, 1936 წ. 14 სექტემბერს მორისონის წინადადებით ჩამოყალიბდა მუდმივი ქვეკომიტეტი, რომელშიც შევიდნენ ესპანეთის მეზობელი საფრანგეთის და პორტუგალიის, აგრეთვე იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებდნენ შეიარაღებას - ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები.<sup>2</sup>

ლონდონის კომიტეტის ეფექტიანად მოქმედების მიზნით, დამუშავდა სპეციალური პროცედურა პროტესტების განსახილველად, რომელსაც ადგილი ექნებოდა ჩაურევლობის შესახებ შეთანხმების დარღვევისას. ისინი უნდა წამოსულიყო სერიოზული წყაროდან, ე.ი. მისულიყო ლორდ პლიმუტის კომიტეტში იმ სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩაურევლობის შესახებ. კერძო პირების ინფორმაცია არ მიიღებოდა. ამასთანავე, მასში წარმოდგენილი ფაქტები საკმაოდ დასაბუთებული უნდა ყოფილიყო, საიმედო მტკიცებებს დაყრდნობოდა. უკანასკნელი პირობა სამართალდამრღვევთა გამოაშკარავებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა, რადგანაც ინტერვენციის უმრავ-

---

<sup>1</sup> История дипломатии, т. 3. М., 1965, с. 117.

<sup>2</sup> Cattell D.T. op. cit., p. 20-21.

ლესი მტკიცებულება შეიძლება შეფასებულიყო, როგორც საეჭვო.<sup>1</sup>

ამრიგად, ლონდონის კომიტეტი და მუდმივი ქვეკომიტეტი ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის პროცედურული მექანიზმის განხორციელების ორ ძირითად ბერკეტად იქცა. თავისი არსებობის მრავალი თვის მანძილზე (ოფიციალურად კომიტეტი გააუქმეს 1939 წ. 20 აპრილს), ამ ორგანოს არ შეუტანია რაიმე არსებითი შედეგი ესპანური პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. პირიქით, იყო რა მორჩილი იარაღი ბრიტანეთის მმართველი წრეების ხელში, ის ემსახურებოდა მუდმივი დათმობების პოლიტიკას ფაშისტური სახელმწიფოებისადმი პატარა ქვეყნების ხარჯზე.

1936 წ. 27 ნოემბერს ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალვარეს დელ ვაიომ მიმართა ერთა ლიგას მოთხოვნით, უმოკლეს ვადაში განეხილათ გერმანიისა და იტალიის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის ფაქტები და დახმარებოდნენ ესპანელ ხალხს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ, ერთა ლიგის საბჭომ ამ მოთხოვნაზე რეაგირება არ მოახდინა.<sup>2</sup> დასავლეთის სახელმწიფოთა „ჩაურევლობა“ ტრაგიკულად დამთავრდა ესპანეთისათვის. იმავე დროს, ასეთმა პოლიტიკამ არანაკლებ სავალალო შედეგები მოუტანა თვითონ ევროპულ სახელმწიფოებს, რამაც გაუხსნა გზა მიუნხენის სამარცხვინო გარიგებას, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას 1939 წ. 1 სექტემბერს.

---

<sup>1</sup> Cattel D.T. op. cit., p. 39-40.

<sup>2</sup> Прицкер Д. П. указ. соч., с. 640.

### **დამოწმებანი:**

1. ღოიჩერი ი. სტალინი, II. თარგმ. ინგლ., თბ., 2014.
2. სვანაძე ლ. უინსტონ ჩერჩილი. პოლიტიკური ბიოგრაფია. წიგნი მეორე, რთული გზა მწვერვალისაკენ. პრემიერ-მინისტრი. ქუთაისი, 2007.
3. Аскарате М., Сандоваль Х. 986 дней борьбы. Национально-революционная война испанского народа. М., 1964.
4. Демидов С. Международные отношения в Европе. 1919-1939. М., 2001.
5. Дипломатический словарь, т. II. М., 1971.
6. Илюхина Р. М. Англия и Лига Наций. – Проблемы британской истории. М., 1984.
7. История дипломатии, т. 3. М., 1965.
8. Малай В. Судьба республики решалась не в Мадриде. Белгород, 1999.
9. Прицкер Д. П. Подвиг Испанской республики. М., 1962.
10. Сория Ж. Война и революция в испании. 1936-1939. т. 1. М., 1987.
11. Томас Х. Гражданская война в испании. 1936-1939. М., 2003.
12. Edwards J. The British Government and the Spanish Civil War. 1936-1939. London, 1979.
13. Cattel D.T. Soviet Diplomacy and the Spanish Civil War. Berkeley, 1957.

*Vazha Chochia*  
*Gori State Teaching University*  
**CIVIL WAR IN SPAIN AND THE POLITICS OF  
ENGLAND  
RESUME**

In this work there is discussed the role of England controlling groups for launching common national non-interference politics during Spain civil war. Conservative government of England worried about the formation of left hand bourgeois government in Spain, because there was a threat toward the correlation of forces formed in Europe.

„Non-interference“ politics implemented by the west states and especially by the England controlling groups brought great tragedy to the Spanish people. At the same time, such politics brought sorrowful tragedy to England and other European states. The result of that politics was Munich shameful deal in 1938 and rouse of the Second World War on 1<sup>st</sup> September of 1939.

**ებრაელთა სოციალური მდგომარეობა ფლავიუსების  
დინასტიის დროს**

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე რომის ისტორიაში მნიშვნელოვანი ცვლილებების ეპოქაა. საუკუნოვანი მმართველობის რესპუბლიკური სისტემა ახალი მმართველობით - პრინციპატით შეიცვალა. უზარმაზარი იმპერიის სათავეში იულიუს-კლავდიუსების დინასტია გაბატონდა. ამ დინასტიის წარმომადგენლები კალიგულა, ნერონი ისეთ სახელმწიფო პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ სენატმა და სხვა არჩევითმა თანამდებობებმა საერთოდ დაკარგა ხალხში ავტორიტეტი. ამას ისიც დაემატა, რომ იმპერატორების თავაშეუბუნლმა მმართველობამ რომის ჯარს დაუკარგა თავდაპირველი ფუნქცია და იგი იქცა თავისებურ კორპორაციულ ინსტიტუციად, რომელიც ერთგული იყო არა რომაელი ხალხისა, არამედ თავისი იმპერატორისა. იმპერატორები ჯარს იყენებდნენ საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. რომაელი იმპერატორები ასევე უდიერად ექცეოდნენ პროვინციებსაც, საიდანაც რომში აურაცხელი ქონება მოდიოდა.

პროვინციები, რომლებიც კარგად ხედავდნენ რომაელი მმართველების გაუმაძღარ მადას, ცდილობდნენ შესაფერისი მომენტით ესარგებლათ და დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისკენ განსაკუთრებით გამოირჩეოდა იუდეა, რომელმაც საერთოდ დაკარგა დამოუკიდებლობა და რომის პროკურატორების სამმართველოდ იქცა.

რომის იმპერიაში სახელისუფლები კრიზისი განსაკუთრებით ნერონის მმართველობის დროს გამძაფრდა. ნერონი, ეს ოდიოზური იმპერატორი ისტორიაში შევიდა, როგორც ტირანი, რომელმაც საკუთარი დედა, მეუღლე და აღმზრდელიც არ დაინდო. მისი მმართველობის დროს 64 წელს რომში ხანძარმა იფეთქა. ქალაქის თოთხმეტი უბნიდან ათი განადგურდა. იმპერატორმა ხანძარში ქრისტიანები დაადანაშაულა და მათ მიმართ საშინელი რეპრესიები დაიწყო. იმპერატორის წინააღმდეგ შეთქმულებამ იფეთქა. ნერონმა შეთქმულების მონაწილენი სასტიკად დასაჯა და ქვეყანას რეპრესიების მანამდე არნახული ტალღა მოედო. ხაზინა იმპერატორის უაზრო სურვილების შესრულების გამო დაცარიელებული იყო, რის შევსებასაც იმპერატორი რეპრესირებულთა ქონებით ცდილობდა. ნერონი თვლიდა, რომ თავისი დროის ყველაზე დიდი შემოქმედი იყო. ყველა ადამიანი, ვინც კი მის ამ ახირებას შეეწინააღმდეგა, სიკვდილით დაისაჯა. ნერონის რეპრესიების ტალღა პროვინციებსაც მოედო, რომლებსაც იმპერატორი უყურებდა, როგორც შემოსავლის წყაროს. ცალკეულ პროვინციებში უკმაყოფილება იზრდებოდა. ეს განსაკუთრებული სიმძაფრით იმ რეგიონებში აისახებოდა, სადაც იმპერატორის ახირებები რელიგიურ მრწამსს ეხებოდა. ასეთი იყო იუდეა, სადაც დამოუკიდებლობის დაბრუნების სურვილი არასოდეს ჩამქრალა.

66 წელს იუდეაში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყების მიზეზს წარმოადგენდა იუდეის ქალაქ კესარეის თვითმმართველობიდან ებრაელების გაძევება. ამას დაემატა იერუსალიმში რომაელი პროკურატორის თავნებობა და ბოროტმოქმედება, რაც ებრაელების რელიგიური გრძნობების წინააღმდეგ იყო მიმართული. აჯანყებულებმა იერუსალიმის გარნიზონი გაანადგურეს. იმპერატორმა ნერონმა იუდეის დასაშოშმინებლად



გაგზავნა ცესტიუს გალუსის ლეგიონი, მაგრამ იუდეველებმა სასტიკად დაამარცხეს. უკმაყოფილება იმპერატორის წინააღმდეგ არმიაშიც საგრძნობი იყო. იმპერატორი დიდხანს ფიქრობდა იმ ჯარის მხედართმთავარზე, რომელიც იუდეაში უნდა გაგზავნილიყო მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. არჩევანი შეჩერდა ვესპასიანე ფლავიუსზე\*, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილი მეომარი იყო, არ ჰქონდა არისტოკრატიული წარმომავლობა და საიმპერატორო ტახტისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა. ვესპასიანე წარმოშობით შედარებით მდაბიო გვარს ეკუთვნოდა, იგი იყო ე. წ. Homo novus (ახალი ადამიანი), რომელმაც სამხედრო კარიერა პირადი დამსახურებით გაიკეთა და არა წარჩინებული წარმომავლობის წყალობით. იგი იულიუს-კლავდიუსების დინასტიის მმართველობის დროს დაწინაურდა და კონსულიც კი გახდა. ნერონმა სწორედ ვესპასიანე შეარჩია იმ ლეგიონის სარდლად, რომელსაც იუდეაში წესრიგი უნდა დაემყარებინა.

იუდეის ამბოხის მიზეზები უფრო ღრმა იყო, ვიდრე ეს გარედან ჩანდა. იუდეის მოსახლეობის სერიოზული უკმაყოფილება ჯერ კიდევ კალიგულას დროს დაიწყო, როდესაც იმპერატორი ცდილობდა რომაული წარმართული პანთეონის თაყვანისცემა სავალდებულო გაეხადა ებრაელებისათვის. მათთვის ეს მცდელობა აღიქმებოდა, როგორც რელიგიური და ნაციონალური გრძნობების შეურაცხყოფა, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილების ზრდას, მესიანისტური იდეების ჩამოყალიბებასა და მთელ დიასპორაში გავრცელებას. იუდეველთათვის რომი იქცა სატანის სიმბოლოდ, რომელიც მონოთეისტური სარწმუნოების დასათრგუნად იყო მოვლენილი.

---

\* ვესპასიანე - (Titus Flavius Caesar Vespasianus Augustus) - რომის იმპერატორი 69-79 წწ., ფლავიუსების დინასტიის დამაარსებელი.

ამას ემატებოდა ისიც, რომ იერუსალიმში მუდმივად მდგარი რომაული კოპორტის თავნებობა და მოსახლეობისათვის დაწესებული მაღალი გადასახადები სულ უფრო აძლიერებდა ხალხის უკმაყოფილებას. ებრაელები განსაკუთრებით უკმაყოფილონი იყვნენ ქვეყანაში ბერძნული და ელინური მოსახლეობის რიცხვის ზრდით. ეს მოსახლეობა იუდეაში რომაელების მთავარი დასაყრდენი იყო. ისინი იკავებდნენ ყველაზე მაღალ თანამდებობებს, ახორციელებდნენ სავაჭრო-სატრანზიტო ოპერაციებს და აბუჩად იგდებდნენ იუდაიზმს. განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ეს ქალაქებში - სამარიასა და კესარეაში. იოსებ ფლავიუსის ცნობით, რომაულ მმართველობას განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ფარისეველთა წრის წარმომადგენლები, რომლებმაც მოუწოდეს მოსახლეობას ღიად დაპირისპირებოდნენ რომაელებს და გამოაცხადეს მასობრივი დაუმორჩილებლობა. მოგვიანებით ფარისეველებს გამოეყო შედარებით აგრესიული და ტერორზე დაფუძნებული მოძრაობა, რომლებიც იუდაიზმის ყველა მოწინააღმდეგის ფიზიკურ განადგურებას ქადაგებდნენ; ასე დაიწყო ზელოტების, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის ჩამოყალიბება, რომელიც წარმოადგენდა ფარისეველების რადიკალურ დაჯგუფებას რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აჯანყების საბაბად იქცა პროკურატორ ფლორუსის მიერ სატაძრო განძეულის მიტაცება. ამას მოჰყვა მოსახლეობის უკმაყოფილება, რაც პროკურატორის მიერ მორიგი სადამსჯელო აქციით გამოიხატა - იერუსალიმის ნაწილი ფლორუსმა ჯარისკაცებს მისცა გასაძარცვად, ხოლო ასეულობით მოქალაქე სიკვდილით დასაჯა. ამის შემდეგ მოსახლეობისგან მოითხოვა ქალაქიდან გასულიყვნენ და ზემით დახვედროდნენ რომაულ კოპორტებს, რომლებიც კესარეადან მოემართებოდნენ. ჯარსა და მოსახლეობას შორის შეხვედრა

სისხლიანი შეტაკებით დასრულდა. ფლორუსი გაეცალა ქალაქს და დატოვა გარიზონი, რომელსაც ქალაქში წესრიგის დამყარება დაავალა. მეფე აგრიპა შეეცადა დაეშოშმინებინა ქალაქის მოსახლეობა, მაგრამ მისმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო. ქალაქის მოსახლეობამ უარი განაცხადა ყოველდღიურ მსხვერპლშეწირვაზე, რომელიც იმპერატორის სახელზე აღევლინებოდა. ეს უკვე აშკარა ამბოხი იყო. აჯანყებულებმა განდევნეს ქალაქში მყოფი გარნიზონი, დაწვეს რომაელთა მომხრეების სახლები და დაიკავეს ანტონიას კოშკი. რომაული გარნიზონი დათანხმდა დანებებას იმ პირობით, რომ აჯანყებულები მათ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, თუმცა მათ სიტყვა გატეხეს და რომაელი ჯარისკაცები ამოჟლიტეს. ამავე დროს, იმ ქალაქებში, სადაც შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, საშინელი ხოცვა-ჯლეტა ატყდა: სადაც ელინური მოსახლეობა ჭარბობდა, ებრაელები ამოჟლიტეს (ქალაქები კესარეა და ბეთ-შეანი), ხოლო სადაც ებრაული მოსახლეობა იყო რიცხობრივად მეტი, ელინური მოსახლეობა გაჟლიტეს\* <sup>1</sup>

სირიის მმართველი ცესტიუს გალი იძულებული გახდა ჩარეულიყო ამ ხოცვა-ჟლეტაში და დაეზავებინა მოსახლეობა. მან თხუთმეტიოდე კილომეტრის დაშორებით იერუსალიმთან

---

\* 66 წლის 6 აგვისტოს არაიუდეველებმა ამოხოცეს იუდეველები კესარიაში და სხვა ელინიზებულ ქალაქებში, იუდეველებმა კი არაიუდეველები იერუსალიმსა და სხვა ებრაულ ქალაქებში. დამასკოში, სკიტოპოლში, ასკალონში, გადარაში ებრაელების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. მეფე აგრიპას სამფლობელოებში, რომლებიც მეტწილად სირიელებით იყო დასახლებული, ადგილობრივი იუდეველები დარბევებს გადაურჩნენ.

<sup>1</sup> მომზენი თ., რომის ისტორია (აღმოსავლეთის პროვინციები), თბ., 2011, გვ. 249-250.

დასცა ბანაკი, თუმცა იძულებული გახდა უკან დაეხია და ალალი მიეტოვებინა.<sup>1</sup>

ამ გამარჯვებამ ახალი სიცოცხლე შესძინა აჯანყებას, რომელმაც უფრო ორგანიზებული სახე მიიღო. მას სათავეში ჩაუდგა ებრაული არისტოკრატია, სასულიერო ფენა და მსაჯულები. შედგა სამხედრო გეგმა, რომლის მიხედვითაც გალილეის დაცვა დაევალა იოსებ ბენ მათათიას (იოსებ ფლავიუსი), რომელმაც გაამაგრა ქალაქები ციფორი, იოდაფატი, თაბორი და ორგანიზება გაუკეთა ასი ათასიან ჯარს.

67 წლის გაზაფხულზე ვესპასიანე 60 ათასიანი ჯარით დაიდრა ამბოხებულ პროვინციის დასაშოშმინებლად. იგი პირველად გალილეაში შეიჭრა. პირველი წინააღმდეგობა მას ქალაქმა იოდაფატმა გაუწია. სისხლისმღვრელი ბრძოლა რომაელების გამარჯვებით დასრულდა - მათ მოსახლეობა გაჟლიტეს და ქალაქი საძირკვლიანად დაანგრიეს. ამით შეშინებულმა გალილეის სხვა ქალაქებმა მორჩილება გამოუცხადეს ვესპასიანეს. იოდაფატის აღების შემდეგ ვესპასიანემ ტყვედ ჩაიგდო იოსებ ფლავიუსიც, გალილეის სამხედრო მეთაური.

გალილეის დაკარგვა აჯანყებულებისთვის დიდი დარტყმა იყო. 68-69 წლებში თვით იერუსალიმში საშინელი ძმათამკვლელი ბრძოლები წარმოებდა. ზელოტების ხელმძღვანელი იოჰან გისკალელი ნებიმიერ ადამიანს, ვინც კი რომაელებთან ურთიერთობის კომპრომისზე მიდიოდა, სიკვდილით სჯიდა. ამან გამოწვია ზომიერების პარტიის წევრებისა და მათი წინამძღოლი არისტოკრატის გაჟლეტა, სიცოცხლეს გამოესალმა მრავალი იერუსალიმელი მოქალაქე. ქალაქში ფაქტიურად ზელოტების დიქტატურა დამყარდა.

---

<sup>1</sup> მომზენი თ., რომის ისტორია (აღმოსავლეთის პროვინციები), თბ., 2011, გვ. 253.

ვესპასიანე მოთმინებით იცდიდა, როგორ დასრულდებოდა ძმათამკვლელი ომი იერუსალიმში. ამასობაში მან ჯარი გაგზავნა იორდანეს მხარეში და ეს მხარეც დაიმორჩილა. 68 წლის გაზაფხულზე დაიკავა ქალაქები ანტიპატრეა, სამარია და იერიქონი. ამასობაში ცნობილი გახდა ნერონის სიკვდილის შესახებ. იმპერია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაეხვა. ერთდროულად ოთხი იმპერატორი იბრძოდა ხელისუფლების ხელში ასაღებად. იმპერატორების გალბა და ოტონის ხანმოკლე მართველობის შემდეგ იმპერატორი გახდა ვიტელიუსი. ამის საპასუხოდ იუდეისა და რომაული ეგვიპტის ლეგიონებმა 69 წლის 1 ივლისს იმპერატორად ვესპასიანე გამოაცხადეს. ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ვესპასიანე დაუკავშირდა სირიის მმართველ მუციანუსსა და პანონიის სარდალ პრიმუსს, იერუსალიმის ალყის გასაგრძელებლად დატოვა საკუთარი შვილი ტიტე. 69 წლის 21 დეკემბერს სენატმა ვესპასიანე რომის იმპერატორად გამოაცხადა. ამით საფუძველი ჩაეყარა ახალ საიმპერატორო დინასტიას რომის იმპერიის ისტორიაში.

იმპერატორმა ვესპასიანემ იმპერიაში მრავალი რეფორმა განახორციელა: სენატის შემადგენლობა განაახლა და შემოიღო ახალი ცენზი. სენატში ამიერიდან არა მხოლოდ რომაელ წარჩინებულებს, არამედ პროვინციელ დიდკაცობასაც შეეძლო მოხვედრა. იმპერატორმა დაცარიელებული ხაზინის შესავსებად მრავალი ღონისძიება განახორციელა. ამავე დროს, იგი უშურველად გასცემდა თანხებს რომისა და იმპერიის სხვა ქალქების გასამშვენებლად. რომში ააშენა სახელგანთქმული კოლიზეუმი, ალაღვინა და განაახლა რომის ნახანძრალი ქუჩები, გაიყვანა ახალი გზები და აღმართა კოლონადები და აკვედუკები. მისი პოლიტიკა სამხედრო ძალების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, გააძლიერა იმპერიის ექსპანსია ბრი-

ტანეთში. მისი დასაყრდენი იყო პროვინციული არისტოკრატია, რომლებზე ასევე გავრცელდა რომის მოქალქეების უფლებები.

მას შემდეგ, რაც ვესპასიანემ რომს მიაშურა ხელისუფლების გასამტკიცებლად, იერუსალიმის ალყას მისი შვილი ტიტუსი ხელმძღვანელობდა. ამის პარალელურად იერუსალიმში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. ალყაშემორტყმულ ქალაქში შიმშილი გაბატონდა. რომის არმიას შეუერთდა მეთორომეტე და ეგვიპტის ლეგიონები. ტიტუსმა გადაწყვიტა, ქალაქი შიმშილით დაემარცხებინა, ამის გამო ის ქალაქში პილიგრიმებს უფლებას აძლევდა შესულიყვნენ პასექის აღსანიშნავად, მაგრამ უკან გამოსვლის ნებას აღარ აძლევდა. მოლაპარაკებები რომაელებსა და ქალაქის დამცველებს შორის ჩიხში შევიდა. რომაელებმა მალე შეძლეს დამცავი კედლების გარღვევა და ქალაქში შეჭრა; იერუსალიმის ქუჩები საომარ ველად იქცა. რომაელებმა არ დაზოგეს არც ქალები და ბავშვები, იერუსალიმის ტაძარი დაწვეს და ქალაქი საძირკვლიანად დაანგრიეს. იოსებ ფლავიუსის მტკიცებით იერუსალიმის ალყას მილიონზე მეტი ადამიანი შეწირა, ასე ათასამდე კი მონად გაიყიდა. ტიტუსს ტრიუმფი მოუწვეს და რომში აღმართეს ტრიუმფალური თაღი იუდეის დამორჩილების დასტურად.

იმპერატორი ვესპასიანე გარდაიცვალა 79 წლის 24 ივნისს. ახალი იმპერატორი გახდა ტიტუსი, რომელიც რომის ისტორიაში ერთ-ერთი პოპულარული მმართველია. მან მხოლოდ ორი წელი დაჰყო იმპერატორის ტახტზე. მისი მმართველობის დროს ჯერ შავი ჭირის ეპიდემია მიმდინარეობდა, შემდეგ ვეზუვის ამოფრქვევის შედეგად სამი ქალაქი განადგურდა და ბოლოს რომში ხანძარმა იფეთქა, რომელმაც ქალაქის ბევრი უბანი დააზარალა. იმპერატორმა ტიტუსმა

მრავალრიცხოვანი საბოძვარი გასცა დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, რითიც დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა მოქალაქეებში. განსხვავებული მმართველობა ჰქონდა მომდევნო იმპერატორს - დომიციანეს, რომელსაც რომაელები კალიგულასა და ნერონის მსგავს მმართველად მოიხსენიებენ.

რომის იმპერია პირველ საუკუნეში ერთ-ერთი ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი იყო პოლილინგვური და პოლიეთნიკური ხალხების კონგლომერატი. სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუციები და სამართლებრივი ნორმატიული აქტები სხვადასხვანაირად არეგულირებდა რომაული მოსახლეობის მრავალრიცხოვან სოციალურ, რელიგიურ, პოლიტიკურ ფენებს. განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ რომაელები და იტალიელები. პროვინციებს რომაელები უყურებდნენ, როგორც არათანასწორ და მათ სოციალურ სტატუსსაც ასევე არათანაბარ მდგომარეობაში განიხილავდნენ.

„იუდეაში ადგილობრივ ხელისუფლებათა მოწყობას, როგორც ყველგან, საფუძვლად შეძლებისდაგვარად საქალაქო თემთა წყობილება დაედო. სამარიას... კესარიას და არქელაოსის ძველი სამეფოს დანარჩენ ქალაქურ თემებს თვითმმართველობა ჰქონდათ რომის ხელისუფალთა ზედამხედველობის ქვეშ“<sup>1</sup>. იერუსალიმი წარმოადგენდა განსაკუთრებული მმართველობის სისტემის ქალაქს - მმართველობის მთავარ ორგანოს ჯერ კიდევ სელევკიდების დროიდან წარმოადგენდა უხუცესთა საბჭო - სინედრიონი, რომელსაც თავმჯდომარეობდა მღვდელმთავარი. ამ კოლეგიალური დაწესებულების რიგებში შედიოდნენ ყოფილი მღვდელმთავრები და კანონთმცო-

---

<sup>1</sup> მომზენი თ., რომის ისტორია (აღმოსავლეთის პროვინციები), თბ., 2011, გვ. 232.

დნენი (მსაჯულნი), რომლებსაც ხალხში უზომოდ სცემდნენ პატივს. მმართველობის ამ ორგანოში სჭარბობდა არისტოკრატიული ელემენტი და წარმოადგენდა იუდეველი ხალხის უმაღლეს სასულიერო წარმომადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანო ჰგავდა თავისი ფუნქციებით ბერძნულ ქალაქის საბჭოს, ატარებდა გაცილებით რელიგიურ ხასიათს. პირველ საუკუნეში სინედრიონის მმართველს პროკურატორი ნიშნავდა. სინედრიონს განსაკუთრებით დიდი უფლებები ჰქონდა მართლმსაჯულების აღსრულების საქმეში, მაგრამ მათი სამართალი მხოლოდ იუდეველებს შეეხებოდათ. სხვა მოქალაქენი სარგებლობდნენ რომაული სამართალწარმოებით. გამონაკლისს წარმოადგენდა სასიკვდილო განაჩენი, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა საიმპერიო თანამდებობის პირის თანხმობა.<sup>1</sup>

ებრაელებისთვის რელიგიური გრძნობების ხელყოფა სასიცოცხლო მნიშვნელობისა რომ იყო, დასტურდება შემდეგი ფაქტით: სირიის ნაცვალმა პუბლიუს პეტრონიუსმა იმპერატორისაგან მიიღო ბრძანება, შესულიყო იერუსალიმში თავისი ლეგიონებით და ტაძარში დაედგა იმპერატორის ქანდაკება. ამ განზრახვას წარმოუდგენელი რეაქცია მოჰყვა: მთელი მოსახლეობა - ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ბავშვები გაემართნენ პეტრონიუსთან და შეევედრნენ არ ჩაედინა ეს მკრეხელობა. იმპერატორი იძულებული გახდა ებრძანებინა, რომ ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე, იმდენად მასობრივი იყო პროტესტი მთელს იუდეაში.

როდესაც საუბარია ებრაელთა სოციალურ მდგომარეობაზე, უნდა გავითვალისწინოთ: რომ ებრაელთათვის მთავარი იყო რელიგიური აღმსარებლობა და მათი ნებისმიერი

---

<sup>1</sup> მომზენი თ., რომის ისტორია (აღმოსავლეთის პროვინციები), თბ., 2011, გვ. 234.



ცვლილება საზოგადოებრივ იერარქიაზე რელიგიური მრწამსით იყო განპირობებული.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ებრაელობა საცხოვრებელი გეოგრაფიული არეალის მიხედვით ორ ნაწილად იყო გაყოფილი: იუდეაში მაცხოვრებელი და დიასპორაში გაფანტულნი. იუდეის მოსახლეობას ჰქონდა დედაქალაქი იერუსალიმი თავის წმინდათაწმინდა ტაძრით, მმართველობის დამოუკიდებელი ფორმით - სინედრიონით, მსაჯულებით და ებრაული ცხოვრების წესით, ხოლო დიასპორაში მცხოვრები ებრაელები თითქმის ყველა დიდ ქალაქში გაფანტულნი, ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივად საკუთარი უფლებებისათვის მეტროპოლი და მესიანისტური იდეების გამავრცელებელნი, რომ დადგებოდა დრო, ებრაელ ხალხს მოეველინებოდა მესია და აღდგებოდა ერთიანი ებრაული სახელმწიფო საკუთარი დედაქალაქი იერუსალიმითა და წმინდა ტაძრით.

თვითონ ებრაულ თემებს შორის იყო საკმაოდ დიდი განსხვავება, რომელიც გამოიხატებოდა არა მხოლოდ სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით, არამედ იდეოლოგიური მისწრაფებებისა და ერთიანი ებრაული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის გზების ძიებაში.

ებრაული თემის ყველაზე მრავალრიცხოვან თემს ფარისეველები შეადგენდნენ. (ფარისეველი-პერუსცჰიმ-გამოყოფას, განცალკევებას ნიშნავს). მათ ეს სახელი საღუკეველთაგან გამოყოფის გამო შეერქვათ. ისინი ხალხის მასიდან იყვნენ გამოსული და მათი სწავლება უფრო მოქნილი და ხალხის ფართო მასებზე იყო გათვლილი. ამიტომ მათ მხარდამჭერი მეტი ჰყავდათ. ისინი ყველაფერს ღმერთსა და ბედზე დამოკიდებულად მიიჩნევდნენ და მხოლოდ კეთილი სულის

უკვდავებას ქადაგებდნენ. ბოროტი ადამიანის სული სამუდამო წამებისთვის იყო განწირული.<sup>1</sup> ახალი აღთქმა ფარისევლური მიმდინარეობის შესახებ ერთ-ერთ სანდო და ვრცელ წყაროს წარმოადგენს. ისინი საკმაოდ ხშირად არიან მოხსენიებულნი [მათ. 16:1,6.11-12; მარკ. 2:6, 7:1; ლუკ. 5:21, 30, 6:7; იოან. 8:3].

მოდევნო იუდაური თემი, საღუკეველნი - სატაძრო არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ და საღმრთო სჯულის კანონების აღსრულების სიწმინდესა და რიტუალს აკონტროლებდნენ. ისინი ცენტრალური ხელისუფლების მხარდამჭერნი იყვნენ (ჯერ ჰასმონიანთა სამეფო სახლისა და შემდგომში რომის იმპერიის ადმინისტრაციის). იოსებ ფლავიუსის მიხედვით, მათ არ ჰქონდათ ხალხში იმდენი გავლენა და ძალა, როგორ ფარისევლებს. ისინი საერთოდ უარყოფდნენ ადამიანის ბედისწერას და თვლიდნენ, რომ ბოროტისა და კეთილის არჩევა ადამიანის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. [იოსებ ფლავიუსი, იუდაური სიძველენი, მე-19, 1, 2-4]. ისინი ერთმანეთის ერთგულნი იყვნენ და თვლიდნენ, რომ მხოლოდ მათ ჰქონდათ თორას კომენტარების უფლება. ისინი მხოლოდ მოსეს ხუთწიგნეულს აღიარებდნენ [იოსებ ფლავიუსი, სიძველენი, მე-18, 10, 6]. მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, მათ საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. სინედრიონის წევრი მღვდელმთავრები საღუკეველნი იყვნენ და ისინი უფროსილდებოდნენ საკუთარ არისტოკრატიულ წარმომავლობას და ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ გავლენა ტაძარზე.

---

<sup>1</sup> შშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 116.

მესამე, შედარებით მცირერიცხოვანი იუდაური თემი ესეელები\* იყვნენ. ამ ჯგუფის წარმომადგენლები თავისებურ სამონაზვნო ორდენს წარმოადგენდნენ. მათ სჯეროდათ სულის უკვდავებისა და ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული ლოიალობით გამოირჩეოდნენ. ამის მიზეზად კი ასახელებდნენ იმას, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ღმერთისგან მოდიოდა. ისინი აღიარებდნენ პიროვნების ავტორიტეტს და საკუთარი წინამძღოლის უსიტყვოდ სწამდათ. ფილონ ალექსანდრიელისა და იოსებ ფლავიუსის მონაცემებით მათი რიცხვი ოთხი ათასს არ ღემატებოდა. მათი საქმიანობა ძირითადად მიწათმოქმედება და ხელოსნობა იყო. ისინი არც ვაჭრობას მისდევდნენ და არც მონები ჰყავდათ. სოფლად ცხოვრობდნენ და ქალაქებში დასახლებას ერიდებოდნენ. მათთვის დამახასიათებელი იყო ასევე საერთო სათემო საკუთრება. პოლიტიკურ ცხოვრებაში ესეელები არ მონაწილეობდნენ. უფლება არ ჰქონდათ, ასევე იერუსალიმის ტაძრის ღვთისმსახურებაში მიეღოთ მონაწილეობა [იოსებ ფლავიუსი, სიძველენი მე-18, 1, 5; იუდაური ომი, 5, 10]. „ესეელები არ არიან მოხსენიებული ახალ აღთქმაში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ მხრივ იუდეურ თემში არსებულ მიმდინარეობებს შორის გამონაკლისს წარმოადგენენ. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ იუსებ ფლავიუსთან ესეელების რიტუალების შესახებ დაცული ცნობები ემთხვევა იუდეის უდაბნოში

---

\* 1947 წელს მკვლარი ზღვის სანაპიროზე, კუმრანის მღვიმეში შემთხვევით აღმოჩნდა ტყავის გრაგნილები, რომელთა შინაარსი ბიბლიური ტექსტები, აპოკრიფები ან ფსევდოეპიგრაფებია. ეს არქეოლოგიური არტეფაქტები მკვლევართა ინტერესისა და შესწავლის საგანი გახდა. ვარაუდობენ, რომ დასახლება, სადაც ეს გრაგნილები გადაამალეს, ესეელების დასახლებას წარმოადგენდა და მათ თავიანთი სასულიერო ბიბლიოთეკა საშიშროების გამო გადაამალეს. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1985, გვ. 222-225.

აღმოჩენილ წარწერებში დაფიქსირებულ მსგავს რიტუალებს“.<sup>1</sup> \*

მომდევნო იუდაურ ჯგუფს შეადგენდნენ ზელოტები და სიკარიები (მოშურნენი). ზელოტების მთავარი იდეა ელინისტური კულტურის იუდაურ ცხოვრების წესზე გავლენის მოსპობა იყო. ისინი უარს ამბობდნენ რომაელების მორჩილებაზე და ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლისთვის, რომელსაც, მათი აზრით, სასუფეველი უნდა დაემკვიდრებინა დედამიწაზე. იოსებ ფლავიუსის მიხედვით, ზელოტები წინამორბედი ჯგუფებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ თავისუფლების დაუოკებელი სურვილი ჰქონდათ. ერთადერთ მბრძანებლად ისინი ღმერთს აღიარებდნენ და დედამიწაზე არსებულ არანაირ ზელისუფლებას არ სცნობდნენ [იოსებ ფლავიუსი, იუდაური სიძველენი, მე-18, 1, 1-6]. მათი პირველი გამოჩენა იერუსალიმში ჰეროდეზე შურისძიებას უკავშირდება, რომელმაც იერუსალიმის შესასვლელში რომაელების უძლეველობის სიმბოლო-არწივის ქანდაკება დაადგმევინა. ზელოტები ტანსაცმლის ქვეშ მალავდნენ პატარა ხანჯლებს და მზად იყვნენ ნებისმიერი ადამიანი მოეკლათ, თუ იუდაური მოძღვრების ორგულობას შეამჩნევდნენ. ზელოტებს განსაკუთრებით მკაცრი დამოკიდებულება ჰქონდათ ებრაელის არაებრაელთან ქორწინებასთან დაკავშირებით. მათ მალე გამოეყოთ ე. წ. სიკარიები, ანუ ხანჯლოსნები. ისინი აშკარა ბრძოლის მეთოდებსა და ტერორს ირჩევდნენ, თავს ესხმოდნენ რომის ხელისუფლების წარმომადგენლებს და დაუნდობლად ზოცავდ-

---

<sup>1</sup> მშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 123.

\* ესეელების ჯგუფს ზოგიერთი მკვლევარი აკუთვნებს იოანე ნათლისმცემელს. მშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 123.

ნენ. სიკარიებმა მრავალი ცნობილი პიროვნება გამოასალმეს სიცოცხლეს. სიკარიელთა თემის განსაკუთრებული თავდადება თავისუფლებისათვის ბრძოლაში ებრაელთა უკანასკნელი ციხე-სიმაგრის მასადას მცველთა მაგალითიც გამოდგება.\* მკვლევართა ვარაუდით სიკარიელთა სექტას მიეკუთვნებოდა ახალი აღთქმის ბარაბაც, რომელიც ქრისტეს ნაცვლად გაათავისუფლეს.\*\*<sup>1</sup>

მომდევნო იუდაურ-რელიგიური დაჯგუფება იყო მწიგნობრები, რომლებიც ითვლებოდნენ მოსეს კანონების უბადლო მცოდნეებად. ისინი ძირითადად ფარისეველთა წრიდან იყვნენ გამოსულები და ებრაელებს ეხმარებოდნენ ეცხოვრათ თორას კანონებით. ამ მისიას თავდაპირველად სასულიერო პირები ასრულებდნენ, მაგრამ მოგვიანებით გაჩნდნენ მწიგნობრები, რომლებსაც არ ჰქონდათ მღვდლის წოდება. მათი ფუნქცია შემდეგში გამოიხატებოდა: თვალს ადევნებდნენ მოსეს კანონების შესრულებას. უხსნიდნენ მოწაფეებს კანონებს და მასში დაცულ საიდუმლოებებს, ასევე, ტაძარში ხალხს ასწავლიდნენ, თუ როგორ დაეცვათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსეს კანონები. მწიგნობრები მონაწილეობდნენ სინედრიონის სხდომებში და შეთავსებული ჰქონდათ მრჩევლების ფუნქცია. ფართო განათლების გამო მწიგნობრები ხალხში დიდი პატივით სარგებლობდნენ. ატარებდნენ სპეციალურ

---

\* მასადას ციხე-სიმაგრე უკანასკნელი ბასტიონი იყო, რომელმაც იუდაური ომის დროს გაუძლო რომაელთა შემოტევას. მისმა დამცველებმა დაწებებას სიკვდილი არჩიეს. ჯერ საკუთარი ოჯახები ამოწყვიტეს და შემდეგ კენჭისყრით ერთმანეთი ამოხოცეს.

\*\* ამ მოძრაობის მიმდევარი იყო, აგრეთვე, იესოს მოციქული სიმონი, მოშურნედ წოდებული (ლუკ. 6:15; საქმ.1:13).

<sup>1</sup> შშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 128.

გრძელ სამოსს და მათ მოიხსენიებდნენ, როგორც „რაბი“ (მოძღვარი, მასწავლებელი). როცა ისინი ქუჩაში მიდიოდნენ, ხალხი ფეხზე უნდა წამოდგარიყო პატივისცემის ნიშნად. მწიგნობრების შესახებ ცნობები მრავლად გვხვდება ახალ აღთქმაში [მათ. 22:35, მარკ. 12:28, 2:6,7,16,3:22, იოან. 8:3].

შედარებით მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ პროზელიტები (ერთი სარწმუნოებიდან სხვა სარწმუნოებაზე გადასული). ესენი ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც რჯული გამოიცვალეს, აირჩიეს იუდაური რელიგია და ასრულებდნენ იუდაურ კანონებს. თაღმუდო ორი სახის პროზელიტებს განასხვავებდა: ადამიანები, რომლებიც გადადიოდნენ იუდაურ რელიგიაზე, იკეთებდნენ წინადაცვეთას და პირობას დებდნენ, რომ შეასრულებდნენ ყველა რიტუალს. მათ სამი ძირითადი ეტაპი უნდა გაეკლოთ: წინადაცვეთა, განბანა და მსხვერპლშეწირვა (ქალებს მხოლოდ ორი უკანასკნელის დაცვა ევალებოდათ) და უცხოტომელები, რომლებიც დასახლდნენ იუდეველთა შორის, ასრულებდნენ კანონს, მაგრამ არ იყვნენ ვალდებული, შეესრულებინათ რიტუალები. იოსებ ფლავიუსი აღნიშნავს, რომ წარმართთაგან ბევრს ჰქონდა სურვილი, მიეღო იუდაიზმი. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა: იუდაური თემი წარმოადგენდა შეკრულ, ერთმანეთზე მზრუნველ ერთობას, მონოთეისტური რელიგია და მისი რიტუალები შედარებით მიმზიდველი იყო წარმართთათვის, ამას იმქვეყნიური ცხოვრების ნიბლიც ემატებოდა და მესიანისტური იდეების პროპაგანდა კიდევ უფრო აძლიერებდა იუდაიზმის მიმართ ინტერესს.

იუდაური თემის ერთ-ერთ მიმდინარეობას შეადგენდა ჰეროდელების ჯგუფი, რომელიც შედარებით მცირერიცხოვანი იყო. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მათი ორიენტაცია სამეფო ხელისუფლების ერთგულებისკენ იყო მიმართული.

ამასვე ქადაგებდნენ და ცდილობდნენ სამეფო დინასტიის ერთგული ხალხის რიცხვი გაემრავლებინათ ქადაგებებითა და შეგონებებით. ისინი ილაშქრებდნენ „იმ პერიოდის იუდეაში არსებულ სხვა მესიანისტური მოძრაობების წინააღმდეგ... ერთი მხრივ, არიან ჰეროდეს დინასტიის წარმომადგენლები, რომელთა მომხრეებს შეადგენდნენ იუდეის მმართველი წრეები. მათი იდეოლოგია, თავის მხრივ, ემთხვეოდა ჰეროდეს სურვილს - რომის დახმარებით მხარი დაეჭირათ ჰეროდეს\* დინასტიის სამეფო ძალაუფლებისათვის, რათა სახელმწიფო დამოუკიდებლობა და რომის მმართველ ოჯახებთან კავშირი შეენარჩუნებინათ“.<sup>1</sup>

მომდევნო იუდაურ ეთნორელიგიურ ჯგუფს სამარიელები წარმოადგენდნენ. მათი სახელი ისრაელის დედაქალაქ სამარიიდან\*\* მომდინარეობდა. პალესტინაში ჩასახლებული მოსახლეობა იუდეველებს შეერია და შექმნა ერთგვარი ნაზავი, რომელთა მიმართ ებრაელებს მეტი ნდობა ჰქონდათ, ვიდრე წარმართების მიმართ. სამარიელები აღიარებდნენ რა იუდეველთა ღმერთს მთავარ ღმერთად, იმავედროულად პატივს მიაგებდნენ იმ ადგილობრივ წარმართულ ღვთაებებსაც, საიდანაც ისინი გადაასახლეს. ისინი არ აღიარებდნენ იერუსალიმის ტაძარს. სწორედ ამის გამო, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნ-

---

\* მეფე ჰეროდე დიდი (ძვ. წ. 73-ახ. წ. 4 წწ.) - იუდეველთა მეფე ძვ. წ. 40 წლიდან. იყო დიპლომატი და მკაცრი გამგებელი, ატარებდა ქვეყნის ელინიზაციის პროცესს. მან მრავალი ქალაქი აღადგინდა პალესტინაში და ქვეყანა ეკონომიკურად მოაძლიერა.

<sup>1</sup> მშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 139-140.

\*\* სოლომონის გარდაცვალებისა და ისრაელის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ ასურელებმა აიღეს დედაქალაქი სამარია და მოსახლეობა გადაასახლეს. პალესტინაში კი ასურელი და სხვა კოლონისტები ჩაასახლეს.

ნებულმა ებრაელებმა, რომლებმაც იერუსალიმის ტაძრის აღდგენა გადაწყვიტეს, სამარიელებს არ მისცეს ამ პროცესში მონაწილეობის უფლება. „მიუხედავად იმისა, რომ სამარიელები მოსეს ხუთწიგნეულს წმინდა წიგნად აღიარებდნენ და მესიის მოვლინებას ელოდებოდნენ, მათი რელიგიური შეხედულებები შორს იდგა იუდაიზმისაგან“.<sup>1</sup>

იუდაური რელიგიის მიმართ რომის სახელმწიფო პოლიტიკა არაერთგვაროვანი იყო. იმპერიის საწყის ეტაპზე შედარებით ეს პოლიტიკა ლოიალური იყო, რასაც პირველი მონოთეისტური რელიგიის სტრუქტურის სიმყარე და თემის შეკრულობაც განაპირობებდა. რომის იმპერიის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ იუდაური აღმსარებლობის ხალხი მხოლოდ იერუსალიმითა და იუდეით არ შემოიფარგლებოდა და ებრაული კვარტლები იმპერიის თითქმის ყველა დიდსა თუ მცირე ქალაქში (ალექსანდრია, მცირე აზიის, იტალიის, სირიის, ფინიკიის, თესალიის ქალაქები...) იყო. ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიუსი გადმოგვცემენ, რომ ელინისტურ ქალაქებში მცხოვრები ებრაელები სრულად იყვნენ ინტეგრირებულნი ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეწეოდნენ ვაჭრობას, ხელოსნობას და საკმაოდ დიდი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ რომის ხელისუფლებისგან.

ებრაელები ცხოვრობდნენ იმპერიის დედაქალაქშიც. რომში ებრაელთა დასახლების შესახებ სხვადასხვა ცნობები გვაქვს. პირველი საუკუნისთვის რომში დაახლოებით ათზე მეტი სინაგოგა ფუნქციონირებდა. სინაგოგების გარშემო არსებული იუდაური მრევლი სხვადასხვა დროს დაახლოებით ათი ათასიდან სამოც ათასამდე მერყეობდა. საერთოდ ვარაუდობენ იმპერიაში ოთხ მილიონზე მეტი ებრაელის

---

<sup>1</sup> შშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 141.



არსებობას, რაც საერთო მოსახლეობის დახლოებით 6 პროცენტს შეადგენდა. ამ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქად ცხოვრობდა. „ებრაელები მკაცრად იცავდნენ საკუთარ ტრადიციებსა და ღათობაზე არ მიდიოდნენ. რომიც ყველანაირად ცდილობდა გამწვავებაზე არ წასულიყო. უფრო მეტიც, სხვადასხვა კოლეგიის შემზღუდავ ბრძანებულებებში ებრაული კოლეგიები არ ფიგურირებდნენ. ასე, რომ შეიქმნა ე.წ. სამართლებრივი წესრიგი, რომლის მიხედვითაც იუდაიზმი რომის იმპერიაში „religio licita“ (დაშვებული რეკლიგია) წარმოადგენდა“.<sup>1</sup> ამან განაპირობა ის, რომ ებრაულმა თემებმა მიღეს საკუთარი ქონების განკარგვისა და თემის წევრებზე სასამართლოს უფლება, რაც იმას ნიშნავდა, რომ იუდაური თემი თვითმმართველობის პრივილეგიით სარგებლობდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ ცეზარის დროს დაიწყო, რომელმაც ებრაელების პრივილიგირებული მდგომარეობისთვის მრავალი დეკრეტი გამოსცა. ეს პოლიტიკა გაგრძელდა ავგუსტუსის დროსაც, რომლის მიერ გამოცემულ დეკრეტებში გათვალისწინებული იყო იერუსალიმის ტაძრის ქონების დაცვა. აგრეთვე იუდეველებს უფლება ეძლეოდათ შაბათობით მონაწილეობა არ მიეღოთ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებაში. იერუსალიმის ტაძრიდან წიგნების მოპარვა კი გაიგივებული იყო მკრეხელობასთან [იუსებ ფლავიუსი, იუდაური სიძველენი, მე-16, 6].

ებრაელების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა ტიბერიუსის იმპერატორობის დროს. მან რომიდან ებრაელები განდევნა და მათი ნაწილი სხვადასხვა ადგილზე გადაასახლა. [3, თიბ. 36). თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ეს რეპრესიები მხოლოდ ებრაელებს არ შეეხოთ. იგივე ბედი გაიზიარეს ეგ-

---

<sup>1</sup> შშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017, გვ. 49.

ვიპტელებმაც, რომლებმაც ასევე საკუთარი რელიგიური რიტუალებისადმი ერთგულება შეინარჩუნეს.

რომის იმპერიის შემადგენლობაში ებრაელი ხალხის არსებობის რამდენიმე მთავარი ასპექტი შეიძლება გამოვყოთ:

ებრაელები რომის იმპერიის საწყის ეტაპზე არ განიცდიდნენ განსაკუთრებულ დისკრიმინაციას და მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ეთნორელიგიური დამოუკიდებლობა. ისინი რომის სოციალურ სტრუქტურაში პროვინციის მოსახლეობის სტატუსით სარგებლობდნენ.

პირველ საუკუნეში ებრაელებში განსაკუთრებულ პოპულარობას იძენს მესიანისტური იდეები, რომლებიც არა მხოლოდ იუდეაში ვრცელდება, არამედ უზარმაზარი იმპერიის მსხვილსა თუ მცირე ქალქებშიც, სადაც ებრაელები იყვნენ დასახლებულნი.

ებრაული ეთნორელიგიური თემები დაყოფილი იყვნენ სხვადასხვა ჯგუფებად (ფარისევლები, სადუკეველები, ესსეელები, ზელოტები, მწიგნობრები, პროზელიტები, ჰეროდელები, სამარიელები, მწიგნობრები...), რომელთა პოლიტიკური შეხედულებები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. განსხვავდებოდა აგრეთვე მათი სოციალური სტატუსი და დამოკიდებულება საერთო იუდაური სახელმწიფოს რესტავრაციის გზაზე.

ებრაელების რომის სახელმწიფოს სოციალურ იერარქიაში მთავარი განსმსაზღვრელი ფაქტორი რელიგიური აღმსარებლობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერატორები შედარებით ლოიალობას იჩენდნენ იუდაური რელიგიის მიმართ, ებრაელებში დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის სურვილი არასოდეს განელებულა. იმ მრავალრიცხოვანი აჯანყებების დროს, რომელიც რომის იმპერიის მარწუხებისგან გათავისუფლებას ითვალისწინებდა, ერთიანი იყო რო-

გორც იუდეის, ასევე იმპერიის სხვადასხვა პროვინციების ებრაული მოსახლეობაც.

**დამოწმებანი:**

1. ბიბლია, საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 1989.
2. მომზენი თ., რომის ისტორია (აღმოსავლეთის პროვინციები), თბ., 2011.
3. გაიუს სვეტონიუს ტრანკვილიუსი, თორმეტი ცეზარის ცხოვრება (წიგნი მეორე), თბ., 2014.
4. მშვილდაძე მ., ახალი აღთქმა და ანტიკური სამყარო, თბ., 2017.
5. ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1985.
6. ლორთქიფანიძე გ., მშვილდაძე მ., ბიბლიური არქეოლოგია, თბ., 2012.
7. Иудейские войны, Иосиф Флавий, Минск, 2009.
8. Евреи в Римской империи в эпоху талмуда, Тель-Авив, 1999.
9. Фёдорова Е., Люди императорского Рима, Москва 1990.
10. Античная цивилизация, ред. Блаватский, М., 1973.
11. Ранович А. Б., Первоисточники по истории раннего христианства, М., 1990.
12. Ранович А. Б., Очерки истории древнееврейской религии М., 1937.
13. Грушевой А. Г., Иудеи и иудаизм в истории Римской республики и Римской империи  
[http://www.sno.pro1.ru/lib/grushevoy\\_iudei\\_i\\_judaizm/grushevoy\\_iudei\\_i\\_judaizm.pdf](http://www.sno.pro1.ru/lib/grushevoy_iudei_i_judaizm/grushevoy_iudei_i_judaizm.pdf)
14. Иосиф Флавий, Иудейские древности  
<http://www.vehi.net/istoriya/israil/flavii/drevnosti/index.html>
15. Корнелий Тацит, История

<http://ancientrome.ru/antlitr/t.htm?a=1347101000>

16. Leon H. J., *The Jews of Ancient Rome*, Philadelphia, 1960

17. *Romische Kaizer*, Leipzig, 2004.

*Davit Chochishvili*

*Gori State Teaching University*

**JEWISH SOCIAL SITUATION DURING THE FLAVIAN  
DYNASTY  
RESUME**

History of Jewish people is one of the most interesting and significant parts of the entire history of the old world. Jewish tribe founded the powerful state in Palestine in XIII-X centuries B.C. They established the originally new monotheistic religion and culture. After dividing Jewish Kingdom into two parts, their historical ordeal had been initiated which was proceeded for centuries. The kingdom was invaded by the different encroachers. The Romans were distinguished with the most durable domination. Their domination during the second part of the first century A.C was fatal for Jewish people – history of Jewish Kingdom was seized at least for two thousand years while governance of The Dynasty of Flavius. The religious factor was significant for Jewish community. Their history and every-day life were devoted for the one God. Hence, the social structure of those states which Jewish people would once belonged, was not always acceptable. The social and political area established for the limitless territory of The Roman Empire was very strange for Jewish people who confessed Judaism. Therefore, they were engaged in lots of slaughter wars to defend their ideals and goals.

**ვლადიმერ წვერავა**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**საქართველოს უკანასკნელი კათალიკოს-პატრიარქი  
ანტონ II და მისი მოღვაწეობა რუსეთში  
(ნიჟნი-ნოვგოროდი)**

საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი ანტონ II იყო შვილი ერეკლე II და დარეჯან დედოფლისა. ერისკაცობაში მისი სახელი იყო თეიმურაზი. მას მეორე სახელიც ჰქონია ისმიხანიც<sup>1</sup>. 1783 წელს დაიღო ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის მფარველობითი. ქართლ-კახეთის სამეფოს დელეგაციას რუსეთში ხელმძღვანელობდა გარსევან ჭავჭავაძე, დელეგაციაში ერეკლე II ორი ვაჟიც იღებდა მონაწილეობას: ბატონიშვილი მირიანი და ახალგაზრდა ბერი ანტონი იეროდიაკონის ხარისხით. მომდევნო 1784 წელს ერეკლე მეფის თხოვნით ანტონი ხელდასმული იქნა ნინოწმინდის კათედრის მღვდელმთავრად იმპერატრიცასა და მისი კარის თანდასწრებით, ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში. იმავე წელს ჯერ ისევ რუსეთში მყოფი ანტონი დაუსწრებლივ აყვანილ იქნა ალავერდელი მიტროპოლიტის კათედრაზე, ხოლო ანტონ I გარდაცვალების შემდეგ, 1788 წლის 29 ოქტომბერს ანტონი აყვანილ იქნა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ, რუსეთის

---

<sup>1</sup> მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1980, გვ. 150

ტახტის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებისთვის ანტონმა მიიღო თეთრი სარტყელი სერაბიმებით და ბრილიანტის ჯვრით შემკული, ალექსანდრე ნეველის ორდენი<sup>1</sup>.

ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ მოინდომა ეკლესიის დამორჩილებაც. მან დაიწყო რეფორმების გატარება ქართულ ეკლესიაში.

საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაციისთვის საჭირო ყოველგვარი ცნობების შეგროვება და სათანადო პროექტის შედგენა დაევალა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ანტონ II, რომელსაც არაორაზროვნად პირდებოდნენ, რომ მისი შრომა უშედეგოდ არ ჩაივლიდა და სათანადოდ იქნებოდა შეფასებული პეტერბურგში<sup>2</sup>.

საქართველოში საეკლესიო რეფორმის დროულად გატარებას მთავრობა სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა.

საქართველოს ეკლესიის (ამ შემთხვევაში ქართლ-კახეთის) რეფორმა ითვალისწინებდა აქ სასულიერო დიკასტერიის შექმნას, რომლის საქმიანობაზეც, იმპერიის სასარგებლოდ, თვითმპყრობელობა დიდ იმედებს ამყარებდა. მისი შექმნით უნდა დაწყებულიყო ქართლ-კახეთის ეკლესიის მოწესრიგება, რომელიც, მეფის მოხელეთა აზრით, ძალზე ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დიკასტერიას უნდა ეხელმძღვანელა სასულიერო-საგანმანათლებლო სამუშაოებისათვის. დიკასტერიის პირველი რიგის ამოცანა იყო ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა და შემოსავლის დაზუსტება, სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენა და სამრევლოების მოწესრიგება<sup>3</sup>.

---

<sup>1</sup> მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149

<sup>2</sup> В. Титов, Православие, М., 1967, стр. 99

<sup>3</sup> მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987, გვ.17

ზრუნავდა რა სასულიერო უწყების ქონების დაზუსტებაზე, მთავრობას განზრახული ჰქონდა მისი გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავდა საქართველოს ეკლესიის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსპობასა და სახელმწიფოებისადმი მის სრულ დამორჩილებას. საეკლესიო ქონების ერთი ნაწილი ახალგაზრდა სასულიერო პირების აღზრდა-განათლების საქმეს უნდა მოხმარებოდა. დიკასტერიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო თვითმპყრობელობის ერთგული სასულიერო პირების აღზრდა, რისთვისაც მთავრობა თბილისში აარსებდა სასულიერო სემინარიას.

საეკლესიო რეფორმის გატარების დროს მთავრობა ცდილობდა ეკლესიის მმართველობიდან ჩამოეცილებინა ისეთი სასულიერო პირები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ მთავრობის პოლიტიკით და რომელიმე ერთგულებისა და მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდა. როგორც ისტორიის შემდგომმა მსვლელობამ გვაჩვენა, ასეთ ღონისძიებებს მთავრობა სისტემატურად ატარებდა საქართველოში თავისი ბატონობის მთელი ისტორიის მანძილზე.

ანტონ II, ვითარცა რუსეთის წმინდა სინოდის წევრი ჯერ კიდევ ეკატერინეს დროიდან (1793 წლიდან) ცდილობდა, რუსების მითითებათა თანახმად, ემართა ქართული ეკლესია, მაგრამ მითითება დიკასტერიის შექმნის შესახებ დროულად ვერ აღესრულა. ამასთანავე ცნობილი იყო, რომ იგი განაწყენებული იყო იმ ღონისძიებებით, რომელიც მთავრობამ გაატარა საქართველოში. რუსეთის ხელისუფლება რუსეთის ეკლესიის დანამატად განიხილავდა ქართულ ეკლესიას ჯერ კიდევ ანტონ II საქართველოში ყოფნისას. მაგალითად, 1809 წელს სინოდის ობერპროკურორს მიეთითა შეექმნა საქართველოში დიკასტერია, ანტონის მეთაურობით

და წმინდა სინოდის წევრის ვარლამის მონაწილეობით. ამასთან ერთად სამღვდელეობას უნდა აერჩია დიკასტერიაში შესაყვანად სამი წევრი, მდივანი, თარჯიმანი, გადამწერლები, მრჩეველი და თბილისის კეთილშობილ თავადაზნაურთა სასწავლებლის დირექტორი. ანტონ II იმავე წელს დაევალა ამ საქმის აღსრულება, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ძალზედ გაჭიანურდა. 1810 წლის 3 მარტს კათალიკოსი ანტონ II თითქმის ძალით გაიწვიეს პეტერბურგს, ერთი წლის შემდეგ მოვიდა ობერპროკურორ გოლიცინის ცნობა, რომელშიც კათოლიკოსის დაგვიანება ახსნილი იყო მისი ავადმყოფობით. ანტონ II გაწვევის შემდეგ დიკასტერიის მეთაურად დაინიშნა ვარლამ ერისთავი და ებოძა მას საქართველოს ეგზარქოსის ტიტული. მასვე დაავალეს შეემუშაებინა სასულიერო დიკასტერიის მოწყობის პროექტი. მთავარმართებელმა ტორმასოვმა მისწერა ვარლამს: „სინოდის ობერპროკურორი მაცნობებს, რომ ხელმწიფე იმპერატორის სურვილით საქართველოს ეკლესიის მართვა-გამეგობა ისე უნდა მოაწყვთ, რომ იგი დამოკიდებული იქნეს წმინდა სინოდზე“. საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტი, ვარლამ ერისთავის მიერ შედგენილი 1809-1811 წლებში, წარედგინა მთავარმართებელ ტორმასოვს, რომელიც დაამტკიცა წმინდა სინოდმა 1811 წლის 30 ივლისს. ამ პროექტის თანახმად შეიქმნა დიკასტერია და საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ავტოკეფალია. რა ბედი ეწია კათალიკოს-პატრიარქს ანტონ II?

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I პირდებოდა საქართველოს უკვე ყოფილ კათალიკოსს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში კათალიკოსი აღარ იქნებოდა, ე. ი. საქართველოს ეკლესია აღარ იქნებოდა დამოუკიდებელი, მას შეუნარჩუნებდა კათალიკოსობას, რა თქმა უნდა, ამ წოდების შესაფერისი თანამდებობის გარეშე. პირდებოდა უწმინდესი



სინოდის წევრობის სახელის დატოვებასაც. ამასთან უმაღლესი მბრძანებლის დაპირებით, საღმრთო მსახურების დროს მას შეუნარჩუნებდნენ ყველა იმ სასულიერო უპირატესობას, რომელიც საქართველოში ჰქონდა კათალიკოსობის დროს, სადაც განაწესებდნენ სასულიერო სამსახურში, იქ მას, ხელმწიფის დაპირებით, უნეტარესად მოიხსენიებდნენ და სხვ.<sup>1</sup>

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსაზრების საზღაურად კათალიკოსი ანტონი თავისი ამალით 18 ოთახიან სახლში დააბინავეს. უავეჯო ოთახებში ავეჯი შეიტანეს. ანტონმა ოთახების დამატებით მოსართავად ძვირფასი ნივთები მოითხოვა. მას ეს სურვილიც შეუსრულეს და მოუტანეს სამეფო კარიდან ვერცხლის ჭურჭელი სამზარეულო ოთახისათვის. ხელმწიფე-იმპერატორს ნაბრძანები ჰქონდა შინაგან და ფინანსთა მინისტრებისათვის, აგრეთვე კარის კანტორის ობერ-ჰოფმარშლისთვის, რომ ანტონისათვის ყოველგვარი სურვილი შეესრულებინათ. ამიტომ იყო, რომ მისი 18 ოთახიანი სახლი ძვირფასი საგნებითა და ჭურჭლებით იყო აღჭურვილი. კათალიკოსი ანტონი დიდხანს დარჩენას არ აპირებდა სანქტ-პეტერბურგში. მისი ვარაუდით ერთი წელი უნდა ყოფილიყო სატახტო ქალაქში და შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდში აპირებდა განწესებას და სამუდამოდ იქ ცხოვრებას. ერთი წლის მანძილზე კი კარგად გაეცნობოდა ხელმწიფე-იმპერატორს, მისთვის საჭირო შინაგან და ფინანსთა მინისტრებს, ქალაქის ღირშესანიშნაობას და შემდეგ წავიდოდა სამუდამოდ საცხოვრებელ ადგილას ნიჟნი-ნოვგოროდში<sup>2</sup>.

საქართველოს ყოფილ კათალიკოსს პეტერბურგში საქმეები არ ელეოდა. იგი ხალისით ეხმარებოდა იქ ჩასულ თუ

---

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 2002, გვ. 294

<sup>2</sup> მ. გონიკიშვილი, დასახელ. ნაშრ., გვ. 296

საქართველოდან დახმარების მოხონველ თანამემამულეებს. იგი ყველას ეხმარებოდა ფულითაც, თუკი ვინმე მიმართავდა თხოვნით. ამიტომ იყო, რომ ვალებსაც იღებდა ხშირად. იგი ინახავდა მრავალრიცხოვან ამაღლასაც და, რაც მთავარია, სანქტ-პეტერბურგში სურსათ-სანოვაგე ძალიან ძვირი იყო. ყოველივე ამის გამო, მან გული აიცრუა სატახტო ქალაქში ცხოვრებაზე და გადაწყვიტა ნიჟნი-ნოვგოროდში გადასვლა საცხოვრებლად. კერძოდ ნიჟნი-ნოვგოროდი აირჩია იმიტომ, რომ იქ ცხოვრობდნენ მისი ახლო ნათესავეები: ქართლის მეფეთა შთამომავლები – გიორგი ალექსანდრე ძე გრუზინსკი, ლეონ ბაქარის ძის ქვრივი პრასკოვია ევგრაფის ასული თავისი ოჯახით, მისი მძახალი ნიკოლოზ დადიანი და სხვ. ყველა ესენი პოკროვის ეკლესიაში დადიოდნენ წირვა-ლოცვებსა და სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე<sup>1</sup>.

სანქტ-პეტერბურგში კათალიკოსი ანტონი დაახლოებით 13 თვე ცხოვრობდა. 1812 წელს კი გადასახლდა ნიჟნი-ნოვგოროდში. მკვლევარი მ. გონიკიშვილი თავის მონოგრაფიაში უთითებს (გვ. 464), რომ კათალიკოსი ცოტა ხნით ცხოვრობდა ტამბოვში, ხოლო შემდეგ გადასახლდა ნიჟნი-ნოვგოროდში და დაბინავდა გუბერნატორის სახლში. იგი ბინის ქირას იხდიდა წელიწადში 1200 მანეთის ასიგნაციით. ალექსანდრე I მას უბოძა ელისაბედ პირველის ნაქონი ფრანგული, ოქროში დაფერილი კარეტა. მთელი ქალაქი დიდ პატივს სცემდა კათალიკოსს, როცა სადმე მიდიოდა, ენით აღუწერელი მდიდრული კარეტით, ხალხი მუხლმოდრეკით თაყვანს სცემდა და პირჯვარს იწერდა. საქართველოს კათალიკოსს – ანტონ II 1810 წელს თბილისიდან წამოსვლისას მრავალრიცხოვან ამაღლასთან ერთად წამოყვავა, თავისი დის – მარიამ ერეკლე II ასულის შვილი ნამდვილი სამოქალაქო

---

<sup>1</sup> იქვე, გვ. 302

მრჩეველი, თავადი ევსტაფი (ევგრაფი) დავითის ძე ციციშვილი, რომელიც დიდი სიყვარულით და ერთგულებით ემსახურა თავის ბიძას და სიკვდილამდე ერთი დღეც არ მოშორებია. თავადი ევსტაფი დავითის ძე ციციშვილი მარტო თვითონ კი არ ემსახურებოდა თავის ბიძას, მან თავისი ყმებიც წამოიყვანა საქართველოდან და ამსახურებდა მათ ჯერ სანქტ-პეტერბურგში, ხოლო შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდში. ამ ქალაქში ანტონ II თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ცივმა და მკაცრმა ჰავამ ჯანმრთელობა შეუღალა და ხშირად მკურნალობდა კიდეც. ანტონი სამსახურით დატვირთული არ იყო. იმუშავებდა თუ არ იმუშავებდა, მას ეძლეოდა 50 ათას მანეთზე მეტი თანხა. ეს თანხა მას ხელმწიფე-იმპერატორის მიერ ჰქონდა დანიშნული სამილემ-ჩიოდ და იღებდა კიდეც სიკვდილამდე.

საქართველოს კათალიკოსს ანტონ II პატივს სცემდნენ მთავრობაში და თვით ხელმწიფე-იმპერატორიც კარგი თვალით უყურებდა. სანქტ-პეტერბურგში როცა ცხოვრობდა, მას უფრო მეტი დაფასება და გავლენა ჰქონდა. იშვიათად, რომ მის თხოვნას ან შუამდგომლობას შედეგი არ მოჰყოლოდა. საგუბერნიო ქალაქში, ნიჟნი-ნოვგოროდში, გადასვლის შემდეგ ბევრს მისი არსებობაც კი დაავიწყდა. ალბათ, ეს იყო, ჩვენი აზრით, მიზეზი იმისა, რომ ანტონმა ნიჟნი-ნოვგოროდში ექვსი წლის ცხოვრების შემდეგ, კვლავ სანქტ-პეტერბურგში დაბრუნება მოინდომა. თუმცა მისი პეტერბურგში გადასვლას მევალეებიც უშლიდნენ.

ანტონ II უჭირდა მევალეებისთვის ვალების გადახდა. გადასახდელ ვალს პროცენტები ემატებოდა და გადასახდელი თანხა მატულობდა. იმ პენსიიდან, რომელიც მას ეძლეოდა იქვითებოდა ვალის გამო მესამედი. ამან მისი ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესა. ანტონ II გადაწყვიტა თავისი ამა-

ლის წევრებისთვის პენსიის დანიშვნა, თუმცა ამის მიღწევა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. ანტონ II დართეს პეტერბურგში ცხოვრების უფლება და იგი ჩავიდა ქალაქში დიდი ამალით, რასაც დიდი ხარჯები სჭირდებოდა. მას გამოუყვეს თანხა ბინის ქირისათვის. ამასობაში გაირკვა, რომ ბინის გათბობისთვის თანხა არ იყო დაშვებული. ავეჯის საყიდელი თანხიდან ყიდულობდნენ შემას. მას ქირისა და გათბობისთვის მიეცა 11000 მანეთი ასიგნაციით წელიწადში.

მალე ანტონს კვლავ აუცრუვდა გული პეტერბურგში ცხოვრებაზე და კვლავ ნიჟნი-ნოვგოროდში გადაწყვიტა დაბრუნება. როგორც მკვლევარმა მ. გონიკიშვილმა გაარკვია, ანტონ II 1820 წლის შუახანებისთვის ბრუნდება ნიჟნი-ნოვგოროდში, ამჯერად საბოლოოდ და იქ ცხოვრობს გარდაცვალებამდე. ნიჟნი-ნოვგოროდში მეორედ ჩასული ანტონი დაბინავდა სოფელ ლისკოვოში გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის სახლში. გიორგი გრუზინსკი ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და მთელ გუბერნიაში დიდი ავტორიტეტით და დამსახურებული სახელით სარგებლობდა. იგი იმდენად მდიდარი და სტუმართმოყვარე პიროვნება იყო, რომ ანტონ II ყოველნაირად ეხმარებოდა. ბინის ქირაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. კათალიკოსმა თავისუფლად ამოისუნთქა. თითქმის ოთხი წელი იცხოვრა გიორგი ალექსანდრეს ძის ბინაში და იმდენად კარგ პირობებში იყო, რომ ვალეებს არა თუ იღებდა, არამედ ძველი ვალეებიც უმცირდებოდა<sup>1</sup>.

სოფელ ლისკოვოდან ანტონ II 1824 წელს გადავიდა ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც პოკროვის საყდრის პირდაპირ მდებარე, რიუშინის სახლი დაიქირავა. ამ საყდარში ქართვე-

---

<sup>1</sup> მ. გონიკიშვილი, დასახელ. ნაშრ., გვ. 312

ლებს გამოყოფილი ჰქონდათ ხარლამპრის ეკედერი, სადაც კვირაობით და უქმე დღეებში ქართულ ენაზე სრულდებოდა მღვდელმსახურება. მან აქაც გამოიცვალა ბინა და საბოლოოდ ოშარის ქუჩაზე ეფემიევის კუთვნილ ხის სახლში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე. პოკროვის საყდარი იყო მისი უწმინდესობის სამლოცველო, სადაც კვირაობით და რელიგიურ დღესასწაულებზე ქართველ თანამემამულეებთან ერთად ესწრებოდა წირვა-ლოცვას. მას ფეხები ტკიოდა და ყოველთვის საყდარში, თალის ქვეშ დადგმულ თეთრშალგადაფარებულ მაღალ სავარძელზე იჯდა.

კათალიკოსი ანტონ II თვითონაც ასრულებდა ქართულ ენაზე მღვდელმსახურებას, საკათედრო ტაძარსა და ახალ ჯვართამაღლების მონასტერში, მაგრამ ძალიან იშვიათად. მას რუსული სიტყვების გამოთქმა უჭირდა, რის გამოც საზოგადოებაშიც თარჯმნის გარეშე ერიდებოდა საუბარს. ამიტომ იყო, რომ წირვა-ლოცვებსაც ქართულ ენაზე ასრულებდა, თანამოსამსახურენი და მგალობლები კი რუსულ ენაზე წირავდნენ და გალობდნენ. მართალია, ანტონ II იშვიათად ასრულებდა მღვდელმსახურებას, მაგრამ მაინც თითქმის ყოველთვის საქმეებით იყო დაკავებული. თავისუფალ დროს მშობლიური ლიტერატურის კითხვას ანდომებდა. მას ჰქონდა ქართული სასულიერო წიგნების ძვირფასი კოლექცია, რომელის საქართველოს კათალიკოს ანტონ I სიკვდილის შემდეგ მიიღო. ერთი სიტყვით, მას საქმეები არ ელეოდა ნიჟნინოვგოროდში. ზრუნავდა საეკლესიო საქმეებზე, თავისი ამალის წევრთა კეთილდღეობაზე და საერთოდ, ეხმარებოდა ყველას, ვინც კი მასთან დახმარებისთვის მივიდოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტონ II იშვიათად ასრულებდა ღვთისმსახურებას პოკროვის საყდარსა და ჯვართამაღლების მონასტერში ქართულ ენაზე, მაგრამ სიკვდილის

წინა წელს, ჩანს, ძალა აღარ შესწევდა წირვა-ლოცვის შესრულებისთვის. იგი დიდად წუხდა, რომ მის შემდეგ ნიჟინოვგოროდში მოისპობოდა ქართულად ღვთისმსახურების შესრულება და ამიტომ მოინდომა საქართველოდან მღვდელ-მონაზონისა და იეროდიაკონის მოწვევა. 1826 წელს მან ნიჟინოვგოროდიდან წერილი მისწერა ქართული ეკლესიის გამგებელს – საქართველოს ეგზარქოს იონას, რომელსაც სთხოვდა სასულიერო პირების გამოგზავნას ნიჟინოვგოროდში ქართული წირვა-ლოცვის შესასრულებლად<sup>1</sup>. საქართველოს ეგზარქოსმა იონამ მას შეუსრულა თხოვნა და ნიჟინოვგოროდში გაუგზავნა, თბილისის დარიის მონასტრის ბერი ფილადელფოს კიკნაძე და იეროდიაკონი დანიელ მეტრეველი, რომელთა მგზავრობის ხარჯი თვით ანტონ II იკისრა. ბერები 1826 წლის ოქტომბერში უკვე ნიჟინოვგოროდში იყვნენ. მათი ჩასვლით გაიხარა ანტონ II, რადგან ნიჟინოვგოროდში მათი ჩასვლით, კვლავ გაგრძელდებოდა ღვთისმსახურება ქართულ ენაზე. არ ვიცით რატომ, მაგრამ ანტონ II 1827 წლის 20 იანვარს ნიჟინოვგოროდიდან ბერი ფილადელფოს კიკნაძე საქართველოში გამოისტუმრა უკან. ანტონმა გიორგი გრუზინსკის სთხოვა ეშუამდგომლა იმპერატორ ნიკოლოზ I, რათა ამაღლის წევრებისთვის დაენიშნათ ჯამაგირი. ეს თხოვნა მოგვიანებით შესრულდა კიდევ ანტონის გარდაცვალების შემდეგ.

ანტონ II გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 66 წლისა, 1827 წლის 21 დეკემბერს, ნიჟინოვგოროდში ეფემიევის სახლში. მისი გარდაცვალებით ნიჟინოვგოროდის მთელი მოსახლეობა იყო დამწუხრებული. გენე-

---

<sup>1</sup> იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკონის და მღვდელ-მთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ, თბ., 1900, გვ. 189

რალ-გუბერნატორმა ბახმეტიევმა სასწრაფოდ შეატყობინა ჯანდართა შეფს გრაფ ბეკენდორფს, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს თავად პეტრე სერგის-ძე მეშერსკის და შინაგან საქმეთა მინისტრს. სიკვდილიდან მეხუთე დღეს ანტონ II ცხედარი ეფემიევის სახლიდან ხარების ტაძარში გადაიტანეს. ხარების ტაძარი საგანგებოდ მოერთოთ სამგლოვიაროდ, ირგვლივ შავებით იყო დაფარული, კედელზე აკრულ შავ ნაჭერს საქართველოს ღერბი და ყვავილები ამშვენებდა. ტაძრის შუა ადგილას ჩინებული კატაფალკი იყო მოწყობილი, რომელზეც მიცვალებულის ცხედარი ესვენა. ტაძარს დილიდან გვიან საღამომდე ხალხი ერტყა ირგვლივ. საქართველოს მეფეთა შთამომავლის ანტონ II დაკრძალვის დღეს სევდიან-საზეიმო ცერემონიალისთვის მოსულები იყვნენ ნიჟნი-ნოვგოროდის უსამღვდელოესი ეპისკოპოსი – ათანასე და თავად გიორგი გრუზინსკის მიერ პენზიდან სპეციალურად მოწვეული უსამღვდელოესი ეპისკოპოსი ირინეი<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ დაკრძალვის დღეს არნახული ყინვიანი ამინდი იყო, თითქმის ყველამ ბოლომდე მიაცილა ცხედარი.

კათალიკოს ანტონ II ცხედარი 1841 წლის 9 სექტემბერამდე განისვენებდა კათედრალურ ტაძარში. ამ დღეს ძველი ტაძრის დაშლის გამო, ცხედარი თავად გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკის მიერ გადასვენებული იქნა ფერიცვალების კათედრალურ ტაძარში, დიმიტრის ეკვდერის საკურთხეველში, მარჯვენა მხარეს. მისი სახელის უკვდავსაყოფად არქიტექტორ ეფიმოვის პროექტით ძვირფასი ძეგლი იქნა აგებული. ძეგლი დადგმულია ტაძრის სამხრეთ კედელთან –

---

<sup>1</sup> იერარქია ქართული..., გვ. 123

თეთრად გამოკვეთილი საქართველოს ბრინჯაოს გერბით. ძეგლის ასაგებად იმპერატორმა 2500 მანეთი გამოყო<sup>1</sup>.

ანტონ II გარდაცვალების შემდეგ არ აღმოაჩნდა არც ქონება და არც ფული. ის თანხაც კი, რომელიც ანდერძის დაწერის დროს ჰქონდა, შემოელია. ანტონ II ვალები ხელმწიფე-იმპერატორის დავალებით ჩამოაწერეს. შეწყალებული იქნა მისი განცხადება ამაღლის წევრებისათვის დაენიშნათ პენსიები.

ანტონ II ნიჟნი-ნოვგოროდში დიდი სახელი ჰქონდა. ყველას უყვარდა და აფასებდა. დიდი სიყვარულით და სიბოთი უყურებდნენ ულამაზესი, ექვსცხენიანი კარეჭით მიმავალ კათალიკოსს, მანამ იგი თვალს არ მიეფარებოდა. უდიდესი კაცთმოყვარეობასთან და კარგ ხასიათთან ერთად, დიდებული შესახედაობის პიროვნება იყო. კათალიკოსი ანტონ II ჯანმრთელი კაცი იყო, მაგრამ ჩრდილოეთის შეუჩვეველმა მკაცრმა ჰავამ, სამშობლოს მოშორებით მუდმივმა დანალვლიანებამ ადრე დააბერა და დაასნეულა კიდევ. და, როგორც აღენიშნეთ, გარდაიცვალა 1827 წელს და დიდი პატივით იქნა დასაფლავებული ნიჟნი-ნოვგოროდში.

### **დამოწმებანი:**

1. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1980.
2. В. Титов, Православие, М., 1967.
3. მ. ხუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987.

---

<sup>1</sup> მ. ანდრონიკაშვილი, წარსულის სურათები, თბ., 1983, გვ. 70



4. მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 2002.
5. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, შედგენილი მღ. პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ, თბ., 1900.
6. მ. ანდრონიკაშვილი, წარსულის სურათები, თბ., 1983.

*Vladimir Tsverava*

*Akaki Tsereteli State University*

**LAST CATHOLICOS OF GEORGIAN ANTON II AND  
HIS LIFE IN RUSSIA  
(NIZNI NOVGOROD)  
RESUME**

After abolishing Kartl-Kakhetian Kingdom Russian government began to interfere in the affairs of the Georgian church.

Though the last Catholicos Anton II was loyal to Russians, autocephaly of the Georgian church was unacceptable for Russian clergy. After „the visit” in St. Petersburg Catholicos was forced to stay in Russia and soon the Russian Emperor abolished autocephaly of the Georgian church.

Anton II was given different priorities in Russia including the high person, but he decided to leave the capital city and to move in Nizni Novgorod near by the village Liskovo where lived his relatives, descendants of King Vakhtang VI and Prince Bakar. They took care of him, greatly honored and respected him. Sometimes elderly Catholicos Anton II held divine service in Georgian language because he

didn't know Russian well. He also helped his suite and people with the money he received from the Empire. Before his death he invited Georgian monks in Nizni Novgorod to hold the divine service in Georgian, his unique collection of books he gifted to Georgian people.

He died on December 21, 1827 at the age of 67 and was buried in Nizni Novgorod with great honor.

**ოთარ ჯანელიძე**  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**რუსეთის კავკასიური ინტერესები**

რუსეთი ყოველთვის ცხოვრობდა დაპყრობებით,  
ახალი მიწების შემოერთებით.  
ი. ფადეევი

კავკასია მსოფლიოს ერთი იმ რეგიონთაგანია, სადაც უძველესი დროიდან დღემდე მრავალი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთებოდა და იკვეთება. კავკასიაზე, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ ხიდზე, კონტროლის დამყარება მეტოქე სახელმწიფოებზე მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვებას ნიშნავდა. ამის გამო ეს სივრცე მუდამ იყო ომების, კონფლიქტებისა და დაპირისპირების ასპარეზი. პერიფერიული მდებარეობა, როგორც აღმოსავლური სამყაროს, ისე დასავლეთის მიმართ კავკასიის ერთ-ერთი დომინანტური მახასიათებელია, პარალელურად იმისა, რომ იგი განსხვავებულ რელიგიათა, ცივილიზაციებისა თუ კულტურების საკონტაქტო ზონაცაა.

ეპოქებში, როდესაც განმსაზღვრელი რჩებოდა „ძლიერის უფლება“ და არ არსებობდა ამ „უფლების“ მარეგულირებელი რაიმე საერთაშორისო მექანიზმი, წარმატებას ყოველთვის უფრო ძლიერი აღწევდა. სწორედ ძალა იყო ის ინსტრუმენტი, რომლითაც ესა თუ ის სახელმწიფო დასახულ მიზანს აღწევდა და თავის ინტერესებს ახორციელებდა. ამასთან, მკაფიოდ და ნათლად ჩანს ისიც, რომ კავკასიის

მიწა-წყალს, როგორც „ბუფერულ ზონას“ მის გარემომცველ იმპერიებს შორის, ხშირად და ხანგრძლივად ორი დამპყრობელი ინაწილებდა (მაგალითად: რომი და სპარსეთი; ბიზანტია და არაბები; ირანი და ოსმალეთი), ხოლო მესამისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. ადგილობრივ ხალხებს გამუდმებით უწევდათ ლავირება აგრესორთა შორის.

ყოველ სახელმწიფოს ახალი სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად თითქმის ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებდა. მათგან უძთავრესი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები იყო. რომელს მიენიჭებოდა პრიორიტეტი, ამას კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე მდგარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანები ან შიდა ვითარება განაპირობებდა. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ კურსი კი ძირითადად ქვეყნის ეროვნული ინტერესებით განისაზღვრებოდა და განისაზღვრება.

ეროვნული ინტერესები, როგორც მყარი საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფენომენი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდება და იგი შეიძლება საუკუნეთა განმავლობაშიც კი უცვლელი დარჩეს.<sup>1</sup> ეროვნული ინტერესების ნაწილია ე. წ. სასიცოცხლო ინტერესები, რომელიც მოიცავს თავისუფლებას, სახელმწიფოებრივი არსებობის შენარჩუნებას, თვითმყოფადობის დაცვას, ტერიტორიულ მთლიანობას, უსაფრთხოებას, მოსახლეობის მატერიალურ უზრუნველყოფასა და კეთილდღეობას, განვითარების პერსპექტივებსა და სხვ.

დიდი სახელმწიფოების, მეტადრე იმპერიების ეროვნული ინტერესები გაცილებით მასშტაბურია, აღარ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლითა და საზღვრებით და

---

<sup>1</sup> კავკასიის მიმართ საუკუნეების წინ ფორმირებული რუსეთის ეროვნული ინტერესები დღემდე შენარჩუნებულია და მოქმედებს.

მეზობელი ქვეყნებისა და ტერიტორიების შემოერთებას თუ არა, მათზე გავლენისა და კონტროლის დამყარებას ითვალისწინებს.

რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთა კავკასიური მისწრაფებები იმაზე დიდი ხნით ადრე გამოიკვეთა, ვიდრე იგი მკაფიო გეოსტრატეგიული ინტერესების სახეს მიიღებდა. ისტორიკოსისა და რუსეთის არმიის გენერლის ვ. პოტტოს თანახმად, ივანე მეოთხიდან დაწყებული პრაქტიკულად ყველა რუსი მმართველი კავკასიაზე თავისი ძალაუფლების დამყარებას ცდილობდა და „Мысль о господстве на Кавказе становится наследственной в русской истории“.<sup>1</sup>

კავკასიის ომის თანამედროვე, კავკასიათმცოდნე რ. ფადეევი ჯერ კიდევ 1860 წელს გამოცემულ წიგნში წერდა, რომ ამ მხარის დაკავება „პირველი სახელმწიფოებრივი აუცილებლობით“ იყო განპირობებული.<sup>2</sup>

რუს ავტორთა ნაწილი დღემდე იმეორებს, რომ კავკასიიდან მომდინარე საგარეო საფრთხე რუსეთის ხელისუფალთ პრევენციული ღონისძიებებისაკენ უბიძგებდა, რათა დაცული ყოფილიყო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და, რომ რუსეთის აქტიურ ძალისმიერი მოქმედების პროვოცირებას რეგიონში თვითონ კავკასიის ხალხები იწვევდნენ. მიაჩნიათ, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების მხრივ, კავკასია, ასწლეულების გასწვრივ, ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენდა. აქაური რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, კავკასიის მუდმივი ჩართულობა ომებსა და კონფ-

---

<sup>1</sup> В. Потто, Кавказская война: В 5 томах, Ставрополь, 1994, т. 1, с. 14.

<sup>2</sup> Р. Фадеев, Шестьдесят лет Кавказской войны. Тифлис, 1860, с. 12-13.

ლიქტებში, რეგიონში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სამხედრო-მობილური ფორმირებების არსებობა, ბუნებრივი ზღუდეებით სამხრეთის საზღვრების დაუცველობა, სავაჭრო-ეკონომიკური ბლოკადის გარღვევისა თუ აზიაში „ფანჯრის“ გაჭრის აუცილებლობა ამ მიმართულებით სტაბილურობასა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას მოითხოვდნენ. ამდენად, XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის სახელმწიფოს კავკასიაში ექსპანსიის ძირითადი მოტივები თავდაცვისა და სამხედრო უსაფრთხოების მოთხოვნებით ანუ სტრატეგიული ხასიათის ამოცანით განისაზღვრებოდა. კავკასიის ხალხების ბედი და მათი შეიარაღებული დაცვა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო.<sup>1</sup> საგულისხმოა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებაც, რომ: „რუსეთს სპარსეთში განსაკუთრებით ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. პეტრე დიდს უნდოდა სპარსეთის ვაჭრობა რუს ვაჭრებს ჩაეგდოთ ხელში და მთელი აბრეშუმის სპარსეთიდან რუსეთში ყოფილიყო შეტანილი.“

ამავე პერიოდში კავკასიისადმი რუსეთის ინტერესებს შორის პირველ ადგილზე შეიძლება ქვეყნის სამხრეთით განვრცობის მიზანი დავასახელოთ. მაგრამ, კარგადაა ცნობილი, რომ ვიდრე კავკასიის ქედს გადმოლახავდა, რუსეთი უკვე იყო ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე გადაჭიმული მასშტაბური სახელმწიფო, დიდი და მძლავრი ქვეყანა, რომელიც თავისი სამფლობელოებით ბევრად აღემატებოდა მსოფლიოს სხვა იმპერიებს. ყაზანისა და ვოლგისპირეთის მიერთების

---

<sup>1</sup> И. Бочарников, Кавказ в истории России. Истоки интересов России на Кавказе

<http://nic-pnb.ru/articles/kavkaz-v-istorii-rossii-istoki-interesov-rossii-na-kavkaze/> ასევე, И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 5-6.

შემდგომ (XVI საუკუნის შუა ხანები), მოსკოვის სამთავრომ ციმბირი დაიპყრო, აღმოსავლეთით ექსპანსია განაგრძო და წყნარი ოკეანის სანაპიროებამდე მიაღწია. მომდევნო ასწლეულში რუსეთის კონტროლს უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი დაექვემდებარა. ჩრდილოეთის ხანგრძლივ ომში (1701-1721 წწ.) წარმატებამ რუსეთს შესაძლებლობა მისცა, ბალტიისპირეთს, ხოლო XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედში - ყირიმსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს დაუფლებოდა და წინაკავკასიაშიც განმტკიცებულიყო. რუსეთმა ლომის წილი მიიღო ასევე პოლონეთის სამეზის დანაწილებითაც.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით (მ. ლიუბავსკი,<sup>1</sup> მ. პოლიევქტოვი<sup>2</sup> და სხვ.), რუსეთის ინტერესებს კავკასიასა და კასპიისპირეთში კოლონიური ასპექტები ჯერ კიდევ ივანე მეოთხის დროიდან ახასიათებდა, მაგრამ, თუ მაშინ და კარგა ხანს შემდგომშიც რუსეთი საამისო რესურსს მოკლებული იყო, XIX საუკუნეში მას კოლონიების დაპყრობის მეტი შესაძლებლობა გაუჩნდა. ამ დროისათვის ევროპის სახელმწიფოებს უკვე ათვისებული ჰქონდათ ამერიკის, აზიისა და აფრიკის კონტინენტთა დიდი ნაწილი, რის გამოც ამ სივრცეში სხვისთვის ადგილი აღარ რჩებოდა. რუსეთი, ტრადიციულად, ახლომდებარე ტერიტორიებისა და ხალხების შემოერთებას უნდა დასჯერებოდა. ახლო კი კავკასია იყო, რომლის სამხრეთ ნაწილში არსებულ ქართულ სამეფო-სამთავროებთან ურთიერთობა რუსეთმა ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში გააბა, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოსთან 1783 წელს გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატით აქ შემოსაღწევად გარკვეული

---

<sup>1</sup> М. Любавский, Историческая география в России, М., 1908, с. 8.

<sup>2</sup> М. Полиевктов, Материалы по грузино-русским отношениям, с. I-XXXI.

პლაცდარმიც შეიმზადა. რუსეთის იმპერიული ამბიციით, არცთუ შორეულ მომავალში თავად კავკასია, როგორც გზა აღმოსავლეთისაკენ, უნდა ქცეულიყო ახალ პლაცდარმად ახლო აღმოსავლეთზე საკუთარი გავლენის დასამყარებლად და აქედან აღარც ინდოეთი მოსჩანდა ცხრა მთას იქით.

რუსულ საისტორიო მეცნიერებაში, ისე როგორც საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, რუსეთის ლტოლვა კავკასიის რეგიონისაკენ ტენდენციურადაა შეფასებული. გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ რუსეთის სახელმწიფოს მესვეურებსა და პოლიტიკოსებს კავკასიაში შესაღწევად თითქოს მხოლოდ ალტრუისტული მიზნები უბიძგებდათ; იმპერიულ რუსეთს აქეთ ვითომც მაჰმადიან აგრესორთა ძალმომრეობისა და რელიგიური ჩაგვრისაგან ერთმორწმუნე ხალხების გადარჩენის კეთილშობილური გრძნობა ამოძრავებდა. „ცენტრალური იდეა აქ წმინდა ქველმოქმედებაა: ერთმორწმუნე ხალხის ხსნა, კეთილმოწყობა და განათლება. ქრისტიანული ვალის მოხდა. მოქმედება ამიერკავკასიასა და გარდაუვლად - კავკასიაში ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობად მოგვეკვლინენ“, - შენიშნავს ი. გორდინი.<sup>1</sup>

ამ შეხედულებას საფუძვლად უდევს ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში წარმოშობილი მესიანისტური იდეა, რომელიც გამოხატული იყო ფორმულით: „მოსკოვი მესამე რომია“.

ხსენებული კონცეფციის თანახმად, რუსეთს, - რომისა და ბიზანტიის მემკვიდრეს, მსოფლიოში განსაკუთრებული ამოცანა - „ღვთიური მისია“, აკისრია. როგორც ბრიტანელი მკვლევარი პიტერ დანკანი თავის ნაშრომში „რუსული მესი-

---

<sup>1</sup> Я. Гордин, Кавказская Атлантида. 300 лет войны <http://www.rulit.me/books/kavkazskaya-atlantida-300-let-vojny-read-280530-6.html>



ანიზმი: მესამე რომი, რევოლუცია, კომუნიზმი და სხვ.“ (Messianism: Third Rome, Revolution, Communism and After, London, Routledge, 2000), აღნიშნავს, რუსეთის - ქრისტიან ხალხთა სამყაროსეული ძმობის „მიწიერი სამეფოს“ მეფე წარმოადგენება ღმერთის მიერ რჩეულ მმართველად, რომელიც თავს ყველა ქრისტიანთა ხელმწიფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს მსოფლიოს ქრისტიანი ხალხების გაერთიანებას,<sup>1</sup> დაჩაგრული მართლმადიდებელი ძმების გადარჩენას, გათავისუფლებასა და დაცვას. ამგვარი ქცევა თითქოს ყველას როდი შეუძლია, დღესაც შეხვდებით თვალსაზრისს, რომ: „Только русские позволяют себе такую роскошь - воевать из чувства сострадания“.<sup>2</sup> ასევე იმის მტკიცებასაც, რომ მესიანისტურ ძალისხმევას რუსეთისათვის სარგებელი არაფერში მოუტანია, პრობლემები კი შესძინა. ირანისა და ოსმალეთის გარდა მას დაპირისპირება მრავალრიცხოვან კავკასიურ წარმონაქმნებთანაც მოუხდა, რომელთათვისაც ეს რეგიონი ტრადიციულად ძარცვისა და რბევის ასპარეზი იყო.<sup>3</sup>

იმპერიის ესქატოლოგიურ მართლმადიდებლურ იდეას მოგვიანებით ეტატიზმი ჩაენაცვლა, რელიგიური და სახელმწიფოებრივი პარადიგმები ერთმანეთს შეერწყა. იმპერიულობის სახელმწიფოებრივი გაგება სრულიად სხვა პრინციპებს,

1

<https://subscribe.ru/archive/media.news.online.inosmi/200804/30090521.html#Паздел%204>

<https://inosmi.ru/world/20080429/241067.html>

<sup>2</sup> П. Романов, Бесплодная лоза Георгиевского трактата [http://www.aif.ru/society/opinion/besplodnaya\\_loza\\_georgievskogo\\_traktata](http://www.aif.ru/society/opinion/besplodnaya_loza_georgievskogo_traktata)

<sup>3</sup> А.П. Ермолов: стратег и дипломат <http://history.milportal.ru/2014/01/a-p-ermolov-strateg-i-diplomat/?print=print>

პირველ რიგში, გეოსტრატეგიულ მიზნებსა და ინტერესებს დაეფუძნა,<sup>1</sup> თუმცა, ხსენებულ ჰუმანურ იდეას რუსეთი მარჯვედ იყენებდა საკუთარი იმპერიული ამბიციებისა და მიზნების შესანიღბად.

არსებობს სხვა შეხედულებაც, მაგალითად, ცნობილი რუსი ისტორიკოსის ნ. კოსტომაროვისა. იგი პეტრე I-ის მისწრაფებაში - გაეფართოებინა იმპერიის ფარგლები და მოეპოვებინა მისთვის სათანადო ადგილი ევროპული ქვეყნების რიგში, ერთის მხრივ, რუსეთის საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილს ხედავდა, მეორეს მხრივ, კი აღნიშნავდა, რომ პეტრე დაინტერესებული იყო, შეეტანა დასავლეთიდან მიღებული ევროპული ცივილიზაციის ნაყოფი აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც რუსეთთან შედარებით კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე იდგნენ.<sup>2</sup>

რუსეთის წინაშე, მართლაც, აქტიურად იდგა სამხრეთის თბილ ზღვებზე გასასვლელის მოპოვების ამოცანა. განსაკუთრებული მნიშვნელობა შავი ზღვის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დაუფლებას, აქედან კი ხმელთაშუა ზღვაში გასვლას ენიჭებოდა, რაც მახლობელ აღმოსავლეთში ფეხის მოკიდებისა და ინლოეთისკენ გაჭრის წინაპირობად განიხილებოდა. რაც შეეხება დასავლური ცივილიზაციის აღმოსავლეთში ტრანსფერს რუსეთის მეშვეობით, მით უფრო პეტრე პირველის ხანაში, ეს აშკარა გადამეტებაა და მასზე აქ ყურადღებას აღარ შევამჩნევ.

რუსულ ისტორიოგრაფიაში დღეს გაზიარებულია მოსაზრება, რომ რუსეთის ინტერესებმა ექსპანსიონისტური ხასი-

---

<sup>1</sup> А. Каппелер, Россия многонациональная империя, М., 2000, стр. 43.

<sup>2</sup> Н. Костомаров, Русская история в жизнеописаниях ее главнейших деятелей, М., 2004, с. 189.

ათი მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც ქვეყანამ იმპერიის სტატუსი შეიძინა (1721 წ.).<sup>1</sup> უფრო მართებულია აკადემიკოს ა. არბატოვის თვალსაზრისი, რომ რუსეთი მუდამ სამხედრო-პოლიტიკური იმპერია იყო. იგი კოლონიებს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მსოფლიო მასშტაბით თავისი პოლიტიკური, სამხედრო ძლიერებისა და როლის გაზრდისათვის იძენდა.<sup>2</sup> თანამედროვე ცნობილი რუსი ისტორიკოსის ე. ანისიმოვის სიტყვითაც, „რუსეთის სპეციფიკა ისაა, რომ იგი თითქმის დასაბამიდანვე იმპერიაა“.<sup>3</sup>

რუსეთის კავკასიური ინტერესები ერთიანი კონცეფციის ან რაიმე ოფიციალური წერილობით ჩამოყალიბებული დოკუმენტის სახით წყაროებში არ ფიქსირდება. სხვადასხვა ხელისუფალი სხვადასხვა ეპოქაში ამ ინტერესების რეალიზაციისათვის კონკრეტულ გზასა და კონკრეტულ საშუალებას მიმართავდა პოლიტიკური, დიპლომატიური, სავაჭრო-ეკონომიკური, მშვიდობიანი ან სამხედრო კოლონიზაციისა თუ სხვ. ფორმით (ტარკის სამამხლოს წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო ექსპედიციები, რეგიონში მდგომარეობის ზონდირებისა და ამ სივრცეში რუსეთის თუნდაც სიმბოლურად ყოფნის წარმოჩენა, ასევე, რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი პოლიტიკური რეჟიმების შექმნისა და თანადგომის ცდები, ივანე მეოთხის ყაბარდოელ მთავარ თემრიუკ ჩერქეზელთან დამოყვრება, ვასალურ-მოკავშირეობითი ურთიერთობები ადგილობრივ ხელისუფლებთან თუ ხალხებთან, მოსკოვის სამეფოს მიერ კავკასიის მიმართულებით გრებენისა და თერვის

---

<sup>1</sup> И.Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 15; ასევე, Я. Гордин, Кавказ: земля и кровь, СПб., 2000, с. 44.

<sup>2</sup> [http://www.globalaffairs.ru/number/n\\_5977](http://www.globalaffairs.ru/number/n_5977)

<sup>3</sup> Е. Анисимов, Исторические корни имперского мышления в России <http://src-h.slav.hokudai.ac.jp/sympo/Proceed97/Anisimov.html>

კაზაკთა<sup>1</sup> მოქმედების მხარდაჭერა, მცირერიცხოვანი რუსული სამხედრო რაზმების გაგზავნა კახეთისა და ქართლის სამეფოებში, რუსული ქალაქების მშენებლობა ჩრდილო კავკასიაში და აქ ქრისტიანული მოსახლეობის მიგრაციის ორგანიზება, პეტრე პირველის კასპისპირეთში ლაშქრობა და დარუბანდ-გილანის პროვინციების დაკავება, რაც „აზიაში ფანჯრის გაჭრის“ სინონიმადაა მიჩნეული,<sup>2</sup> თერგ-ყიზლარის ჯარის ფორმირება, მთის ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ყიზლარში ოსეთის სასულიერო კომისიის დაარსება (1745 წ.) და სხვ. ამ ფორმებში უნდა მოვიაზროთ).

ცნობილია, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იქმნებოდა ისეთი პროექტები, როგორიც იყო „საბერძნეთის პროექტი“ ან გეორგიევსკის ტრაქტატი, ჩამოყალიბდა კავკასიის სამეფისნაცვლო (1785 წ.), რომელიც კავკასიისა და ასტრახანის ოლქებს აერთიანებდა, შეიქმნა კავკასიის სამხედრო ხაზი და სხვ. პავლე პირველმა, ამ პროექტების სრული უგულვებელყოფით, უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა - თავისი მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო საერთოდ გააუქმა და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად - გუბერნიად გამოაცხადა.

თუ მანამდე რუსეთის ურთიერთობა კავკასიასთან „ფრაგმენტული და ეპიზოდური“ ხასიათისა იყო, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისიდან კავკასიის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა აღმოსავლეთის საკითხს, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობ-

---

<sup>1</sup> პეტრე პირველის ბრძანებულებით კაზაკობა თანდათან სამხედრო-მსახურეულთა წოდებად გადაიქცა.

<sup>2</sup> Журнал История „Русская Семёрка“, 2018, №1. <https://www.bagira.guru/russian-history/zachem-pjotr-i-poshjol-na-kavkaz.html>

ლემას წარმოადგენდა. ამავე დროიდან რუსეთის იმპერიის მილიტარიზაციამ ყოვლისმომცველი ხასიათი შეიძინა. თუ პეტრე I-ის დროს არმიის შენახვაზე სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი მესამედი მოდიოდა,<sup>1</sup> ახლა ქვეყნის ყველა შიდა რესურსი უპირატესად სამხედრო ძლიერების ზრდას ხმარდებოდა, ხოლო ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებისათვის სულ უფრო ნაკლები ფინანსები გამოიყოფოდა. კავკასიის მაგალითიც ამის მკაფიო ილუსტრაციაა: აღმოსავლეთ საქართველოში 1799 წელს შემოსული ეგერთა მე-17 პოლკი ქართული (კავკასიის) კორპუსის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა, რომელიც პ. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს (1803-1806 წწ.) ქვეითთა 7 პოლკსა და დრაგუნთა რამდენიმე ესკადრონს აერთიანებდა (17 469 მებრძოლი). გენერალ ა. ერმოლოვის მმართველობის პერიოდში (1816-1827 წწ.) კორპუსი უკვე 11 პოლკისაგან შედგებოდა, რომლის პირადი შემადგენლობა 40 ათას კაცს აღწევდა. მომდევნო მთავარმართებლის, გრაფ ი. პასკევიჩის (1827-1831 წწ.) განკარგულებაში კი უკვე 57 ათასიანი შენაერთი იდგა.<sup>2</sup>

სამხედრო ისტორიისა და თეორიის მკვლევრის, ემიგრაციაში მოღვაწე რუსი გენერლის, ნ. გოლოვინის მოწმობით, კავკასიური ომების წარმოებისათვის იმპერიის უზარმაზარი შემოსავლების მეექვსედი ნაწილი იხარჯებოდა.<sup>3</sup> ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო მინიშნებაა, თუ რა განსაკუთრებული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის რეგიონს რუსეთისათვის.

---

<sup>1</sup> А. Корнилов. Курс истории России XIX века, М., 1993, с. 21.

<sup>2</sup> И. Бочарников, Кавказская политика России в X-XX веках, М., 2013, с. 39.

<sup>3</sup> <http://russian7.ru/post/zachem-rossiyskaya-imperiya-zavoevala-k/>

სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ კავკასიის დაპყრობა XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურისა (ა. პუშკინის, ა. ბესტუჟევი-მარლინსკის, ი. ლერმონტოვის, ლ. ტოლსტოის ნაწარმოებები) და მხატვრობის (გ. გაგარინი, ფ. რუმბო, ნ. ჩერნეცოვი, ვ. ვერეშჩაგინი) მნიშვნელოვან თემად იქცა,<sup>1</sup> რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, იმავე პერიოდში იმპერიის ფარგლებში მოქცეული ცენტრალური აზიის ან შორეული აღმოსავლეთის შესახებ, რომელთაც უფრო მეტი ყურადღება პერიოდულ პრესაში დაეთმო, ვიდრე სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამასთან, თუ კავკასიის დამპყრობ გენერლებს რუსული სიტყვის ოსტატები განადიდებდნენ და ხოტბას ასხამდნენ, შუა აზიისა და შორეული აღმოსავლეთის მიმართ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკას ლიბერალური გამოცემები გარკვეული კრიტიკითაც ხვდებოდნენ.<sup>2</sup>

რუსული იმპერიული სტერეოტიპი დასაპყრობად შერჩეული პოლიტიკური თუ ეთნიკური ერთეულების წინააღმდეგობას აფასებდა, როგორც „ბანდების“, „ველური ბრბოების“<sup>3</sup> მოქმედებას და მას უმკაცრესი მეთოდებითა და ძალმომრეობით უპირისპირდებოდა. მეტიც, ადგილობრივ მკვიდრთ დაბალი დონის ხალხად განიხილავდა, რომელთა ბედი იმპერიის მპყრობელობაში ყოფნა უნდა ყოფილიყო.

---

<sup>1</sup> აკადემიკოს ფ. დუბროვინის სიტყვით, რუსეთის არც ერთ კუთხეს არ გააჩნია ისეთი ვრცელი ლიტერატურა ცოდნის ყველა დარგში, როგორცა აქვს კავკასიას. იხ. Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. 1, кн.1. СПб., 1871, с. 14. კავკასიის ფენომენის შესახებ XIX საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივ და კულტურულ ცნობიერებაში აღსანიშნავია ი. გორდინის კვლევები.

<sup>2</sup> Ю. Соловьев, Самодержавие и дворянство в конце XIX в. Л., 1973, с. 195.

<sup>3</sup> ასე ნათლავდნენ თანამედროვე „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების“ წინამორბედ ძალებს.

საოცარია, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე, რუსული ოფიციალური ისტორიოგრაფია ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს კავკასიის ხალხები „ხალისით ხვდებოდნენ თავიანთ განმათავისუფლებელ“ რუსეთის ჯარს.

სინამდვილეში, ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის არმიის ნაწილებში მტერს, დამპყრობელს ხედავდა და არა განმათავისუფლებელს. ასევე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია მტკიცება, რომ ქვემეხებით შემოჭრილი ეს უხეში ძალა, რომლის ოფიცრები დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ ცივილიზაციურ აღმატებულობაში „დატაკ ველურ ჯოგებზე“ („стадом нищих дикарей“), ხოლო ხშირად უწიგნური ჯარისკაცები უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდნენ, კავკასიის მცხოვრებთ განმანათლებლად თუ კულტურტრეგერად აღექვათ.

ცივილიზატორულ ფუნქციის შესრულება არც კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მოხელეებს შეეძლოთ, რომელთა დიდი უმრავლესობა არა ზნეობრივობით, პროფესიონალიზმითა და წიგნიერებითა გამოირჩეოდა, არამედ ცნობილი იყო უხეშობით, კორუმპირებულობით, ლოთობითა თუ მრუშობით.

საგულისხმოა რომ ამგვარი მდგომარეობა მხოლოდ იმპერიის პერიფერიაში არ აღინიშნებოდა, - სრულფასოვან მოხელეთა დეფიციტი მუდმივად იგრძნობოდა ქვეყნის ცენტრალურ გუბერნიებშიც.<sup>1</sup>

რუსული კოლონიალიზმის მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი მეზობელი ტერიტორიების ხარჯზე იმპერიის საზღვრების განვრცობა იყო. რუსეთი ეწეოდა დაპყრობით ომებს, იერთებდა ახალ მიწებს, ძლიერდებოდა, თავის ორბიტაში

---

<sup>1</sup> П. Зайончковский, Правительственный аппарат самодержавной России в XIX в. М., 1978. с. 143.

აქცევდა სულ უფრო მეტ ტერიტორიებს და მოსახლეობას. ახალი სამფლობელოების შემოერთების ამ პროცესს, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა, ხან „собрание земель” დაერქვა, ხანაც „расширение границ,” ან კიდევ „активная внешняя политика,” მაგრამ არა თავისი ნამდვილი სახელი - ექსპანსია. მაშინ, როდესაც, სწორედ დაპყრობები, მასშტაბური ტერიტორიული ექსპანსია იყო რუსეთის ტოტალური სტრატეგია და სახელმწიფოს განვითარების ძირითადი მკვებავი წყარო.<sup>1</sup>

ზოგიერთი სპეციალისტი იმპერიულ რუსეთთან მიმართებაში დღესაც ერიდება გამოიყენოს ტერმინები დაპყრობა, კოლონიზაცია, რუსიფიკაცია და სხვ. მათი აზრით, ეს ცნებები ძალმომრეობისა და სხვა ხალხების დამორჩილების ნიშნებს შეიცავს, შეუსაბამოა რუსეთის ცივილიზაციისათვის და თითქოს არ ყოფილა დამახასიათებელი რომანოვთა იმპერიისათვის.<sup>2</sup> არაერთ ნაშრომში ხსენებული ტერმინოლოგიის ნაცვლად გვხვდება უფრო ზოგადი შინაარსის სიტყვა “ათვისება,” რაც მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს რუსეთის იმპერიის გაფართოების არსს და მოვლენას სრულყოფილად ვერ ხსნის.

თვალსაჩინო რუსი ისტორიკოსი ი. აფანასიევი აღნიშნავს: „რუსეთს მუდმივად ახასიათებს აგრესიულობა და ექსპანსიონიზმი, რომელიც სათავეს მოსკოვის ამალღების დროიდან იღებს. რუსეთი ყოველთვის ცხოვრობდა დაპყრობებით, ახალი მიწების შემოერთებით. რუსეთის ისტორიაში შედარებით მცირე პერიოდში არ ყოფილა ომების გარეშე: იპყრობდნენ ან იცავდნენ. და არასოდეს ფიქრობდნენ იმაზე, რომ

---

<sup>1</sup>ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ისტორიიდან, თბ., 2013, გვ. 110-111.

<sup>2</sup> <http://russkysam.narod.ru/11-13.htm>



უკეთ მოეწყოთ ეს ტერიტორიები, არამედ პირიქით, - რაც შეიძლება მეტი დაეპყროთ”.<sup>1</sup>

როგორც ითქვა, რუსეთის ცხოვრების ფუძემდებლური თავისებურება და იმპერიის ყველაზე ნიშანდობლივი მხარე კოლონიზაცია იყო. ეს გარემოება თავის დროზე კარგად შენიშნა ცნობილმა ისტორიკოსმა ვ. კლუჩევსკიმ, რომლის სიტყვითაც: „რუსეთის ისტორია - ისტორიაა ქვეყნისა, რომელიც კოლონიზირდება”.<sup>2</sup>

„რუსების კოლონიზაცია, რუსი მოხელეებისათვის ადგილობრივი მამულების საკუთრებაში გადაცემა, მთელი მხარის გარუსება“ და ამ გზით რეგიონის რუსეთთან მჭიდროდ შეკავშირება კავკასიაში რუსეთის მპყრობელობის გაძლიერებისათვისაც აუცილებელ ამოცანად იყო დასახული.<sup>3</sup>

ხელისუფლება მიმართავდა მხარის ინტენსიურ კოლონიზაციას - იმპერიის შიდა გუბერნიებიდან რუსი კოლონისტების ჩამოსახლებას, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა კუთხეში მათ კომპაქტურად დამკვიდრებას და რუსულენოვანი ანკლავების შექმნას. ეს იყო დემოგრაფიული ექსპანსია, რომელსაც იმავდროულად რეგიონში მეფის მთავრობის დასაყრდენი ბაზის გაფართოების მიზანიც ჰქონდა.

XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საიმპერატორო კარმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და აღმოსავლეთ საქართველოში ფეხი მტკიცედ მოიკიდა, რუსეთი კავკასიის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ნაწილს სრულად დაეუფლა და ეს რეგიონი მთლიანად იმპერი-

---

<sup>1</sup> <http://forum.bakililar.az/lofi/version/index.php/t12481.html>

<sup>2</sup> В. Ключевский, соч. в девяти томах, т. I, М., 1987, с. 50.

<sup>3</sup> Колониальная политика русского царизма в Азербайджане в 20-60-х годах XIX в. Часть I, М.-Л., 1936, с. 231-232.

ის შემადგენლობაში მოაქცია. ამდენად, კავკასიის პრობლემა რუსეთმა თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა, წარმატებული ომებით რეგიონიდან განდევნა მოწინააღმდეგე ირანიცა და ოსმალეთიც და მათთან საცილო ამ სივრცეში ერთპიროვნულად გაბატონდა. რომანოვთა სამფლობელოს არა მარტო ახალი სტრატეგიულად ფასეული ტერიტორიები შეემატა, არამედ რუსეთის ხელში აღმოჩნდა სამი ზღვის (აზოვის, შავი და კასპიის ზღვების) კონტროლის უფლებაც, რასაც ასევე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

როდესაც გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფო გუბერნიის სტატუსით რუსეთმა მიისაკუთრა, ბაგრატიონთა დინასტია მმართველობას ჩამოაშორეს. სანაცვლოდ დამკვიდრებულ რუსულ ადმინისტრაციას „საქართველოს უზენაესი მმართველობა“ უწოდეს, მაგრამ მხარის ახალი ხელისუფალი კავკასიის მთავარმართებლის სტატუსით აღჭურვეს. საგულისხმოა, რომ ამ დროს რუსეთი რეგიონში მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ფლობდა და ის იყო მისი კავკასიაც.

პავლე ინგოროყვას სიტყვით: „1801 წელს კავკასია შესდგებოდა მარტოოდენ ქართლ-კახეთისაგან, ხოლო 1813-ის წლიდან მოკიდებული აქ შედიოდა დასავლეთი საქართველოცა, ჩრდილოეთი ადერბეჯანი, და კავკასიის მთიულეთის ზოგი ადგილები; 1828 წლამდე ერევნისა და ნახჭევანის პროვინციები კავკასიად არ ითვლებოდა, ხოლო – 29 წლიდან კავკასიას შეადგენდა ჩრდილო-სომხეთთან ერთად ჩრდილო-მესხეთიც. 1878 წლამდე ყარსსა, ან ოლთისს ჯერ-კიდევ არ ეძახოდენ კავკასიას, ხოლო მიმდინარე ომების ბედი რომ სხვაგვარ წარმართულიყო, ვინ იცის კავკასიად არ მოენათ-

ლათ ტრაპიზონი და მასთან ერთად არზრუმი, და თავ-რიზიც“.<sup>1</sup>

კავკასიის თანამედროვე აღქმის დამკვიდრებაში გარდამტეხი სწორედ XIX საუკუნე აღმოჩნდა: ამ ასწლეულის პირველ მეოთხედში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ასევე აღმოსავლეთ სომხეთის, დიდი კავკასიონის სამხრეთი კალთის აღმოსავლეთ ნაწილის რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ ტერიტორიებს ამიერკავკასია დაერქვა. რუსეთის იმპერიასთან კავკასიის შეერთებისა და ამ ვრცელი ქვეყნის შემადგენელ ნაწილად მისი გადაქცევის შემდგომ რუსულ ადმინისტრაციას შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორცაა „მცირე კავკასია“, „ამიერკავკასია“ და „კავკასიის მხარე“.<sup>2</sup>

თუ 1800 წლისათვის პავლე I-მა აღმოსავლეთ საქართველოს იმპერიის შემადგენლობაში ინკორპორაციით კავკასიის დაუფლების გზაზე პირველი ნაბიჯი გადადგა, ალექსანდრე პირველმა ეს მოქმედება შეუქცევადი გახადა. მისივე, ცოტა მოგვიანო ხანის გამოთქმით - „Стоять на Кавказе твердо“ - რეგიონში დასამკვიდრებლად ახალი ფორმულა ჩამოყალიბდა, რომელიც მალე „მთიელთა დაშოშმინების“ (умиротворения горцев) კურსმა გააგრძელა. XIX საუკუნის 20-30-იანი წლების ღია სამხედრო ექსპანსია რეგიონში მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობისას „მთრახისა და თაფლაკვერის“ პოლიტიკით შეიცვალა, რასაც დაპყრობილი მხარის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ექსპანსია,

---

<sup>1</sup> <http://ai-ia.info/online-arqivi/219-pavle-ingorokva-kavkasiis-veqnebis-teritoriis-gamijvnis-gamo.htm>

<sup>2</sup> И. Сотниченко, Северный Кавказ в сфере политического влияния Османской империи в XIX - начале XX века, диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Санкт-Петербург, 2011, с. 5.

ხოლო შემდეგ პოლიტიკური რეაქციისა და რუსიფიკაციის გაძლიერების პერიოდი მოჰყვა.

რუსეთს – მეფის დროინდელსაც და დღევანდელსაც, არცთუ უსაფუძვლოდ „დერჟავას“ უწოდებენ. „დერჟავა“ რუსული წარმოშობის სიტყვაა და, ვ. დალის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად (ტ. I, გვ. 431), ციხესიმაგრეს, ძალას, სიმყარეს, მტკიცე, საიმედო კავშირს, მპყრობელობას, ძლიერებას, დამოუკიდებელ მფლობელობას, სახელმწიფოს, ხალხსა და მის ხელისუფლებას აღნიშნავს და სხვა არაერთი მნიშვნელობაცა აქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით კი იგი რუსეთის სახელმწიფოს ძალმოსილებას, მის იმპერიულ ბუნებასა და ხასიათს გამოხატავს. ეს ტერმინი იმდენად სისხლხორცეულადაა დაკავშირებული რუსულ რეალობასთან, რომ ცნება „დერჟავა“ იმპერიის დიდმპყრობელური პოლიტიკის სპეციფიკურ რუსულ ფორმადაა მიჩნეული.

რამდენად გამძლე და სტაბილურია რუსეთის „დერჟავული“ მისწრაფება კვლავაც ფლობდეს და აკონტროლებდეს „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უძრავ ქონებას“ - კავკასიას, კარგად ჩანს ქვეყნის თანამედროვე მესვეურთა ოფიციალურ გამონათქვამებსა თუ განცხადებებში. „ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური რეალობა არსებითად იგივე დარჩა, რაც XIX საუკუნეში. ჩვენ ახლა რომც მოვინდომოთ, ვერ შევძლებთ წავიდეთ კავკასიიდან და ჩვენთვის აქეთკენ მოწოდება გულუბრყვილობაა. სამხრეთ კავკასიაში არ უნდა დავუშვათ უსაფრთხოების ვაკუუმი, რათა სხვა უცხო სახელმწიფოებმა არ შეავსონ იგი რუსეთის ინტერესების საზიანოდ“, - აღნიშნავდა ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწე, რუსეთის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის თავმჯდომარე ა. ვოლსკი.<sup>1</sup> რუსეთის პრეზიდენტის ვ. პუტინის განცხადებით კი: რაც შეე-

---

<sup>1</sup> [https://superinf.ru/view\\_helpstud.php?id=2504](https://superinf.ru/view_helpstud.php?id=2504)

ნება ამიერკავკასიას, - რუსეთს აქედან წასვლა არასდროს უფიქრია. პირიქით, ჩვენ განზრახული გვაქვს განვამტკიცოთ ჩვენი პოზიციები რეგიონში.<sup>1</sup> ამიტომ, სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, კრემლმა კავკასიის რეგიონი თავისი „განსაკუთრებული ინტერესის“ ზონად გამოაცხადა.

*Otar Janelidze*  
*Gori State Teaching University*  
**RUSSIA'S CAUCASIAN INTERESTS**  
**RESUME**

The article highlights the interests of the Russian Empire in the Caucasus region. It is emphasized that in the 16th and 17th centuries the main motives for the expansion of the Russian State in the Caucasus were determined by strategic tasks, but the aspiration to expand to the South of the country was also important.

Famous Russian historians M. Lyubavsky, M. Polyevctov and others argued that Russia's interests in the Caucasus and the Caspian were characterized by colonial aspects from the very beginning. Thus, the prevailing view in Russian historiography that leaders of the Russian State were pushed into the Caucasus by purely altruistic reasons, driven by the generous mission of rescuing Christian peoples from violations and religious aggression by the Muslim peoples cannot stand criticism.

---

<sup>1</sup> <http://kremlin.ru/events/president/transcripts/19733>

From the end of the 18th century, the Caucasus issue was closely linked to the Eastern question, which was a major international policy issue. According to Russia's imperial ambition, the Caucasus, as a path to the East, was to become a new springboard for its influence in the Middle East.

In the 19th century, the problem of the Caucasus was solved by Russia in its own favor, by exterminating opposing Iran and the Ottomans from the region in successful wars, and gaining dominance in this disputable space. This situation lasted for almost two centuries. After a long dominance in the region, the Russian Federation still cannot give up the Caucasus and considers it a zone of "its special interest".

**„ლეკთა“ და „კავკასიანთა“ ურთიერთობა ქართულ  
პოლიტიკურ სამყაროსთან**

ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველებს ათეულობით პატარ-პატარა ეთნოსი ემეზობლებოდა. კავკასიის მთებში ძირითადი ეთნოსები სტაბილურად მკვიდრობდნენ და მათ ქართველ ხალხთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ. ხშირი იყო მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა არა მხოლოდ კავკასიის იმ ნაწილში, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა, არამედ მთელს კავკასიასა და წინა აზიაშიც, რადგან ეს რეგიონი ევროპისა და აზიის სამხრეთისა და ჩრდილოეთის გზათა შესაყარზეა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეთნოსი ყველა იმ ხალხთაგან, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია, შემოქმედებითად ითვისებდა არაერთ კულტურულ მიღწევას, როგორც მატერიალური ისე სულიერი კულტურის სფეროში. კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქი, არამედ ისტორიულ-კულტურული რეგიონიცაა.

კავკასია ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ბევრი სხვადასხვა ხალხით იყო დასახლებული. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაში არა ერთი ენა და ეთნოსი გაქრა, დღესაც ის მრავალეთნიკური ოლქია. აქ ცხოვრობენ სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხები. კავკასიური ენების ოჯახს მიეკუთვნე-

ბიან: ადილელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტანის 30-მდე სხვადასხვა ხალხი, უდიები.<sup>1</sup>

დიდი როლი ენიჭება „ქართლის ცხოვრების“ მატთანეებს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიული წარსულისა და მათთან საქართველოს ურთიერთობის საკითხის შესასწავლად.

ლეკები, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დაღესტნური ტომია, რაც შეეხება „კავკასიანთა“, ამ სახელწოდებით ძველი ქართული საისტორიო წყაროები მოიხსენიებდნენ ვეინახურ (ჩეჩნურ და ინგუშურ) ტომებს. ამ ტომების აღმნიშვნელი მეორე სახელწოდება კი იყო „დურძუენი“.<sup>2</sup> „ლეკნი“ და „კავკასიანნი“ უძველესი დროიდან გარკვეულწილად იყვნენ ინტეგრირებულნი ქართულ-პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სამყაროში. ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატთანეში, ლეკებსა და კავკასიანებს განიხილავდა ქართლოსიანთა და ეგროსიანთა უახლოეს ხალხად - თარგამოსიანთა ერთი დიდი ოჯახის შვილებად.<sup>3</sup> უკვე ქართლის სახელმწიფოს ფორმირების საწყის ეტაპზე ეს ტომები აქტიურად აღმოჩნდნენ ჩართულნი შიდაქართულ პოლიტიკურ პროცესებში, როგორც ცნობილია ლეკები აქტიურად ეხმარებოდნენ ფარნავაზ მეფეს აზოს წინააღმდეგ ომში.

ახლა განვიხილოთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ შემდეგი ცნობა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები. ესაა ცნობა „ლეკთა“ და

---

<sup>1</sup> თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, სალექციო კურსი, თბ., 2007, გვ. 61-65.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილი მიერ, თბ., 1955, ტ. I, გვ. 27.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. I, გვ. 3.



„კავკასიანთა” მონაწილეობის შესახებ 1177-1178 წლებში დემეტრე (დემნა) უფლისწულის გასამეფებლად მოწყობილ აჯანყებაში. ამ ამბოხების გაშუქებისას მემატინანე საგანგებოდ ჩერდება ჰერეთში განვითარებულ მოვლენებზე და აღნიშნავს, რომ გიორგი III-მ „გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი და თვთ გაზრდილი მისი მეჯინებეთუხუცესი ჭიაბერი და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა, და მუნით მოვიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა **ლეკითა და კავკასიანთა**. და შექმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყვნესცა გამოცდილნი და ლომნი ჭაბუკნი. ამას შინა სძლო მსჯავრისა და სამართლისა მქონებელმან, და გააქცივეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და **ლეკნი**”.<sup>1</sup> ე. ი. ირკვევა, რომ ჰერეთის ერისთავი მეფე-მმისწულის დაპირისპირებისას, ამ უკანასკნელის მხარეს გამოსულა და საკმაოდ მძლავრი ფრონტითაც. მის ლაშქარში ყოფილან „ლეკები” და „კავკასიანნი”.

XII ს. II ნახევრისათვის ლეკები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ლეკები აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ ჯერ კიდევ აზო-ფარნავაზის ეპოქიდან.

XII ს. II ნახევრისათვის კი, როდესაც ერთიანმა ქართულმა სახელმწიფომ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში და ფაქტობრივად დაამყარა თავისი ჰეგემონია რეგიონში, მისი გავლენა გავრცელდა თანამედროვე დაღესტანზეც.

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. II. გვ., 19.

XI-XII საუკუნეებში დაღესტნის ტერიტორია კავკასიური წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული. ეს ტომები თავმოყრილნი იყვნენ ცალკეულ ტომობრივ და სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში. ამ გაერთიანებათა ნაწილი (სერირი, ალ-ლაკზი, ტაბარსარანი) ადრეფეოდალურ მონარქიებადაა მიჩნეული<sup>1</sup> და მიაკუთვნებდნენ ზირიხგერანსა და გუმიკის ადრეფეოდალურ „რესპუბლიკებს“<sup>2</sup>. ამ გაერთიანებებიდან X საუკუნის დასაწყისში გაძლიერება დაიწყო სერირმა, რომელსაც ძირითადად თანამედროვე ავარიის ტერიტორია ეკავა. XII ს. მიწურულისათვის სერირი რამდენიმე ფეოდალურ ერთეულად დაიყო, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო ხუნძახის სანუცალო.<sup>3</sup> საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული დაღესტნურ სამყაროსთან. თავის გავლენას ამ რეგიონზე საქართველოს სამეფო კარი ქრისტიანული პროპაგანდის გზითაც ახორციელებდა. დადგენილია, რომ დაღესტნის ტერიტორიაზე არსებობდა არაერთი ქრისტიანული ტაძარი. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ტაძარი სოფ. დათუნაში,<sup>4</sup> აგრეთვე XI-XII საუკუნეების ტაძრები ანწუხში, ტენუხში, „ხუნძთა მიწაზე“ და ა.შ. ამ დროს დაღესტანში ფართოდ იყო გავრცელებული ქართული დამწერლობა.

თამარის ეპოქაში საქართველო ვეინახურ და დაღესტნურ სამყაროს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანის“

---

<sup>1</sup> Магоматов Р.М., Дагестан. Исторические этюды. Махачкала, 1975, С. 45.

<sup>2</sup> Ахмедов Ш. М. К вопросу о становлении феодальных отношений в Дагестане, Махачкала, 1975, с. 83.

<sup>3</sup> Бейлис В.М., Из истории Дагестана VI-XI вв.-Исторические записки, Махачкала, 1963, т.73, с. 265.

<sup>4</sup> Шмерлинг Р., Церковь в селе Датун в Дагестане, История Дагестана, Махачкала, 1967, с. 228-229.

ცნობა დიდოელთა და ფხოველთა აჯანყების შესახებ: „მათ უკუე ჟამთა,-წერს თამარის პირველი ისტორიკოსი, - იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა. დიდონი უკვე ბუნებითა მშთუართა და უხარშავსა ჭამენ, და მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მიიყვანებდნენ ცოლად; რომელნი უჩინარსა რასამე ეშმაკსა თაყუანის-ცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ჰყოფენ. ხოლო ფხოველნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ. ამათ იწყეს რბევად და ჯოცად ტყუეობად, ცხადად და ღამით. მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, ცხარაზმელთა, მოკეველთა, ჯადელთა, ცხავატელთა, ჭართალთა, ერწოთიანელთა, მისცა ივანე ათაბაგსა და წარავლინა მათ ზედა. ხოლო ივანე გონიერად ყო: აღვიდა მთასა ჯადისასა და წარვლო წუერი მთისა, წარდგა მთასა ფხოველთასა და დიდოთასა, რომელი არავის ექმნა, არცა პირველ, არცა შემდგომად, რამეთუ ერთ-კერძო დაურჩა **ღურძუკეთი** და ერთკერძო **დიდოეთი** და ფხოეთი. ცნეს რა მოსვლა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი ღურძუკეთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გუერდსა. და იწყეს ზეიდალმან ბრძოლად, და რბევად, და კლვად, და ტყუეობად და დაწუად: მოსწყვიტეს ურიცხვ კაცი დიდოი და ფხოვი, დაყვნეს სამნი თუენი: ივნისი, ივლისი და აგვისტო. მაშინ შესწრებულთა ათაბაგისათა მოსცეს მძევლები და აღუთქუეს მსახურებად ხარაჯა, და პირი სიმტკიცისა აღუთქუეს. წამოასხეს მძევლები, ქმნეს ზავნი. და ესრეთ გამარჯუებითა მოვიდა ივანე მეფეს წინაშე და რქუა:„ძლიერო მეფეო! იქმნა ბრძანება შენი, მოვაო-რენ ურჩნი შენნი დიდოეთი და ფხოეთი“. ხოლო მეფემან დიდად დაიმაძღლა და უაღრესსა პატივსა აღიყვანა”.<sup>1</sup> მატიანის ეს

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. II. გვ., 111-112.

ცნობა მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში, საყურადღებოა ის საკუთრივ დიდოელთა მთელი ტომის სოციალურ-კულტურული დონის ჩვენების თვალსაზრისით. დიდოელები, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი დაღესტნური ტომია, რომელიც ისტორიულად განსახლებული იყო დაღესტნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ხევსურეთის, თუშეთის) აღმოსავლეთით. ვარაუდობენ, რომ მათ VIII-X საუკუნეებში შექმნეს დამოუკიდებელი ეთნო-პოლიტიკური გაერთიანება. დიდოეთზე საკმაოდ მკაფიო წარმოდგენა ჰქონდათ ძველ ქართულ საისტორიო ტრადიციას. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყის მატეიანეში, არის ცნობა საურმაგის მიერ „კაკასიის ნათესავთა“ დიდი მასის მთიულეთში ჩასახლების შესახებ *„დიდოეთითგან ვიდრე ვგრი-სამდე, რომელ არს სუანეთი“*<sup>1</sup>

ქართლის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდოელები VI საუკუნიდან გამოჩნდნენ, ამ დროიდან ისინი გარკვეულწილად ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ-პოლიტიკურ სამყაროში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ნდობას, VI საუკუნეებში დიდოეთი შედიოდა ნეკრესის ეპარქიაში. (ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა...545). ასევე ვახუშტი ბატონიშვილს ეკუთვნის ცნობა XI საუკუნეში „რანთა და კახთა“ მეფის კვირიკე III-ის (1010-1037 წწ.) მიერ დიდოელთა და ხუნძახის კახეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მოქცევის შესახებ. ამ ცნობის თანახმად, „რანთა და კახთა“ მეფეს თავისი ქვეყანა კახეთ-ჰერეთი საერისთავოებად დაუყვია. აქედან კახეთში სამი, ხოლო ჰერეთში ოთხი ერისთავი გაუმწესებია. ჰერეთის ამ ერისთავთაგან ერთ-ერთი მეფეს დაუსვამს შტორს და მისთვის გადაუცია სამართავად ტერიტორია:

---

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. I. გვ., 27.

„შტორის ჯევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ, არს გაღმა-მჭარი”,<sup>1</sup> ხოლო მაჭის ერისთავის სამფლობელოში შედიოდა „ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნძახითურთ”<sup>2</sup>. ე. ი. სრულიად აშკარაა, რომ XI საუკუნეში დაღესტნის ისტორიული მხარეები: დიდოეთი და ხუნძახი - ქართულ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში შედიოდა. ზემოთ მოხსენიებული მასალებიდან ირკვევა დიდოელთა სოციალურ-კულტურული ყოფა. ირკვევა, რომ დიდოელები მეტად დაბალ საფეხურზე იდგნენ. ქართველი მემატრიანე ხაზს უსვამს მათ ველურობას, ავზნეობას, კერპებისადმი თაყვანისცემას. დიდოელთა ეს თვისებები კიდევ უფრო და სტულად აქვს ნაჩვენები ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, დიდოელთა დახასიათებისას თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობასაც ეყრდნობოდა.

ვახუშტი ასევე აღნიშნავდა, რომ დიდოელები არიან „უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვანებითა და სახითა... სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ემშაკის მოეჩილნი... უვისთ მოხუცებულნი, ივინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და ბრძოლასა შინა შეუძართებელნი და ურგებ-უძღურნი არიან, ავად მოსილნი, ავმოიარადენი, ყოველნი სრულად შავად მოსილნი”<sup>3</sup>.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” თხზულებიდან და ვახუშტი ბატონიშვილის აღწერილობიდან აქ მოტანილი მასალა ფაქტობრივად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დიდოელებს ოდესმე, მით უფრო VIII-X საუკუ-

---

<sup>1</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა-ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, ტ. IV, გვ., 561.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. I. გვ., 561.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება..., ტ. IV. გვ., 552-553.

ნებსში ჰქონდათ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. სწორედ „ბარბაროსული“ მთის ამ „ველურობის“ ალაგმვასა და იქ სახელმწიფო წესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას მიზნად ისახავდა საქართველოს სამეფო კარის მიერ XIII საუკუნის დამდეგს დიდოეთსა და ფხოვეში განხორციელებული დამსჯელი ექსპედიცია. აღსანიშნავია, რომ ამ სამხედრო ექსპედიციის დროს განსხვავებული პოზიცია დაუკავებია ვეინახურ ტომებს. ქართველი მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „მეფენი ღურძუკთან“ „მოვიდეს ძღუენითა... მისცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა“ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ივანე ათაბაგის ექსპედიციის წარმატებით დაგვირგინებაში

ამრიგად, საქართველოს სამეფო კარის მიერ დიდოეთსა და ფხოვეში გატარებული მკაცრი ზომების შედეგად ეს ურჩი რეგიონები კვლავ მოექცა სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლქვეშ, მაგრამ სამხედრო ღონისძიებები არ იყო ერთადერთი საშუალება „ბარბაროსული“ მთის მოსახლეობის დასაშოშმინებლად. საქართველოს ხელისუფლება არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა ქრისტიანულ-სამისიონერო საქმიანობას. ეს საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა თამარის ეპოქაში.

თვით დაღესტნის ისტორიის მკვლევართა აღიარებით, „активная деятельность христианской церкви в Дагестане связана с именем царицы Тамары, в правление которой предпринимались неоднократные попытки христианизировать северо-кавказские народы<sup>1</sup>“.

თანამედროვე ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე შემოეჩენილია ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების

---

<sup>1</sup> История Дагестана. Махачкала, 1967, с. 214.

არაერთი ძეგლი, რომელთაგან საგანგებოდ გამოყოფენ თხაბაერდის ტაძარს. სახელწოდება „თხაბა-ერდი“ მკვლევართა უმრავლესობა თარგმნიდა, როგორც „ორი ათასი წმინდანის ეკლესიას, ან ტაძარს,<sup>1</sup> რომელიც დავით IV აღმაშენებლის პერიოდში უნდა იყოს აგებული. ა. შავხელიშვილის აზრით, სიტყვა „თხაბა“ უნდა მომდინარეობდეს ქართული „ღვთა-ებიდან“, ამდენად „თხაბა-ერდი“ უნდა ნიშნავდეს „ღვთაების ტაძარს“<sup>2</sup>. ჩენჩეთისა და ინგუშეთის ტერიტორიაზე დადასტურებულია ქართული დამწერლობის ძეგლებიც, ხოლო თხაბა-ერდის ეკლესიაში აღმოჩნდა ქართული ხელნაწერი, რომელიც ა. გენკოს თქმით, აშკარად ადასტურებს იმას, რომ ინგუშთა საეკლესიო ცხოვრებაში გამოიყენებოდა ქართული, და არა ბერძნული ან გოთური, დამწერლობა.<sup>3</sup>

საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალთა შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მომდინარეობს, როდესაც ახალწარმოქმნილმა ქართლის სამეფომ ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები ჩართო აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ქართლის-იბერიის სახელმწიფო თავისი არსებობის თითქმის ყველა ეტაპზე თვალს ადევნებდა სიტუაციას ჩრდილოეთ კავკასიაში და, უმეტეს შემთხვევაში, ახერხებდა იქ თავისი პოლიტიკური და კულტურული გავლენის შენარჩუნებას. ერთიანი აღმოსავლური სახელმწიფოს მოშლის შემდეგ, ჩრდილოეთ

---

<sup>1</sup> Крупнов Е.А., Средневековая Ингушетия, Махачкала. 1971, с.116.

<sup>2</sup> Шавхелишвили А. И., Из истории Взаимоотношении между грузинским и чечено-ингушскими народами (С древнейших времен до XV века). Грозный. 1963, с. 46.

<sup>3</sup> Генко А. Н., Из культурного прошлого ингушей-Записки коллегии востоковедов, М., 1930, т. V. С. 732-733, 737-738.

კავკასიაზე კონტოლის ფუნქცია ძირითადად თავის თავზე აიღო VIII საუკუნის მიწურულს წარმოქმნილმა ერთიანმა დასავლურ-ქართულმა სახელმწიფომ - „აფხაზთა სამეფომ“, რომელიც განსაკუთრებულ წარმატებებს ამ მიმართულებით მიაღწია X საუკუნის შუა ხანებში „აფხაზთა“ მეფე გიორგი II-ის (922-957 წწ.) მოღვაწეობის ხანაში. ქართული პოლიტიკური სამყაროს გავლენის განმტკიცებას ჩრდილოეთ კავკასიაში ცდილობდნენ კახეთის საქორეპისკოპოს მესვეურებიც. XI საუკუნის დამდეგიდან, როდესაც ცალკეული სამეფო-სამთავროების ნაცვლად საერთაშორისო არენაზე ერთიანი ქართული სახელმწიფო გამოვიდა, კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენა კავკასიონის ქედს გადაღმა. XII ს. I მეოთხედში კი დიდმა დავით აღმაშენებელმა მოახერხა ისეთი მამულები ღონისძიებების განხორციელება, როგორც იყო იმიერკავკასიიდან მომთაბარე ყივჩაღთა 200-ათასიანი ურდოს საქართველოში გადმოსახლება.

საქართველოს მონარქია თავის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ღონით გაცილებით მაღლა იდგა მეზობელ ჩრდილო კავკასიურ პოლიტიკურ ერთეულებზე. საქართველოს გავლენა მათზე დიდი იყო. ჩრდილო კავკასიურ ხალხებთან ლოიალური ურთიერთობა საქართველოსათვის იმით იყო ხელსაყრელი, რომ თავის ჩრდილოეთის საზღვრების უშიშროებას უზრუნველყოფდა. ეს კი საშუალებას აძლევდა საქართველოს მეფეებს მთელი თავისი ძალები მიემართა ქვეყნის გაერთიანებისათვის. ჩრდილო კავკასიის ხალხებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ. განვითარებული მეურნეობის მქონე და ძლიერი საქართველო სულ უფრო მეტად იზიდავდა თავისკენ



მთის მოსახლეობას. ამ ხალხთა სამხედრო სამსახური უხვად ნაზღაურდებოდა საბოძვრებით და სამხედრო ნადავლით.

„ქართლის ცხოვრების“ მატიანეებისა და სხვა წყაროების მონაცემების შეჯგერების შედეგად სრულიად მკაფიოდ დასტურდება, რომ ჩრდილოეთ კავკასია არა მარტო გავლენის სფერო, არამედ, ფაქტობრივად, ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სისტემის ნაწილი იყო. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ ქართული პოლიტიკური სამყაროს მზარდ გავლენაზე მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაზე „ჯიქედიდან ვიდრე გურგენადმდე“ ანუ „ნიკოფსითგან დარუბანდამდე“.

#### **დამოწმებანი:**

1. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
2. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, სალექციო კურსი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2007.
3. სტეფანაძე ჯ., საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეებში, თბ., 1974.
4. ქართლის ცხოვრება - ცხოვრებს ქართუელთა მეფეთა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
5. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.

6. პაპასქირი ზ., შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. თბ., 1975.
7. Магоматов Р.М., Дагестан. Исторические этюды. Махачкала, 1975.
8. Ахмедов Ш. М., К вопросу о становлении феодальных отношений в Дагестане. Махачкала, 1975.
9. Бейлис В.М., Из истории Дагестана VI-XI вв.- Исторические записки. Махачкала, т.73, 1963.
10. Шмерлинг Р., Церковь в селе Датуна в Дагестане. История Дагестана, Махачкала, 1967.
11. История Дагестана. Махачкала, 1967.
12. Крупнов Е.А., Средневековая Ингушетия. Махачкала. 1971.
13. Шавхелишвили А. И., Из истории Взаимоотношении между грузинским и чечено-ингушскими народами (С древнейших времен до XV века), Грозный, 1963.
14. Генко А.Н., Из культурного прошлого ингушей- Записки коллегии востоковедов, т. V, М., 1930.

*Ia Jichonaia*

*Sokhumi State University*

**THE RELATIONSHIP OF "LEKS" AND  
"CAUCASIANS"  
WITH THE GEORGIAN POLITICAL WORLD  
RESUME**

Relations between Georgia and people from the North Caucasus have been going on since the ancient period, when the newly-made kingdom Kartli included the North Caucasian tribes in the political processes of Georgia. The state Kartli -

Iberia, at almost all stages of its existence, observed the situation in the North Caucasus and often could retain political and cultural influence. An important role is played by the predecessors of the “Life of Kartli” for studying the historical past of the Northern Caucasians and the issues of their relations with Georgia. Leki, as is known, is one of the Dagestan tribes, with regard to the term “Caucasians”, this name refers to ancient Georgian historical sources of Weinakh (Chechens and Ingushetians) tribes. The second name of these tribes was “Durdzukni”.

“Lekni” and “Kavkassiani” have been integrated into the Georgian-political state of the world since ancient times. The ancient Georgian historical tradition in “The Life of Kartli” considered leks and Caucasians to be the children of one big family. Leks appeared on the political arena of Eastern Georgia from the epoch of Azo-Parnavaziyu. The Leki and Caucasians were in the Georgian infantry several times. About this we have sources in “Istoriani da Azmani Sharavandetanis”.

Dagestan history was called the tribes of Caucasian origin. These tribes were in separate tribal and state unions. The monarchy of Georgia with socio-economic and cultural level was much higher than the neighboring North Caucasian plate units. The influence of Georgia on them was great. The security of the borders of the North made it possible for the kings of Guzii to direct all their forces to unite the country. The kings of Georgia directed all their forces to the unification of the country. In addition to political relations, the royal door of Georgia carried out Christian propaganda. The existence of several Christian churches is proved. Among them, the church in the village of Datuna, Antsuhi, Tenhi, “On the Land of Hundza” is especially known. After the collapse of the united Eastern state, the function of control over the North Caucasus

was taken by the united Georgian-Georgian state of the 8th century “Abkhazian kingdom”, which was successful in this direction in the middle of the 10th century during the reign of King Giorgi II (922-957). The influence of the Georgian political world wanted to prove to the Sake Bishops of Mesveura Kakheti. Since the 11th century, when a single Georgian state entered the international arena instead of separate state governments, the political and cultural influence of Georgia beyond the Caucasus has been confirmed. In the fourth quarter of the twelfth century, David Agmashenebeli was able to carry out such large-scale events as the relocation of 200 thousand urdos to Georgia from the Transcaucasia.

As a result of a comparison of the predecessors of the “Life of Kartli” and other data, it is clearly confirmed that the North Caucasus was not only a sphere of influence, but, in fact, part of the unified Georgian state system. Without a doubt, one can confirm the developing influence of the Georgian political world over the entire North Caucasus “jikedidan vidre gurgenamde“, i.e. “From Nicosia to Daruband”.